

ნ. ხიჯანაშვილი

ეთნოგრაფიული ნაწერები

19 თბილისი 40



ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
DIE GEORGISCHE ABT. d. AKADEMIE d. WISS. d. UdSSR

Институт языка, истории и матер. культуры им. акад. Марра
N. I. Marrs Institut d. Sprache, d. Gesch u. d. materiell. Kultur

МАТЕРИАЛЫ ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ II

Н. ХИЗНАШВИЛИ (Урбнели)

СТАТЬИ ПО ЭТНОГРАФИИ

Materialien für die Ethnographie Georgiens II

N. CHISANASCHVILI (Urbneli)

ETHNOGRAPHISCHE BEITRAEGE

ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР
VERLAG der GEORGISCHEN ABT. d. AKADEMIE d. WISS. d. UdSSR

ТБИЛИСИ

1940

TBILISSI

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.

გესალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის II

ნ. ნიჭანაშვილი (უკვნილი)

ეთნოგრაფიული ნაწარები

1957



დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის

საქართველოს ფილიალის განკარგულებით

თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი ვ. ჩიბაია



ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი)

1851—1906

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული ნაწერები, რომლებიც ერთად თავმოყრილი ამ წიგნშია დაბეჭდილი, ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის დიდი ღირებულებისაა. პირველ რიგში და უმთავრესად ეს ეხება აქ უხვად მოცემულ ეთნოგრაფიულ მასალას, ხოლო მეორე რიგში ავტორის ზოგიერთ მეცნიერულ დასკვნებს. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული ნაწერები სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში გაბნეული და ამდენად ძნელად ხელმისაწვდომი, ამიერიდან ერთ წიგნად დაბეჭდილი, როგორც ფართო მკითხველ საზოგადოებას, ისე მეცნიერ სპეციალისტებს ამ საინტერესო ავტორის ნაშრომების გაცნობას და გამოყენებას გაუადვილებს.

ნ. ხიზანაშვილი ქართველი ეთნოგრაფების იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელმაც ი. ჭავჭავაძის ხელკურთხევით დაიწყო მოღვაწეობა და ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხელ ყამირს ღრმა კვალი გააგლო. ეს ადამიანი მისი დროის შესაფერისად კარგად მომზადებული, რომელსაც ჭკუა და ნიჭი უჭირდა და კალამი ემორჩილებოდა, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებების ოსტატი-დამკვირვებელი და გონებამახვილი მკვლევარი იყო, ამ პლეადის ყველაზე მეტად თვალსაჩინო წევრია. ამიტომ არის, რომ მის ეთნოგრაფიულ ნაწერებს, რაც დრო გადის უფრო მეტი შეფასება ეძლევა.

ნიკოლოზ თადეოზის-ძე ხიზანაშვილი დაიბადა 1851 წელს სოფელ მალლა-დოვლეთში (სამხრეთ ოსეთში) ძველებური ტიპის სოფლის მღვდლის ოჯახში. ნ. ხიზანაშვილის მამა მალე სოფელ მალლა-დოვლეთიდან ს. ცერონისში გადაიყვანეს, სადაც ხიზანაშვილს თავისი ყმაწვილობის გატარება მოუხდა. აქ, ქართლის მდიდარი ბუნების წიაღში, მან ყრმობიდანვე შეითვისა შრომისა და დაბრკოლებათა დაძლევის უნარი და აქვე ჩაენერგა სიყვარული ხალხური სიტყვიერებისადმი. როგორც გადმოგვცემენ, ამ ხანებში მან ზეპირად იცოდა მრავალი ხალხური ლექსი და პოემა, ისევე როგორც შოთას პოემის მთელი კაბადონები. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნ. ხიზანაშვილი შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის კურსი მან 1870 წელს დაასრულა. მცირე

მომზადების შემდეგ ის აბარებს გამოცდებს ბერძნულ და ლათინურ ენებში და 1871 წელს შედის ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ნოვოროსიის უნივერსიტეტში XIX ს. სამოცდაათიან წლებში თავმოყრილი იყო მნიშვნელოვანი მეცნიერული ძალები. საბუნების-მეტყველო დარგებში აქ მოღვაწეობდნენ ახალგაზრდა (შემდეგში სახელმძღვანელო) მეცნიერები: სეჩენოვი¹, მეჩნიკოვი, ა. კოვალევსკი, მელიქიშვილი და პეტრიაშვილი, ხოლო ჰუმანიტარულ დარგებში: ა. პავლოვი, ვოლსკი, ლეონტოვიჩი და სხვები². ამ უკანასკნელთ, როგორც იურიდიული დარგის სპეციალისტებს, უსმენდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნ. ხიზანაშვილი. მისთვის განსაკუთრებით საყურადღებო უნდა ყოფილიყო ფ. ლეონტოვიჩის ლექციები. როგორც ცნობილია, ლეონტოვიჩი კავკასიის მთიელების ადათებს სწავლობდა და მან გაცილებით ადრე, ვიდრე მ. კოვალევსკი თავის ცნობილ მონოგრაფიებს დაბეჭდავდა, ჯერ კიდევ 1882-83 წლებში გამოაქვეყნა ნაშრომი ამ საგანზე³. უნდა ვიფიქროთ, რომ ნოვოროსიის უნივერსიტეტში ნ. ხიზანაშვილს კარგი მეცნიერული წვრთნა უნდა მიეღო. ნ. ხიზანაშვილმა 1876 წელს ოდესის უნივერსიტეტი ჩინებულად დამთავრა და საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში ჩამოსვლის უმაღლეს სამსახური დაიწყო ზანგეზურში (გერიუსი), შემდეგ სტალინირში (ცხინვალი) გადაიყვანეს. სტალინირიდან სურამში დანიშნეს, ხოლო სურამიდან თიანეთში გაამწესეს გამომძიებლად და უკანასკნელად დანიშნეს თბილისში. გარდაიცვალა თბილისში 1906 წელს დეკემბრის 15-ს ტყვიით მძიმედ დაჭრილი ვიღაც ბოროტ-განმზრახველის მიერ. დაკრძალეს თბილისშივე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

თავის სიცოცხლის ბოლო ხანებში ნ. ხიზანაშვილი ავადმყოფობდა ასტმით. მკურნალობის მიზნით 1903 წელს ის ბერლინს წავიდა. მკურნალობის შემდეგ მან თავის მეუღლესთან ელ. ჩერქეზიშვილთან ერთად ინახულა პარიზი, ლოზანა, ჟენევა და ვენა⁴.

¹ ცნობილია, რომ სეჩენოვის ურთიერთობა მის „სამოქალაქო“ მეუღლესთან, ბოკოვასთან — მ. ჩერნიშევსკის ცნობილი რომანის „Что делать?“ მთავარი ქარგა შეიქნა.

² N. Kandakow, Mèmoires, Prages 1927, გვ. 69-70.

³ Ф. Леоцтович, Адамы Кавказских горцев. Материалы по обычному праву северного и восточного Кавказа. Одесса 1882-83.

⁴ პატივცემული ელ. ჩერქეზიშვილის სიტყვიერი გადმოცემით. იხ აგრეთვე ა. ფურცელაძის წერილი ი. ჭავჭავაძისადმი 1903 წ. ივლისის 13-ის თარიღით ვარშავიდან (ილიას არქივი, საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება).

პროვინციაში მუშაობის დროს ნ. ხიზანაშვილი გულმოდგინედ აკვირდებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ჰკრებდა მასალებს და იკვლევდა მათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თიანეთში ყოფნისას ნ. ხიზანაშვილის მიერ გაწეული მუშაობა. სამსახურის პირობების გამო ის ხშირად მოგზაურობდა თიანეთის მაზრის სოფლებში და უშუალოდ ეცნობოდა თავის საკვლევ ობიექტებს. გადმოცემების მიხედვით „გამომჩხრეკელს“ (ასე ეძახდა ხიზანაშვილს ხალხი) ხალხში დიდი სიმპათია ჰქონდა დამსახურებული.

ნ. ხიზანაშვილის პირველი ნაწერი იყო „კორესპონდენცია ცხინვალიდან“, რომელიც 1879 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა.

1882-1883 წწ. ის თანამშრომლობდა „ხალხოსნების“ ჟურნალ „იმედში“. 1883—1885 წწ. თავის ნაწერებს ჰბეჭდავდა ივ. მაჩაბლის „დროებაში“, ხოლო 1886 წლიდან იწყება ნ. ხიზანაშვილის მუდმივი თანამშრომლობა „ივერიაში“. ის ჰბეჭდავდა თავის ნაშრომებს აგრეთვე ჟურნალ „მომამბეში“ და ცალკე გამოცემების სახითაც.

მისი ნაწერები ნ. ურბნელის, ნ. ხიზანაშვილის, ნ. ხ-ლის, ნ. ხიზანოვის, Plebs-ის, P-s-ის ხელმოწერითაა გამოქვეყნებული. ურბნელის სახელს ნ. ხიზანაშვილი იმის გამო ირქმევდა, რომ მისი მამა-პაპანი ს. ურბნისის მკვიდრნი ყოფილან. ნ. ხიზანაშვილის თითქმის ყველა ეთნოგრაფიული ნაწერი ნ. ურბნელის ფსევდონიმითაა ხელმოწერილი.

ნ. ხიზანაშვილს დაუბეჭდავი დარჩა შემდეგი ხელნაწერები:

1. „წოდებათა ისტორია საქართველოში“ (ამჟამად ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, კოლ. № 159—4).

2. „იმუნიტეტი საქართველოში“ (ამჟამად ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, კოლ. № 160—4).

3. „ლიბარიტ მესამე ორბელიანი“ (ამჟამად ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, კოლ. № 5086/ა), რომელიც გ. ყიფშიძესა და „ძველი საქართველოს“ რედაქციას ი. ჭავჭავაძის „ქალაქებში“ ეგულებოდათ¹. „ძველი საქართველოს“ რედაქციის აზრით სხვა „დაუბეჭდავი ხელნაწერი ავტორის ქალაქებში შემონახული არ არის“-ო².

¹ გ. ყიფშიძე, „ნ. ხიზანაშვილი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“, აღმანახში „ქართველი ერი“ 1909 წ. № 1, გვ. 12, სწერს: „ერთი ისტორიული მონოგრაფია კიდევ „ლიბარიტ ორბელიანი და მისი დრო“ (ზუსტი სათაური იხილე ზემოთ — გ. ჩ.), შავად დაწერილი, შეუმუშავებელი დარჩა განსვენებულს და ვგონებ ილია ჭავჭავაძის ქალაქებში უნდა იყოს ამჟამად“; „ძველი საქართველო“, ტ. 1, ნ. ხიზანაშვილი (ნეკროლოგი), გვ. 11.

² „ძველი საქართველო“, ტ. I. გვ. 11.

როგორც ირკვევა, ნ. ხიზანაშვილი „ივერიაში“ თანამშრომლობის დაწყებიდან დიდად დაახლოვებია ი. ჭავჭავაძეს. ნ. ხიზანაშვილი ილიას ხშირი სტუმარი ყოფილა საგურამოში. ეტყობა, რომ ილია დიდად აფასებდა ამ ნიჭიერ მწერალს. ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში ილიასა და ნ. ხიზანაშვილის შესახებ სწერს: „ჩემს დროს ყველაზე მეტად შელაზღანდარებული იყო ილიასთან ნიკო ხიზანაშვილი, კაცი ენაწყლიანი, სიტყვამოსწრებული, კარგი მოსაუბრე, ოხუნჯი, ამასთან ჭკვიანი, კარგად განათლებული და ბევრი ნაკითხი. სხვებისაგან ილია თუ წკიპურტს არ მიიკარებდა, ამისგან ბევრს ითმენდა“¹.

ნ. ხიზანაშვილის ნაწერები მრავალმხრივი შინაარსისაა. მათ შორის მოიპოვება როგორც პუბლიცისტიკური წერილები, რომლებიც საქართველოს იმდროინდელ საჭირვარამო საკითხებს შეეხებიან, ისევე ნაშრომები საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგებიდან. ნ. ხიზანაშვილის პუბლიცისტიკური მოღვაწეობისა და ისტორიული ნარკვევების შეფასება მომავლის საქმეა, ჩვენს ყურადღებას იქცევს მისი ეთნოგრაფიული ნაწერები, რომლებზედაც გვინდა გაკვრით შევჩერდეთ.

მას შემდეგ, რაც ქართული მეცნიერების ძველი ტრადიციების ძაფი გაწყდა და საქართველო ახალ ვითარებაში მოექცა — ქართული ეთნოგრაფიული მასალებისადმი ყურადღების გამახვილება XIX საუკუნის სამოციან წლებიდან დაიწყო.

ილია ჭავჭავაძე აღიარებდა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლად საქართველოს ისტორია ვერ დაიწერება, ის ამ მასალის გარეშე მხოლოდდამხოლოდ მეფეების ისტორია იქნებაო². ამიტომ ის მოითხოვდა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას. საგულისხმოა, რომ თვით ილია, „მგზავრის წერილე-

¹ ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ტფ. 1936 წ. გვ. 76. გ. ყიფშიძე ასე ახასიათებდა ნ. ხიზანაშვილის ბუნებას: „საზოგადოდ, მეტად ალტაცებული ბუნების კაცი იყო, ექსპანსიური, გაბედული, ხუმარა და ოხუნჯი. სადილზედ, მცირე ნადიმზედ დასასრული არა ქონდა იმის ოხუნჯობას, იმის უწყინარს ქილიკობას. თუ მეტადრე კარგს გუნებაზე იყო — და ჭამა-სმის დროს მუდამ კარგ გუნებაზე იყო, — მუცელი უნდა ორთავ ხელით დაგეჭირა, ისე შნოიანად და მარჯვედ ხუმრობდა, მარილიანად მასხრობდა, ნაკვესობდა“ (გ. ყიფშიძე, *op. cit.*, გვ. 11).

² შდრ. საპროგრამო წერილი, ხელმოწერილი ვ. სოლოგუბის მიერ, *Записки Кавказского отд. Русского географ. Общества, Тифлис 1852, т. I*. ვ. სოლოგუბი სხვათა შორის სწერდა: „На вершинах Кавказа таится разрешение важной исторической задачи о судьбах многих исчезнувших народов и задача эта тем труднее может быть разрешена, что она мало найдет света в письменных памятниках древних писателей западных и восточных. Остается обратиться только к сравнительному изучению сохранившихся языков, имен, и в высшей степени занимательных нравов, обычаев и преданий“ (იქვე, გვ. XIV).

ბიდან“ დაწყებული, ეთნოგრაფიულ მასალას გულმოდგინედ აგრო-
ვებდა. ამას ცხადყოფს როგორც მისი მხატვრული ნაწერები, ისევე
მისი დღიურებიც. თავის ერთ უბის წიგნში, ჯერ კიდევ 1865 წელს,
ილიას ხევსურული ხუცობანის ტექსტები ჩაუწერია, რომლებიც შემ-
დეგში ჩამწერის აღუნიშნავად 1879 წელს „ივერიაში“ (№ 218)
დაუბეჭდავს. ეს უბის წიგნი ამჟამად დაცულია საქართველოს ლი-
ტერატურულ მუზეუმში (ილიას უბის წიგნის ჩანაწერისა და „ივე-
რიაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიკვლევა-შეჯერება დოც. ვ. ბარ-
დაველიძეს ეკუთვნის). ამით აიხსნება, რომ ილია უდიდეს ყურად-
ღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას და ამიტომ
იყო, რომ მან შეჰქმნა შესანიშნავი კადრი ეთნოგრაფიული მასალე-
ბის შემგროვებლებისა, რომელთა მიერ შეკრებილ მასალებს სისტე-
მატურად „ივერიაში“ ჰბეჭდავდა.

უკვე 1889 წელს „ივერიის“ თანამშრომელი ა. ნა-ლი ეთნო-
გრაფიული მასალების შეგროვებასთან დაკავშირებით სწერდა: „სო-
ფელი და საზოგადოდ ერის ცხოვრება ისეთი საღაროა, სადაც მრავ-
ალი ფასდაუდებელი მარგალიტები ინახება მეცნიერებისა და მწერ-
ლობისათვის... ამ ოციოდე წლის განმავლობაში საკმაო ეთნოგრაფიუ-
ლი ნაწერი მოგროვდა და რამდენიმე მწერალმა ეთნოგრაფია თავის
უმთავრეს საგნად გაიხადა“ („ივერია“ 1889 წ., № 105). ჯერ კი-
დევ 1884 წელს ნ. ხიზანაშვილი ეთნოგრაფიულ თავისებურების
შესახებ ამბობდა, რომ „ჩვეულება (ამ ცნებას ავტორი ფართო გაგე-
ბით ხმარობდა — გ. ჩ.) აძლევს ხალხს განსაკუთრებითს ფერს, პი-
როვნულ ხასიათს. როგორც ყველა ცალკე პიროვნებისათვის საჭი-
როა მისი პიროვნული თავისებურება, ისე ხალხისათვის საჭიროა
გონივრული ხალხოსნური ჩვეულება... აქ (მთაში) ჩვეულება წმინდა
კანონია, დაწერილი გონებაა, რომელიც ინახავს ხალხის თავისებუ-
რებას“ (იხ. აქვე, გვ. 3-4).

ჩვენ უნდა გვეფიქრა, რომ ჩვენებური „ხალხოსნები“ განსა-
კუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ და დროულად შეუდგებოდნენ
ეთნოგრაფიული თავისებურებების შეგროვებას. მაგრამ ეს ასე არ
მოხდა. ამ ბანაკიდან სხვა არავინ ყოფილა, თუ არა ნ. ხიზანაშვილი,
რომელსაც ბეჯითად და სერიოზულად მოეკიდოს ამ საქმისათვის
ხელი. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. ამ ჯგუფს მხედველობიდან
გამოჰპარვია თემური მიწისმფლობელობის ფაქტიც. თემური მიწის-
მფლობელობის ფაქტის არსებობა „დროებამ“ მხოლოდ 1884 წელს

შეამჩნია და ამ მიწისმფლობელობის ჩვენში არსებულ ფორმას არა სწორი განმარტება მისცა¹.

სხვებისაგან განსხვავებით ნ. ხიზანაშვილმა ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლას უდიდესი ყურადღება მიაქცია. ამ მხრივ მან შესანიშნავი მუშაობა შეასრულა ხევსურეთსა და ფშავში. ნ. ხიზანაშვილმა ფიქსაცია უყო ხევსურეთისა და ფშავის სოციალურსა და რელიგიურ სინამდვილეს და მით მეცნიერებას უძვირფასესი მასალა შემოუნახა.

ის კვალდაკვალ მისდევს ხევსურეთისა და ფშავის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს გარკვეულ დარგში და სათანადო მონაცემებით ასწერს: ხვეის-ბერობასა და ხუცესს, დასტურსა და შულტას, თემობასა და ხატს, ქადაგსა და მესულთანეს, ბოსლობას, ოჯახობას, ქორწილს, მანდილს, კეჭნობას, გახეიბრებას, ბჭეებსა და საბჭოს, მზევლობას, ყურის მოჭრას, პირად შეყრას, პანთეონს, საიჭიოს, დაკრძალვას, სიცოცხლით დამარხვას, სულის ცხენს, ჰირისწყენას, წილბურკვას, მეშაბათეებს, პირის ჭერას, ლაბახს, დოდსა და სხვას.

ნ. ხიზანაშვილს ეთნოგრაფიული მოვლენები ბევრ შემთხვევაში აღწერილი აქვს თითქმის ყოველმხრივ, შედარებით ზუსტად და სათანადო სისრულით. ამის გამო და იმიტომაც რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე ფიქსირებულია ნ. ხიზანაშვილის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში — ეთნოგრაფიული მასალა სამეცნიერო კვლევის თვალსაზ-

¹ „დროება“ (1884 წ., № 6) მეთაურ წერილში სწერდა: „რუსეთში დაწინაურებული მწერლების უმეტესობა ჰფიქრობს, რომ სათემო მფლობელობა მიწისა შეიქმნა საფუძვლად ხალხის კეთილდღეობისა და მიაჩნია იგი დიდ უპირატესობად მთელს ევროპის წინაშე, რომელსაც ვერ დაუტევს უძველესი და უკანონიერესი ფორმა მიწის მფლობელობისა. ჩვენ კი ამ დროს არა ვიცი რა შესახებ იმავე ფორმათა, რომელსაც თავი შეუხანახეს ივრის ხეობაში“.

როგორც ჩანს, თემური მიწისმფლობელობის ფაქტის არსებობა საქართველოში გამოჰპარვია გერმანელ მეცნიერ Haxthausen-საც, რომელიც ჩვენში 1843 წ. მოგზაურობდა (A. Haxthausen, Transkaukasien, B. I-II, Berlin 1856). ეს ის Haxthausen-ია, რომელმაც რუსეთში XIX საუკუნის ოცდაათიან წ-ში სასოფლო თემი (сельская община) აღმოაჩინა, A. Haxthausen, Studien über die inneren Zustände, das Volksleben und insbesondere die landliche Einrichtungen Russlands Brl. 1847 (შრდ. K. Marx und Fr. Engels, Kommunistisches Manifest, Moskau 1932. გვ. 6, შენ.1).

სათემო მიწისმფლობელობის შესახებ ფშავში იხ. М. Ковалевски й, Закон и обычай на Кавказе, М. 1890, ტ. II, გვ. 81-82; შრდ. М. Мачабели, Описание государственных крестьян Тифлиского уезда МИЭБТКЗ, ტ V, გვ. 386; ან. ფურცელაძე, მიწის საერთო მდგომარეობა, ტფ. 1881; ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1927, ტფ. II, გვ. 67 და შმდ.

რისით დიდი მნიშვნელობისაა. მკვლევარს საშუალება ეძლევა გარკვეულ დროისათვის ფიქსირებული სანდო მასალა შეედაროს შემდეგ ხანაში მოცემულ ზუსტად დადგენილ ფაქტს, ისევე როგორც წარსულს და მით გაარკვიოს მოვლენის არსი და მისი „მოძრაობა“.

რასაკვირველია, ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ნ. ხიზანაშვილის მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალა აკმაყოფილებს თანამედროვე ეთნოგრაფიის მკაცრ მოთხოვნილებებს, კერძოდ ეთნოგრაფიული ფაქტის ცოცხალ სინამდვილეში დადგენის მეთოდებს. ამ მხრივ ნ. ხიზანაშვილის ნაშრომს ნაკლი აქვს. მაგალითად, მასალა არ არის ინდივიდუალიზირებული, არა ჩანს ვისგან არის მიღებული, რა გზითაა ჩაწერილი, სად და როდის არის შეგროვილი. ხიზანაშვილს მხოლოდ აქა-იქ აქვს აღნიშნული, რომ ესათუის მოვლენა ასეა პირიქით ხევსურეთში და ასეა პირაქეთში. მასალა არ არის დაზუსტებული უბნის, სოფლის, თემისა და ხეობის მიხედვით, რასაც ჩვენი ეთნოგრაფია აუცილებელ პირობად თვლის ეთნოგრაფიული ფაქტის მეცნიერული ფიქსაციისათვის (ეთნოგრაფიული საველე მუშაობის ეგრეთწოდებული ინტენსიური მეთოდი).

ამისდა მიუხედავად, თავის დროის შესაფერისად ნ. ხიზანაშვილის მიერ ეთნოგრაფიული მასალა კარგად არის შეგროვილი. ეს მით უფრო შეიძლება ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში ნაკლულევან, არა სრულ, არა ზუსტ და ტენდენციურ ზისერმანის¹, ერისთავის², რადეს³ და ხუდადოვის⁴ მიერ ჩაწერილ მასალებთან შედარებით ნ. ხიზანაშვილის მასალები დიდი ღირებულების მქონეა. ზემოთქმული ეხება არა მარტო ძველ ლიტერატურას ხევსურეთის შესახებ, არამედ ახალ ლიტერატურასაც, რომელშიც ბევრი უხეირო გამეორებაა ნ. ხიზანაშვილის მასალებისა და ხიზანაშვილის შრომის კომპილაციას წარმოადგენს⁵.

რაც შეეხება ნ. ხიზანაშვილის სამეცნიერო კვლევა-ძიებას ეთნოგრაფიის დარგში — უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ბევრ შემთხვევაში მართებულად უდგება საკითხების გადაწყვეტას. ის ცდილობს ეთნოგრაფიული მოვლენა ისტორიულ ჭრილში განიხილოს, გაარკვიოს მოვლენის ბუნება წარსულში და ამის მიხედვით დაადგინოს მოვლე-

¹ А. Зиссерман, Очерки Хевсуретии, „Кавказ“ 1851, № 22—24.

² Р. Эрнстов, О тушино-пшаво-хевсурском округе, ЗКОРГО, в. III.

³ Г. Радде, Хевсуретия и Хевсуры, ЗКОРГО, в. XI, 2; G. Radde, Chev'suren und ihr Land, Kassel 1878.

⁴ Н. Худатов, Заметки о Хевсуретии, ЗКОРГО, в. XIV.

⁵ მაგალითად ს. მაკალათიას, ხევსურეთი, ტფილისი 1935, წყაროს მიუთითებლად უხეიროდ იმეორებს ნ. ხიზანაშვილისა და საქ. მუზეუმის ხევსურეთის გამოფენის მასალებს.

ნის არსი. ასე იქცევა ის ქართული ოჯახის, საკუთრების, ქალის მდგომარეობის, ხევისბერობის, ხალხური პოეზიის მოტივებისა და სხვა საკითხების განხილვის დროს.

აღსანიშნავია, რომ ნ. ხიზანაშვილი ოჯახის განვითარების საკითხში იმდროინდელ მოწინავე მეცნიერების პოზიციებზე სდგას. ოჯახის ფორმების განვითარებას უდავო ფაქტად აღიარებს და ეკამათება ვახუშტისა და დ. ი. ჯანაშვილის მეცნიერულად გაუმართლებელ აზრებს.

უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნ. ხიზანაშვილი აღიარებს—ქართველ ტომებში „წინათ კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო, საგვარეულო საკუთრება იყო“ (აქვე, გვ. 167) და რომ შემდეგში გვარბა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადომ კერძობას, ასე ვთქვათ იურიდიულმა „მე“-მ სძლია იურიდიულ „ჩვენს“-ო. თუ ამას იმასაც დავსძენთ, რომ ნ. ხიზანაშვილი ქართველი ტომების წარსულში მატრიარქატის არსებობას ფაქტად მიიჩნევდა, — ის ორი შესანიშნავი დებულების ავტორად გვევლინება, სახელდობრ იმ დებულებებისა, რომლებიც შემდეგში მ. კოვალევსკიმ საქართველოსა და კავკასიის შესახებ წამოაყენა და ზოგად სამეცნიერო ლიტერატურაში კოვალევსკის აღმოჩენადაა ცნობილი¹.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ნ. ხიზანაშვილი მკვლევარს დიდ მოთხოვნები უყენებს. მაგალითად, ის ერთგან სწერს: „თითო ოროლა მაგალითი ბევრს არას ამტკიცებს, ერთი და ორი ფაქტი ჯეროვანის სინაქდვილით ვერ უჩვენებს საზოგადო კანონს, ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულს მოთხოვნებს“ (აქვე, გვ. 156-57).

ზემოთქმულთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს მრავალი მიუღებელი შეხედულება აქვს გამოთქმული. მაგ., შეხედულება იმაზე, რომ მთიელი „უმანკო ქმნილებაა“ (აქვე, გვ. 2), ან რუსოსებური შეხედულება „ბუნების კანონზე“ (აქვე, გვ. 4), ან კიდევ ის, რომ ავტორი დაჯერებულია, თითქოს საქართველოში ფარნაოზ მეფემ დაამყარა მიწის თემური მფლობელობა (აქვე, გვ. 167). შეცდომად უნდა იქნას აღიარებული ისიც, რომ ნ. ხიზანაშვილი ზოგადი კანონების დასადასტურებლად კონკრეტული ფაქტების მირგებას ცდილობს. პირუთენელი მეცნიერული კვლევა-ძიება წინაუკმო უნდა წარმოებდეს: კონკრეტულ ფაქტებიდან ზოგად დებულებისაკენ.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ავტორი თუმცა საკითხებს მეცნიერული კვლევისას ისტორიულ კრილში იხილავს, მაგრამ მათ წარმოშობას არ ეხება, გენეზისის საკითხს. არ სვამს და გარეშე გავ-

¹ შედ. Fr. Engels, Ursprung der Familie, Privateigentum und Staat. Moskau 1934, გვ. 123.

ლენის ძიებით კმაყოფილდება, რაც მიუღებელია აწინდელი ქართული ეთნოგრაფიისათვის. თანამედროვე ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი მოთხოვნილებაა — ეთნოგრაფიული მოვლენების გენეტიკური საკითხების გამოკვლევა. ზოგი რამ სხვაც მიუღებელია ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწერებში, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ნაწერებში მთავარი ის ეთნოგრაფიული ფაქტებია, რომლებიც აქ ასე უხვად არის მოცემული.

* * *

ნ. ხიზანაშვილის „ეთნოგრაფიულ ნაწერებს“ ვბეჭდავთ გაზეთებში გამოქვეყნებული ტექსტების მიხედვით. ტექსტები უცვლელადაა გადმოცემული. შესწორებულია მხოლოდ აშკარა კორექტურული შეცდომები. ავტორის ციტაციები უმეტეს შემთხვევაში შეჯერებულია და გამართული. მონოგრაფიიდან „ძველი ქართული ოჯახი“ აქ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი წერილი, რომელიც უშუალოდ ეთნოგრაფიას ეხება. სამწუხაროდ, არ მოხერხდა აქ დაბეჭდილი ნაწერების ხელნაწერი დედნების მიკვლევა. ამის გამო შეუძლებელი იყო გაგვერკვა თითოეული ნაწერის დაწერის თარიღი. ამ წიგნში მოთავსებული ნაწერები დაბეჭდილია: 1. ფშავ-ხევსურეთი (ზოგადი სათაურით — ეთნოგრაფიული წერილები) — 1884—1887 წწ.; 2. უსაფუძვლო შენიშვნის გამო — 1887 წ.; 3. ჩემის რვეულიდან — 1887 წ.; 4. კიდევ ლაშარობაზე — 1888 წ.; 5. როსტომ გმირი — 1888 წ.; 6. ხევსურულ პოეზიაზე — 1887 წ.; 7. ზეზვა და ბახტრიონის ციხე — 1887 წ.; 8. ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა — 1888 წ.; 9. საახალწლოდ — 1889 წ.; 10. აღდგომა ძველ დროს — 1888 წ. და 11. ძველი ქართული ოჯახი — 1885 წ.

წიგნს დართული აქვს საძიებელი და ნ. ხიზანაშვილის და ნ. ხიზანაშვილზე ნაწერების სიები.

ნ. ხიზანაშვილის დაუბეჭდავი ნაწერები გამოქვეყნდება ცალკე.

მ. ჩიბანი

ფშავ-ხევსურეთი.

სიერ-კავკასიის მრისხანე მთების კალთებს, სამხრეთის მხრივ, შეჭმარებია პატარა ჯგუფი ხალხი, რომელსაც ფშავ-ხევსურებს უწოდებენ. თუმცა ფშაველი ბევრით გაიზარდა ხევსურისაგან, მაგრამ მათ შორის საერთოც საკმაოა. ერთნაირს ბუნებას, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინსა საზოგადოებრივი ღრმად დაუსვამს ფშავ-ხევსურეთისათვის. მათი ურთიერთობა, ხანგრძლივი კავშირი, მეზობლობა—აი უმთავრესი მიზეზი ამ საზოგადო. ხალხოსურის ბეჭედისა. მათი სამშობლო, შემოზღუდული შეუვალი ტყეებით და მთებთ, სწორედ რომ შესანიშნავი კუთხეა. აქ, ამ სამშობლოში ფშავ-ხევსურმა აქამომდე შეუცვლელად დაიცვა თავისი ძველებური, მამა-პაპეული ზნე-ჩვეულება, ცხოვრება, წარსული გარდმოცემა. ამ მხრივ ფშავ-ხევსური უფრო ქართველია (თუ შეიძლება ასე ითქვას), ვიდრე აითონ ქართლელი. ქართლელი სცხოვრობს უფრო აწმყოთი, მომავალით. წარსულს მან თუ ზურგი არ შეაქცია, პირი მაინც აარიდა.

სულ სხვა უნდა ითქვას ფშავ-ხევსურზედ. ერთივე და მეორეც სცხოვრობს წარსულით, გარდმოცემით. ქართლელისთვის გარდმოცემამ დიდი ხანია დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თავისი აღმზრდელი ძალა. ფშავ-ხევსურისათვის კი ეს გარდმოცემა აქამომდე დედიდური მადლა, რომელიც ასულდგმულებს, აცხოველებს ამ მუჟის ოდენა ხალხს. ქართლში ეს მადლი თუ არ აღმოიფხვრა, შესუსტდა მაინც. იმის ადგილი დაიჭირა ახალმა ცხოვრებამ თავისი ახალი ფორმით, გარეგნობით. თუმცა ეს ახალი ცხოვრება ჯერ არ არის გამორკვეული და ძველი ახალს ებრძვის, მაგრამ მაინც ახლობა ცხადად ეტყობა ქართლის ცხოვრებას. რა სახეს მიიღებს ეს ცხოვრება—მომავალი გვიჩვენებს. ეხლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს სახე არ იქნება ფოტოგრაფიული სურათი წარსულისა, მამა-პაპეულის ცხოვრებისა. ამ სურათს მხოლოდ აქ, ფშავ-ხევსურეთში ვპოვებთ.

ამ განსხვავებას უნებლიედ შენიშნავთ, თუ კი დააკვირდებით აქაური მთიელების ხასიათს, მათს ცხოვრებას.

მეორე განსხვავებაც მეტად ღირს-შესანიშნავია: როგორც მოგეხსენებათ, ქართლელი, ეგრეთ წოდებული ბარის კაცი, კარგა ხანია განათლების გზას ადგია, ამ განათლების გარეგნობას იღებს, ითვისებს და თავის ცხოვრებაში შეაქვს. ჯერ მისი განათლება გარეგან ფორმას არ გასცილებია, ჯერ ევროპიული განათლების აზრს ფეხი არ მოუკიდნია ქართლში. ამისათვის იქ შედარებით ცხოვრება თუმცა ბრწყინვალეა, მაგრამ ეს საბრწყინვალე გარეგანი ელვარებაა და არა შინაგანი ძალა მნათობისა. კიდევ ამიტომ ეს ელვარება ვერ ათბობს ვერც სულს და ვერც გულს, თუმცა კი თვალს ასიამოვნებს. საჭიროა დრო და ყამი, რომ გარეგანს განათლებას თან მოჰყვეს ნამდვილი აზრი ევროპიულის განათლებისა, რომელიც დაათბობს სულსაც და გულსაც.

მთიელის ცხოვრების სახე სულ სხვანაირია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთიელი ბუნების შვილია და ურწმუნო თვალთ უცქერის განათლების გარეგნობას, ხმ ბრწყინვალე ცხოვრებას, რომელიც მოკლებულია ნამდვილს აზრს და რომელიც ხშირად უარჰყოფს ბუნების კანონს, მის ჭეშმარიტებას. დიად, აქ ვერ იპოვით ქართლის განათლებას, მაგრამ ბევრს კი ისეთს რასმე შეხვდებით, რომელსაც განათლებული ქართლელი შურის თვალთ დაუწყებს ცქერას. ბუნება, ეს უდიდესი ქარხანა კაცობრიობისა, აქ სრული მფლობელი და მბძანებელია. ამ ბუნებას მთლად დაუპყრია აქაური მცხოვრებელი.

თავის ხასიათით, მიმართულებით, მთელის თავის არსებით მთიელი ისეთივე უმანკო ქმნილებაა, როგორც მის გარეშემო მოძრავი ბუნება. მარტივს, ბუნებრივს ცხოვრებას თავისი ლაზათი და მიმზიდველობა აქვს. გაურყენელი გონება და შეუფერებელი ზნეობა ყოველთვის პატივს ყცემს ბუნების შვილს. მოგეხსენებათ, რომ ყალბმა განათლებულმა ცხოვრებამ გამოიწვია პროტესტი და ბევრნე საუკეთესო წარმომადგენელნი კაცობრიობისა თაყვანისცემით იხსენიებენ იმ დროს, როცა კაცი ბუნებრივად სცხოვრობდა.

მთიელს თავისი სალი კლდეები და მთა ურჩევნია თქვენს ბარს. რადგანაც ამ კლდეებში და მთაში ის თავისთვის არის, თავისუფლად, მომორებული ყალბს, გაჭეგანს განათლებას, რომელმაც მუსრი გაავლო ძველებურს მარტივს, ბუნებრივს ცხოვრებას და რომელსაც თან მოჰყვა არა მცირედი უსიამოვნება, შეუფერებლობა: ასე გასინჯეთ, თავისი ტანისამოსით ვაკედ, «ბარად» ჩამოსვლაც კი ეთაკილება ეხლანდელს ხევსურს.

ბარის კაცი დასცინის მის „კერპულს“ ტანსაცმელს და ხეყ-
სური იძულებულია თავისი ფერად-ფერადად აქრელებული ჩოხა
ვადაბრუნოს და ისე ჩაიცვას. მის ჩვეულებას დასცინიან და დას-
ცინიან განათლების ძალით, უფლებით!—მოგეხსენებათ, რომ ბა-
რის ქართველი ნელნელა სტოვეებს თავის მამა-პაპურს საცმელს და
„მოდას“ მისდევს.

ზოგიერთა ალაგას, სადაც „მოდამ“ ფუსვი გაიდგა, სხვაგნე-
ბურმა ტანსაცმელმა სრულიად განსდევნა ჩვენებური. ეს უფრო ბა-
რის ქალებზედ უნდა ითქვას: იქ ევროპიული ტანისამოსი იქერს
პირველს ადგილს და შორს არ არის ის დრო, როდესაც „მოდა“-
სრულებით მოსაპობს ჩვენის ტანსაცმელის თავისებურობას. მთის ხალხი
კი სულ სხვაა. აქ „კერპული“ ტანისამოსი ისეთსავე პატივის-ცემაშია.
როგორც ყოველისფერი ძველებური, თავისებური. მაგრამ იქნება.
თქვენ გგონიათ, რომ ეს უბრალო ფაქტი არაფერს ნიშნავს, ყურად-
ღების ღირსი არ არის.

ეს, თქვენის აზრით, უბრალო ფაქტი აშკარად ამტკიცებს, რომ
მთიელს თავისებური ტანისამოსიც კი დიდ რამედ მიაჩნია და ამითი
გიჩვენებთ, რომ გარეგნობის უარისყოფას თან მოსდევს სხვა ღრმა
ცვლილება, რომელიც ხალხს სულ სხვა ფერს დასდებს. დააკვირდით
ისტორიას, ცხოვრებას და დაინახავთ, რომ ცვლილება ხალხის ცხოვ-
რებაში გარეგნობის მიღებით დაწყებული და თუ აწინდელი მთიელი
ასე თავგამოდებით ეწინააღმდეგება „მოდას“ და პატივსა სცემს თავის
„კერპულს“ ტანისამოსს, უყვარს თავისი შემკულობა, ეს ამტკიცებს,
რომ აქ უბრალო ხალხოსნურს ჩვეულებასაც კი დიდი პატივი აქვს,
აქ ჩვეულება წმინდა კანონია, „დაწერილი გონებაა“, რომელიც
ინახავს ხალხის თავისებურობას.

ბარის კაცი კი მეტად ადვილად სტოვეებს თავის ჩვეულებას,
თუმცა კი ჯერ-ჯერობით უფრო ისეთს, რომელსაც გარეგანი მნიშე-
ნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. კიდევ ამიტომ ასე ფეხი გაიდ-
გა ქართლში გარეგანმა განათლებამ, რომელიც მიმზიდველია თავი-
სი ბრწყინვალე ფორმით და რომელიც ასუსტებს, აფუტურო-
ვებს ცხოვრების თავისებურობას. რამდენი ჩვეულება განჰქარა სამუ-
დამოდ და თან წაიღო ნიშანი ჩვენის ვინაობისა.

მაგრამ იქნება გვეგონოთ, რომ ჩვენ ვესურს ყველა ჩვეულების
დაცვა. არა, ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს. და თუ
იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობითს კანონს
არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა. სხვათა შორის.
სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს ფერს, პი-
როვნულს ხასიათს. როგორც ყველა ცალკე პირისათვის საჭიროა
მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭი-

როა გონივრული ხალხოსნური ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქარც პროგრესია შესაძლო. მაგრამ ნუ იფიქრებთ, ვითომც ფშავ-ხევსური მარტო თავის გარეგნობას იცავდეს. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ჩვეულებას აქ ღრმად ძირი გაუდგამს მთელს ცხოვრებაში. ხალხის აზრით მისი საზოგადო შეხედულობა მხოლოდ ამ ჩვეულებით მოძრაობს, მოქმედობს, თვით კანონიც აქ ჩვეულებაა და სხვა არაფერი.

ეგრეთ წოდებული სჯული, აქაურის მთიელის აზრით, იმიტომ არის სჯული, რომ ჩვეულებას წარმოადგენს, ცხოვრებას ეთანხმება. საქმის გათავება სჯულისამებრ—აი დასაწყისი და დასასრული ყოველ გვარის ურთი-ერთობისა ფშავ-ხევსურეთში. ამას ადვილად შენიშნავთ, მეტადრე სასამართლოში. ერთი ვილაცა უჩივოდა ხევსურს მომრიგებელ სასამართლოში დაჭრილობაზედ. ხევსურს სჯულისამებრ სისხლში მიეცა რამდენიმე თავი საქონელი და წარმოიდგინეთ ხევსურის რისხვა და კრულვა, როდესაც მან მიჰყო ხელი და დაუწყო საყვედური მოწინააღმდეგეს სჯულის უარისყოფისათვის. ვამბობთ—ეს საყვედური კი არ იყო, ეს მთელი ბრალდებულებათა ოქმი იყო.—შენ რა კაცობა უნდა გეთხოვებოდეს, როდესაც სჯული არა გწამს და აქ მიჩივიო, ამბობდა მრისხანედ მართლა რომ კერბად დამცველი მამა-პაპურის სჯულისა. მაგრამ კანონმა სძლია ხევსურის სჯულს. დამნაშავეს ორი კვირა საპატიმროში ჩაჯდომა „დააკისრეს“; საქონელიც მოჩივარს დარჩა. ხევსური კაშტერებულე ბუტბუტით გამოვიდა სასამართლოდან.

ძალა-უნებურად თქვენ თვალ-წინ წარმოგიდგებათ ერთი საუკეთესო თვისება აქაურის მთიელისა. ეს თვისება ის არის, რომ აქ კაცი უფრო მეტად იცავს თავის პიროვნულს ღირსებას, თავის თავისუფლებას, ვიდრე ბარში. ბარის გლეხი, როგორც მოგეხსენებათ, ბეჩავია, დაჩაგრული, დამფრთხალი; მან თუ ჯერ კიდევ ხელი არ აიღო თავის პიროვნულს ღირსებაზედ, მალე მაინც აიღებს, თუ როგორმე თავის თავს ან აქედან არ უშველა ან იქიდან.

მანდა ვაკე ქართლში, გლეხი ყველას წინ კისერს იხრის, თუ მეტადრე იმის მოპირდაპირეს რაიმე ძალა და უფლება აქვს. აქაურს მთიელზედ სულ სხვა უნდა ითქვას. აქაური თავისუფალი ბუნების შვილი ამპარტავანია, თავის თავის ყადრი იცის. ყველასთან და ყველგან თავისუფლად უჭირავს თავი, თავისუფლად იქცევა; თითქო ყველანი ერთნი იყვნენ. ამის ზნეობითი სახე ჯერ არ შეცვლილა, ჯერ არ დაჰმანჭულა. მთიელს ვერ შეაშინებს ვერც ძალა და ვერც უფლება, იგი კაცად გრძნობს თავის თავს და კაცურადაც გექცევა. ყოველს მის მოქმედებაში, ყოველს ნაბიჯში იხა-

ტება კეთილშობილური ამპარტავნება, თავისუფლება. მას ჯერ არ მიჰკარებია „ცხოვრების სიბრძნის“ ლაქა, მან არ იცის ის ზრდილობა, რომელიც ხშირად პიროვნულ თავისუფლებას სთრგუნავს.

იქნება თქვენ ჭეიქრობთ, რომ ნაჩვენები თავისება აქაურის მთიელისა წარპოსდგება იმის ველურის ხასიათისაგან, გაუნათლებლობისაგან; ვინ იცის! მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს თავისება მეტად დიდი საუნჯეა, რადგანაც მით კაცს შეუძლიან დაცვას—პიროვნული თავისებურება. ეს პიროვნული თავისებურება. როგორც მოგეხსენებათ, უძვირფასესი განძია კაცისათვის და საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა მის დასაცველად და ასაღორძინებლად იღწვის.

როგორც ჰხედავთ, ფშავ-ხევსურეთი დიად შესანიშნავი და საყურადღებო მხარეა. სამწუხაროდ, ჯერ ამ მხარეს თავისი ა. მოჩხუბარიძე არ დაჰბადებია. ჩვენ ჩვენის სუსტის კალმით ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს ეს შესანიშნავი მხარე, რამდენადაც შესაძლო იქნება, რამდენადაც ნებას მოგვცემენ.

საქართველოში, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქს არასოდეს არ სჭერია პირველი ალაგი, არ ყოფილა სოფლის ხელმძღვანელი და მბძანებელი. ფეოდალურმა ცხოვრებამ და ჩვენის სამშობლოს გეოგრაფიულმა და ეთნოგრაფიულმა ვითარებამ უფრო ხელი შეუწყო სოფელს, მას მისცა უპროტესობა. ასე ყოფილა სხვაგანაც, სადაც კი ფეოდალიზმი აღორძინდა. ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, ვითომ საქართველოში ქალაქები ცოტა იყო. არა,—ჩვენ ის უნდა ვსთქვათ, რომ სოფელს ცხოვრებაში უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სოფელი იყო პირველი ადგილი. როგორც ევროპაში თვითეთელი ფეოდალი თავისი ამალით და გლეხებით სცხოვრობდა: სოფლად ციხე-დარბაზში, ისე საქართველოს მაღალი წოდება და ბინავებული იყო სოფლებში და ქალაქს თვალს არიდებდა. ძველის დროის მოგზაურებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს არისტოკრატის სოფლად უყვარს ცხოვრებაო. აქ საქმე სიყვარული კი არ არის, აქ მიზეზი სულ სხვაა, სახელდობრ ისა, რომ, როგორც სხვაგან ისე ჩვენში, სოფლად ცხოვრებას ითხოვდა ფეოდალური წესწყობილება. ცხოვრებაც სოფელში დულდა კიდევ, სოფელი იყო ცოცხალი სურათი ხალხის ვინაობისა. მხოლოდ შემდეგში ქალაქმა დაიპყრო პირველი ადგილი და სოფელმა დაჰკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. მაღალი წოდებაც ქალაქს მიეშურა.

მეორე მოვლენაც ღირს შესანიშნავია. ქართველთა ტომი, როგორც მოგეხსენებათ, ფერად-ფერადად არის აჭრელებული და მრავალ ნაწილებად გაიყოფება. წინადაც ხომ ასე ყოფილა. სადაც

კი რომელიმე შტო უმთავრესის ტომისა სცხოვრობდა, იქ, შუაგულ-
ლი ადგილიც იყო, ქალაქი თუ დაბა. ამ ქალაქში თუ დაბაში თქვენ
შეხვედებოდით სულ სხვა ზნეს, ჩვეულებას, ნახავდით ქალაქის ან და-
ბის საკუთარს ფიზიონომიას.

საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალგვარობა იყო მიზეზი ამ
მოვლენისა. ვიმეორებთ—ერთის თემის შუაგული საცხოვრებელი
ალაგი, ცენტრი სხვა იყო, მეორესი კიდევ სხვა; სხვა იყო როგორც
გარეგნობით, ასე ესთქვათ, გარეგანის ფიზიონომიით, ისე შინაგანო-
ბით. ყოველ ქალაქს ან დაბას მეტად ცხადად ეტყობოდა თავისე-
ბურება. ეს იყო შედეგი თემის თავისებურებისა. ეხლა ეს თავისე-
ბურება ნელ-ნელა ისპობა და საქართველოში ყველა თვალსაჩინო
შუაგულა ადგილს, ქალაქს თუ დაბას, ერთი და იგივე ფერი და
ფორმა დაედო. ერთმა და იმავე წესწყობილებამ, ერთმა და იმავე
ახალმა ცხოვრებამ ერთნაირი სული ჩაჰბერა, ერთნაირი ხასიათი
მისცა ყველა შუაგულ ალაგს. ეხლა ყველა ადმინისტრაციული შუა-
გული ადგილი წარმომადგენელია მმართველობის დაწესებულებე-
ბისა. ეხლა ჭრელი პანორამა ძველის დაბა-ქალაქებისა თუ სრულ-
ლიად არ მოისპო, ნელ-ნელა მაინც ისპობა და მის ალაგს იჭერს
ერთი და იგივე სურათი. ეხლა თემის თავისებურება თუ გინდათ ჰნახოთ,
ქალაქს და დაბას გაშორდით და სოფელს მიმართეთ. სოფელი და მხო-
ლოდ სოფელი ჯერაც ისევ წარმომადგენელია თავისებურებისა.

ჩვენ ამდენი ვილაპარაკეთ ქალაქს და დაბაზედ იმიტომ, რომ
გვეჩვენებინა მკითხველებისათვის, რომ დაბა თიანეთიც, ეს შუაგულ-
ლი ადგილი ფშავისა მოკლებულია თავისებურებას და სხვა დაბებს
მიემგზავსება. თიანეთი სრულებითაც არ არის თემის უტყუარი სუ-
რათი. ჯერ ერთი ესა, რომ აქაც, როგორც სხვაგან, ყოველივე
ახალი ნელ-ნელა ფეხს იდგამს და ძველი სტოვებს თავის ალაგს. ასეც
უნდა ყოფილიყო, თუ არ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ თიანე-
თი მთელის ფშავ-ხევსურეთის სამაზრო შუაგული ადგილია.

აქ, ამ ადგილას, შეხვედებით თითქმის ყველა სამაზრო დაწესე-
ბულებას თავისი მოხელეებით. შეხვედებით ეგრეთვე ახალის ტიპის
სკოლას, სასოფლო ბანკს „დეპოს“ და სხვ. ყველა ეს ხომ ნიშანია
ახალის ცხოვრებისა და თითონ ამ ცხოვრებასაც სხვა ფერს და
ხასიათს აძლევს. მართალია, ჯერ ისევ თიანეთი ცოტად თუ ბევ-
რად უფრო მამა-პაპურს ცხოვრებას სცემს პატივს, მაგრამ მაინც
ახალი აქაც გზას იკვლევს, აქაც უნებლიედ, ძალა-უნებურად გარე-
განის განათლების სხივი ვრცელდება. კიდევ ამიტომ თიანეთი, რო-
გორც შევნიშნეთ, სრულებითაც არ არის ფშავის ნამდვილი სარკე-
ფშავი სხვაა, თიანეთი კიდევ სხვაა. ეს უკანასკნელი მართლაც სამაზ-
რო ცენტრია.

მკითხველი, რასაკვირველია, მოგვთხოვს, რომ ჩვენ წარვუდგინოთ მას თიანეთის აღწერა. ვასრულებთ ამ თხოვნას. თავის გარეგნობით და მდებარეობით, ბუნებით და ჰავით, მიწით და წყლით, მთით და ბარით, კარგი მოგვით ღმერთმა, თიანეთი კარგად არის შემკული¹.

წარმოიდგინეთ მოხდილი დაბა, კეკლუტად გაშლილი ვაკე მინდორზედ; აღმოსავლეთის მხრივ ჩამოუდის ანკარა, წყნარი და უშფოთარი იორი. გარშემო არტყიან ტყით შემოსილი გორები; დაუმატეთ ისიც, რომ ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლები რიგზედ არიან აშენებულნი; სახლები დახურულნი არიან კრამიტით, რომელსაც წითლად ღიანად გაუდის, ზეზედ დგანან და მიწაში არ ჩაქრენილან, როგორც ქართლში.

აი, ორის სიტყვით გარეგანი სურათი თიანეთისა. აქაუბნი მიმზიდველი და საღი ჰავა უყურადღებოდ არ დარჩენილა მთავრობისათვის. მომავალის წლიდამ აქ უნდა დაარსდეს საზაფხულო ბანაკი მთელის გრენადერის დივიზიისა. ეს ეხლა გადაწყვეტილი საქმეა და სწორედ ამ საქმისათვის ბძანდებოდა აქ ამ თვის ექვსში მთავარ-მმართველი თ. დონდუკოვი-კორსაკოვი. სხვა რომ არა იყოსრა, მარტო ეს ერთი ფაქტი ცხადად ამტკიცებს, რომ თიანეთი მშვენიერი კუთხეა, სწორედ რომ ბუნების თაივულია, მეტადრე ზაფხულობით. დანგრეული კოშკები და სიმაგრეები, რომელნიც ამ დაბას ეხლაც ამშვენებენ, ცხადად გვიჩვენებენ, რომ არც უწინ ყოფილა თიანეთი სამხედრო მნიშვნელობას მოკლებული. ეხლა ხომ ეს მნიშვნელობა მას მიემატა. ასეთია თიანეთი გარეგანის მხრით. მაგრამ სულ სხვა უნდა ვსთქვათ ამ დაბის „შინაზედ“.

აქაური „შინა“ თქვენ ვერ მოგიზიდავთ, ვერ დაგაკმაყოფილებთ: აქ რაც კი რამ სასარგებლო სახალხო (და არა სამმართველო) დაწესებულება დაარსებულა, არც ერთს არ უხეირნია, არც ერთს არ მოუტანია ნაყოფი. სასოფლო ბანკი გინდათ, თუ დეპო, სასოფლო სასწავლებელი, თუ პურის მაღაზია, ყველას ან სული დაუღვია, ან არა და ქლექად არის ჩავარდნილი. ასეთია ეს მუხთალი წუთის სოფელი, ყველაფერი კარგად დაუწყვია აქაურს საზოგადოებას, მაგრამ ბოლო კი ვერ მიუღვენებია.

წაიკითხეთ დაბეჭდილი წესდება, აი თუნდა „თიანეთის დამზოგველის ამხანაგობისა“. რა მშვენიერად არის შედგენილი. ასე გეგონებათ შულცე-დელიჩის ხელს უმუშავნიაო. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ— „სიტყვა—სიტყვაა, საქმე კი—სხვაა“. ერთს წელიწადს კარ-

¹ ვრცლად ამაზე ცნობები იხილე რა დღეს თხზულებაში „Хевсурия и хевсуры“, ЗКОРГО, XI, 2, გვ. 165—171. შემდეგში ამ თხზულებას ჩვენ ხშირად შევხვებით.

გად უმოკმედნია ამ „დამზოგველს ამხანაგობას“ და შერე კი აღვი-
რი მიუშვია საქმისათვის, სწორედ ისე, როგორც აღვირი მიუშვა
სახელ-განთქმულმა გორის ახალ-გაზდობამ თავის ხელთა ქმნილე-
ბას, დაუფიწყარს თავისი ტრაგიკულის დასასრულთთ გორის „დებოს“.

„თიანეთის დამზოგველი ამხანაგობა“, რომლის უმრავლესობას
სოფლელი ფშაველები შეადგენენ, მომავლის წლის დასაწყისამდე
უნდა მოისპოს ამ სოფლად და გასწიოს იქ, სადაც მართალნი გა-
ნისვენებენ. ჭეშმარიტად, რომ სამწუხაროა. აიღეთ ახალი ბანკი,
ანუ როგორც უწოდებენ „судо-сберегательное товарищество“,
დამტკიცებული და ხელ-მოწერილი თვით მინისტრისაგან. არა თუ
მარტო სარგებელი, სათადარიგო თანხაც კი მთლად ჩაუყლაპავთ
წევრებს და ეხლა ყუთშიც ცალ-ფულსაც ვერ იპოვით, თუნდა სან-
თითაც ეძებთ. პირველ წელიწადს კი ამ „ამხანაგობის“ აღებ-მიცემა
ათას თუმანს აჭარბებდაო, გვიამბო ჩვენ ერთმა სანდო პირმა. სა-
ყურადღებო ის არის კიდევ, რომ „ამხანაგობისა“ ქონება, გავლენ-
იან პირებს გაუფლანგავთ (მაგრამ, აქ საყურადღებო რა არის, ეს
ხომ საზოგადო მოვლენაა) და საწყლები კი მშრალზედ დარჩე-
ნილან.

ესეთივე უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება სოფლის ჭირნა-
ხულის მალაზია. მაგრამ სასოფლო მალაზიამ, როგორც მოგეხსენებ-
ბათ, ვერც სხვაგან მრიკიდა ფეხი. თითქმის ყველგან სოფლის მო-
ხელეებმა შესკამეს. სასოფლო სასწავლებელიო — მკითხავთ თქვენ.
მე სწორედ გითხრათ, გამაკვირვა აქაურმა ჩვეულებამ. ფშაველი
მემცხვარეები — ერთი-ერთმანერთს ასწავლიან წერა-კითხვას, ერთი
მეორის მასწავლებლები არიან, და ძნელად შეხვდებით ისეთს მე-
ცხვარეს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს. სად სწავლობთ-
მეთქი, ვკითხვ მე. ცხვარშიო, მიპასუხეს; ხან დედა-კაცები გვასწავ-
ლიანო.

თუ ფშაველს თავის ჩანთაში „დედა-ენა“ და შეტადრე „ბუნე-
ბის კარი“ უძევს (ეს უკანასკნელი მას უფრო უყვარს) ბედნიერია.
თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს „საქართველოს მასწავლე-
ბელს“ ი. გოგებაშვილს არც ერთს კუთხეში არა აქვს ისეთი პა-
ტივი და დიდება, როგორც აქ, ამ ფშაველებში. და აი ამისთანა წერა-
კითხვის მოსიყვარულე ხალხში ჩვეულება თავისას იზამს და წერა-
კითხვა არ აღმოიფხვრება, რადგანაც მას ცხოვრებაში ღრმად აქვს
ფესვი გამდგარი. ეს ჩვეულება, როგორც მოგეხსენებათ, წარსულის
ნაშთია, იმ წარსულისა, როცა უმეტესად ოჯახში იყო მოთავსებუ-
ლი ჩვენი სწავლა-განათლება.

შკითხველიც ჰხედავს, რომ თიანეთის „შინა“ სანუგეშოს არაფერს წარმოადგენს. აქ არც ერთს საზოგადოებრივ დაწესებულებას ვერ მოუგია ხალხის გული, ვერ მიუღწევია მიზნისათვის. რა არისო ამის უმთავრესი მიზეზი, იკითხავთ თქვენ. ის, რაც სხვაგან. — საზოგადოებრივი უთავოსნობა. ყოველგვარი „ამხანაგობა“, საზოგადოება ითხოვს თვითეულის თავოსნობას, თვით-მოქმედებას, შეერთებულს ძალას. ეს თაოსნობა, თვით-მოქმედება ყოველს წევრს ძვალში და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი. სადაც ეს არ არის, იქ საზოგადოებრივი დაწესებულებაც ვერ აღორძინდება, უნიადაგო იქნება; იქ ეს დაწესებულება ერთისა და ორის პირის ხელში ჩავარდება; სხვათა მზრუნველობის საგნად შეიქნება.

და მზრუნველობა ხომ ძირტულად წინააღმდეგია საზოგადოებრივის თავოსნობისა, თვით-მოქმედებისა; მზრუნველობა ხომ გარეგან მებნანიკური ძალაა, რომელიც სჩაგრავს შინაგანს საზოგადოებრივს ძალას. აბა, იკითხეთ იქ, სადაც ყველა საზოგადოებრივი საქმე თავოსნობით კეთდება, როგორის თვალით უცქერიან მებნანიკურს ძალას, მზრუნველობას.

იქნება თქვენა სთქვათ, სადაც საზოგადოებრივი თავოსნობა არ არის, იქ ერთისა და ორის წინამძღოლობა, მზრუნველობა საჭიროა, უამისოდ ვერც ერთი საზოგადო საქმე ვერც დაიწყება და ვერც გაკეთდებაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ის წინამძღოლობა, მზრუნველობა უძლურია საზოგადოებრივი საქმისათვის. კიდევ ამიტომ ჩვენში ყველაფერი ლაზათიანად იწყება, მაგრამ მალეც კი ლაზათიანად იფუშება.

წინამძღოლობა მაშინ არის ნაყოფიერი, როცა მას ნიადაგად საზოგადოებრივი თავოსნობა აქვს. თიანეთის „შინას“ რომ სხვა მხრიდან შევხედოთ, არც მაშინ შევეყრებით სანუგეშო სურათს. რაც უნდა იყვეს, მაინც აქაური გლახაკობა შედარებით უფრო შემძლებელია, ვიდრე ქართლში.

რასაკვირველია, თიანეთში ვერ შენიშნავთ ნამდვილს ტიპიურს ფშაველურ ცხოვრებას. თუ გინდათ ფშავური ცხოვრება შეისწავლოთ, თიანეთს და თიანეთის ვაკე მინდორს თავი უნდა დაანებოთ და მთებში გასწიოთ; იქ ნახავთ ნამდვილს ფშაველს თავისი ტიპიურის ცხოვრებით. ქვემოთ სწორედ ამ ცხოვრებასთან გვჭკნება საქმე. თიანეთი ვერც ჩვენ და ვერც სხვას ამის მასალას ვერ მოგვცემს.

თავისებურს მოვლენას ფშავ-ხევსურის ცხოვრებაში შეადგენს ვერცერთ წოდებული ხევის-ბერობა. როგორც იურიდიულს დაწესებულებას, ძველს დროში ხევის-ბერობას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა,

სხვა ხასიათი. მაშინ, ძველ დროს, ხევის-ბერი ფრიად თვალ-საჩინო მოხელე იყო და ხელთ დიდი ძალა ეპყრა; ეს, ძალა მარტო ფაქტიური როდი იყო, მას აღვიარებდა თვით/ კანონი, სახელმწიფო. კანონი განმარტავდა—რა გვარის თანამდებობით იყო შემოსილი ხევის-ბერი, რომელი ადგილი ეჭირა მას სახელმწიფოს იერარქიულს შენობაში.

სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა მეტად ცოტა ყურადღებას აქცევს ძველ საქარფელოს სახელმწიფოებრივს წესწყობილებას. ესევე უნდა ითქვას ასეთს მალალ-მნიშვნელოვანს დაწესებულებაზედ, როგორც ხევის-ბერობაა. ხევის-ბერობაზე ძვირფასს მასალას გვაძლევს მეფე გიორგის კანონები (ძეგლის-დება მეფეთ მეფის გიორგისა მიერ, ვახტანგის კანონთა კრებაში) და ჩვენ ვისარგებლეთ ამ კანონებით, ვუჩვენებთ მკითხველს ხევის-ბერობის წარსულს.

ფეოდალურს საქართველოში ხევის-ბერობაც ფეოდალურს წესზედ იყო მოწყობილი. როგორც სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში, ისრე მთაში, სადაც აღორძინდა ხევის-ბერობა, ხევის-ბერი, მოხელე-ფეოდალი ხშირად არ ემორჩილებოდა სახელმწიფოებრივს ძალას, ხშირად ებრძოდა ამ ძალას. «უცილებლად პყრობად ტახტისა და სკიპტრისასა წარვედით ტახტით ჩვენით... და მოვასხენით ყოველნი უნებურნი ხევის-ბერნი» (წინასიტყვაობა ძეგლის-დებისა, სადაც მოხსენებულია არასანატრელი შინაური მდგომარეობა მთიელებისა და მიზეზნი, რომელთაც გამოიწვიეს ეს მდგომარეობა).

გარდა საზოგადო მიზეზებისა, რომელთაც უჩვენებს ძეგლის-მდებელი, ერთი უმთავრესი მიზეზიც იყო ხევის-ბერების უნებურებისა—მათი დიდი მნიშვნელობა, სამხედრო თანამდებობა, რომელიც მათ ხელთ ეპყრათ. ხევის ბერი თავის ხეობაში სრული ბატონი იყო, ყველაფერი იყო. მართალია, ხევი იერარქიულს შენობაზე შეადგენდა მცირედს ადმინისტრაციულს ერთეულს და თვით ხევის-ბერი ემორჩილებოდა ერისთავს, გამგებელს, დარბაზს (царский совет), რომელსაც (დარბაზს) ვეზირი მოახსენებდა ხოლმე ხევის-ბერის დანაშაულობას («თუ ხევის-ბერმან მოჰკლას გამგებელი... ერისთავმან ვეზირით დარბაზს ჰკადროს და დარბაზით მამული ებოძოს ხევის-ბერსა»... ძეგლის-დება, მუხ. ე.). მართალია, ხევის-ბერის საბძანებელი ფართო არ იყო, მაგრამ თავის საბძანებელში იგი მრავალ-გვარის უფლებით იყო აღჭურვილი.

დიდი ღირსება და უფლება ხევის-ბერისა, სხვათა შორის, სჩანს იმ გარემოებიდამ, რომ მისი სისხლი ეთანაბრებოდა გამგებლის სისხლს. ამ უკანასკნელის სისხლი ღირდა ექვსი ათასი თეთრი და გარდა ამისა, როცა მას მოჰკლავდა ქვეყანა (область), ერთი სოფე-

ლი, ერთი პირი, ხევი (ушелке), მაშინ... «თუითო ცხენი (თვითუტულს ოჯახს) ბეგარად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყუანელად სასეფეოდ და საუკუნოდ» (იქვე, მუხ. ბ.). ესეთივე სასჯელი იყო დადგენილი ხევის-ბერის სიკვდილისათვის: «თუ ქვეყანამ მოკლას ხევის-ბერი, გამგებლის სიკვდილის სწორი პატივი, ბეგარა და სდსხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარა საუკუნოდ» (მუხ. ც.); თვით ხევის-ბერობა როდი იყო ისეთი დაწესებულება, რომელიც მარტო ცალკე პირს (ხევის-ბერს) ანიჭებდა ღირსებას, უფლებას, არა, — ეს ღირსება და უფლება გადადიოდა მთლად მის ოჯახზედ, გვარზედ.

გვაროვნობითი საფუძველი, როგორც სხვა წოდებაში, ისრე ხევის-ბერობაშიც, განხორციელებული იყო, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ კანონმა იცოდა გაუყოფარი და განაყოფი წევრი ხევის-ბერის გვარისა. უკეთუ ვინმე გაუყოფარი ხევის-ბერის გვარისა მოჰკლავდა მისსავე გაუყოფარს სახლის კაცს, სისხლი ექვსი ათასი თეთრი იყო, გარდა ამისა «გაძება ორს წელიწადს» მამულიდგან, «თავიანთი სახლნი დაეწვნეს ერისთავისა და გამგებლისგან» (მუხ. ზ.); ამ სასჯელის ნახევარი გაჩენილი იყო «განაყოფის» მოკვლისათვის (მუხ. თ.). მართალია, ღირსების შესახებ ამნაირი განსხვავება არსებობდა ერთისა და მეორის შორის, მაგრამ ერთიც და მეორეც ხევის-ბერის მორჩილნი იყვნენ... «ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია და ისინი მისნი მოახლენი იქნებიან... დარბაზით დაყენებულს ხევის-ბერს ახლავან...» (მუხ. ი.), ისე რომ მთელი გვარი შეადგენდა ერთს კავშირს, საზოგადოებას, რომელიც განსაკუთრებულის ღირსებით და უფლებით იყო შემოსილი. ამ მხრივ ხევის-ბერი უფროსი იყო როგორც თავის ხევისა, ისრე თავისის გვარისა. თუ სადამდინ მიდიოდა ეს გვაროვნობითი კავშირი, სჩანს იქიდგანაც, რომ თვით ხევის-ბერობა, როგორც თანამდებობა, მოხელეობა მემკვიდრეობით ერთს წევრიდამ მეორეზედ გადადიოდა, ეს მოხელეობა ერთსა და იმავე გვარში ტრიალებდა, — «თუ მის ხევის-ბერის გვარის კაცი იყოს ასეთი, რომ გამგებლის სიკვდილს არ დახვედრიყოს და არას ერიოს არა ცხადად და არა იღუმალ, თვით მას ებოძოს ხევის-ბერობა დარბაზით» (მუხ. ე.).

რასაკვირველია, როცა ამისთანა «გვარის კაცი» არ იყო, მაშინ «ვინც ერისთავმან და ახალმან გამგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, მეფის ერთგული იყოს და ქვეყანასაც უჯობდეს, იგი დააყენონ დარბაზით ხევის ბერადა» (მუხ. ე.). შემოთხსენებულიდამ ერთი საყურადღებო დასკვნა გამოდის: აღმოცენილი გვაროვნობითის ღირსების ნიადაგზედ ხევის-ბერობა დარბაზის ხელ-ქვეით იყო, მარტო ამ უმაღლეს პოლიტიკურს ორგანს ექვემდებარებოდა. მაშასადამე.

ხევის-ბერობასაც ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც სხვა პოლიტიკურს ორგანოს, — ხევის-ბერი იყო ფეოდალი-მოხელე, ისეთივე, როგორც ერისთავი, ვამგებელი.

რაში მდგომარეობდა ხევის-ბერის უმთავრესი სამსახური? ხევის-ბერი ძყო სამხედრო უფროსი მთელის ხევისა. «ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია...» (მუხ. ი.); ციხე და დროშა — აი ორი ნიშანი, რომლითაც განსხვავდებოდა ხევის-ბერი; «ლაშქართ-თავადობა» — აი უპირველესი მისი მოვალეობა. როცა საჭიროება მოითხოვდა, ხევის-ბერს უნდა აღემართა დროშა და წინ გასძღოლოდა ლაშქარს; წინააღმდეგს შემთხვევაში «ხევის-ბერობა და მამული წაეღოს და ერთს წელიწადს უკან მამული ისევ ებოძოს, თუ ნაძსახური იყოს და სხვა არა შეეცოდოს რა» (მუხ. ით.). თუ ხევის-ბერობა ამოყვანილი იყო გვაროვნობის საფუძველზე, მაშ «გვარის კაცსაც» შეეძლო «ლაშქართ თავადობა», — ხევის-ბერი თუ უგემურად (ავად) იყოს ლაშქრობის ჟამს, მისი ძმა და მოახლე კაცი (ახლო ნათესავი) წავიდეს და ხევის-ბერს შეენდოს ლაშქარს წაუსვლელობა (მუხ. კ.).

აკ შევნიშნავთ მკითხველებისათვის, რომ მარტო ხევის-ბერი როდი იყო ლაშქართა უფროსი, მას გვერდით უდგა «ციხის-თავი», — «ციხის-თავნი ზადას¹ ორნი იყვნეს... თუ ვინ მოჰკლას ციხისთავი, ხევის-ბერმან ანუ სხვამ ვინმე... სამს წელიწადს მამულისაგან განიძოს და მამული სასეფოდ დაეჭიროს და სანიათასხუთასი თეთრი სისხლად დაეურვოს»... (მუხ. იგ.). მაშასადამე, ციხის-თავის სისხლი ხევის-ბერის ნახევარს სისხლს უდრიდა, პირველი ღირსებით ნახევრად ნაკლები იყო მეორეზედ.

გარდა ამისა, როგორც ხევის-ბერობა, ისრე ციხის-თაობაც დაფუძნებული იყო ჩამომავლობითს, გვაროვნობითს ღირსებაზედ, თუმცა ეს ღირსება ციხის-თავისა უფრო ვიწრო წრეში იყო მოთავსებული, მის კერძო ოჯახის გარეთ არ სცილდებოდა, რადგანაც მეფე გიორგის კანონი, როცა ლაპარაკობს ციხის-თავის ოჯახის ღირსებაზედ (სისხლის დაურვება, როგორც ხურიდიული ფორმულა კაცის ღირსებებისა), იხსენიებს. მარტო მისს შეიღს და ძმას, — თუ ციხის თავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოჰკლას, ჰაეროვანის სისხლით დაიურვონ (მუხ. იდ. — ჰაეროვანი — *отличнейший из жителей*, რუსულს თარგმანში), ხოლო ჰაეროვანის სისხლი თხოულობდა, გარდა სამშობლოდამ სამს წლობით გაგდებისა და მამულის ჩამორბმევისა, ათას ორასს თეთრს (მუხ. ია.); ამნაირი სპსჯელი იყო დაწე-

¹ სოფელი მთიულეთში.

სებული ციხის-თავის ძმის ანუ შვილის მოკელისათვის. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მთიელების კანონი (ძეგლის-დება მეფე გიორგისა) სასტიკს ყურადღებას აქცევს სამხედრო ნაწილს. (მაგ. მუხ. კზ., სადაც სჯაა ციხის დაქცევაზე და სხვ.), დიდს პატივს სცემს დროშას და ლაშქარს. მთა იყო მოწინავე, მიუდგომელი ციხე სახელმწიფოსი და ამ ციხეში იწვრთნებოდა საუკეთესო ვაჟაკობა ძველის საქართველოსი. კიდევ ამიტომ ხევის-ბერი და ციხის-თავი უფრო სამხედრო პირნი იყვნენ, ვიდრე სხვაგვარნი მოხელენი, თუმცა ისიც კია, რომ პირველს (ხევის-ბერს) გარდა სამხედრო საქმეებისა, სხვა მოვალეობაც აქონდა. სამწუხაროდ, კანონი გარკვევით არას ამბობს ამ სხვაგვარ მოვალეობაზე, მარტო თითო ოროლა ალავს და ისიც ვაკვრით იხსენიებს მას. აქ საყურადღებოა ერთი მოვლენა და იგი უნდა აღვნიშნოთ ჩვენ: ძველი კანონი არც ერისთავს, არც გამგებელს და არც ხევის-ბერს არ ანიჭებდა რაიმე ძალას საეკლესიო, რელიგიურს საქმეებში, — «სხვა რაც სასჯულოს საკითხავი იყოს იგი კათალიკოზსა და მათ განაჩენთა, მათ ზედებისკობოზთა მათ ჰკითხონ» (წინა-სიტყვაობა ძეგლის-დებისა). თუმცა ასე იყო, მაგრამ ისევ ძველს საქართველოში ხევის-ბერებმა (ხევსურეთში დეკანოზებმა) მიითვისეს ეკლესიური უფლება, საეკლესიო წესების აღმასრულებლნი პირნი შეიქნენ¹. შემდეგში, ეამთა და დროთა ვითარებისა გამო, ეს უფლება თანდათან იზრდებოდა და ბოლოს, როცა ხევის-ბერმა დაჰკარგა თავისი ძველებური მნიშვნელობა, მას ხელში შერჩა საეკლესიო წესების აღსრულება. ვიდრე ხევის-ბერის აწინდელს მნიშვნელობაზე ვიტყვი რასმე, ჩვენ უნდა განვმარტოთ ის სხვაგვარი მოვალეობა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

თუმცა ხევის-ბერი «ლაშქართა თავადი» იყო, მაგრამ მას სხვა-ზედაც ხელი მიუწვდებოდა. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ ერისთავი და გამგებელი იყვნენ უმაღლესნი მოხელენი, რომელთაც ეჭვმდებარებოდა ხევის-ბერი. თავის, შედარებით, ვიწრო წრეში ხევის-ბერი აღჭურვილი იყო იმგვარივე მოვალეობით, როგორითაც მისნი უფროსნი. აქ განსხვავება მარტო მოვალეობისა სივრცეში გამოიხატებოდა და არა მისს სხვაგვარობაში. და თუ ერისთავს და გამგებელს, მაგალითებრ, ხელი მიუწვდებოდათ სამოსამართლო საქმეებზედ, მათ ეკითხებოდათ პოლიციური ცხოვრება ხალხისა (ძეგლის-დების მუხ. ზ, იზ, ივ და სხვანი), ესევე უნდა ითქვას ხევის-ბერზედაც. ამ უკანასკნელს (ხევის-ბერს) სამოსამართლო ნაწილშიც თავისი შესაფერი ადგილი

¹ Д. Пурцеладзе, Церковные гудж., Тифлис 1881, გვ. 25, 41.

ეჭირა, — «კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე... გამგებელსა და მის ქვეყნის ხევის-ბერს აცნობონ, მათ უთხრან და დააურევინონ ამავე განაჩენითა»... (მუხ. მე.).

ჩვენ ვუჩვენეთ მკითხველს წარსული ხევის-ბერისა, როგორც მოხელესი. სურათის დასამთავრებლად საქიროა ისიც ვუჩვენოთ — ვინ იყო ხევის-ბერი, რომელ წოდებას ეკუთვნოდა იგი ძველს საქართველოში. მეფეთა მეფის გიორგის კანონი ამ საგანზედაც პირდაპირ არას ამბობს. ძველის-დება მარტო ერთს მუხლში (მუხ. ლ.) შეეხება ამ საგანს და ისიც მეტად მოკლედ. მაგალითად, როცა კანონი ლაპარაკობს ცოლის წაგვრაზე და უბრალოდ კაცის კვლაზედ, მაშინ ხევის-ბერს და აზნაურს «ერთს უარზანგობას» აკუთნებს: «აზნაურთა, ხევის-ბერთა ასორმოცდაათი ხეთრი არს ერთი უარზანგობა». (რუსულ თარგმანში, უარზანგობა — за индуг. იქნება მკითხველმა იცოდეს, რომ საქართველოში ძველმა კანონმა სისხლის დაურევების გარდა იცოდა ერთის და იმავე დანაშაულობისათვის, აგრეთვე სხვა გადასახადიც, за индуг, ძველის-დების უარზანგობა).

თუ სახეში მივიღებთ ზემოთმოყვანილს ძველის-დების მუხლს, არ დავივიწყებთ, რომ ხევის-ბერი ჰაეროვანზე მაღლა იდგა, მაშინ დაეასკვნათ, რომ ხევის-ბერი თავისის წოდებრივი ღირსებით აზნაურს ეთანაბრებოდა. ჩვენს დასკვნას ერთს საბუთიც ამტკიცებს — ის ჩამომავლობითი ღირსება, რომელიც ზემოთ ვუჩვენეთ და რომელიც ხევის-ბერის მთელს გვაროვნობაში იყო დაცული.

აწინდელს მდგომარეობაში ხევის-ბერობა სულ სხვა დაწესებულებაა, ვიდრე ძველს დროს იყო. პირველად, ამ დაწესებულებას ნიადაგად აღარ აქვს კანონი, მას აღარ განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი ძალა; ხევის-ბერი როდღიაა მოხელე, ორგანი სახელმწიფოსი; იგი მოკლებულია კანონის ძალით ყოველგვარს განსაკუთრებულს ღირსებას და ისეთივე უბირი და უბრალო არსებაა, როგორც თვითიული მთიული, მისი თანამომე. მეორედ, ხევის-ბერობამ ფაქტიურად (და არა კანონის ძალით) სხვა მიმართულება მიიღო, მისი მნიშვნელობა სხვა ნიადაგზე აღმოცენდა, სწორედ იმ ნიადაგზე, რომელსაც ძირეულად უარჰყოფდა ძველი კანონი.

მკითხველებმა იცის, რომ ძველს ხევის-ბერს კანონი უკრძალავდა გავლენას საეკლესიო საქმეებზე, ხევის-ბერი განდევნილი იყო ეკლესიის სამფლობელოდგან, — კათალიკოზი და ეპისკოპოზი განაგებდნენ მთაშიც, როგორც სრულიად საქართველოში, საეკლესიო საქმეებს; ეხლა კი ხევის-ბერობა, ხელდაბანილი «ლამქართა თავადობაზე», მიხდლირი ძველს ღირსებას და პატივს, შეჰფარებია რელიგიუ-

რის შენობის ჭერსაც-კი არა, კუთხის ბოძს და აქ, ამ ბოძთან, უხელმძღვანელებს ერს, საზოგადოებას. დიად, ეხლა ხევის-ბერობას თუ რაიმე აზრი და მნიშვნელობა აქვს, ეს აზრი და მნიშვნელობა რელიგიურია, ეკლესიური, თუმცა მცირედი ნაშთი ძველის მოქალაქობრივის მოვალეობისა კიდევ ბუუტავს ამ ოდესმე ბრწყინვალე დაწესებულებაში. თუ ძველს დროს ხევის-ბერი «ლაშქართა თავადი» იყო, ეხლა იგი „სალოცავეების“ და „ხატების“ თავადია, თუ უწინ იგი დროშით წინ მიუძღოდა დარაზმულს ჯარს, ეხლა ხატისთვის შეწირულს ზვარაკის სისხლის დანთხევაში ჰპოვებს იმ მალალს მოვალეობას, რომელსაც წინად ბრძოლის ველზედ ჰპოვებდა.

დიად, ძველს დროს ხევის-ბერი გამსჭვალული იყო წმინდა და მალალის მოქალაქობრივის გრძნობით და ეხლა-კი იგივე ხევის-ბერი შებოკილია ერთის გრძნობით, ერთის აზრით—ემსახუროს ხალხის ზნეობის დამამცირებელს ჩვეულებათა, რომელთაც ფეხი გაუდგავთ სარწმუნოებრივს ზღუდეში. აწინდელს თვისს მდგომარეობაში ხევის-ბერობა ბევრად მოგვაგონებს რელიგიურს მწველებლობას, რომელსაც ებრძვის ეკლესია. საყურადღებო და ღირსად-შესანიშნავია ეს ბრძოლა. ერთს მხარეს სდგას ხევის-ბერობა, ხალხის გრძნობით და სასოებით ფრთებ შესწმული, წაქეზებული; მეორეს მხრით სწავლა ქრისტიანობისა და მათ შორის როდის, ადრე თუ გვიან, დამყარდება მშვიდობიანობა, ძნელია გადაჭრით ითქვას; ეს-კია, რომ რაც დრო და ჟამი მიდის, ბრძოლა უფრო მკაცრი ხდება, უფრო სასტიკი.

სხვადასხვა მიზეზის გამო ძველის დროიდან ხევის-ბერობამ ღრმად და მკვიდრად ფეხი მოიკიდა ხალხის რელიგიურს ნიადაგზე და აქამომდე დაიცვა საპატიო სამფლობელო. თუ რა სახარბიელოა ეს სამფლობელო, სჩანს იმ მკვახტ და შმაგიანი კიცხვიდამ, რომელსაც ხშირად მოპირდაპირენი უძღენიან რომელიმე ხევის-ბერს.

«ხევის-ბერი არის ექსპლოატატორი, მატყუარა, ზნეობის და სარწმუნოების დამამცირებელი და ცრუ-მორწმუნეობის გამავრცელებელი კაცი»¹ ერთის შეხედულებით წარმოადგენს სახარებაში აღწერილს ეშმაკეულს და სხვ. ზოგიერთა ამ სიტყვებში იქნება ბევრი სიმაართლევ იყოს, მაგრამ ეს მართო ხევის-ბერზედ არ ითქმის. ამ უკანასკნელს არანაკლები უფლება აქვს იმავე სიტყვებით მიმარ-

¹ ი. კ. შ. ო. რ. ი. ძ. ვერილები თიანეთის მაზრიდან, „მწყემსი“, 1885 წ. № 14, გვ. 9. საუკეთესო, ახალგაზრდა მოძღვარს, როგორც არის მღ. კ. ო. შ. ო. რ. ი. ძ. უფრო საფუძვლიანად და პირუთვნელად უნდა წარმოეოქვა თავისი შეხედულება, ვიდრე წარმოთქვა ხსენებულს წერილში.

თრს, თუ მთელს მოწინააღმდეგე დასს არა, ზოგიერთა მის წარ-
მომადგენლებს მაინც. დიად, უფლება აქვს, მაგრამ ამაზე სჯა ჩვენ
არ შეგვეხება.

ხემოთ ვუჩვენეთ, რომ ისევ ძველს საქართველოში ხევის-ბე-
რობამ დაიპყრო რელიგიური გავლენა, ხევის-ბერი შეიქნა საეკლე-
სიო წესების აღმასრულებელი პირი, იგი გახდა სახალხო მოძღვ-
რად. მიზეზი ამ მოვლენისა უნდა მოიძებნოს იმ განსაკუთრებულს
მდგომარეობაში, რომელშიც მთა იმყოფებოდა: თუმცა მთაში აღრე
დაინერგა ქრისტიანობა (342—364 წწ. ¹), მაგრამ იგი აქ ვერ აღორ-
ძინდა. მთა მოშორებული და, თითქმის მოწყვეტილი იყო საქარ-
თველოს იმ ნაწილიდამ, სადაც ჰყვავდა სწავლა-განათლება, სადაც
მონასტრებიდამ იფინებოდა ხალხში გამაცხოველებელი სხივი ქრის-
ტიანობისა.

ხშირად ეკლესიას შეძლება არა ჰქონდა თავისი მოძღვარნი
გაეგზავნა მთაში. ერთხელ დანერგული ქრისტიანობა-კი საჭიროებ-
და ისეთს პირებს, რომელთაც უნდა დაეცვათ, თუ შინაარსი და აზ-
რი ქრისტიანობისა არა, გარეგანი წესები და ჩვეულებანი მაინც.
და სწორედ ამნაირ პირებად აღმოჩნდნენ ხევის-ბერნი, რომელთაც
ამ შემთხვევაში ხელს უწყობდა მათი დიდი გავლენა ხალხზედ. ამ
მხრივ, ჩვენის აზრით, ხევის-ბერობამ საკმაო სამსახური გაუწია ეკ-
ლესიას, შეუნახა მას მიყრუებულს ალაგას, მუსლემანებით გარემო-
ცულს, ის წესები, რომელნიც ცოტათი მაინც-მოაგონებდნენ ხალხს
ქრისტიანობას. მაგრამ ხევის-ბერობამ დაიცვა მარტო გარეგანი წე-
სები, ფორმები რელიგიურის კულტისა იმიტომ, რომ იგი სრულე-
ბითაც არ იყო ისეთი დაწესებულება, რომელსაც შესძლებოდა
ქრისტიანობის იდეასა-და აზრს წინ გასძლოლოდა.

ამგვარი ხელმძღვანელობა თხოულობს პროფესიის კაცებს და
ხევის-ბერნი ამ პროფესიის პირნი არ იყვნენ. აი რისათვის ძველად-
განვე ხევის-ბერობა აღმოცენდა რელიგიურის კულტის ფორმა-
ლიზმზე და აქამომდე მარტო ეს მიმართულება და ხასიათი-ლა შერ-
ჩა მას. დიად, ეხლაც ხევის-ბერი მარტო ფორმას ემსახურება და
აზრს, იდეას-კი არას დაგიდევს. და არც გასამტყუნარია, ხევის-ბერი
ისეთივე მცოდნეა ქრისტიანობისა, როგორც ყოველივე მისი მეზო-
ბელი, სხვა მთიელი. მთიელს ხომ, ისე ვერ შეუგნია და შეუთვი-
სებია ქრისტიანობის შინაარსა, როგორც მაგ., შედარებით განვი-
თარებულს და კულტურულს ქართლელს.

¹ Плагон Иоселиани, Краткая история грузинской церкви, Петербург 1843 წ., გვ. 21.

ჩვენი წარსული ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ ყოველ დროს მთა დაბლა იდგა (და ეხლაც ხომ სდგას) კულტურით ვაკე ქართლზე; მთას თავისი ბევდრი წვლილი არ შეუტანია იმ საზოგადო სალაროში, რომელსაც საქართველოს პროგრესი და კულტურა ეწოდება; იქნება მთიელა დიდი ნიჭიца ჰქონდეს, მაგრამ აქამომდე ეს ნიჭი უნაყოფო ნიჭად დარჩა; ამ ნიჭს ჯერ ასპარეზი არ გახსნია. კიდევ ამიტომ მთა, მთელს ისტორიის მსვლელობის დროს, იყო და დარჩა უთვითმოქმედო ძალად, რომლითაც სარგებლობდა განვითარებული საქართველო. ქრისტიანობაც, დანურგილი კლდოვანს ნიადაგზე, მოკლებული განათლების პირობათა, გავრცელდა აქ უმეტესად თავისი გარეგნობით და ბევრი რელიგიური წესი დამახინჯდა, დაჰკარგა პირვანდელი მნიშვნელობა.

ამ დამახინჯებულს წესებს ეხლაც გულ-მოდგინედ მისდევს ხალხი და თუ აწინდელს დროს ხევის-ბერს, ხალხის შეხედულობით, რელიგიური ძალა აქვს, ეს იმიტომ, რომ იგი ხალხის რელიგიურს ჰორიზონტს ვერ გასცილებია, იგი აღმასრულებელია მისი, რასაც ცხოვრებაში მაგრად ფეხი მოუყიდნია. ცუდ-უბრალოდ კი არ ვუწოდებთ ხევის-ბერს სახალხო მოძღვარი.

მართლაც-და ხევის-ბერი სახალხო მოძღვარია და დარჩება კიდევ მოძღვრად, ვიდრე ხალხის გრძნობების და გონების ჰორიზონტი არ გაფართოვდება. თუმცა ზოგადი მიზეზი იქნება, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ საქმეს უშველის განათლების გავრცელება და არა ის საშუალება, რასაც ასე ხშირად ხმარობენ ხალხში ხევის-ბერობის აღმოსაფხვრელად.

მეტადრე ხევისურეთში ხევის-ბერობას (დეკანოზობას) დიდი გავლენა აქვს ხალხზე. აქ ამ დაწესებულებამ იერარქიული წყობილობა მიიღო. ეს დაწესებულება მთელს კასტას წარმოადგენს, სადაც თანამდებობა და მოვალეობა სასტიკად არის განაწილებული კასტის წევრთა შორის; ხევის-ბერს თან მოსდევს ხუცესი, ხუცესს დასტური და სხვა¹.

არც ერთი საყურადღებო მოვლენა კაცის სარწმუნოებრივს ზღუდეში არ მოიბოვება, რომელზედაც დეკანოზს და ან სხვას მის თანამოსამსახურეს ხელი არ მიუწვდებოდეს. — დაბადებიდან სიკვდილამდე, და სიკვდილის შემდეგაც კი, კაცის სარწმუნოებრივი ცხოვრება კასტის გავლენის ქვეშ არის².

¹ Г. Радде, op. cit., გვ. 90—96.

² Г. Радде, op. cit., გვ. 75—89.



ეს კასტა მით უმეტეს ძლიერი და გავლენიანია, რომ ხალხის რელიგიური შეხედულება მეტად დაბალს წერტილზე სდგას. — როგორც მართლად გახმარტავს ბატ რადდე, ხეცუოს ერთის ღმერთის მაგიერ მრავალი ღმერთები სწამს და ამ ღმერთთა დასში ქრისტიან-ღმერთი ერთი ღმერთთაა იანია და არა სხვა ვინმე¹. გარდა ამისა, თვით კასტა საზოგადო კასტიურს საშუალებას ხმარობს, იმ საშუალებას, რომლითაც ყველა კასტა ძლიერია და იქნება კიდევ, — იგი თავის მისტიურს, ღვთაებრივს შთამოგებას უჩვენებს ხალხს, ატყუებს ამ უკანასკნელს, ვითომც წმინდანის საქმეა ხევის-ბერად აღმოჩენვა, ვითომ ხევის-ბერი, დეკანოზი და სხვ. თავისის წმინდა და უმანკო ცხოვრებით მაღლა სდგანან ხალხზე. აქ, რასაკვირველია, მარტო სიცრუე და მანქანებაა, სხვა არაფერი, მაგრამ ეს მანქანება ისეა შეზავებული და მოხერხებული, რომ ხალხი ადვილად სტყუებდება. რა საჭიროა ეს მანქანება. ცბიერება? — რკითხავს მკითხველი. საქმე ის არის, რომ ამ მანქანების წყალობით ხევის ბერობას და საზოგადოდ კასტას დიდი ულუფა ეძლევა, დიდი შემოსავალი. გარდა სხვაგვარი შემოსავლისა, მარტო ხახმატის-ჯვარობას იკვლის 500—600 ცხვარი და 20—40 დიდი სული საქონელი. ზვარაკის ბლომა ნაწილი ხევის-ბერებს და მის ამქრებს რჩებათ².

რომელი მთიელი იტყვის უარს ამ შემოსავალზე. დაუპატეთ ამას ის პატივ-დიდება, რომლითაც ხალხი ყოველ შემთხვევაში აჯილდოვებს ხევის-ბერს, ზედ დაურთეთ დიდებული ისტორიული წარსული, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, ნათელს ჰფენს ამ უღირსს და უკანონო შვილს და მხოლოდ მაშინ შეიგნებთ, რისთვის იბრძვის ეს კასტა ასე მედგრად, ასე თავ-განწირულად, თავისის ინტერესების დასაცველად.

ჩვენ აქ ვტოვებთ ხევის-ბერის მოქმედებას, აწინდელს მისს მოღვაწეობას. ქვემოთ კიდევ გვექნება შემთხვევა შევეხოთ ხევის-ბერობას, რადგანაც მას მიეღს აქაურს სოციალურს ცხოვრებაში ქსელი გაუბამს, ყოველგან გაჩხირულა. აქ მხოლოდ ვუჩვენებთ იმ ნაშთს ბრწყინვალე წარსულისას, რომელიც ხევის ბერობას შერჩენია.

¹ Г. Радде, op. cit., გვ. 89. ერთი ხეცუსრი მამასახლისი, მომრიგებელ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს, გვარწმუნებდა ჩვენ, რომ მათი ღმერთები ჩვენს, ქართულებს, ღმერთს არა ჰგვანან, ავგულები არიან და ძლიერ მალე შემოსწერებიან ხოლმე ხალხსაო.

² Г. Радде, op. cit., გვ. 98.

თუმცა ხევის-ბერს ციხე დაუნგრის, მაგრამ დროშა კი არ ჩამოართვის. ეხლაც ყველა სათემო ხატს თავისი დროშა აქვს და ეს დროშა ხევის-ბერს აბარია. მხოლოდ იგი მაღლა აღმართაშს ხოლმე მას ჯვარობას, ხატობას. მართალია, ეხლა დროშას აღარ მისდევს დარაზმული ჯარი, მაგრამ საჯვაროდ მორთულ-მოკაზმული ხალხი დიდის პატივისცემით უმზერს დროშას. თვით ხევის-ბერი თავისი დროშით ამ ხალხის ბატონია, მისი მბძანებელი; ერთი სიტყვაა საჭირო, რომ მედროშე ხევის-ბერს ხალხი ჭირშიაც და ლხინშიაც თან გაჰყვებს, — ისეთი მიმზიდველი, მისწერი ძალა აქვს დიდებულს დროშას. და როდესაც ქართლელი ჰხედავს ამ ძალას, დიდს პატივისცემას დროშისადმი, გაკვირვებულია, განცვიფრებაშია. მხოლოდ მაღალ-დრამატიული „სამშობლო“ თავის დროშით თუ აღუძრავს მას იმ ძვირფას სულის და გულის დღევას, რომლითაც აქ ყველა სტკებმა ხატის ჯვარობას; დიად, აქ, მხოლოდ აქ, დროშამ არ დაჰკარგა კდევ თავისი პაცივი, თუმცა ამ პატივს ძველი ასპარეზი აღარა აქვს.

ეხლაც, როგორც ძველს დროს, ხევის-ბერობა საკუთრებაა ჯვარისა, ჩამომავლობისა, თუმცა ეს იურიდიული საფუძველი თანდათან სუსტდება და ნელ-ნელა სხვა წესს უთმობს ადგილს; არ დაივიწყოთ იგრეთვე, რომ ეხლაც ხევის-ბერს, მეტადრე ხევსურეთში, გავლენა აქვს ხალხის სამართალზე. სათემო მიწის მფლობელობაც, ეს საუკეთესო სოციალური წესი აქაურის ცხოვრებისა, აქამომდე თუ მკვიდრად არსებობს, სხვათა მიზეზთა შორის, ხევის-ბერობასაც მიუძღვის აქ თავისი ხვედრი ღვაწლი.

მაგრამ ყველა ამაზე ბაასი შემდეგში მოგვთხოვოს მკითხველმა.

ზემოთ ჩვენ შეძლებისა-და-გვარად ვუჩვენეთ იურიდიული მხარე ხევის-ბერობისა, მისი წარსული და მხოლოდ მოკლედ მოვიხსენიეთ აწმყო ამ ფრიად საყურადღებო დაწესებულებისა. ეხლა კი ამ აწმყოზე უფრო ვრცლად უნდა მოველაპარაკოთ ჩვენს მკითხველებს.

ხევსურეთის აწინდელი თემობა უფრო სარწმუნოებრივის ხასიათისა და მიმართულებისაა. თვითეულს თემს თავისი საერთო სალოცავი აქვს, საკუთარი „ხატი“ ჰყავს. ერთის თემის კაცი მეორე თემის ადგილ-მამულში რომ გადასახლდეს, მაინც თავის სათემო ხატს ვერ დაივიწყებს, მაინც მას ემსახურება, მას ლოცულობს; რადგანაც ყველა სოფელს, გარდა სათემო ხატისა, თავის კერძო ხატიცა ჰყავს, ამისათვის სხვა ადგილ-მამულში, სხვა სოფელში გადასახლებული უცხო თემის ხევსურთა ემორჩილება ადგილობრივს

ხატსაც, მაგრამ მაინც სათემო ხატი აკავშირებს ერთი-ერთმანეთთან თემის წევრთა. კერძოდ, კაცი ყოველ-გვარს დამოკიდებულებას დაჰკარგავს თავის გვარეულობასთან, თუ მან სათემო ხატი არ იწამა. ხოლო ეს დამოკიდებულება იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული წევრი მთელის თემის ანუ გვარეულობის მფარველობის ქვეშ იმყოფება და თემი კიდევ თავის ხატის „ყმა“ არის.

ღიალ, სათემო კავშირის განმაცხოველებელი ძალა „ხატია“, თუმცა, რასაკვირველია, ამ კავშირს იურიდიული საბუთიცა აქვს. მაგ., ხევსურეთში შექმნდებით მხოლოდ სახატო-სათემო მიწის მფლობელობას. არა თუ მიწა, ტყეც კი ბევრგან ნაწილ-ნაწილ არის დაყოფილი სოფლის მკვიდრთა შორის, მაგრამ იმავე სოფელში საუკეთესო მამული და ტყე უეჭველად ხატისაა, უეჭველად სალოცავს ეკუთვნის. ხევსურების ჩვეულების ძალით, გაყრის დროს დედ-მამას მამულიდამ არა ერგებათ რა, მაგრამ მამას შეუძლიან, როგორც ოჯახის უფროსს, მამულიდამ საუკეთესო მიწა ხატს შესწიროს.

ერთის სიტყვით, ყველგან ხატს უპირატესობა აქვს, თითქმის ყოველს შემთხვევაში ხატია მბრძანებელი და ხელმძღვანელი. ასეთი იურიდიული დაწესებულება, როგორც სისხლის შურის-ძიებაა, ისიც კი ხატს ემორჩილება. ისიც კი ჰკარგავს თავის საკუთარს ბუნებას. მოსისხლე რომ თემს შეურიგდეს, სისხლი იბატოს, უეჭველად შურის მეძიებელის თემის ხატში უნდა მივიდეს, ხატს შესწიროს ქვამბითასი, დაუკლას საკლავი; მაშინ და მხოლოდ მაშინ დამნაშავეს ენატრება სისხლი, მის და შურის მეძიებელთა შორის ჩამოვარდება შერიგება. ერთის სიტყვით ხატი თემის „ბატონია“ და თემი კიდევ ამ ბატონის „ყმა“.

რადგანაც ხატს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის საჭიროა მკითხველმა იცოდეს—რა არის თვით ხატი. ხატი სალოცავია და ამ სალოცავს კიდევ შეადგენს წმინდა ადგილი, სადაც ჰხედავთ უბრალოდ აგებულ ყორეს. რომელიც სრულებით არა ჰგავს ჩვენებურს საყდარს. სალოცავში ნამდვილს ხატს ვერასოდეს ვერ ვნახავთ. მარტო ღრმის, ჯიხვის რქები და სხვა ამ გვარი შემკულობა გიჩვენებთ, რომ სალოცავი უბრალო ადგილი არ არის. ხშირად განგებ აგებულს ყორესაც ვერ შეხვდებით, — დანგრეული კედელი წარმოადგენს ხატის შენობას: მიუცილებლად ხატს გვერდით უდგია „დარბაზი“, სადაც „ხატის კაცნი“, იკრიბებიან და „დარბაზს“ კიდევ ახლო უძევს სალუფე თავისის მოწყობილობით. დარბაზში, ხატობის დროს, ნადიმობენ „ხატის კაცნი“, უბრალო ხალხს იქ შესვლა აკრძალული აქვს.

ხატი მხოლოდ თავის მდებარეობით იზიდავს მნახველის ყურადღებას: უშეტესად ხატი მშვენიერს მალეობ ადგილას ასვენისა და გარშემო მაღალი ხეები არტყია. ასეა გარეგანის მხრით. შინაგანით ძალა ხატისა იმაში მდგომარეობს, რომ ხატი რომლისაზე წმინდანის წარმომადგენელია, რომელსაზე დღესასწაულს მოაგონებს თემს, სოფელს.

ჩვენ ვსთქვით, რომ ყველა ხატს თავისი მამული აქვსო (სახატო მიწა, ტყე). სათემო მფლობელობას სახატო მამულში ვპოვებთ (ზოგიერთა სოფლებს საერთო საძოვრებიცა აქვს, რომლის შემოსავლით სახელმწიფო ხარჯს ისტუმრებენ) და რადგანაც ეს მფლობელობა ბევრად შესანიშნავია, ამისათვის მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ საგანზედ. ხატს ხევსურის ცხოვრებაში პირველი ადგილი უჭირავს. სახატო მამულზედ დიდი ყურადღებაა მიქცეული. სახატო მამულს თავს დასტრიალებს მარტო მთელი სოფელი კი არა, — განგებ ამორჩეულნი სოფლის კაცები უფლიან სახატო მამულს, თვით ეს მოვლა რიგით არის, სოფლის ყველა კაცისათვის სავალდებულოა. მამულის შემოსავალი ხატის სადღესასწაულოდ სარის დადებული და ხატის სამსახურს თავიდან ხომ ვერავინ აიცილებს. მამულის მოსავლეად და შემოსავლის დასახარჯად რიგით ცალკე კაცები არიან დაყენებულნი: შულტა, დასტური. ხატის კაცთა სიაში შულტას უკანასკნელი ადგილი უჭირავს და სახატო დაწესებულებების განხილვა ამისაგან უნდა დავიწყოთ.

შულტა სოფელში ორია. მათ უნდა დათესონ და დაფარცხონ სახატო მამული, მერე უნდა გაღეწონ თავიანთი ხარჯით, განიავონ და, როცა საჭიროა, სახატო ბეღლიდამ ქერი მიურწყონ დასტურებს (ლუდის მხარშავებს). ამ ჯაფის საფასად შულტებს მარტო ქერის ბურღო ჰრჩებათ. სახატო მამული, როცა დროა, უეჭველად მთელმა სოფელმა უნდა მოხნას, შაბათს დღეს; მომკა, ძნის კალოზედ მიტანა, ხევის ბეღელში ჩაყრაც სოფლის ვალია, შულტებს მთელი სოფელი უნდა მოეხმაროს. შულტებს სოფელი წილით ირჩევს და მხოლოდ ობოლი თხუთმეტ წლამდე განთავისუფლებულია ამ მოვალეობიდან, როგორც სოფლის სხვა გვარ ხარჯისაგანაც. მკითხველიც ჰხედავს, რომ შულტა ხატის მეკალოეა, მებეღლე, რადგანაც ყველა ხატს თავისი ბეღელი და კალო აქვს, ვსრედ წოდებული „ჯვარის კალო“.

ხატის სამსახური შულტობით იწყება და რადგანაც ხატის კაცი, ხევსურის შეხედულობით, წმინდაა, ამისათვის შულტაც ხატის ხაკადრისი უნდა იყოს, წმინდა. ხოლო წმინდაობა უმთავრესად იმა-

ში მდგომარეობს, რომ კაცი სამსახურის დროს და ხატობის წინააღმდეგ არ უნდა მიუდგეს, უნდა ერიდოს მანდილოსანს დედათ-წესის დროს (ამაზედ ვრცლად შემდეგში მოვილაპარაკებთ).

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, აწინდელი ხვეის-ბერობა იერარქიულად არის მოწყობილი. ამ დაწესებულებაში შულტას უკანასკნელი ადგილი უჭირავს. კიდევ ამიტომ მისი წმინდაობა მდარეა, მცირედია, — ხატობას შულტა „დარბაზში“ ვერ შევა, უბრალო ხალხთან არის. წმინდაობაც იერარქიულად არის მოწყობილი და რაც ზემოთ ავალთ, უფრო დიდს წმინდაობას შევხვდებით.

შულტას ზედ მოსდევს დასტური (ლუდის მხარეში, ხატის მხარეული). დასტურობაც წილით არის, რიგითა¹. ეს სამსახურიც ყველასათვის საველდებულაა. არა თუ სოფლის ხატის, სათემო ხატის დასტურობასაც თავიდან ვერავინ აცილებს. როცა შულტა ბელლიდამ აუწყავს ქერს დასტუოსა, სწორედ იმ დროიდან დაიწყება დასტურის მოვალეობა: დასტურმა ქარი სალოდენში უნდა მიიტანოს და შეუდგეს ლუდის გამოხდას. სახატო ტყეში, რომელიც იმას აბარია, შეშა უნდა დაამხადოს, ლუდისათვის სვია თავის ხარჯით უნდა მოიტანოს.

საკვირველია, რომ ლუდისათვის წყალი მთელმა სოფელმა უნდა მოიტანოს, კომლზედ კაცმა. როცა ხატობა დაიწყება, ხუცს და დეკანოზებს დასტური უმზადებს საჭმელს, სუფრაზედ იგივე ემსახურება მათ. გარდა ამისა, ხატობას მისულს ხალხსაც დასტურები უმასპინძლობებიან ლუდით, საჭმლით.

შულტებში უფროს-უმცროსი არ არის, ორივე შულტა ერთის ხარისხისა არიან, ხოლო დასტურებში კი დიდიც არის და წვრილიცაა, პატარაცა. დიდი დასტური დიდ დღეობისათვის არის დაყენებული, წვრილი — პატარასათვის.

დიდს დღეობას, ხატობას ბევრი ლუდი უნდება, ბევრი სამზადისი სჭირდება. აი რისთვის ამ ხატობას დიდი დასტური უნდა გაუძღვეს ხოლმე. სულ სხვაა პატარა დღეობა. იგი გრძელდება ერთსა და იმავედ, ხალხიც ცოტა ესწრობა და ამის გამო თვით დასტურიც პატარაა.

დიდსა და პატარა დასტურს შრომა განაწილებული აქვთ და ერთმანეთს არა ჰშეელიან. დიდ დასტურად ყოფნა კაცს. თავიდანვერ ააცილებს პატარა დასტურობას და ამისათვის ორივე დასტურობა ერთმა და იმავე კაცმა უხდა შეასრულოს, როცა რიგი არა გუნებს.

¹ ზოგიერთს ადგილას, მაგ., სოფ. ხანაბოში, დასტურებს ქადაგი აყენებს.

რადგანაც დასტური ხატის კაცია, იგიც წმინდაა. წმინდაობით დასტური მალა სდას შულტაზედ. მას „დარბაზში“ ადგილი აქვს ხუცთან, დეკანოზებთან.—ამათთან ატარებს დროს. ვარდა ამისა, ზვარაკზედ, ხატის საკლავზედ ხელი მიუწვდებო: უბრალო კაცი, თვით პატრონიც ზვარაკს ვერ მიეკარება დაკვლის დროს. დასტურს კი უფლება აქვს ზვარაკს ფეხები დაუჭაროს, როცა ხუცი ჰკლავს, და მეოე საკლავის სისხლით ასხუროს ხოლმე პატრონი და მისი ჯალაბობა. წმინდაობა დასტურისა ისეთივეა, როგორც საზოგადოდ ყველა ხატის კაცისა. დასტურიც უნდა ერიდოს „ნაბოსლარს“ ქალს, „სამრევლოს“ ახლო არ უნდა გაიაროს („ბოსელი“, „სამრევლო“ პატარა სადგურია, სადაც ქალი დედათ-წესის და მშობიარობის დროს ცალკე სცხოვრობს), დიდის ხატობის წინათ ერთის თვით აღრე იგი ქალს უნდა ვაშორდეს, ცოლს არ უნდა შეეხოს („მირეული“ არ უნდა იყოს).

შულტა და დასტური განაგებენ ხატის ქონების და შემოსავალ-გასავლის საქმეს: ამათ ხელთ არის ხატის მამულის შემოსავალი, ამათ ეკითხვის ამ შემოსავლის მოხმარება; ესენი ხატის მოურავები არიან, თუ შეიძლება ასე ითქვას. თემობა ასე უცქერის ირით და თუ განსაკუთრებულს მნიშვნელობას აძლევს, მარტო იმ დროშიდა, ვიდრე შულტა-დასტური თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. მაგრამ რადგანაც ხატობა სარწმუნოებრივი მოვლენაა, ამისათვის თვითეულს ხატს თავისი საკუთარი მოსამსახურენა ჰყავს, რომელნიც სარწმუნოების წესებს ასრულებენ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელნი, ხალხის შეხედულებით, ღვთის კაცნი არიან, ამათი ამორჩევა და დაყენება ხალხისაგან არ შეიძლება.

ხუცი, დეკანოზი უეჭეოად ქადაგმა უნდა დააყენოს და ქადაგი ხომ ხატის სურვილის მცოდნეა, მისის ბრძანების მლაღდებელი. მაშასადამე, ნამდვილ ხატის კაცებად ხუცი და დეკანოზი უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მათ ირჩევს ხატი ქადაგის პირით. კიდევ ამიტომ მათი მოვალეობა საშღვთო მოვალეობაა, მათი წმინდაობა უდიდესია. ვინ და რა არის ხუცი, დეკანოზი? როგორც წინათ შევნიშნეთ, აწინდელმა ხევის ბერობამ, დროთა და ჟამთა ვითარებისა გამო, ქრისტეს ეკლესიის მსახურთა მოვალეობა ხელთ დაიჭირა. აქ უნდა მოიძებნოს განსხვავება ხუცსა და დეკანოზს შორის: მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მღვდელსა და დიაკვანს შორის. ხუცი ხვესურის მღვდელია და დეკანოზი კიდევ ხუცის დიაკვანია. მათი დამოკიდებულება ერთმანეთში თითქმის მღვდლისა და დიაკვნის დამოკიდებულებასა ჰგავს.

ყველა სოფელს თავისი ხუცი ჰყავს და ამ სოფლის გარეთ ხუცი ვერ იხუცებს. ხუცი უეჭველად ქადაგბა უნდა დააყენოს. დაყენების საბაბად ავადმყოფობა შეიქმნება ხოლმე. როცა ვინმე ავად გახდება, მიჰმართავს მკითხავს ანუ ქადაგს და ქადაგი მიზეზს ეტყვის — ხატმა ხუცად გინდომიაო. დაყენების დროს საკლავი უნდა დაიკლას. ხუცს ვერაფერს გამოსცვლის, თუ თითონ თავი არ დაანება ხუცობას. მოვალეობა ხუცისა სამღვთო წესების აღსრულებაა. ხუცი საერთო მღვდელია და თავისებურად ასრულებს წესებს. ეს წესები კიდევ ჰგვანან აწინდელს ეკლესიურს წესებს, თუმცა გადასხვაფერებულნი და შეცვლილნი არიან უცოდინარობისა და უსწავლელობისა გამო. ხუციც ლოცულობს, „ხუცობს“, — საკლავს დაჰკლავს, აკურთხებს ტაბლას, (მკვდარს სახელს დასდებს)¹, აქორწინებს, სამღვთოს გადაიხდის, ხატობას ხალხს ამწყალობლებს და სხვ.

ამ პირდაპირის მოვალეობის გარდა, ხუცს, სხვა მოვალეობაცა აქვს: მკითხაობს, ვის რა მოუფა, ავად ვინ გახდება, საქონელი ვის და რისაგან დაუხარაღდება. საყურადღებოა თვით ეს მკითხაობა. ხუცი ძილის დროს თავ-ქვეშ დაიდებს საკითხავად მოსულის ქუდს, სარტყელს, ტალავარს და სიზმარში ნახავს ამ კაცის თავბედის გადასაავალს. მარტო ამითაც როდი თავდება ხუცის მოვალეობა. ხუცს დიდი ზნეობითი გავლენა აქვს საზოგადოებაზედ და ამ გავლენისათვის ხომ საჭიროა განსაკუთრებულ უფლება.

საქმე ისაა, რომ ხატობის დროს, ხუცი სასტიკად იცავს მშვიდობიანობას, წესიერებას; მოიხუბარს „დააჯურუმებს“, ჯარიმად დაუკლავს ცხვარს, ფულსაც წაართმევს. ეს პოლიციური ძალა ხუცისა და მასთან ზნეობითი გავლენა უფრო მეტად მოქმედობს დიდს ხატობას (ათენგენობა პირ-აქეთ, დატივობა პირ-იქით), დროშის და ხატის გამოძახების დროს. აქ ჩვენ ცოტა უნდა შევჩერდეთ და ორიოდ სიტყვა ვსთქვათ ამის თაობაზე.

ყველა სოფელს თავისი ხატი ჰყავს და ხატს კიდევ აქვს დროშა, განძები (ჭურჭელი, უფრო ვერცხლის თასები, სურები და სხვ.). ხატი, დროშა და განძები ხუცს და დეკანოზებს აპარიათ და დიდ დღეობას მათ უნდა მოიტანონ იმ ადგილას, სადაც ხატობაა ხოლმე. მწუხრად ხუცი და დეკანოზები წავლენ და დილით მოასვენებენ

¹ მკვდრის რიგი ექვსია: „სანოელი“, „რიგი სამარხი“, „წელთაფება“, „სულამოსლა“, „სულთა კრება“ და „თავმოსაპარსო“. გარდა „სულთა კრებისა“, რომელიც დიდ-მარხვაში იციან და როცა კორკოტის მეტს მგლოვიარენი სხვას ვერასა სჭამენ, ყველა რიგის დროს საკლავი უნდა დაიკლას; ნათესავები უნდა დაესწრონ და თან არაყი მიიტანონ.

ხატს, დროშას; თანაც განძებსაც მოიტანენ. ხატი ხუცს უჭირავს, დროშა და განძები დეკანოზებს. ხალხი მოწიწებით მუხლს იდრეკს დროშის წინ და ერთ-ხმით ამბობს: „გამარჯობა ბატონსა, ყმასა!“ (სალმის მიტანა). მერე დროშას სახატეში დასდებენ, ხუცი სასოფლო საკლავს დაჰკლავს, დასტურები ზვარაყის სისხლით ხალხს ასხურებენ.

მეოთხე დღეს დროშა, ხატი და განძები მწუხრად უნდა წაასვენონ მიუვალ ალავს საღმე კლდეში (რომ არაეინ მოიპაროს) და აი სწორედ ამ წასვენების დროს ხუცი იჩენს თავის დიდს გავლენას და ზნეობითს ძალას. რასაკვირველია, ეს გავლენა და ძალა იმისგან წარმოსდგება, რომ ხუცი ხატისა და დროშის მოსამსახურეა, შათი წარმომადგენელი, მაგრამ რისგანაც უნდა იყოს ხომ სულერთია, საქმე თვით გავლენა და ძალაა. როცა ხატი და დროშა „გაემართების“, ხუცი და დეკანოზები ლუდით სავსე თასებს აიღებენ ზელში. სიჩუმე ჩამოეარდება. ხალხი თავმოხდილი სდგას. ხუცი იწყობს დარისხებას,—დაარისხებს სოფლის მოლაღატეს, ქურდს, ყველა მადნე კაცს და ბოლოს თასიღამ ლუდს დაჰღვრის,—ასე დაიღვაროს ამისი ოჯახი, ჯალაბობა, ბედი, ბოლო, ვინც სოფელს უღალატოს, ერის ერთგული არ იყოსო. ხალხი შეჰბღავლებს—ამინ! ამინ!—და ეს შებღავლა ზარის ხმასავით გაისმის. „ხატ-დროშის გამართებას“, ხუცის დარისხებას ქალები და ბავშვებიც უნდა დაესწრონ, ამიტომ რომ ამას საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. დარისხება—შეფიცვაა ხატის და დროშის წიხაშე სოფლის ერთგულობაზე. ხალხის აზრით, ეს დარისხება მეტად ამცირებს სოფლის დაუღალატობას და თუ ეს ასეა, მაშ ხუცს დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

მკითხველი ჰხედავს, რომ ხუცი გავლენიანი კაცია და ხალხში პატივისცემაც უნდა ჰქონდეს. აქვს კიდევ: როგორც პირველი კაცი, ყველა ნადიმობაზედ, ჭირისა თუ ლხინის დროს, როცა სოფელი შეკრებილია, ხუცი თავსა ჰზის; ცუდს რასმე, სიტყვით თუ საქმით, მას ვერაეინ ვერ შეჰკადრებს, ყველა მას კრძალვით ექცევა. რასაკვირველია, ამ პატივ-დიდებას ზედ ერთვის ნივთიერი სარგებლობა, შრომის და სამსახურის ფასი, საკლავის ფეშხო და ტყავი, აი რას იღებს ხუცი თავის შრომის და სამსახურის საფასად.

ხატობას საკლავი მიუცილებლად ხუცმა უნდა დაჰკლას და რადგანაც დიდ ხატობას საკლავი ბევრი იკვლის და მაშასადამე ხუცს ჯაფაც დიდი მოსდის, ტყავ-ფეშხოების გაყოფის დროს (იყოფენ ხუცები და დეკანოზები) იგი ერთს ნაწილს ძეტს იღებს. არ უნდა დაევიწყოთ, რომ როცა საქონლის ჭირი, ავადობა გაჩნდება,

აგადი საქონელი ხუცმა. უნდა დაჰკლას ხატის შესაწირავად, რომ ხატმა სხვა საქონელი დაიხსნას ჭირისაგან. დაკლულის საქონლის მარცხენა მხარი ხუცისაა. ხევსურის შეხედულობით, ხარი თხუთმეტის წლის იქით აღარ იმუშავება, უნდა დაიკლას. მაშინაც ხუცს მიაქვს მარცხენა მხარი... და სხვა ამისთანები.

ხუცი პირველი კაცია და სიწმინდევ შესაფერი უნდა ჰქონდეს. ექვსის კვირის წინად ხატობამდე ხუცმა უნდა თავი დაანებოს ცოლთან წილას. თუ ძილში ცოლი, ან სხვა ვინმე ქალი ნახა, რაც უნდა ცივი ზამთარი იყოს, წყალში უნდა გაიბანოს, თუშცა არც მაშინ შეუძლიან ხუცობა, — ასეთ დიდ ბიწიერებად მოაჩნია ხუცს ქალის სიზმარში ნახვა. მკოთხველმა უკვე იცის, რომ „ნაბოსლარი“ ქალი ბიწიერი და უწმინდური არსებაა. ნაბოსლარი, „კარს ნამყოფი“ ქალი ხუცს ვერ ასჩემდების, ვერ ეძრახება, ხმას ვერ გასცემს. ეს კიდევ არაფერი. ხევსურეთში ბოსელში მკოფი ქალის სოფლის გზაზედ ვერ გაივლის, ვისთანაც რომ მისულა უნდოდეს, სხვა გზაზედ უნდა გაიაროს, უფრო სანებებზედ; მაგრამ რადგანაც შეიძლება ქალი შესცდეს და სოფლის გზაზედაც მოუხდეს გავლა, ამისათვის ხუცს ცოდვად მოაჩნია „ნადენ გზაზედ“ გავლა. — „ყველას ნადენიაო, შეიძლება მიჩეული იყოსო“. ბოსლის ახლო-მახლო ფეხის დადგმა ხომ საწინელებაა და ხუცი არა თუ ფეხს, თვალსაც კი არიდებს ბოსელს. სუათის დასამთავრებლად უნდა მოვიხსენიოთ, რომ ხუცმა ამ სიწმინდეს ზედ უნდა დაუმატოს მარხვის შენახვა, ხელ-პირის დაბანვა და დიდ ხატობის დროს კიდევ მთელის ტანის გაბანვა.

ხუცს ზედ მოსდევს დეკანოზი. ამის ამორჩევაც ქადაგის საქმეა, საბაბი ავადობაა. დეკანოზის ამორჩევაზედაც საკლავი უნდა დაიკლას და თუ მეორე დღეს ავად-მკოფი არ მოიჩნა, — ხატი არ ჰყაბულობს, ავადობის მიზეზი სხვა რამეა. როგორც ვიცით, დეკანოზი ხუცს ემორჩილება, ამის თანაშეწეა. ეს მორჩილება იმაში მდგომარეობს, რომ დეკანოზი თავს ადგია ხუცს ხუცობის დროს, საკლავის ფეხები უჭირავს, ხალხს ამწყალობებს. როცა დიდი ხატობა მოალოვდება, ერთის კვირის წინათ დეკანოზმა მუშაობას თავი უნდა დაანებოს, იბანოს, წმინდად იყვეს (სიწმინდეს გასცლა). „ნაბოსლარის ქალის“ შესახებ დეკანოზიც იმავე სიწმინდის გზას ადგია. როგორც ხუცი.

სახოვადოდ რომ ითქვას, ხუცობა-დეკანოზობას უფრო სააქაოს მიხართულება აქვს ვიდრე საიქიოსი. როცა ხუცი ხუცობს, თავის წესებს ასრულებს, მისი ვედრება და ღალადება სულ ისაა, რომ თემს, სოფელს ცუდი თავიდან ასცილდეს და ჰკდნიერება შეე-

ნიჭოს. ხუცის ლოცვა-ვადრებაში ქვეყნიურს ცხოვრებაზეა უფრო მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება; სულის მაღალს მოთხოვნილებას ხევსური და მისი ხუცი ბევრს არ დასდევს. ამისათვის ბუცობა-დეკანოზობაში თქვენ პოეტურს ვერაფერს იპოვნით, ყველგან თვალ-წინ გიდგათ აქაური ცხოვრება თავის საჭიროებით, ხორციელის მოთხოვნილებით. თქვენი სული არა სტკბება ციურის მაღლით. დიდს ხატობას, დღეობასაც, ასეთი ხასიათი აქვს, სულ სმა და ჭამა, სულ ვედრება იმაზედ, რომ „ბატონი ხატი“ მოწყალე იყოს; თემობას, სოფელს მფარველობა არ მოაკლოს! სარწმუნოების გრძნობა აქ კმაყოფილებას ვერ იპოვის...

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ხევსურეთის ცხოვრებაშიაც შეჰხედვებით ისეთს მოვლენას, რომელიც, პირველად შეხედულობით არ ეთანხმება ხევსურის ხასიათს, ამის სააქაოს მიმართულებას. ჩვენ ვაზბოზთ ქადაგზედ, მესულთანზედ. ერთსაც და მეორესაც დიდი ვაგლენა და მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში და პირდაპირი დამოკიდებულება ხატთან.

ხატმა რომ „ბატონობა“ გასწიოს, რასაკვირველია, საჭიროა ისეთი კაცი, რომელმაც „ყმას“ (თემს, სოფელს) ბატონის სურვილი გადასცეს, ამ ნაირი კაცი ქადაგია. ქადაგი წმინდაა, ხატის მოსამსახურეა. არსებითი ხასიათი ქადაგობისა იმაში მდგომარეობს, რომ ქადაგი, ხატობის დროს, თითონ გაქადაგდება ხატისაგან. — ქადაგის დაკენება ხატის საქმეა და ამ საქმეზედ სხვას ხელი არ მიუწვდება. უმეტესად, ქადაგი ახალ-წლის დღით უნდა დაიხუროს (ახალ-წელიწადი, „წელწლობა“ დიდი ხატობაა). ქადაგად დამხადებულად ცახც ხეზს, გონებას ჰკარგავს, ჰყვირის, უთავბოლოდ სიტყვებს. ისფრის, — ხალხს უნდა აჩვენოს, ხატმა დამიჭიროა.

იმის მოქმედებაში იხატება ყველაფერი ის, რაც კი ხალხს შიშს და კრძალვას უნერვავს. მაგ., სოფელ არდოტში ახალგაზრდა ქადაგი-ქალი ღამე გაიქცა წყალზედ, რაც უნდა ცივი ზამთარი იყოს, მაინც წყალში ჩავარდება და იქ ქადაგობს. რასაკვირველია, ქადაგის სახელი რომ დაიშსახუროს კაცმა თუ ქალმა, დიდი უნარი და მოხერხებაა საჭირო. ხალხი სტყუვდება, მაგრამ ადვილად კი არა. ხალხის აზრით, ზოგი ქალი „ტყუით გამოიფარა“ „გადაიფერხნება“, წარა-მარედ ქადაგობს. ამნაირს ქადაგს დასცილნიან. კარგი კაცი ამას ცოლად არ შეირთავს. უქმრო, ახალ-გაზრდა ქალებში ქადაგობის სურვილი ხშირია, მაგრამ ხალხი კი მათ იშვიათად ენდობა, რადგანაც მათ „გაგება არა აქვთ“; „ხატი იჭერსო“, „აწყალეებსო“ — იმაზედ იტყვიან. მოხუცებული კაცი თუ ქალი უფრო კარგად ქადაგობს, პასუხებს კარგს იძლევა.

რა არის ქადაგის მოვალეობა?—ქადაგი იგებს ყველა უბედურებას და ავადობას, რაც ხატისაგან მოხდება, გებულობს ავადობის მიზეზს, პასუხს იძლევა, ხატს ვინა ჰსურს ხუცად, დეკანოზად; რა ხარჯს ან საისახურს თხოულობს სოფლისაგან, —საკლავს, სანთელს; ჯალაბობას ატყობინებს — შენ ესა-და-ეს სამსახური ვაკლია ხატისათ.

ხევსურს წარმოდგენილი აქვს, რომ ყოველი უბედურება, რომელიც-კი თავს დაატყდება სოფელს თუ კერძო კაცს, უთუოდ ხატის ბრალია და ამისათვის ხალხი მიზეზის გასაკებათ ქადაგს მიჰმართავს ხოლმე. ხატობას ქადაგი თითონ არ იქადაგებს, თუ სოფელში არა სთხოვა, ავადის პატრონმა არ მიჰმართა. ხშირად ქადაგს სხვა მოვალეობაცა აქვს. სოფ. სახაბოში, მაგ., ქადაგი მედროშეც არის და დრობა ხომ ისეთი წმინდა რამეა, რომ უბრალო კაცი ახლო ვერ მიეკარება, თითისაც ვერ შეახებს.

რაც უნდა იყოს, მაინც ქადაგი-ქალი უწმინდურია, როცა იგი „კარს გამოვა“, როცა „ბოსელშია“, „სამრევლოში“. ამ უწმინდურობის დროს ქადაგს-ქალს ხუცი, დეკანოზი „არ ასჩქამდების“, ხმას არ გასცემს. რასაკვირველია, მაშინ ქადაგობაც არ შეუძლიან ქალსა.

ქადაგს ბევრითა ჰგავს მესულთანე. მესულთანე უეჭველად დედა-კაცი უნდა იყოს, სულ ერთია მოხუცებული თუ ახალგაზრდა (8—9 წლის ნაკლებ არ შეიძლება). „სულში წასვლა“ სულთან ლაპარაკია. სულისაგან მესულთანე იტყობს სოფელში რაც ცუდი რამე მოხდება—სიკვდილი, ავადობა. თუმცა, ხალხის შეხედულობით, ეს ასეა, მაგრამ სახალხოდ მესულთანე მაინც ვერ იტყვის, ესა-და-ეს მოკვდებაო; სულისა ეზინიან, ცუდი მამივა, რომ ვსთქვაო. ზოგჯერ კი იტყვის ჯალაბობაში ამა-და-ამაზედ სულები ცოტად შელაპარაკნენო, სულებთან დავინახე, მხარზედ ხელი ეკიდათ და თან მიჰყვანდათ სიხლში გასვრილიო. „სულში წასვლა“ უფრო ემარჯვება მესულთანეს, როცა რომელსამე ჯალაბობაში ერთის წლის მკვდარია და მკვდრის ტალავარს დასტირის ჯალაბობა.

საყურადღებოა აგრეთვე როგორ მოხდება ხოლმე „სულში წასვლა“. „სულში წასვლის“ დროს მესულთანე სახლში მიწაზედ დაწვება, მიიძინებს, ფერი წაუფა, თავს მოიძვედარუნებს და რაღაცას ბუტბუტებს — სულებს ელაპარაკება... „სულში წასვლა“ სახლში მოხდება ხოლმე და ხატობას არ შეიძლება. ალბად იმიტომ, რომ მესულთანე ქალია და ქალს ისეთი ახლო კავშირი არა აქვს ხატთან, როგორც კაცს. როცა ხევსურს ერთი-ორის წლის

ბალდი ავად გაუხდება, მესულთანეს მიჰმართავს და იგი გაიგებს—
ამა-და-ამ სულისაგან არის ავად და იმ სულის სახელი უნდა და-
ერქვასო. სამის წლის იქით ბალს „სახელი აღარ აეხლებს“
არც სულისაგან და არც სხვა მიზეზისა გამო. ამისათვის დიდხნისას
მესულთანე ავადობის მიზეზს ვერ ვაუბებს. მაშინ ქადაგია საჭი-
რო. მესულთანეს სხვა მოვალეობაცა აქვს—„სახელის დადება“.
„სახელის დადება“ ისაა, როცა ჯალაბობა რომლისამე მკვდრის
სულს კარგ საჭმელს უმზადებს.

მესულთანეც წმინდა უნდა იყოს; საკლავს უნდა უქლაგდეს
ხატს, წელიწადში ორ-სამს. ხალხის აზრით,—მესულთანე კარგის
ჭკუის პატრონია, სიტყვაც კარგი აქვს. კიდევ ამიტომ სულებს ელა-
პარაკება და სოფელიც ჰლამობს „მისი გული იკერძოს“. თუმცა
„სულში წასვლისათვის“ ეს კარგის ჭკუის და სიტყვის პატრონი
არაფერს იღებს, მაგრამ პატივი კი დიდი აქვს. ცუდად არავინ ბეძ-
რახების. როცა რიგობაა, მდებარეობებში პირველი ადგილი უჭირავს.
თავსა ჰზის, სასწელი თუ საჭმელი უხვად მისდის სუფრაზედ, არაყს-
სახლშიაც ვაატანენ და სხვ. ქადაგსაც ასეთი პატივი აქვს—იგი სმა-
ჭამაში თავს დაჯდება, დეკანოზებთან, უფროსებთან; „დასაყვებელი
თასი მიეცემბს, ლუდი მეტობით ერგების“.

როცა ხევსურეთში მოგზაურობთ და აკვირდებით იქაურს ში-
ნაურ ცხოვრებას, ერთი ჩვეულება უნებლიედ იზიდავს თქვენს ყურად-
ღებას. ეს ჩვეულება ბოსლობაა და იმით არის შესანიშნავი, რომ
იგი განსაზღვრავს ქალის მდგომარეობას, გვიჩვენებს მის დამცირე-
ბას. ბოსელი (ეგრეთვე სამრევლო) პატარა სადგურია, სადაც მხო-
ლოდ ქალი სცხოვრობს მშობიარობისა და დედათ-რიგის დროს.
ბოსელი ცოტა მოშორებით არის სახლზედ და რადგანაც „ნაბოს-
ლარი“, ხევსურის აზრით, უწმინდურია, თვით ბოს ლიც უწმინდურ
სადგურად ითვლება.—როცა ბოსელში ქალია, მას უბრალო კაცი
ახლოს ვერ მიეკარება და „ხატის კაცი“ ხომ შორიდანაც ერიდება.
ხშირად ბოსელს ყორე აქვს შემოვლებული, ალბად იმიტომ, რომ
ბოსელს ადვილად არავინ მიეკაროს. საბრალო და საცოდავი სანა-
ხავია ნაბოსლარი: ღამე გამოკეტილა მარტოდ-მარტო ბოსელში, დღე
კიდევ კარებთან, ან ბოსლის ბანზედ ჰყუნტია და აქეთ-იქით ნაღვ-
ლიანად გაიყურება. მას ყველა თვალს არიდებს, ყველა მძულვარე-
ბით ექცევა: ასე გასინჯეთ, ნაბოსლარის ხმის გაცემაც კი ცოდვია,—
მშობიარე ნაბოსლარს, ორი კვირის განმავლობაში, არც კაცი და
არც ქალი ხმას არ გასცენს, დეკანოზი ხომ ერთ თვესაც არ და-
ელაპარაკება! ეს ხმის გაუცემლობა კიდევ არაფერი, უბუდურება
იმაშია, რომ მშობიარეს, რაც უნდა გაჭირვება მიადგეს, ქალიც ვერ

მიეკარება და თუ რომელიმე ქალი სასმელ-საჭმელს უზიდავს, ის ბოსელში ხომ ვერ შევა, — ბანის სანათურიდამ ჩაუსხამს რძეს, წყალს, ზიზლით მიაწოდებს ქერის პურს, ბალახეულობას, რომელსაც ხევსურ-რქთში პურის მაგივრად ჰხმარობენ (ჭიმა, ჭეკარა, ლავი, წერთხელა, დიყი, შიბუ).

საკუთარს ბაღსაც აკრძალული აქვს ნაბოსლარ დედასთან მისვლა; საბრალო არსებას მხოლოდ ძუძუ-მწოვარა ჰყავს ბოსელში და იმაზედ იქარებებს დარდსა და ნალევსა. ღამე ნაბოსლარის თავის დანებებია, რასაკვირველია, საშიშარიც. ხევსურს ჰქვამს, რომ ეშმაკი ემტერება ახლად შობილს და ამიტომ ბოსლის ბანზედ ჩახმან შემოყენებული თოფი ხელში უჭირავს, — ეშმაკი ბაღს ვეღარ მოჰკლავსო... არა თუ მარტო ნაბოსლარი, ასე ვასინჯეთ, ყოველივე შისი ტალავარი, საწოლი, ჭურჭელი, ერთის სიტყვით, ყველა იმისი წიფთი უწმინდურია. ამისათვის, როცა, ბოსლობის შემდეგ, ქალი მრუნდება ოჯახში, იგი უნდა გაიბანოს, „მონა-ტალავარი“ (ტანი-სამოსი, რომელიც ბოსლობას აცვია) უნდა გარეცხოს, სამი-ოთხი დღე გაფენილი ჰქონდეს კარზედ და მერე ჩაიცვას; უამისოდ „მონა-ტალავრის“ ჩაცმა არ შეიძლება.

საკვირველი კიდევ ისაა, რომ არა თუ მარტო ნაბოსლარი, ამისი ოჯახობაც კი უწმინდურად ითვლება. მშობიარობის დროს, ერთის თვის განმავლობაში, ჯალაბობა ხატში ვერ მივა, — თვით-თეული წვერი ოჯახისა უწმინდურია და ხატი არ იყაბულებს დანახვას. ამ უწმინდურობის მოშორება თუ გნებავთ, ოჯახის განათვლა მიუტილებელს საჭიროებას შეადგენს და ეს კიდევ „ხატის კაცის“ საქმეა. როცა შვილის შობის შემდეგ ერთი ან ორი კვირა გაივლის, მხუცს საკლავი უნდა დააკვლევინონ, მაგრამ სახლში კი არა, სახლის ბანზედ და სისხლით სახლი უნდა ასხურებინონ („სანათლო“). ამით როდი თავდება ოჯახის განწმენდა. ოჯახში დაბრუნების დროს, ქალის „სათავნოდამ“ (ქალის კერძო საკუთრება) ან არა და, ჯალაბობის საქონლიდამ მეორედ უნდა დაიკლას რამე საკლავი — ცხვარი, ბეტკანი, ხბო (თხა არ შეიძლება, რადგანაც იგი „ეშმაკია“), სისხლი ჯამში უნდა მოავროვონ და იმით ასხურონ ბოძები და კედლები, — მხოლოდ მაშინ გაინათლება საბოლოოდ სახლი, მხოლოდ მაშინ შეუძლიან დიაცს ოჯახში დაბრუნდეს და მისი სახლობა შეურიგდეს ხატს.

სანამდე დედა არ გაიწმინდება, ბაღლიც ბილწია, — მას დედის გარდა ვერავინ მოუფლის, ხელში არავინ აიყვანს. და არა თუ ბაღლი, იმისი აკვანი, ხოჭიქიც კი უწმინდურად მიაჩნიათ და ოჯახში დაბრუნების დროს უნდა გარეცხონ; გაასუფთაონ.

შესანიშნავია კიდევ ის ჩვეულება, რომ თუმცა ბოსელი უწმინდურად ითვლება, მაგრამ თვით მშობიარობა უფრო დიდ უწმინდურებაა, ისე, რომ დიაცს ნება არა აქვს ბოსელში მოილოგნოს, — ქალმა შვილი სოფლის გარეთ უნდა შობოს ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ გაკეთებულს ფაღარაკში; ან არა და სანებებედ, სადაც სამი დღე-და-ღამე უნდა დაჰყოს; მერე კი შეუძლიან ბოსელში შევიდეს. სამი დღე-და-ღამე ზამთარში სანებებედ წოლა! აბა მკობხელო, დააკვირდი ამ ჩვეულებას.

ჩვენ ვსთქვით, რომ დედათ-რიგის დროსაც ქალი ბოსელში იმყოფება; მაშინ იგი მხოლოდ ერთი კვირა უნდა დარჩეს ამ უწმინდურს სადგურში, მაგრამ ქალი ისეთი უწმინდური როდია „რიგობის“ დროს, როგორც ლოგინობაზედ. კიდევ ამიტომ რიგობის დროს ნაბოსლარს ელაპარაკებიან, ემუსაიფებიან, ხმას არა სცემენ მხოლოდ დეკანოზები და სხვა ხატის კაცები.

სახოგადოდ, რომ ითქვას, ხატი და ხატის კაცები მეტად სასტიკად სჯიან და ზრახვენ ნაბოსლარს. იგი ხატისა და მის მსახურთა თვალში შეუწყნარებელია, განხორციელებული ბიწიერებაა. მაგ., რიგობის დროს ნაბოსლარს ნება აქვს საოჯახო საქმეზედ გავიდეს, მუშაობს კიდევ, თუმცა სხვების ახლო კი არა; მაგრამ, როცა ხატის სამუშაო საქმეა, ხატის მამულში ვერ გაივლის, სახატო საქმეს ვერ გააკეთებს. ხატობასაც კი მღვდროვნები ხატს ახლოს ვერ მიუქვრებიან და შორიდგან ევედრებიან მრისხანე „ბატონს“. დიდ ხატობას ჩვეულებრივი ნაღიმობაც კი აკრძალული აქვთ, — მხოლოდ ლუდს წესმენ, მაგრამ პურის საქმელად ხატში ვერ დარჩებიან, სახლებში უნდა წავიდნენ. ეს ჩვეულება იმით უფრო შესანიშნავია, რომ ხატობაა ერთად-ერთი დრო, როდესაც ხევსური დიდის ამბით ნაღიმობს.

მარტო ამითი როდი თავდება ქალის დამცირება, მარტო ბოსლობის და მშობიარობის დროს როდია დიაცი უწმინდური. ხევსურის აზრით, თვით კავშირი ქმრისა ცოლთან სამარცხვინო საქმე, უწმინდურობაა. მაგ., „ნაჯალაბარი“ კაცი (ქალთან წოლილი), თუ დაწოლის შემდეგ სამი დღე არ გასულა, „საქვაბეში“ (საღუდე) რომ შევიდეს; (საქვაბე ხატის შენობაა და მაშასადამე წმინდა სადგური) „კეზს“ ვერ გასცილდება, უწმინდურიად. („კეზი“ შუათანა თავ-ხეა ქერში). სათაკილოდ მიაჩნია ხევსურს, თუ სამსა და ოთხს წელზედ ადრე, შემდეგ ცოლის შერთვისა, შვილი მიეცა, — სარცხვილი არ არის, რად „გასწირო“, უკიჟინებენ მეგობრები. თვით სქესობრივს კავშირში აშკარად ინატება ხევსურის. შეხედულობა

ცოლზედ. იგი ცოლს როდი ეალერსება, როდი უღვიძებს სიყვარულს, როცა ცოლთან სურს დაწოლა, არა, — ცოლს ეპარება, ებრძოლება და ისე იმორჩილებს გრძნობის დასაკმაყოფილებლად.

ერთად წოლა ცოლ-ქმრობაში ხომ იშვიათი საქმეა. დიად, ხევსურის დიაცი ტრფობის საგანი არც არის და არც ყოფილა; „ეშმაკებში შეჩრილმა“ (ეს სიტყვა ხევსურ ქალს პირზედ აკერია) იცის მხოლოდ შრომა და მორჩილება, მის სიცოცხლეში გრძნობას და აღტაცებას თითქმის სრულიად აღგილი არა აქვს. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ბოლოს დროს ბოსლობა პირვანდელს თავის ხასიათს ჰკარგავსო, — ხშირად ქალი განგებ ამბობს, ბოსლობის დრო მაშინვიდაო და ბოსელში მირბის, სადაც ღამე სატრფოს ჩაჰკერია გულშიო. რაც უნდა იყოს. მაინც ხევსურული შანდილოსანი თავის პატიოსნებით და ზნეობრივის სიწმინდით მეტად მაღლა სდგას, — აქ როსკიპობა იშვიათი მოვლენაა. აქ უნამუსობას ქალი ვერ აიტანს და ხშირად გაუპატიურებელი ქალი თავს ჩამოიჩიობს ხოლმე. ეხლაც ასეთი დიდი პატივი აქვს აქ ძველებურს მანდილს!

ბოსლობა, რასაკვირველია ცუდი, მავნებელი ჩვეულებაა და იგი ამცირებს ქალის ღირსებას. აქ საყურადღებო ისაა, რომ ამ ჩვეულებას საფუძვლად რელიგიური აზრი აქვს, — ხევსურს ნაბოსლარი ქალი თუ უწმინდურ არსებად მიაჩნია, მარტო იმიტომ, რომ ასე უბრძანებს ხატი; სხვა საბუთი ვერ წარმოუდგენია. თუ ბოსლობა მოესპეთ, ხატი ავად გავგზდისო, დაგვაბრძანებსო და სხვა ამისთანები — აი რისა ეშინიან ხევსურს. „ხატის კაცები“ ყოველ ნაბიჯზედ ღრმად უნერგავენ ხალხს გულში ამ შიშს და ამისათვის ბოსელი ისეთი მაგარი ციხეა, რომელსაც თვით ძლიერი იერიშიც ვერ შეარყევს. და ეს რომ ასეა, მტკიცდება, სხვათა შორის, იმიტაც, რომ პირიქითელ ხევსურებს, თუმცა მოყვრული დამოკიდებულება აქვთ ქისტებთან (მაგ., სოფ. მუცოში, სადაც ქისტები და ხევსურები ერთად სცხოვრობენ), მაგრამ ბოსლობას თავს არ ანებებენ. — ქისტებმა ხომ ბოსლობა სრულებით არ იციან.

რასაკვირველია, ქალის დამცირების მიზეზი მარტო რელიგიური შეხედულება არ არის. აქ საზოგადო მიზეზიც არის და ეს მიზეზი თითქმის ყველა ხალხის ცხოვრებაში ერთ-გვარად მოქმედობს, მაგრად ზოგს ისეთს ჩვეულებას ვპოულობთ ხევსურეთში, რომლის ახსნა საზოგადო მიზეზით, ვგონებთ, არ შეიძლება.

ასეთია ის ჩვეულება, რომ ქალი ცხენზედ ვერ შეჯდება. როცა ხევსურს გზაში თან მისდევს მდედროვანი, სულ ერთია ახალგაზრდა ცოლია ეს უკანასკნელი, თუ ღრმად მოხუცებული დედა, მამროვანი არხეინად ცხენზედ ზის და მდედროვანი კი ქვეითი მისდევს. — საბრალოს, წელში დახრილს და დატვირთულს ცხენის კულზე უკიდია ხელი და ისე მიეშურება აღმართს გზაზედ. რაღა? — ხევსურის აზრით, სირცხვილია ქალი ცხენზედ იჯდეს და კაცი უხვით მისდევდეს, — კაცს ეს არ შეჰფერისო, კაცისათვის სირცხვილია დიაცს ემსახუროსო... დიად, ხევსურს თავისებურად სწამს ვაჟ-კაცის დიდება და პატივი, მამროვანის თავისუფლება. იგი მეტად ამპარტავნებს, — რომ მის სამშობლოში „ბატონი ვერ იხეირებს“ და ეხლაც სიამაყით მღერის:

ხევსურეთშია, ბატონო,
ვერ იზამ ერისთობასა,
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავისუფლება სულ თითონ დაუნარჩუნებია და მდედროვანისათვის კი მონობა და შრომა ურგუნებია წილად.

მართლაც-და, აქ ქალი შრომის მონაა, ეკონომიური ძალაა და სხვა არაფერი. ხევსურის აზრით, ცოლს ყოველ დროს გაადგდებს ქმარი, თუ დიაცი კარგად ვერ მუშაობს, კარგად ვერ ირჯება. აგდებენ კიდევ, თუნდაც ჯვარ-დაწერილიც იყოს და არა მარტო „კერპულად“ შერთული. კიდევ კარგი, რომ ხევსურის ეკონომიური ცხოვრება მეტად მარტივია, მისი მოთხოვნილება მცირედია, თორემ ეს საბრალო არსება, მიიმედ „დატვირთული დიაცი“, სწორედ რომ გაიჭყლიტებოდა ტვირთისაგან. კიდევ არაფერი, რომ ცოლ-ქმრობაში დიაცს რაიმე შვება და სიყვარული ამხნევებდეს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ხევსური სრულებით არ არის რომანტიკურის ხასიათისა, იდეალური არა სწამს-რა, ესტეტიკისა არა ესმის-რა, თუმცა მისი დიაცი თავისი სილამაზით ჰბიბლავს უცხოელის გულს.

გიკვირს, განცვიფრებული ხარ, როცა ხევსურის ქორწილს აკვირდები, მის აქაურ ცოლ-ქმართა ცხოვრებას უფიქრდები, — ქორწილის პირველსავე დღეს დიაცმა თავი უნდა გამოიჩინოს იმით, რომ თავის ხელით საქონლის ნეხვი გადაჰყაროს, ზურვით „ტვირთი“ მოიტანოს, სახლს კარგად მოუაროს. მხიარულება, სიამაყნება, რომელიც მას შეჰფერის „მიჯნურობის დღეს“ მას აკრძალული

აქვს, თამაშობაც კი არ შეუძლიან, რადგანაც ხევსურის შეხედუ-
ლობით ქორწილში პატარძლის თამაში სირცხვილია. „შუშპრობა
არ შეიძლება“.

როგორც ვსთქვით, ქალი შრომის მონაა და ეს მონობა კი-
დეც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ-გვარი საქმე, საშინაო თუ
საგარეო, მასა აქვს თავს შემოხვეული. ოჯახში ხომ ყველა საქმეს
ქალი აკეთებს—უელის ოჯახს, ტანსაცმელს, ტალივარს უმზადებს
ყველას და სხვა ოჯახის გარედაც კაცს გვერდით უდგია და ყვე-
ლაფერში ჰშველის—მკაში, ლეწვაში, ტვირთის ზიდვა (შემის-
ხურგით მოტანა, რომელიც ხევსურეთში სამძიმო საქმეა) უფრო
ქალის ხელობაა, ვიდრე კაცისა. ერთი სიტყვით, თავის პირ-და-
პირის საქმის გარდა, ქალი იმასაც საქმობს, რაც სხვაგან კაცის
მოვალეობაა. ამის გამო, ქალიც ის არის, ვინც ბევრსა შრომობს.
და როდესაც ხევსური აფასებს ქალს, ხელ-მძღვანელობს შრომის
რაოდენობით და თითქმის სხვა არაფრით.

დიალ, ქალია აქ რაც არის და თითქმის მთელი ავლადიდება
ხევსურისა მასზედ არის დამოკიდებული. ქალების შორის საქმის
განაწილება, შრომის განყოფილება და ასახლისს აქვს მინდობილი და
რადგანაც დიასახლისობას ხევსურის შინაურს ცხოვრებაში საპატიო
ადგილი უჭირავს, ამიტომ მასზედ უნდა შევაჩეროთ მკითხველის
ყურადღება. საოჯახო ცხოვრებას წესი ეჭირვება და ამ წესის წარ-
ღმადგენელი დიასახლისია. დიასახლისობა დედამთილს ეკუთვნის
და თუ ოჯახში დედამთილი არ არის ან თუ არის და ღრმად მო-
ხუცებულია, მაშინ უუროსს ქალსა რჩება ეს მოვალეობა. თვით
მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საოჯახო, ქალის შე-
სახები საქმე დიასახლისს უნდა ეკითხოს. რაც კი რამე გასამეტე-
ბელია ოჯახში და გასაყიდი (ყველი, ერბო, ძროხა, მატყლი და
სხვ.), რაც კი საჭიროა სტუმრის დასახვედრად, შინ დასაკლავად,
დიასახლისის უნებურად არ შეიძლება.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დიასახლისი ჩხუბის და
უსიამოვნობის დროს, რალებს და ოჯახის ქალებს ასამართლებს,
სტუქსავს, უჯავრდება, მათ ზნეობას თვალყურს ადევნებს; თუ რო-
მელიმე რძალმა ურჩობა გაუწია, იმის ქმარს ეტყვის და გააგდები-
ნებს. რასაკვირველია, ოჯახის გამგეობას მოცლა უნდა და ამიტომ
დიასახლისი განთავისუფლებულია სხვა გვარ საქმისაგან, — იგი მხო-
ლოდ საოჯახო წესის დარაჯია. რაკი დიასახლისს საოჯახო ძა-
ლა ხელთ უპყრია, პატივისცემაც არ აკლია, — ყველა ემორჩილე-
ბა, ყველაფერი იმის სურვილისამებრ ჰკეთდება და უამისოდ

ხომ არც წესი იქნებოდა ოჯახში. მაგრამ ოჯახში საკაცო საქმე-
ებიც არის. ამისათვის დიასახლისს გვერდით უდგია ოჯახის უფ-
როსი, რომელსაც ხელი მიუწვდება მხოლოდ მამროვებზედ, მათ
შორის წესის დაცვაზედ.

ზემოთქმულიდან მკითხველმა იცის, რომ ხევესურულს თემობას
აშკარად ეტყობა სარწმუნოებრივი ხასიათი და მიმართულება. მაგ-
რამ მარტო ამ ხასიათით და მიმართულებით როდი განისაზღვრება
თემობა; ეს უკანა კნელი იურიდიული კავშირიც არის. თემობას,
როგორც იურიდიულს კავშირს, თავისი საკუთარი შინაგანი ბუნ-
ება და გარეგანი აგებულება აქვს. შინაგანი ბუნება ამ
კავშირისა ისაა, რომ თითოეული პირი რომელსამე თემს ეკუთვნის
და ყოველ შემთხვევაში ემორჩილება სათემო რჯულს, ჩვეულებას!
ფაქტ უარპყობს ამ სათემო რჯულ ჩვეულებას; იგი „მოიკვეთების“
თქმად განიძევა. ეს „მოკვეთა“ დიდი უბედურებაა და ძნელად
ასატანი კერძო კაცისათვის. გარეგანი აგებულება თემობისა იმაში
მდგომარეობს — თუ რა ღონის-ძიებას და საშუალებას მიმართავს
ხალმე თემი სათემო რჯულის და ჩვეულების დასაცველად. ერთის
სიტყვით, თემობის შინაგანი ბუნება თვით რჯული და ჩვეულებაა,
ხოლო გარეგანი აგებულება ამ რჯულისა და ჩვეულებისა წარმოებას
შეადგენს.

რადგანაც სათემო კავშირს დიდი გავლენა აქვს ხევესურის
ცხოვრებაზედ და კერძოდ მის ოჯახობაზედ, ამიტომ მეტი არ იქ-
ნება მკითხველებს მოველაპარაკოთ აქაურ საოჯახო რჯულ-ჩვეულე-
ბაზედ.

თემობა რთული და დიდი კავშირია. ამ დიდს კავშირს გვერ-
დით უდგია მცირედი კავშირი — ოჯახობა: მაგრამ, რადგანაც თე-
მობა უპირატესი კავშირია, ამიტომ ოჯახი თითქმის ყველაფერში
თემობას ემორჩილება; ეს ცხადად ჩანს ოჯახის დასაწყისისაგან:

სათემო რჯული ბრძანებს, რომ კაცს ნება არა აქვს თავისი
თემის ქალი მოიტაცოს და ცოლად შეირთოსო. ეს თქვათ, მოიტაცა
და შეირთო, მაშინ? — მომტაცებელი თემის მოლაღატეა და უნდა
„მოიკვეთოს“, — მას კაცებში არ გაურევენ, ხატში არ მიუშვებენ;
ასე გასინჯეთ, იმის საქონელიც კი ცალკე სძოვს და სასოფლო ნა-
ხირში ვერ გაერევა. ამგვარი „მოკვეთილი“ სწორედ რომ უბედუ-
რი არსებაა, მას არა თუ მარტო თავისი, სხვა თემიც მძულვარებით
უცქერის და საქმით თუ არა, სიტყვით მაინც სდევნის. რასაკვირვე-
ლია, „მოკვეთილის“ შერიგებაც შეიძლება. ამისთვის საჭიროა, რომ
„მოკვეთილმა“ სათემო სალოცავს; „ხატს“ ერთი ქვაბი და ვერცხ-

ხლის თასი შესწიროს, დაუკლას მსხვერპლად ხარი და ლუდი გამო-
უნადოს. მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც ძნელი და მძიმე დანაშაუ-
ლებაა თავის თემის ქალის მოტაცება და თუმცა შერიგებაც მოხ-
დეს, მომტაცებელი ათვალწუნებულია.

მოტაცებით ცოლის შერთვა ეხლაც ხშირად ჰხდება ხევსურეთ-
ში, თუმცა-კი ეს ჩვეულება ნელ-ნელა ჰკარგავს თავის პირვანდელს.
ძალას. თვით მოტაცების ხასიათიც იცვლება. მკითხველს უეჭველია,
ეცოდინება, რომ მოტაცებით ცოლის შერთვა ორ-გვარია—ძალად
მოტაცება და თანხმობით მოტაცება. ეს უკანასკნელი ფორმა იმაში
მდგომარეობს, რომ ქალი თანახმაა კაცს გაჰყვეს, მხოლოდ კაცმა
სხვების დასანახავად და ქალის პატივის დასაცველად ქალი მაინც
უნდა მოიტაცოს. ქალი, რასაკვირველია, არა ძალობს, არ ეურჩება
მომტაცებელს და თვით მოტაცებაც ცარიელი ფორმაა და სხვა
არაფერი. არ სწორედ ეს ფორმა მოტაცებისა არსებობს ხევსურეთ-
ში, თუმცა იშვიათად ძალად მოტაცებაც მოხდება ხოლმე. მაგრამ
ძალად მოტაცებას უეჭველად თან როდი მოსდევს ცოლად შერთვა,
— ქალს უნდა დაეკითხონ, ჰსურს ცოლად ყოფნა, თუ არა. ვინიცო-
ბაა, ქალმა უარი სთქვა, მაშინ დედ-მამის სახლში დააბრუნებენ.

საკვირველი და საყურადღებოა, რომ საქმრომ მოტაცებული
ქალი თუ გააუპატიურა, პასუხს არ აგებს. მის მონათესავეს ჯარი-
მას არ უხდის. ძველს, უწინდელს დროს მოტაცებას ხომ უფრო
სხვა ხასიათი ჰქონდა: მომტაცებლის ვაჟ-კაცის დაწუნება დიდი
სირცხვილი იყო, ქალის სახლობას დაწუნებულისათვის თექვსმეტი
ძროხა უნდა მიეცა, თუ არა და, ქალი სულ არ უნდა ვათხოვებუ-
ლიყო. ეხლა ეს ჩვეულება მოისპო. რასაკვირველია, ჩვეულებრივი
მოტაცება შეიძლება მხოლოდ უქრო ქალისა, დაუნიშნავისა. ქმრია-
ნის ქალის მოტაცება დიდი დანაშაულებაა და ჩვეულების ძალით
ამ დანაშაულებისათვის სიკვდილია გაჩენილი, — შეურაცხყოფილი
ოჯახი, თემი ცოცხალს არ ამყოფებს დამნაშავეს. რადგანაც და-
ნიშვნაც სავალდებულო პირობაა, რადგანაც დანიშნული ქალიც,
ცოლად თუ ბევრად, საქმროსია, ამიტომ იმის მოტაცებისათვის
ჯარიმაა დადებული.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, ხევსურის შეხედულებით, მოტაცება
მაინც დანაშაულობაა და დამნაშავეს შერიგება ეჭირვება; თუ ეს შერი-
გება არ მოხდა, ქალის მოტაცება ძალას ჰკარგავს, მოტაცებულის ქა-
ლის ცოლად ყოფნა არ შეიძლება. შერიგებას „ბანხედ შეხტო-
მას“ ეძახიან. რაში მდგომარეობს ეს „ბანხედ შეხტომა“? — ჯერ-
აქ ის უნდა შევხიშნოთ, რომ ქალის მამისათვის დიდი სირცხვი-

ლია „ბანზედ შეხტომა“. ბანზედ შეხტომის ნება აქვთ მოტაცებულის ქალის ძმას, ბიძაშვილებს და მის მეზობლებს. „ბანზედ შემსტარნი“ მომტაცებელის კაცის სახლის ბანს თავს არ დაანებებენ, თუ იმათ დამნაშავე ოჯახი არ შეურიგდა, ამ შერიგებისათვის საჭიროა, რომ დამნაშავემ საკლავი დაჰკლას, სამ-ჩარეჟიანი ქვაბი და წლისა და ან ორი წლის კურატი მისცეს ბანზედ მჯდომიარეებს. „შემსტარნი“ მაშინ ჩამოხტებიან ბანიდამ და შერიგებაც ამით თავდება.

ვინიცობაა, დამნაშავე სახლობა ბანზედ შეხტომილებს არ შეურიგდა, მაშინ ამ უკანასკნელებს ნება აქვთ მოტაცებული ქალი თან წაიყვანონ, — დიდ ხნობით ბანზედ ხტომით და იქ ჯდომით ხომ არა გამოეა-რა. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ დამნაშავე სახლობამ ბანზედ შემსტარნი არ დააკმაყოფილოს და არც მოტაცებული ქალი გაჰყვეს: ქალმა სთქვას — „აქ მინდა ვიყვიო“.

მაშინ მოტაცებული ქალი „მეეკვეთების“, ერთი წლის განმავლობაში მამის სახლს ვერ იხილავს, იქ ფეხს ვერ დასდგამს. რაც უნდა იყოს, შეურიგებლად მოტაცება არ გათავდება. მომტაცებელმა საკლავი უნდა დაჰკლას, ნადიმი გამართოს, კაცები შეუყენოს ქალის ოჯახს და შეურიგდეს. ბევრჯელ „ბანზედ შეხტომა“ საჭირო არ არის, უამისოდაც თავდება საქმე. როცა მოტაცებულის ქალის მონათესავენი და მეზობლები ბანზედ შესახტომლად გაემგზავრებიან და ამას შეიტყობენ დამნაშავის მეოჯახენი, იმის ბიძაშვილები, ბანზედ შესახტომლად დამზადებულებს გზაში მიეგვებებიან, დაახვედრებენ საკლავს და ხვეწნა-ვედრებით შერიგებას სთხოვენ, — თქვენი თავი გჟსურსო, შეგვირიგდითო.

საკლავი გზაზედ უნდა დაიკლას („საღმრთო“), მაგრამ მას ბანზედ შესახტომლად წასულნი არა სჭამენ და სახლში დაბრუნდებიან. რადგანაც საკლავს ზედ მიაყოლებენ ხოლმე კურატს და ქვაბს, შეიძლება ესენი კი თან წაიღონ, თუმცა ხშირად მარტო საკლავის დაკვლას სჯერდებიან, მეორე ან მესამე დღეს საქმროს ძმა და სხვა ახლო ნათესავეები მოტაცებულს ქალს მამის სახლში წაიყვანენ, საკლავს დაჰკლავენ და შერიგდებიან. ქალი მამის სახლში დარჩება, სანამ ქორწილის ვადა არ მოვა.

ქალის მოტაცება საოჯახო ცხოვრების უძველესი ფორმაა, „ქერაული“ წესია და თუ ეხლაც ხევსური მოტაცებით ირთავს ცოლს, ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ თვით ოჯახი ძველებურს წესზედ არის მოწყობილი. მაგრამ ამ „ძველებურობა“ ახალსაც ფეხი მოუკიდნია.

ჩვენ ვამბობთ მაჭანკლობაზედ, დანიშვნაზედ. ერთიც და მეორეც გვერდით უდგია მოტაცებას. მაჭანკლობა ისაა, როცა

სანდო პირს დაავალებენ შუამავლობა გამიწიეო და ამ შუამავალს ნიშნად გაატანენ ერთს აბაზს, ან აბაზის ღირებულს რამე ნივთს. დანიშვნაც სულ უბრალოდ მოხდება ხოლმე. ნიშნად უბრალო ნივთის მიტანა იციან, უფრო აბზინდასი, სათითესი. ამ ნივთს თან მიაყოლებენ ერთ-ორს თუნგს არაყს, ან არა და ერთს მანათხფულს, მანათის ღირებულს ფარჩას. შემდეგ დანიშვნისა, დანიშნულების ოჯახთა შორის მჭიდრო მოყვრული კავშირი არსდება. საქაროს ძმამ ან დამ ყოველ ახალწელიწადს დანიშნულს უნდა მოუტანოს „ბედის კვერი“. მოყვრები ერთი ერთმანერთთან დაიარებიან და ძღვნად არაყი მიაქვთ.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დანიშვნას სავალდებულო ძალა აქვს და დანიშნულის სხვაზედ გათხოვება, ან მისი მოტაცება დიდს დანაშაულობას შეადგენს. დანიშნულის გამთხოვებელი, მისი ძალად მომტაცებელი შეიძლება მოჰკლან კიდევ. თუ საქმე ჯარიმაზედ მივარდა, 16 — 30 ძროხაა ჯარიმად დანიშნული. ხევსურს დანიშნულის გათხოვება, მისი მოტაცება დიდ სირცხვილად მიაჩნია და ეხლაც შევხვდებით სხვადასხვა თემთა შორის შურისძიებას ამ დანაშაულობისა გამო. მკითხველი თითონაც ჰხედავს, რომ ხევსურეთში არ არსებობს ერთ-გვარი წესი ცოლის შერთვისა.

მოტაცების გარდა მაჰანკლობაც იციან, დანიშვნაცა. მოტაცება უძველესი წესია და როგორც შევნიშნეთ, თან და-თან ძალას ჰკარგავს. მაგრამ რაც უნდა იყოს, თვითელს წესს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. — როგორც უნდა მოხდეს ცოლის შერთვა, ცოლქმრობა მაინც კავშირია. ხევსურს სულ ერთად მიაჩნია — „კერპულად“ შეირთავს ცოლს, თუ ქრისტიანულად. ის ამ ორ წესს შორის განსხვავებას არა ჰპოვებს და არა ჰპოვებს იმიტომ, რომ ხევსურის ოჯახი უფრო ეკონომიური კავშირია, ვიდრე ზნეობრივი, ეკლესიური. ცოლი ეკონომიური ძალაა, როგორც თვით მთელი ოჯახი. და სადაც ოჯახი ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული, იქ ხომ ზნეობრივი ძალა უპირატესობას უთმობს ეკონომიურს. კიდევ ამიტომ ხევსურისათვის — „ჯვარდაწერილის“ ცოლის გაგდება ისეთივე ადვილი საქმეა, როგორც „კერპულად“ შერთულისა.

უმეტესად ცოლს აგდებენ რაიმე ეკონომიურის მოსაზრებისა და მიზეზისა გამო და თუმცა ხანდახან ხევსურს ნება აქვს „ლამაზი“ მოიყვანოს და პირველი ცოლი (რასაკვირველია, სილამაზით უფრო ნაკლები) გააგდოს, მაგრამ ეს იშვიათი ესთეტიური ცუდლუტობაა და სხვა არაფერი. არ უნდა დავივიწყოთ ხევსურის ხასიათიც: ის მეტად ყაიროთიანი და მომჭირნე კაცია. ამას ზედ დაუმატეთ მისი მეტად ცოტას მომკვიში მამულ-ადგილი და ადვილად

დარწმუნდებით, რომ ხევსურს ოჯახობა უფრო ეკონომიურ კავშირად მიაჩნია და ცოლი კიდევ ეკონომიურ ძალად. ერთის სიტყვით, ხევსურის ოჯახობა ეკონომიურს საფუძველზედ არის აჯობული.

სხვათა შორის, აქ უნდა მოიძებნოს იმის მიზეზიც, რომ ქრისტიანობა თუმცა ებრძვის „კერპულს“ ოჯახს, მაგრამ აქამომდე მაინც „კერპობის“ ხელშია ბრძოლის ველი.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ოჯახი თენს ემორჩილება, რადგანაც მისი ნაწილია. ოჯახია შეურაცხყოფა თეძის შეურაცხყოფა. თემისა და ოჯახის ამგვარი დამოკიდებულება არის იმის მიზეზი, რომ ქალს მფარველობა არ აკლია და მისი მფარველია მთელი თემი, მისი ოჯახის მთელი გვარეულობა. ეს გარემოება დიდს მელავათს აძლევს ქალის არა სანატრელს მდგომარეობას. ქმარმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მის დიაცს თემი დასცქერის, დარაჯობს და თუ რამე ჩვეულების წინააღმდეგი დანაშაულობა ჩაიდინა დიაცის შესახებ, მაშინ პასუხი უნდა აგოს მთელს თემს.

ეს ხომ ადვილი საქმე არ არის, მეტადრე თუ დიაცის თემი ძლიერია. თითონ თემიც დიდს პატივსა სცემს ქალის მანდილსა. თუ თემი ქალის მფარველია, ქალის მანდილიც თენსა მფარველობს. მანდილს აქ დიდი ძალა აქვს. როცა რაიმე მიზეზისა გამო ორს თემს შუღლი აუტყდება და „დაშნებს“ (იარაღია) იშიშვლებენ, თუ არ მანდილი, მემულღენი ერთი-ერთმანერთს გასწყვეტდნენ, — ქალები ჩაერევნიან ხოლმე შუღლში და მანდილებით აშველებენ მოჩხუბრებს. მანდილის მოხდა ქალისაგან და შუღლის მოსპობა ერთი და იგივეა, — ასეთი დიდი ძალა აქვს ხევსურულ მანდილსა.

შუღლის დროს თვით ძლიერი თემიც კი ნუხლს იძრეკს მანდილის წინ. თემის ძლიერება ხომ აქ მეტად საკრძნობელია. თემის პატივი და დიდება მის ძლიერებაზედ არის დამყარებული, ხოლო ძლიერება თემის სიმრავლეა, — თუ თემი დიდია, ძლიერაც არის. ხშირად ეს ძლიერება მეტად სჩაგრავს სხვა თემს, მაგრამ საყურადღებოც ისაა, რომ ქალის მანდილს მაინც ემორჩილება. ემორჩილება იქ და მაშინ, სადაც და როცა ძალა მოსახმარებელია.

მანდილს ზედ უნდა დაურთოთ ქალის ხასიათიც. ხევსურის დიაცს მამაცია, სწორედ ძულომია; მის ყოველ მოძრაობაში ამპარტავნება, თავის თავზედ მსასოებლობა იხატება; ის ისეთივე მრისხანეა, როგორც ბუნება; რომელიც მას გარშემო არტყია. — მართალია, მანდილისანი ხშირად უცხოელს თავს აბრალებს, — „ბეჩავი ვარ“, მაგრამ ეს „ბეჩაობა“ ცარიელი სიტყვის მასალაა; მტკი-

ვე და მამაცური ხასიათი მანდილოსნისა ეწინააღმდეგება ამ „ბე-
ჩავობას“. არც გარეგანი შეხედულება უნდა დაივიწყოთ. მანდილოს-
ნის გარეგნობა სინაზეს, კეკლუცობას არ გინატავს, როგორც,
მაგ., გარეგნობა ფშაველის ქალისა, მაგრამ აზოვანება, გმირუ-
ლი სახის გამომეტყველება უნებლიედ იზიდავს თქვენს ყურად-
ღებას.

ძლიერი ხასიათი და სულის სიამაყე აშკარად იხატება მან-
დილოსნის სახეზედ. მას ცუდ-უბრალოდ, უმიზეზოდ ვერას გაუბე-
დავთ, თუნდაც რომ „დიდებული“ ბრძანდებოდეთ. ქალის შეუ-
რაცხყოფა აქ ადვილი საქმე როდია, — თითონ ქალი გააცემთ პა-
სუხს და შერწმუნეთ, რომ პასუხიც საკადრისი იქნება.

ხევსურულ ქორწილსაც ცხადად ეტყობა პროზაული ხასი-
ათი. ასეც უნდა იყოს, რადგანაც ხევსურს მეტად ნაკლებად რგებია ის
უმაღლესი ნიჭი, რომელსაც პოეტურს ნიჭს ეძახიან. გულ დახურუ-
ლი, დაღვრემილი, დინჯი ხევსური სრულებით არა ჰგავს ხასიათით
თავის მოძმეებს, აი თუნდა ფშაველებს, რომელნიც პოეტურის ნი-
ჭით და მიმართულებით მართლაც რომ შესანიშნავნი არიან. ხევსუ-
რი კი სულ სხვაა: იმის თვითეულს მოქმედებაში უფრო აზრი იხატება,
ვიდრე გრძობა, თუმცა უმეცრებისა გამო, თვით აზრსაც ძალა
და ღონე აკლია. გრძობის სიღატაკე ცხადად გეხატებათ და
შორს რომ არ წავიდეთ, ამას ქორწილს აღწერითაც დაგიმტკი-
ცებთ.

ვერ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ხევსური მაგრე რიგად არ
ეწყობა ეკლესიურს ქორწინებას და თუმცა ქრისტიანად რაცხს
თავის თავსა, მაგრამ „კერპულს“ ცოლის შერთვას ამჯობინებს.
რადგანაც „ხუცი“ ხევსურის მღვდელია, ამიტომ დაქორწილებაც
იმის ხელობაა, — ქორწინების დროს იგი „ხუცობს“: ჰლოცავს ცოლ-
ქმარს, აკურთხებს პურს, საკლავს, ლუდს. ხევსურს აქამომდე ვერ
შეუთვისებია ეკლესიური სწავლა-მოდღვრება ქორწინებისა. ხევსუ-
რის აზრით, ქორწინება ცარიელი პირობაა და სხვა არაფერი. ეს
რწმენა ძველ დროთა ნაშთია და ხევსური ხომ ყველა ძველს ჩვეუ-
ლებას დიდს პატივს სცემს.

როგორც საქართველოს სხვადასხვა ადგილას, აქაც მაყრიო-
ნი იცინან. ცოლის მოსაყვანად საქმრო მაყრებს როდი გაპზავნის,
არა, — ის მარტო ორ მოხუცებულს კაცს, უფრო ნათესავეებს, გაუგ-
ზავნის ქალის ოჯახს და შეუთვლის მზადა ვარ და საცოლო გა-
მამიგზავნეთო. პატარძალს მაყრებად იმის სოფლები გამოჰყვე-
ბიან და თითონ პატარძალი ამ კაცებს უეჭველად ფეხით უნდა
მისდევდეს; ცხენზედ შეჯდომა სირცხვილია.

როცა მაყრიონი ნეფის სოფელს მიუახლოვდება, მიეგებებიან საქმაროს სოფლელები, ჭურჭლით არაყს დაახვედრებენ და სოკელში შიბატიყებენ. რაც შორს მიეგებებიან, ის უფრო დიდი პატივია. ამასთანავე მაყრიონს სხვადისხვა ადგილას უნდა დაუხვედნენ არაყითა. სოფელში მაყრებისათვის ცალკე ოთახია მომზადებული და პირველად ქალის მაყრიონი უნდა შევიდეს იმ ოთახში და მიიპატიყოს საქმაროს სტუმრები,—სახლი ჩვენიაო, რადგანაც ქალი მაგვარეფა და სტუმრების დაპატიყებაც ჩვენ უნდა გვეკითხებოდესო. სოფელში მისვლის უმაღლეს პატარძალს ქალები შემოეხვევიან და სადაც უფრო ბნელა, იქ დასვამენ, რომ ქმარმა არ დაინახოს.

ხევსურეთში დიდი სირცხვილია, რომ ქმარმა პატარძალს თვალი მოჰკრას. თითონ პატარძალი „უჩინარს“ კუთხეში ზის, ქმარს „ემალეების“, „რცხვენის“. ქალები ცალკე არიან და კაცები კიდევ მარტო ქეიფობენ. თუ სადმე ქეიფია, რასაკვირველია, კაცები ქეიფობენ—ფანდურს უკრავენ, მღერიან, თამაშობენ. ქალებს კი ამგვარი ლხინი აკრძალული აქვთ, რადგანაც, ჩვეულების ძალით, მღეროვანის უშუპრობა არ შეიძლება. პატარძალი ერთი ან ორი კვირა უნდა დარჩეს ქმრის სახლში და ამ დროის განმავლობაში ქმარს ვერ დაენახვება, თუმცა კი სახლში საქმიანობს. ქმარმა არც კი იციოს სადა სწევს იმისი დიაცი. დიაცითან დაწოლა ხომ არას გზით არ შეიძლება, თუნდაც რომ ჩუმად მოხერხდეს, ბოზობაა და ბოზობა ხომ ხევსურის თვალში დიდს დანაშაულობას შეადგენს.

ერთისა ან ორი კვირის შემდეგ სიძეს მოუვლენ ქალის ოჯახიდან მოციქულები — ჩვენ ეზლა მზად ვართ, მოდიტ და ქალი მომგვარეფითო. მეფის მაყრები გაჰყვებიან პატარძალს მამის სახლში, სადაც დამზადებულია საქორწილო ნადიმი. ქმარი თავის სახლში უნდა დარჩეს. ქალი მამის სახლში დაჰყოფს ხშირად ერთს წელიწადს ან ცოტა ნაკლებს და ამ დროს განმავლობაში სიძეს ვერ შეუძლიან თავისი ცოლი ნახოს; ასე გასინჯეთ, იმის სრფელშიაც კი ვერ გაიფლის. მხოლოდ ერთის მიზეზის გამო შეიძლება პატარძალი თავის ქმრის ოჯახში დარჩეს და მამის სახლში არ დაბრუნდეს,—ეს მაშინ, როცა ქმარი მარტო ხელია და სახლში მომვლელი არავინა ჰყავს. უამისოდ პატარძალი უეჭველად მამის ოჯახში უნდა წივიდეს და იქ უნდა მუშაობდეს, როცა ვადა ვაფა (ვადა გარჩეგებახედ არის დამოკიდებული), ძმა ან სხვა ვინმე ახლო ნათესავი ქალს წაიყვანს ქმრის სახლში.

თითონ ქმარი იმის წამოსაყვანად გაგზავნის ერთს-ორს ახლო ნათესავს. ქალი წაიღებს თავის „სათაენოს“ (მხითვეი), ტალავარს და ფეხით მიადგება ქმარს ოჯახში. მაშინ მაყრიონი საჭირო არ

არის, მარტო ხუცია საჭირო. ხუცმა უნდა უკუერთხის ცოლ-ქმარს ტაბლა (ერბო, ყველი, საკლავი არ შეიძლება), მხრებში ძაფით გადააბას (დაკავშირების ნიშანი) და დედამთილმა კიდევ ცალკე ოთახი მოუმზადოს ძაფით გადაბმულებს. მაშინ ცოლ-ქმარი იგემებენ იმ სიტკბოებას, რომელიც „პირველ ღამეს“ თან მოსდევს.

ჩვენ მოვიხსენიეთ ქალის „სათაენო“, მზითევი. საზოგადოდ რომ ითქვას, ხევსურები ღარიბნი არიან და თუ სიღარიბეს ისე ვერაჟგონობენ, როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, ამას იმიტომ, რომ მათი ცხოვრება მარტივია, მოთხოვნილება ნაკლები აქვთ და გარდა ამისა ყველაფერს შინ აკეთებენ, სასყიდელი არა უნდათ რა. ხევსურის სიმდიდრეს საქონელი შეადგენს. ქალსაც სათაენოდ საქონელი ეძლევა. მამის ოჯახში პატარაობისასვე მას მისცემენ ერთს სულს საქონელს—ცხვარს, თხას, ხბოს ან ძროხას და ეს განლაგეთ ქალის მზითევი. სათაენო საქონლის ნაშენი სულ ქალისაა და ოჯახი ვერ შეეხება. ამის მაგივრად ქალის ნაღვაწევი, იმის გათხოვებამდე მამის ოჯახსა რჩება.

ეს ნაღვაწევი კარგა თვალ-საჩინოა, — არ უნდა დაევიწყოთ, რომ ხევსურელი ქალისთანა გამრჯელი და მუშა-ქალი თითქმის არ შეიძლება საქართველოში; იმისი ხელ-საქმიანობა, შალის რთვა და ტალაერის შეკერვა საოცრად დაგრჩებათ; ამას ისიც დაუმატეთ, რომ ოცის წლისაზე ადრე ქალს არ გაათხოვებენ და მაშინ შეიტყობთ, — თუ რა არის მამის ოჯახისათვის ქალის ნაღვაწევი. გათხოვების შემდეგაც სათაენო ქალის კერძო საკუთრებაა, თუქცა ნაშენ-მონაგებარი-კი ქმრის ოჯახს ეკუთვნის; სათაენო რომ დაიღუბოს, თუნდა შემთხვევითაც, ქმრის ოჯახში უნდა ააყენოს, ქალის ყოფნა არ შეიძლება, თუ თავისი საკუთრება არა აქვს.

არსებითი ხასიათი ქონებრივის დამოკიდებულებისა ცოლ-ქმართა შორის მდგომარეობს ქონების განცალკევებაში: ცოლსა და ქმარს ერთაერთმანეთის ქონებაზედ ხელი არ მიუწვდებათ, ისინი ერთიერთმანეთის ქონებას ვერ დაისაკუთრებენ, თუმცა კი ზოგიერთა შემთხვევაში ქმარს უფლება აქვს სათაენო დახარჯოს, ისიც იმ პირობით, რომ დახარჯული აუყენოს თავის დიაცსა. ცოლს-კი ქმრის სიცოცხლეში არ შეუძლიან იმის ქონებას შეეხოს, მაგალითად, გაჰყიდოს იმისი საქონელი, იარაღი და სხვა; მხოლოდ დაქვრივებულ დიაცსა აქვს ამის ნება. ერთად-ერთი გარემოება სცვლის კერძო საკუთრების ხასიათს, ამ საკუთრებას საოჯახო საკუთრებად ხდის და ეს გარემოება სიკვდილია: ქმარმა ცოლი თავის ხარჯით უნდა დამარხოს და აგრეთვე ცოლმაც თავისი სათაენო ქმრის დამარხვას უნდა ერთგობარს, როცა ამ უკანასკნელს სამარხი არა რჩება.

თუ სადამდინ მიდის ხსენებული ქონებრივი განცალკევება, ჩანს იმით, რომ ქმარს არ შეუძლიან ცოლს აჩუქოს რამე თავის ქონები-
დამ. ეგრეთ წოდებულის ანდერძით გადაცემა ქონებისა ხომ არ შეიძ-
ლება,—ჩვეულებითმა სამართალმა ანდერძი სრულებით არ იცის
და მემკვიდრეობა კიდევ იმას თხოულობს, რომ ცოლ-ქმარს ერთი-
ერთმანერთის ქონების მიღება არ შეუძლიანთ. ერთის სიტყვით, კერ-
ძო-საკუთრება მეტად სასტიკად არის განხორციელებული და სა-
თავენო სრულებით ცალკე ქონებაა, რომელსაც საოჯახო ქონებას-
თან საერთო არა აქვს რა.

სიკვიდილის შემდეგ ეს სათავენო ვაფი-შვილებს რჩება და ისი-
ნი იყოფენ თანასწორად; ქალს მარტო დედის ტალავარი ერგება,
სხვა არაფერი. ვინიცობაა, დიაცს არც ვაფიშვილი დარჩა და არც
ქალი, მაშინ სათავენო იმისია, რომელიც დიაცს მოუვლის და დამარ-
ხავს. ამ მოვლის და დამარხვის უფლება მხოლოდ ქმრის გვარეუ-
ლობასა, იმის ნათესაობასა აქვს და სხვას არავის; რასაკვირველია,
სათავენოც ქმრის მონათესავეებს რჩება.

როგორც უკვე შევნიშნეთ, სათავენოს გარდა ქალს არა ერგე-
ბა რა მამის ქონებიდამ; სამკვიდრებელი, საოჯახო მამული ვაფი-შვი-
ლებისაა და ქალს მასზედ ხელი არ მიუწვდება; როგორც ძველი ჩე-
ნი სამართალი (ვახტანგის კანონი), ისე აქაური ჩვეულება უარ-ჰყოფს
ქალის მემკვიდრეობას და როცა მამას ვაფი-შვილები არა ჰყავს, არც
ნათესავეები, მაშინ იმის ქონება სოფლისაა; თვის აქ ხელი არა აქვს.

როგორც მკითხველმა იცის, ცოლის გაგდება აქ, ხევსურ-
ეთში, ადვილი საქმეა, თუმცა არც ამ საქმის ჩადენა შეიძლება უმიზე-
ზოდ. რასაკვირველია, ცოლსაც შეუძლიან ქმარს თავი დაანებოს, მაგ-
რამ ამ გვარი საქციელი კაცისათვის დიდად სამარცხვინო და სათაკი-
ლოა; ქალმა თავ-დანებებულს ქმარს პირობა უნდა მისცეს, რომ ის
სხვას არ მისთხოვდება, საუკუნოდ უქმროდ დარჩება. ამას „კვეთილში
ჩასმას“ ეძახიან და თუ „კვეთილში ჩასმულმა“ გასტეხა პირობა, სიკვ-
დილისაგან ვეღარა იხსნის რა; სხვა ბედი არც იმას მოეღის, რომე-
ლიც „კვეთილში ჩასმულს“ შეირთავს,—იმსაც სიკვიდილის აჩრდი-
ლი განუმორებლად თან დასდევს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ქმარი კი
მარტო „სამწუნობროთი“ და „ნამაშვრალით“ ათავეებს საქმეს გაგ-
დებულ ცოლთან.

რა არის მიზეზი ამ გაგდებისა?—მიზეზი სხვადასხვაა: ცოლის
ბოზობა, რაიმე ცუდი საქციელი, ჯავ., ქურდობა, დასნეულება, გაუმრ-
ჯელობა, ხანდახან ლამაზის ქალის მოწონებაც. როგორც ჰხედავთ,
თითოეული ამ მიზეზთაგანი, ბოზობის გარდა, მსუბუქი მიზეზია და
თუ დასახელებულ მიზეზთა გამო ხევსურს ნება აქვს ცოლს თავი

დაანებოს, ეს მხოლოდ ქალის დაჩაგრულ მდგომარეობით აიხსნება და სხვა არაფრით. ამ დაჩაგრულს მდგომარეობას სანუგეშო ნათელს ჰყვენს ერთი მართლაც-და კარგი ჩვეულება: ხევსურეთში ორ-ცოლიანიობა იშვიათი საქმეა და ამ იშვიათს საქმეს შესაწყნარებელი საბუთიც უნდა ჰქონდეს.

ხევსური მხოლოდ მაშინ მოიყვანს მეორე ცოლს, როცა პირველი ცოლი ავად-მყოფია, უშვილო და ან თუ მეშვილოსნეა, მარტო ქალები ეძლევა. უშვილო ცოლს, მარტო უშვილობის გამო, ქმრის ოჯახიდან ვერაფერს დაითხოვს და თუ ძალად გააგდეს, თექვსმეტი ძროხა უნდა მისცენ. მეორე ცოლის მოყვანა, რაც უნდა იყოს, სათაკილოა პირველის ცოლის ნათესაობისათვის და ამიტომ იმის მამის ოჯახს ქაჩრმა ხუთი ძროხა ჯარიმად უნდა გადაუხადოს.

ცოლის გაგდება, რასაკვირველია, ქალს სჩაგრავს, მაგრამ ეგრეთ წოდებული სამწუნობრო დიდს შიდავათს აძლევს ქალის არა-სანატრელს მდგომარეობას. „სამწუნობრო“ ჯარიმაა და ეს ჯარიმა კიდევ ადვილად გადასახადი როდია ღარიბის ხევსურისათვის. სამწუნობროდ დადებულია თექვსმეტი ძროხა, ეს კიდევ არაფერი, — საქმე ისაა, რომ სამწუნობროს ზედ ერთვის „ნამაშვრალი“. ეს უკანასკნელიც ჯარიმას მიაგავს, თუმცა კი თავისის ხასიათით ჯარიმისაგან განირჩევა. როცა ცოლს დიდხანს უცხაურია ქმართან და ქმარი ითხოვს, აგდებს სახლიდან, მაშინ გაგდებულს ცოლს იმდენი ძროხა უნდა მისცეს, რამდენი წელიწადიც მას ქმართან დაუყვია, მხოლოდ პირველი და უკანასკნელი წელიწადი გამოირიცხება. მაგ., თუ ცოლმა რვა წელიწადი იცხოვრა ქმართან, „ნამაშვრალში“ ექვსი ძროხა ერკება. ასეთს გონივრულს ჩვეულებას როგორც „ნამაშვრალის“ დაწესებაა, ეკონომიური სიმართლე მიუძღვის და ეს მით უფრო, რომ ხევსურის ქალი მეტად მშრომელი და გამრჯელი ქალია.

ხალხის უმზაკვრო ლოგიკას ადვილად შეუგნია ქალის ეკონომიური ძალა და „ნამაშვრალის“ დაწესებით ამ ძალისათვის პატივი უცია. „ნამაშვრალი“ ხანგრძლივ ცხოვრებისათვის არის დადებული. ვინიცობაა, წლის დამლევს ქაჩრმა ცოლი დაითხოვა, მაშინ „საუპატიუროს“ იხდის სამ ძროხას, ისიც თუ გაუპატიურებულმა ცოლმა მოითხოვა. ყველა ამას ერთი ჩვეულებაც უნდა დაეუმატოთ. ხევსურეთში ცოლს ნება აქვს ყოველ წელიწადს ტალავარი (ტანისამოსი) მოიმზადოს. როცა ცოლს აგდებენ, მაშინ, ჩვეულების ძალით, შეუძლიან დანაკლისი ტალავარი შეისრულოს. ნუ დავიწყებთ იმასაც, რომ „სათაფროც“ იმის საკუთრებაა და მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ გაგდებული ცოლი ისეთი უბედური არაა,

როგორც წინათ გვეგონათ,—გაგდებული დიაცი ადვილად ჰპოულობს სხვა ქმარს და ხშირად უფრო კარგს, ვიდრე პირველი ქმარი იყო.

ვისა რჩება შვილები?—შვილები მამისაა, და სხვათაშორის ამ ჩვეულებით უნდა აიხსნას ის საყურადღებო მოვლენა, რომ ხევსური მამროვანი, დიდი ოსტატია შვილების აღზრდაში, თავისებურად დავარჯიშებული პედაგოგია. პატარაობიდანვე შვილები მამას უფრო ეტრფიან, გარშემო ახვევიან, იმასთან სწვან.ნ. თუ მამის ნებაა, გაგდებულს დიაცს შეუძლიან, მაწოვარა თან წაიყვანოს; საზრდოდ „მაწოვარას“ დადებული აქვს ერთი ძროხა, ან ოთხი ცხვარი. როცა „მაწოვარა“ გაიზრდება, მამასთან მივა და იმასთან სცხოვრობს. არც ის უნდა დაეფიწყოთ, რომ ხევსურეთში, როგორც საზოგადოდ საქართველოში, ვაჟიშვილს უფრო დიდი პატივი აქვს, ვიდრე ქალიშვილს, ვაჟიშვილის ყოლა უფრო დიდი ბედნიერებაა. აქ დიდი სირცხვილია, თუ დაქვრივებულს ქალს ობოლი ვაჟიშვილი დარჩა და ის მაინც ხელმეორედ გათხოვდება. გაყრის შემდეგ პატარა ვაჟიშვილს დედ-მამა თავს ვერ დაანებებს; ვინიცობაა, ეს პატარა რომელსაჲმე ძმასთან გავიდა, მაშინ დედ-მამაც იმასთან უნდა გავიდეს,—პატარა ვაჟიშვილის თავის დანებება არ შეიძლება. ამ ჩვეულების მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ გაიგებთ, როცა გაყრა გეცოდინებათ და აი ეს გაყრაც.

თუმცა საოჯახო ქონება მთელის ოჯახის საკუთრებაა და დედ-მამა ოჯახში უფროსებად ითვლებიან, მაგრამ გაყრის დროს, არც მამას და არც დედას არაფერი არ ერგებათ; ქონებას და მამულს ვაჟიშვილები იყოფენ თანასწორად, მხოლოდ უფროსი ძმა „საუფროსოში“ ერთს ძროხას მეტს „აიტანს“, დედ-მამა რიგით შვილებზე უნდა შეინახონ, არჩინონ. მშობლები თითო კვირაობით ან თთველობით, რიგის კვლობაზედ, სცხოვრობენ შვილებთან; ჩვეულების ძალით დიდი სირცხვილია, თუ შვილებმა დედ-მამა არ შეინახეს, საზრდოზედ უარი უთხრეს. მართალია, ამ ჩვეულებით უარ მყოფელისათვის ჯარიმა არ არის დადებული, მაგრამ ზნეობითი კანონი; რომელიც ჩვეულებას საფუძველად აქვს აღსარებული, უფრო პატივსაღებია ხევსურის შეხედულებით.

ხევსური პირიანი და ზნეობიანი კაცია, ძვირად უღალატებს თავის მოვალეობას, ძვირად უარ-ჰყოფს მამა-პაპეულს ჩვეულებას.

კიდევ ამიტომ ზნეობითი კანონი დედ-მამის შენახვის შესახებ აქ სასტიკად მოქმედობს და კანონის ასასრულებლად ჯარიმაც არ არის საჭირო.

როცა ხალხის იურიდიული აზრი დაბლა სდგას, განუვითარებელია, მაშინ სამოქალაქო და სისხლის სამართლის შორის თითქმის განსხვავება არ არის, მაშინ მთელი სამართალი სისხლის საპართალია. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენას შეადგენს.

ჩვენს ძველს სამართალსაც ამ გვარი ხასიათი ეტყობა. ეგრეთწოდებული „ძეგლის დება“ მეფე გიორგისა ცხადი დამამტკიცებელი საბუთია ხსენებულის საზოგადო მოვლენისა. „ძეგლის-დება“ თითქმის თვითეულს იურიდიულ მოვლენას სჯის როგორც სისხლის დანაშაულობას, თუნდა მოვლენა სამოქალაქო სამართლის საგანსაც შეეხებოდეს. მეორე საზოგადო ხასიათიც ძველის სამართლისა საყურადღებოა: „ძეგლის-დებამ“ როდი იცის მრავალგვარი დანაშაულობა, — აქ თითქმის ბაასია სულ მოკვლახედ, გახაიბრებახედ და ჭრილობაზედ.

შესანიშნავი კიდევ ისაა, რომ ამაზედაც კი კანონი მოკლედ ლაპარაკობს („ძეგლის-დება“ მუხ. ლბ. - მ.). ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როგორც საზოგადოდ ყველა ძველი სამართალი, ისე „ძეგლის-დებაც“ დანაშაულობას გარეგანის მხრით უტყერის. „ძეგლის დების“ შეხედულებით დანაშაულობა კერძო კაცისათვის ზარალია, ზარალთან საზოგადოებას ხელი არა აქვს და თვით ზარალი ჯარიმით უნდა გადაჰხდეს დამნაშავეს. ამგვარი გარეგანი შეხედულობა არის მიზეზი, რომ სამართალი უარ-ჰყოფს დანაშაულობის შინაგანს ბუნებას, დამნაშავის ბოროტმომქმედს ნებას (преступная воля).

მკითხველს ეცოდინება, რომ ეს ნაკლის სჭირს ყველა ძველს წესდებულებას, სჭირს „ძეგლის დებასაც“. ეს უკანასკნელი თუ მძიმედ სჯის რომელსამე დანაშაულობას, მაგ., მოკვლას, იმიტომ კი არა, რომ დანაშაულობაში გამოიხატა დამნაშავის ძლიერი ბოროტ-მომქმედი ნება, არა, — იმიტომ სდევნის სასტიკად დანაშაულობას; რომ დამნაშავის მსხვერპლი თავისის გარეგანის მნიშვნელობით განსაკუთრებული პირია (მაგ., დედ-მამის, ძმის, ხევის-ბერის მოკვლა, მუხ. იე., იზ.). აწინდელი ხევსურული სამართალიც ძველი სამართალია; მას ძველებური ხასიათი და მიმართულება აქვს; კიდევ ამიტომ ამ სამართალზედაც ის უნდა ითქვას, რაც ზემოთ ვსთქვით.

პირველად ესა, რომ ხევსურულმა სამართალმა თითქმის არ იცის განსხვავება სამოქალაქო და სისხლის სამართლის შორის, — ყველა დანაშაულობა კერძო ზარალია და ზარალს კიდევ ზედ ჯარიმა მოსდევს; მთლად საზოგადოებას დანაშაულობისა არა ეკითხვის რა. მეორედ, თვით დანაშაულობის სხვადასხვაობა მცირეა. სამართალმა იცის მოკვლა, გახაიბრება, დაჭრილობა (დაკეჭნა) და ძლიერ ნაკლებად იცნობს სხვაგვარ ბოროტ-მომქმედებას. მესამედ, სამართალს

ყურადღება მიქცეული აქვს დანაშაულობის გარეგანს მხარეზედ და უარ-ჰყოფს ბოროტ-მომქმედს ნებას. თუ რა შორს მიდის ამ ნების უარ-ყოფობა მტკიცდება იმით, რომ ხევსურულ სამართლისათვის სულერთია — შემთხვევით: შიმოგაკვდა კაცი; თუ: განზრახ მოჰკალი იგი; კაცი როგორც უნდა შემოგაკვდეს, ზარალი ერთი და იგივეა:

რასაკვირველია, მოკვლა ყველაზედ ძნელი და მძიმე დანაშაულობაა. შურას ძიება, სისხლი მას განუშორებლად თან დასდევს. რადგანაც სამართალი უარ-ჰყოფს დანაშაულობის შინაგანს ბუნებას, ბოროტ-მომქმედს ნებას, ამიტომ კაცის მოკვლა მაშინ უჯრო სამ-ძხმოა, როცა მოკლული მკვლელის შოფლელია, იმის: თემისაა, ან მკვლელის ნათესავია. სხვა გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს. მაგ., ქალის მოკვლა, თუ ქალი ნათესავი არ არის, 60 ძროხად ღირს, თუნდაც ქალი „ორიანად“ ე. ი. ორსული იყოს. სულ ერთია ეგრეთ-ვე გაჟაკცს მოჰკლავ, თუ უსუსურს ბაღლსა: ორივე შემთხვევაში 80 ძროხა¹ გადახდება ჯარიმად.

მაგრამ ამ ჯარიმის გარდა დამნაშავეს სხვა გარდასახადიც ეკისრება: მკვლელმა მოკლულის დებს ცხრა ცხვარი უნდა მისცეს; ამდენივე იმის ქალებს და მამიდას; დედის ძმებს, ბიძებს ხუთი ძროხა, ერგებათ: ვინციობაა, მოკლულს ეს ნათესავები არა ჰკავს, მაშინ გარდასახადი იმის ოჯახსა რჩება; ამ გარდასახადის დაწესებულობით უნდა აიხსნას, რომ მოკლულის სისხლის აღება მარტო ნათესავებს შეუძლიანთ და თემი აქ არაფერს შუაშია, მთლად თემი შურისმძიებელი არაა; ჩანს, რომ სათემო კავშირის გარდა, საოჯახო კავშირსაც, ნათესაობასაც ძალა აქვს კერძო კაცისათვის. ის გარემოება, რომ თემს სისხლი არ ეკითხვის, სხვაფრივაც: საყურადღებოა: თემ-აზრედ რომ სისხლი გადადიოდეს, მაშინ ერთი თემი მეორეს მოსისხლე მტერი იქნებოდა, მთელი ცხოვრება განუწყვეტელს ომს წარმოადგენდა და შერიგებაც ძნელად მოხერხდებოდა, მაგრამ ასე როდია:

არც თითონ შურისძიება მოქმედობს ისე მკაცრად და სასტიკად, როგორც სხვაგან. აი თუნდა ქისტეთში, რომელიც ხევსურეთს ზედ აკვრია. ქისტეთში, თუ ერთის წლის განმავლობაში ან ცოტა

¹ ვახტანგის სამართალი ძროხას ორ მანათად აფასებს (მჯნ. მთ.). როგორც ვიცით, გლეხის მოკვლა თორმეტი თუმანი ღირდა, ხევსურის ქალის მოკვლაში 80 ძროხაა დადებული და ვახტანგის ნიხრით რომ ვინგარიშოთ, თითო ძროხა ორ მანათად, ქალის მოკვლა სწორედ თორმეტი თუმანი ელ რება. მაგრამ საქმე ისაა, რომ აწინდელი ხევსურული სამართალი ძროხას თუმნად ანგარიშობს. აი იმ სამართლის ნიხრი: ძროხა ერთი თუმანი; გუთანში შესაბამელი ხარი ორი ძროხა; ოთხი დედა ცხვარი ძროხას უდრის; თხა თაკნით ერთი ცხვარია, ჭედილა, ხბო ცხვრად ჩაიგდება; მოხვერი ძროხის ფასისაა.

მეტს ხანში შერიგება არ მოხდა, სისხლს სისხლი მოსდევს; ხევსურეთში კი სხვაა,—აქ შეიძლება ოცმა წელიწადმაც გაიაროს და მკვლელს ხელი არავინ ახლოს, შორიგებას უცდიან და დამნაშავეს მხოლოდ რიდი ეჭირვება. ეს მოსაწონი ჩვეულება აქარევებს, ამშვიდებს იმ ვნებათა ღელვას, რომელიც მოკვლას თან მოსდევს.

რაც უნდა იყოს, მაინც აქაც შურის ძიება ჩვეულებამ, სავალდებულო კანონია, რომელსაც ვერავინ უღალატებს. მაგრამ ვინ გამტყუნებს ხევსურს? როგორც ისტორია ამტკიცებს, შურის-ძიებას არც ერთი ხალხი არ ასცდენია, განათლებული ხალხიც-კი. ქართლში. მაგ., ჯერ ისევ წარსულს საუკუნეში ნება გქონდა თხოვნა მიგერთმია მეფისათვის—დასტური დამეცი ესადაეს მოვკლაო; მეფეც ბრძანებას აძლევდა—წადი და შენი მოსისხლე მტერი ლუკმა-ლუკმად ასჩეხეო¹. მაშ ვინ უკიჟინებს ხევსურს შურის-ძიებასა?

ერთი შესანიშნავი მოვლენაც უნდა აღვნიშნოთ. ხევსურულმა სამართალმა ცოლისა და შვილების მოკვლისათვის სისხლი როდითცის, ამ დანაშაულობისათვის მცირედი გარდასახადია დიწესებული: ქმარმა რომ ცოლი მოკლას და მამამ შვილი, „აღედულებს“ ხუთს ძროხას მისცემს და საქმე ამითი გათავდება. ვინც ჩვენი ძველის ოჯახის წყობილობა იცის, იმისათვის ეს მოვლენა ადვილად გასაგებია. ხევსურს თავისი ოჯახი კერძო საკუთრებად მიაჩნია, იგი სრული ბატონაა ცოლ-შვილისა. როგორც ვიცით, თვით ქართლშიაც ძველად ასე გახლდათ.

როგორც ვაკვრით შევნიშნეთ, შურის-ძიება შერიგებითაც თავდება და ამ შერიგებას კიდევ ბჭუნი კასრულობენ. შერიგებისათვის საჭიროა, რომ დამნაშავე მოკლულის ხატში მივიდეს და თან მიიტანოს ქვაბი, ვერცხლის თასი, საკლავი (ცხვარი, მოზვერი) მიიყვანოს. ხატში ცოდვის შესანდობლად მივლეს და ამ მისვლას „ჯვარში შეჯდომას“ ეძახიან. ქვაბი და თასი ხატს დაჩეხება მკვდრის მოსახსენებლად; საკლავი კი უნდა შეიჭამოს შერიგების დროს.

ხევსურს ცარიელი საკლავი არაფრად ეპიტნავენა, თუ ლუდი არა აქვს; ამიტომაც ლუდი უეჭველად უნდა გამოჰხადონ; ქერი მკილელისაა, სვია კი იმ ოჯახისა, რომელსაც მოკლული ეკუთვნოდა.

საყურადღებოა, რომ ლუდი მიუკილებლად მოკლულის ან დაზარალებულის სოფელში უნდა მოამზადონ. შერიგება ბჭეების საქმეა და სისხლი იმათ უნდა გადასწყვეტონ. როცა განაჩენს დაადგენენ, ორთავე მხრის ნათესაობა შეყრება და იმათ დაალევიანებენ ვერცხლის ნაფხეკს, რომელსაც ჩაჰყრიან არაყში, ლუდში ან რძეში.

¹ იხ. ფურცელაძის, Груз. крест. грам. Типлис 1882, გვ. 13.

თუ ეს ვერცხლის ნაფხეკი არ დაილია, შერიგება ვერა გზით ვერ შეიძლება, ასე რომ თვით „ჯვარში შეჯდომა“ შერიგებას როდი მოასწავებს,—დამნაშავე ხატიდან თავის სახლში უნდა წავიდეს, მოსისხლეებს უნდა გაშორდეს, რომ შუილი არ მოხდეს; „ჯვარში შეჯდომიდან“ დაწყობილი შერიგებამდე შეიძლება დიდმა ხანმა, წელიწადმაც გაიაროს.

მხოლოდ ვერცხლის ნაფხეკი საბოლოოდ სპობს შურის ძიებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს ვერცხლი უწმენდს გულს მოსისხლეებსა,—შერიგების შემდეგაც დამნაშავეს რიდი და ხათრი მართებს, მასზედ სრულიად გულის გაწმენდა არ შეიძლების. ეს კიდევ არაფერი, საქმე ისაა, რომ შერიგების შემდეგაც დამნაშავე ვალდებულია ყოველ წელიწადს, ხატობას, ან „გუთანი რომ გაემართვის“, საკლავი დაჰკლას დაზარალებულის სახლში, იმის სალოცავში. თუ დამნაშავემ უარი სთქვა ამ ყოველ-წლიურს ზვარაკზედა, იმას ხელმეორედ ვადამეტრებიან—დაკეჭნიან, შეიძლება მოჰკლან კიდევ.

ხალხი თითონაცა ჰგრძნობს, რომ ზვარაკის მუდმივი შეწირვა საზარელი ჩვეულებაა, მაგრამ ვერა გაუწყვია რა: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო.

ჩვეულების სამართალს უფრო ვრცელი ყურადღება მიუქცევია „კეჭნაობისათვის“ (დაჭრილობა). ასეც უნდა იყოს, რადგანაც კეჭნაობა მუდმივი მოვლენაა და თითქმის არც ერთი ხევსური არ მოიპოვება, რომელსაც სხვა ვინმე არ დაეკეჭნოს, ან თითონ არ დაეკეჭნოლიყოს. ძნელად შეჭხვდებით ხევსურს, რომ თავ-პირი დასერილი არაჰქონდეს დაშნით, საცერულით. მუდამ თან განუშორებელი, ძველი რაინდული იარაღი და სამხედრო აღზდა ხელს უწყობს კეჭნაობას.

ბალები პატარაობიდანვე გულ-მოდგინედ სწავლობენ ფარის და დაშნის ხმარებას, იწვრთნებიან, ვარჯიშობენ კეჭნაობაში. თვით კეჭნაობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი ასპარეზი უფრო ფართოა და ვრცელი, წინამ მკვლევლობისა. კეჭნაობის სისხლი გვარზედ და თემზედ გადადის, მკვლევლობისა კი ახლო ნათესავებზედ. ხევსურის აზრით, დიდი სირცხვილია, თუ დაკეჭნა უსისხლოდ დარჩა. კიდევ ამიტომ სამართალი კეჭნაობას ვრცლად განმარტებს, კეჭნაობის სისხლი აღნუხსულია, დაკეჭნილის გასასინჯავად ცალკე ექიმია დანიშნული თავისის „ხვეწით“ („ხვეწი“ ფოლადისა ან რკინის პირიანი საფხეკია, სწორედ ის, რასაც ვახტანგის სამართალი „სანახავ რკინას“ უწოდებს, მუხ. შთ.). შესანიშნავი კეჭნაობაში ისაა, რომ მძიმედ, სასიკვდილოდ დაკეჭნა სირცხვილია,—საჭიროა მხოლოდ, რომ მეშუღლე ცოტად დასჭრა, მარტო სისხლი გამოადინო. ხევსურის აზრით, ვაჟიაც არ შეჭმენის და არც გულადის რიგია, რომ მეშუღლე მძი-

მედ დასკრას; სულ-მდაბალი და მხდალოო; თავი ვერ შეიმაგრა, მკლავი ვერ დაიმორჩილა, მეშულლევ იმიტომ „გასწირაო“, მძიმედ დაკეჭნაო.

ასე სჯის ხევსური და გარწმუნებთ, ამ მსჯელობაში ბევრი სი-მართლევ არის. მაგრამ იქნება გეგონოთ, რომ ხევსურს ვაჟკაცობა და სიმამაცე აკლდეს და იმიტომ დაკეჭნასაც თავისებურად უცქეროდეს, არა, — როცა საჭიროება მოითხოვს, ხევსურიც მკლავს მაგრად მოიქნევს, ბასრს „ფრანგულას“ არ უღალატებს; მართალია, ხევსური ისეთი ვაჟკაცი არ არის, როგორც ფშაველი (ფშაველს ხომ გულადობაში და ვაჟ-კაცობაში ვერავენ შეედრება, ვერც სახელ-განთქმული თუში, როგორც სამხედრო კაცები ამტკიცებენ), მაგრამ არც ამას აკლია მამაცობა. ხევსური ეხლაც სიამაყით იგონებს იმ დროს, როცა იმის მამა-პაპამ დაამარცხა არაგვის ერისთავი ზურაბი:

ზურაბო¹, აკი გითხარი,
ხევსური კაცი უტია²,
ქალუნდაურის³ ფრანგულმა⁴
ხმალ შუქი გამოუტია.
გამოაქციეს ზურაბი,
საფურცლეს⁵ ველარ უწია.
საფურცლეს დასცეს ხანჯლები,
სულ ნელად ამოუტია.
ზაალი ჩამოვიდოდა,
ჩამოტიროდა ხმითაო,
არ ვინ მეგონა მამრევი
ჩემის ძმის ზურაბისაო.

მამრევი აღმოჩნდნენ. მაგრამ ჩვენ კიდევ ლამის საგანს აგსცდეთ.

მოკელის შემდეგ დაჭრილობას და გახაიბრებას (დასახიჩრებას) პირველი ადგილი უჭირავს. არსებითი განსხვავება მათ შორის შემდეგია: დაჭრილობა ქერის და პურის მარცვლით უნდა ვაიზომოს; გახაიბრება კი არ იზომება. თვითუფს გახაიბრებულს ასოს წინაღვე გაჩენილი აქვს ჯარიმა, სისხლის ფასი. ამ წესს ადგა ვახტანგის სამართალი (მუხ. მდ-მთ.); მას აღიარებს ეხლანდელი ხევსურული სამართალიც, მხოლოდ ერთის განსხვავებით—ამ სამართალმა არ იცის.

¹ ამ ზურაბს გაულაშქრია მთიელებზედ და მათი დამორჩილება სდომებია; მთაში ეხლაც ახსოვს ხალხსა „სულძალი“ ზურაბი.

² ჯიუტი, შეუპოვარი.

³ სახელია ხევსურისა.

⁴ ერთგვარი ხმალია.

⁵ საფურცლევ ადგილია სოფ. მუხრანის ახლო.

დახარალებულის გვარი, ღირსება, რადგანაც ყველანი თანასწორნი არიან სამართლის წინაშე; გარდა ამისა, სისხლის რაოდენობა შეცვლილია. ჯერ დაჭრილობაზედ ვილაპარაკოთ.

სახოვადოდ რომ ითქვას, ჩვენი ძველი სამართალი დიდს ყურადღებას აქცევდა დაჭრილობას. საბუთიც ჰქონდა: არა თუ დაბალს წოდებაში, თვით დიდებულთა და ბრწყინვალეთა შორის ჩხუბი. თავ-პირის შტვრევა, იარაღით დაჭრა იშვიათი საქმე არ იყო. ასე გასინჯეთ „მინისტრებიც“ კი არა თაკილობდნენ ერთი-ერთმანერთის ცხვირ-პირის ჩამტვრევას; ამას მაგალითები ამტკიცებენ და შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ ისევ მეფე ერეკლეს დროს, 1793 წ., „მურდარმა“ (სახელმწიფო ბეჭდის შემნახველი) გიორგიმ ჩხუბში ჯოხით თავ-პირი დაამტვრია „ნახირს“ ბარძიმს¹. თუ ამას ჩადიოდნენ უპირველესნი მოხელენი, ხევსური რას არ იზამდა!?

ხევსურული სამართალი დაწვრილებით განმარტებს სხედასხვა გვარ დაჭრილობას, ყურადღებას აქცევს—სად, რა ადგილას დაიჭრა კაცი, მძიმედ თუ მსუბუქად; მაგ., ესრეთ წოდებული „საგულე“ (დაჭრილობა სარტყლის ზემოთ, რბილში, აი თუნდა ფერდში) შეიძლება მძიმე დაჭრილობა იყოს, იმიტომ, რომ „საგულე“ საშიში ადგილია. მარცვლით „საგულე“ არ გაიზომება, ექიმმა უნდა გასინჯოს და დაასკენას—ძნელად არის კაცი დაჭრილი, თუ არა, იარაღის წვერი აქვს ნაძგერები, თუ პირით არის დაკრული. რასაც ექიმი იტყვის, იმას სამართალი სჯერდება. „საგულესათვის“ დადებულია 5—16 ძროხამდე; ხუთ ძროხაზედ ნაკლები კი არ შეიძლება.

მძიმე დაჭრილობა იწყობა შუბლის სამის ნაოჭის ქვემოთ და მის საკუთრებას მთლად პირისახე შეადგენს. მხოლოდ ბეწვით დაფარული ადგილი კი უნდა გამოირიცხოს ამ განსაზღვრულის და გამიჯნულის საკუთრებიდგან. პირისახის „შიშველია“ მძიმე დაჭრილობის კუთვნილებაა. თუმცა ხევსური თავის სახეს ბევრს არას დასდევს და ხშირად წელიწადსაც გაიყვანს, რომ პირი არ დაიბანოს, მაგრამ როცა დაჭრილობაზედ მივარდება საქმე, ის პირისახეს მეტად ეკეკლუცება და თავ-მოწონებით დიდ სისხლს თხოულობს. პირსახის დაჭრილობა ქერისა და „წმინდის“ (პური, იფქლი) მარცვლით უნდა გაიზომოს; მარცვალი ერთი დაიდება სიგრძეზედ, მეორე სიგანეზედ; მესამედი ნაწილი გადავარდება და ორ ნაწილში იმდენი ძროხა მიეცემა, რამდენიც მარცვალია (ვახტ. სამ. მარტო ქერის მარცვალს იხსენიებს, მუხ. მთ., ნაზირს ბარძიმსაც ქერის მარცვლებით გაუზომეს ქრილობა). თითონ გაზომა ასე უნდა: დაჭრილს ადგილს ძაფს დაატოლებენ, მერე ამ ძაფით გაზომვენ ქვას ან ქალაღს და ზედ მარ-

¹ იხ. ფურცლადის, Груз. двор. грам.. Тифлис 1884, გვ. 28-29.

ცვლებს გაამწკრივებენ. ცხვირის დაჭრილობაც მძიმე საქმეა, ისიც მარცვლებით უნდა გაიზომოს; ბევრჯელ შესამედი ნაწილიც იანგარიშება. საყურადღებოა, რომ ტანში დაჭრისათვის ჯარიმა არაა დადებული; ტანზედ ხევსური დაკეჭნე რამდენიც გნებავს, ოღონც კი ნუ დააშავებ,—არა გადაგახდება-რა, „საფოთლეს“ მეტი.

„საფოთლე“ ისაა, რომ ექიმი დაჭრილობას ფოთლით სწამლობს, ფოთოლს ადებს წყლულს. საფოთლეში ერთი ცხვარია დადებული. „სისხლი“ გაჩენილი არ არის ეგრეთვე იმ შემთხვევისათვის, როცა შუბლის სამის ნაოქის ზემოთ თავში დაიჭრება, ვინმე; მხოლოდ ძვალი კი არ უნდა გასტყდეს. თავის მსუბუქად დაჭრილობა შერიგებით თავდება; ამისათვის საჭიროა, რომ დამნაშავე მესულღესთან მივიდეს და რაიმე საკლავი და სასშელი მიუტანოს.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ძვალი გატყდება,—მაშინ სისხლია დაწესებული და აი რამდენი: თუ ძვალი ტვინამდე გაიჭრა, დამნაშავეს ჯარიმად თექვსმეტი ძროხა გადაჰხდება, თუ დაჭრილობა ტვინს დაუახლოვდა—რვა ძროხა; როცა ძვალი ცოტად გატყდება, მაშინ საზღაურად ხუთს ძროხას აძლევენ, შეიძლება სამი ძროხაც. თავის დაჭრილობა „ხვეწით“ უნდა გაიზომოს და ხვეწის ხმარება ხომ ექიმის საქმეა. თვით ექიმი გამოცდილი კაცია და მარჯვედ ხმარობს თავის „ხვეწსა“.

გახაიბრება, დასახიჩრება დიდს დანაშაულობას შეადგენს და ამიტომ სამართალსაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ამ დანაშაულობისათვის. გახაიბრებაც პირის-სახიდამ უნდა დავიწყოთ.

ცხვირის მოჭრა დიდი დანაშაულობაა და ოც-და-ათ ძროხად ღირს. ცხვირს თვალები მოსდევს; მარცხენა თვალის გამოთხრა ცხვირის მოჭრას უდრის, მარჯვენა კი ხუთის ძროხით მეტია, რადგანაც „სათიფე თვალია“ და თოფი ხომ ხევსურის რკინის ძმაა. ყურის დაჭრაში ჯარიმად ხუთი ძროხაა, სულ ერთია მარჯვენა ყური იქნება, თუ მარცხენა, „ბედენა არაა“ (დაყრუება, ენის მოჭრა არ იციან და ამაზედ არცა-ჩას სამართალი ამბობს).

ორივე თვალის, ფეხის და ხელის სრულიად დასახიჩრება მოკვლას უდრის და სრული სისხლია დადებული, ასე რომ, მაგ., ორივე ხელის მოჭრა და კაცის მოკვლა ერთი და იგივეა. ამ შემთხვევაში ხევსურული სამართალი უმეტესაკლებოდ იმეორებს ვახტანგის სამართლის დაწესებულებას (მუხ. მდ.). თუ კაცი დაჭრილობისაგან დაკოჭლდა, 30—35 ძროხა ერგება ხაიბრობისა-გვარად, ხელის დაშავებისათვის დადებულია 16—20 ძროხა. ამ შემთხვევაში მარჯვენა ასოს უფრო მეტი ეძლევა, ვიდრე მარცხენას ორი-სამის ძროხით. არც ხელის თითებია დაეიწყებული და აი ამ თითების ფასად: ცერის მო-

ჭრამი ჯარიმად 5 ძროხაა, სალოკი თითი 4 ძროხად ჰლირს, „შუალა“, შუა—3, იმის მეზობელი, არა-თითი—2 და „ნეკურა“, ნეკი ერთ ძროხად ფასულობს.

სამართალს ფეხის თითები კი სრულიად დაუჩაგრავს. ამ თითებს ჯარიმა არ ეძლევათ. რადა, როცა ფეხმაგარის ხევსურისათვის ფეხის თითებიც საჭიროა და ვახტანგის სამართალიც (მუხ. მე.) პატივისა სცემს მათ?! საბრალო ფეხის¹ თითების უფასოდ დატოვება მით უფრო დიდი შეცდომაა, რომ ფეხს და მუხლს საკმაო „სისხლი“ აქვთ გაჩენილი: მუხლის დაჭრა და გახაიბრება 30—35 ძროხად ჰლირს, მუხლის თავის—ერთის ხელის დადების ზემოთ დაკეჭნა 5 ძროხაა.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ სამართალი თითქმის ერთ-ნაირად სჯის კაცისა და ქალის დაჭრას, გახაიბრებას; ქალისათვის, ზოგიერთა შემთხვევაში, ცოტა მეტი ჯარიმაა დადებული. ცოლის გახაიბრებაც სისხლს თხოულობს, თუ ცოლი ქრმის სახლში არა სცხოვრობს, თუ მამასთან, ძმასთან ან ახლო ნათესავთან არის შეხიზნული.

როცა ან თემისა, ან კერძო კაცის უფლებას ვინმე დაარღვევს, მაშინ უფლებას აღდგენა უნდა. დარღვეულის და უარყოფილის უფლების აღდგენა სამართლის წარმოებას შეადგენს და ამ წარმოებას ხევსურეთში ბჭობას ეძახიან. ბჭობა სახალხო მართლმსაჯულებაა, ხალხის ზნე-ჩვეულებაზედ აღმოცენილი და მასზედ დამყარებული. აქ არის მიზეზი, რომ ეხლაც ხევსური თითქმის ყველა დავას და საჩივარს, მძიმე სასისხლო დანაშაულებასაც კი ბჭობით ათავენს და იშვიათად მიმართავენ ხოლმე მთავრობის სასამართლოს. თვით ბჭობის ხასიათი და თვისება ხელს უწყობს ამ გარემოებას.

პირველად ესა, რომ ბჭე მოჩივარისა და მოპასუხის დაახლოვებული კაცია და მათი სადავო საქმე შინაურულად იცის; მეორედ, ბჭობის პირველი საგანი მშვიდობით მორიგებაა. თუ არ დავივიწყებთ, რომ ხევსურეთში ეხლაც შურის-ძიება რჯულთ უმტკიცესია და მეტადრე მძიმე დანაშაულობას თან მოსდევს ვნებათა ღელვა, მაშინ ადვილად მიხვდებით, — თუ რისათვის ასე მტკიცედ და თავგამოდებით უყვარს ხევსურს ბჭობა, ეს თავისი საკუთარი მომრიგებელი სამართალი. ხევსურის აზრით, მართლ-მსაჯულება უზენაესი ძალაა და ბჭე კიდევ ღვთიურის მადლით აღსავსეა, რჩეული კაცია.

ამისათვის ბჭე მიუცილებლად „ჭკვათა-მყოფელი“ უნდა იყოს, სამართლის და ხალხის ჩვეულებათა მცოდნე. ბჭე ისეთივე მოსამართლეა, როგორსაც დიდებული სჯულთ-მდებელი გვიხატავს: „დიდად მჩხრეკელი, მიმხვედრი და გამომეძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმდებელი, გამსინჯავი და სხვასაც მკითხველი... მოწმის მოძებარი“.

(ვახტ. სამ., მუხ. გ.). თვითეულს თემში მოიპოვებიან ამ ნაირნი-
კაცნი და ბჭეებადაც იმათ ირჩევს ხალხი. ერთს თემს შეუძლიან შეორც
თემილამ ბჭენი მოიწვიოს.

მაგრამ არც მოჩივარს და არც მოპასუხეს ნება არა აქვს პირ-
დაპირ თითონ ამოირჩიოს ბჭენი,—ბჭეებს ირჩევენ ეგრეთ წოდებულ-
ნი „შუამავალნი“ („შუამავლობა“). შუამავალის საქმეა და ვალია
ბჭობის გამართვა.

მოდავენი ბჭეებს თითონ ვერ აირჩევენ; ეს სირცხვილია,—მხდალ-
ნი არიანო, იტყვის ხალხი. შუამავალი ორიც შეიძლება. მათ მომ-
ტერეთათვის გული უნდა შესტკივოდეთ. რადგანაც შუამავალს ბჭო-
ბაში დიდი მნიშვნელობა აქვს (ბჭენი სამართლის წარმოების დროს
შუამავლებს უფრო ეკითხებიან, ყურს უგდებენ, თქვენ უფრო სწო-
რედ იცით სადავო საქმის გარემოებაო, —პირი გაქვთ ნაკითხი, იცით,
როგორ მორიგდებიანო). ამიტომ შუამავალიც ღირსეული კაცი უნ-
და იყოს და ამასთანავე ნათესაობა არ უნდა ჰქონდეს მოჩივართან
და მოპასუხესთან; ნათესავი-შუამავალი, შეიძლება, მიდგომით მოიქ-
ცეს, შებილწოს სიწმინდე საბჭო. სამართლისა და ამისათვისაც ამ
გვარი შუამავალი განდევნილია სამართლის წარმოებაში.

ზოგ შემთხვევაში ისევე უნდა ითქვას თითონ ბჭეხედაც, არც
ბჭე შეიძლება ნათესავი იყოს რომელისაზე მხარესი, თუმცა ორივე
მხარეს შეუძლიან ნათესავ ბჭესაც მიენდოს, თუ ბჭე პირმართალი
კაცია. შუამავლობა წინ უძღვის ბჭობას და თუმცა თითონ არა ბჭობს,
მაგრამ საქმის გადაწყვეტაზედ-კი დიდი გავლენა აქვს. თუ შუამავა-
ლი ერთი ან ორი უნდა იყოს, ბჭეების რიცხვი, მათი რაოდენობა.
საქმის თვისებაზედ არის დამოკიდებული: თუ მძიმე საქმეა, ბჭეებიც
ბლომად უნდა იყვნენ (ათ კაციდან თხოუმეტამდე), როცა მსუბუქი
საქმე ირჩევა, მაგალითებრ, მცირედი ქურდობა, ვალის გადახდა,
ღიაციის სახელის შებღალვა და სხვ., მაშინ საკმაოა სამიდან ექვსამ-
დე ბჭე. შუამავლებმა უნდა გადასწყვიტონ, რამდენი ბჭეც არის სა-
ჭირო, საქმის სიმძიმე თუ სიმსუბუქე რაოდენს ბჭეს თხოულობს: მა-
შასადამე, შუამავალიც მცოდნე უნდა იყოს ხალხის ჩვეულებითის
სამართლისა, უნდა ესმოდეს თვითეულის საქმის თვისება.

ეს ხომ ასეა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ საქმის თვისება-
ზედ არის დამოკიდებული ბჭეების რიცხვი: ხალხს შეუგნია, რომ
მძიმე საქმის გადაწყვეტა (კაცის კვლა, გახეიბრება, მამულის დავა
და სხვ.) დიდს ჯაფასა და გასინჯვას თხოულობს; ორიოდ კაცი,
თუმცა „ჭკვათა-მყოფელიც“ იყოს, ვერ შესწვდება რთულის საქმის
გაჩხრეკას; მაგალითებრ, ეხლაც ორ თემს შორის ხანდახან შუღლი
ასტყდება ხოლმე, შუღლში ასობით და ორასობით ურევნიან მოჩხუ-

ბარნი. მათი გასამართლება ადგილი როდია, ბევრს ბჭეებს თხოულობს: თუმცა შუამავალნი ნიშნენ ყველა საქმისათვის ბჭეების რიცხვს, მაგრამ მოჩივარს და მოპასუხეს ნება აქვთ ეს რიცხვი შეამცირონ, ბჭენი ცოტა ინდომონ,— ბევრი ხარჯი მოგვივა, ცოტანიც ჰკმარანო. საქმე იმაშია, რომ ბჭეებს და შუამავლებს ორივე მხარე კარგად უნდა გაუმასპინძლდეს; ჩვეულების ძალით, რაც კარგად გაუმასპინძლებიან, უფრო დიდი სახელია, პატივ-სადები საქციელია: პურადნი არიანო და პურადობა ხომ ძველადგან აქამდე ჩვენში საქებარი საქმეა.

გარდა ამ ხარჯისა, სასისხლო საქმეში თვითეულს ბჭეს საბჭო გადასახადი უნდა მიეცეს; მდიდარის კაცისაგან ძროხაზედ ოთხი აბაზი, ცხვარზედ ერთი აბაზი; როცა მომტერენი ღარიბნი არიან, ბჭენი ან სულ არაფერს გამოართმევენ, ან გამოართმევენ მცირედს ფასს. ამ გარდასახადში შუამავლებსაც წილი აქვთ. შეიძლება მძიმე საქმე მეტად ძვირად ღირდეს. მაგალითებრ, კაცის მოკვლა ოთხმოცი ძროხა ღირს და ძროხაზედ ოთხი აბაზი ღიდს ფულს შტადგენს ხევსურისათვის. კიდევ ამიტომ მოდავეთ შეუძლიანთ, საქმის თვისებისა მიუხედავად, ცოტა ბჭეები ინდომონ. საბჭო გარდასახადი ჩვენს ძველს დაწესებულებას შეადგენს. საქართველოში, როგორც ყველგან უსასყიდლოდ განსამართლება არ შეიძლებოდა, სახელმწიფოს შემოსავლის ერთს უმთავრესს წყაროს სამოსამართლო გარდასახადი შეადგენდა. ამ გადასახადის სიბევრე თუ სიცოტავე ადგილობრივ ჩვეულებაზედ და ხალხის შეძლებაზედ იყო დამოკიდებული. სასამართლოს მოხელეების ჯამაგირსაც უფრო ეს გარდასახადი შეადგენდა (იხილეთ „დასტურლამალა მეფის ვახტანგ მეექვსისა“ და ბეჭდილი პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1886, გვ. 56—58). და თუ სახელოვანს სოლომონ მსაჯულს რვა თუმანი ჯამაგირი ჰქონდა, ეს იმიტომ, რომ შესავალი ბევრი ერგებოდა.

ხევსურულს ბჭესაც წინაღვე გადაჭრილი და დაწესებული გარდასახადი ერგება. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ხევსურს შეუძლიან თავიდან აიცილოს ბევრი ხარჯი: საჭიროა მხოლოდ ბჭეთა რიცხვის შემცირება. გარდასახადი სრულებითაც არ უშლის საქმის სწორედ გადაწყვეტას; არც კარგად დახვედრას და პურადობას შეუძლიან სამართლის სასწორის გამრუდება. აი რადა.

ბჭობის დედა-აზრი და საგანი უანგარო და პირუთენელი საქმის გადაწყვეტაა. ეს პირუთენელობა, მიუდგომელობა ხალხს ისე ღრმად აქვს ჩანერგილი, რომ საბჭო ადგილისათვისაც-კი სიმბოლური მნიშვნელობა მიუცია: ბჭობა მიუცილებლად შუა-ადგილას უნდა გაი-

მართოს; როცა მომტრენი სხვა-და-სხვა სოფლისანი არიან, საბჭო ადგილი ამ ორს სოფელს შუა უნდა იყოს: ერთ სოფლისანებს-კი ხატ-ში გაასამართლებენ,

თვით სოფელში და სოფლის ახლო ბჭობა არ შეიძლება,—მომტრენი ერთი-ერთმანერთის სოფელში ვერ მივლენ, ხელ-ახლად სისხლის ჩამოვარდნისა ეშინიანთ.

რადგანაც შუა-ალაგიდ საჭირო, ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბჭენი სამჯავროს გამართავენ ჭალაში, წყლის პირად, გორასა ან მთის წვეროზედ. მშვენიერი და სულის დამატკობელი სანახავია მაშინ ხევსურული ბჭობა.

ბჭობა უფრო ღამით მოხდება ხოლმე; პირველად იმითომ, რომ ბჭენი ღლისით ძლივას შეიკრიბებიან; მეორედ—მომტრეთა ერთმანერთის აცდენა ღამე უფრო შეიძლება. ბჭობა, უეჭველად, მსწრაფლად უნდა გათავდეს და რაც უნდა მძიმე და რთული საქმე იყოს, ბჭობა ორ-სამ დღეზედ მეტს არ გასტანს. საბჭო მართლიერებისათვის საჭიროა წესიერება, მართებულად ყოფნა; ამიტომაც ყველა ამას ჯიროვანი ყურადღება აქვს მიქცეული; ბჭენი სცდილობენ, რომ ხალხი რიდით და მოწიწებით ექცეოდეს თავის სამართალს, რაიმე წინდაუხედავის მოქმედობით არ შებილწოს მამა-პაპეული რჯული.

როგორც ბჭობა გაიმართება, მაშინვე წილს ჰყრიან ბჭენი და რომელ მხარესაც. მოჩივარს თუ მოპასუხეს, წილი ერგება, პირველად ის ილაპარაკებს,—ლაპარაკი წილით არის. როცა ერთი მხარე გაათავებს ლაპარაკს, იმას დაითხოვენ და თითონ ბჭენი გააცილებენ,—მომტრე არ შეხვდეს და ახლად შუილი არ ასტყდესო. მერე, მეორე მხარე ილაპარაკებს.

ხევსურს საზოგადოდ ბევრი ლაპარაკი უყვარს, მჭევრ-მეტყველებას დიდად აფასებს, ბავშვებს პატარაობიდანვე კარგს სიტყვა-პასუხს ასწავლის; შედარებით რომ ითქვას, საქართველოს არც ერთს კუთხეში არ მისდევენ ისე გულ-მოდგინედ მჭევრ-მეტყველებას, როგორც აქ, ხევსურეთში, სადაც ჩვენი ძველებური მდიდარი სიტყვიერება აქამომდე ხელ-უხლებლად დარჩენილია და შენახული. ამიტომაც, ბჭობის დროს წილით და არა რიგით ლაპარაკი ხალხის ხასიათზედ ზედგამოჭრილი ჩვეულებაა.

რადგანაც მომტრეთა ცალკ-ცალკე ეკითხვის, ამიტომ ეგრეთ წოდებული დაპირდაპირება სრულებით არ იცის საბჭო სამართალმა, თუმცა ეს დაპირდაპირება ბევრს შემთხვევაში მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს. როცა ერთი მხარე ლაპარაკს გაათავებს, რაც სათქმელი აქვს ყველაფერს იტყვის და საბუთს წარმოადგენს, მაშინ ბჭენი მოპირდაპირეს მოიწვევენ და იმას თქმულსა და გაგონილს,

წარმოდგენილს საბუთს დაწვრილებით და უმეტ-ნაკლებოდ გარდას-
ცემენ. ესლა მოპირდაპირეს რიგია: დაიწყებს ლაპარაკს, საქმის გა-
რემოების ახსნას, მოწინააღმდეგის საბუთის დარღვევას. მეორედ ლა-
პარაკი, პასუხის პასუხი სწამს საბჭო სამართალს და კარგიც არის;
რადგანაც ამას ბევრჯელ თვით სადავო საქმის თვისება თხოულობს.

საბჭო სამართალი სიტყვიერი სამართალია და საბუთის წერილს
არ თხოულობს, თუმცა კი არ უარჰყოფს წერილობითს საბუთს. მო-
წმის ჩვენება, ფიცი, „ცოდვის მოკიდება“—აი საბუთები ამ სამარ-
თლისა. ჩვენც თვითეული ამ საბუთთაგანი უნდა განვიხილოთ.

რასაკვირველია, საქმის გადასაწყვეტად მოწამე საჭიროა ზო-
გიერთა საქმეში (ქურდობა, ფულის სესხი), მეტადრე როცა თითონ
საქმე საეჭვოა. ასე ამბობს ჩვენი ძველი სამართალი (ვახტ. სამ., მუხ.
სიბ.); ამას თხოულობს ხევსურული ბჭობაც. მაგრამ საბჭო სამარ-
თალი ყველა მოწამეს როდი ენდობა, ყველას ერთ ნაირად როდი
უყურებს. მოგეხსენებათ, რომ ძველდაც ასე იქცეოდა ჩვენი სამარ-
თალი, თხოულობდა, რომ „მოწამეს ღვთისა ემინოდეს, სული იცო-
დეს, ჭკუა ჰქონდეს... სიმართლის ხმა ჰქონდეს დავარდნილი და კა-
ცისაგან სანდო იყოს“ (მუხ. იგ.).

ეხლაც ამ გზას მისდევს ბჭობა. როცა საეჭვო საქმეა და მარტო
ერთი მოდავე მხარე, მოჩივარი თუ მოპასუხე, დანიშნავს მოწმებს,
მაშინ ბჭებმა უნდა შეიტყონ და დარწმუნდნენ—ლირსნი არიან მოწ-
მობისა დასახელებულნი პირნი, თუ არა; ვინიცობაა შეატყეს „შემ-
წეობა“, მიდგომა, მოწმებს არა ჰკითხვენ, მათ არაფერს დაუჯერე-
ბენ. ეს მაშინ, როცა მარტო ერთი მხარე ასახელებს მოწმებს, მაგ-
რამ თუ ორივე მხარემ მოწმები დანიშნა, მათი კითხვა მიუცილებ-
ლად საჭიროა, თუმცა მაშინაც ბჭენი სასტიკს ყურადღებას აქცევენ
თვითეულის მოწმის ზნეობრივს თვისებას და ამ თვისების მიხედვით
აფასებენ მის ჩვენებას. კიდევ ამიტომ ყველა მოწმის ჩვენებას ერთი
და იგივე მნიშვნელობა როდი აქვს: ყველა მოწამე ერთნაირი არ
არისო.

თვითეულს მოწამეს რიგით უნდა ეკითხოს და არა წილით. მათი
დაპირდაპირება შეიძლება და სამართალიც ამას თხოულობს. რაკი
ყველა მოწამე ერთი და იგივე არაა, ამიტომ ყველას ფიცის ქვეშ არ
ეკითხება: „ფიცი დაედების“ მხოლოდ ისეთს მოწამეს, რომლის ჩვე-
ნებას საქმის გადაწყვეტაზედ დიდი გავლენა აქვს, რომელიც დაქვე-
მარიტებით ამბობს, საქმე სწორედ ასე იყოვო. ეს თავი მოწამეა,
სინამდვილის მნახველი და მალიარებელი. კაცის კვლახედ და დაკე-
ქნახედ მოწამე არ არის საჭირო, რადგანაც დამნაშავე ხევსური უარს
არ იტყვის ამ ნაირს დანაშაულობაზედ და ეს უარი, არც გავიწილა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენის სამართლის შეხედულობით, ფიცი მძიმე და ძნელად საკისრებელი საქმე იყო. თვით სჯულთ-მდებელი ასე ბძანებდა, — «ყოველი მოსამართლე ფიცის მოხდენას ეკრძალოს და სხვა რიგად მოჩივრის გარიგებას ეცადოს» (მუხ. ი.). ეხლაც ხევსურეთში მოწმისთვის ფიცი ადვილად ხელ-მოსაკიდი მოვალეობა როდია: ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მოწამე შულლსაც უწევს მოდავეს—დამაფიცეო, „ხატს შემაცოდეო“.

წინათ ხომ, როგორც ვიცით, მოწამე ხუთს ძროხას გაიტანდა და არ დაიფიცებდა კი. მაგრამ ეხლა, როცა ბჭენი დაადგენენ, ფიცს მოწამე თავიდან ვეღარ აიშორებს. რასაკვირველია, ფიცის გამო ბჭობა უნდა გადაიდოს, ფიცის მიღებისათვის ცალკე ვადა უნდა დაინიშნოს; ეს ვადა ორს თვეზედ მეტს ვერ გასტანს. თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ აღმოჩნდა (მოწმის ავადობა, შორს სადმე წასვლა). საყურადღებოა, რომ დაფიცებაზედ არც ბჭეები და არც მოფიცარის დამნიშვნელი არ ესწრებიან; მოწმის დაფიცებას ესწრობა მხოლოდ ეგრეთ წოდებული „ფიცის მაყურებელი“, რომელიც ნათესავი უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარესი; მაგალითად, მოჩივრის მოწმის ფიცის მაყურებელი მოპასუხის ნათესავია და სხვა ვინმე არ შეიძლება. თუ მოჩივარი ან მოპასუხე მოწმის ფიცს არ ესწრობა, ეს იმიტომ რომ, როგორც შევნიშნეთ, დაფიცება დიდი ტვირთია და შეიძლება უსიამოვნება მოუხდეთ მოწამეს და იმის დამნიშვნელს.

მიუტილებლად დაფიცება ხატში უნდა მოხდეს, თითონ მოწმის ხატში, თუ არა და, მოწმის დამნიშვნელის სალოცავში. ფიცის მაყურებელი მივა და თითონ გადასცემს მოდავეს, რითაც გათავდა დაფიცება. საკვირველია, რომ ჩვეულებითი სამართალი ისეთს დიდს მნიშვნელობას აძლევს ფიცს, რომ მართო ფიცის მაყურებელსაც არ სჯერდება, — ამ უკანასკნელმა სხვა მაყურებელი უნდა დაისწროს („დამსწრე მაყურებელი“) და იმასთან გადასცეს ფიცი, რომელსაც ესწრობა თვით დამსწრე მაყურებელიც. აზრი ამ დამსწრე მაყურებლობისა ცხადია, თუ კი არ დავივიწყებთ, რომ ფიცის მაყურებელი ნათესავია ერთ-ერთის მოდავესი.

გარდა ამისა, ფიცი საბოლოოდ სწყვეტავს სადავო საქმეს; იგი ფიცი ყოვლადმღიერი და სიტყვაშეუბრუნებელი საბუთია; თვით განაჩენი, გადაწყვეტილობა მასზედ არის დაფუძნებული; რომელსაც „ფიცი დაედების“ და დაიფიცებს, ის მოდავე მხარე იგებს საქმეს. აი რისათვის საბჭო სამართალი ასეთს სასტიკს ყურადღებას აქცევს ფიცს.

თავრებურია დაფიცება, როცა დავა მამულზედ არის. მამულის დავაც ბჭეების საქმეა. ვახტანგის სამართალი იხსენიებს სადავო მა-

მულის «კარგ-ავობას», მამულის თვისებას, «ვენახი არის თუ ფუძე, ან საწისქვილო, ან საბაღე» და ამისდა გვარად «მოფიცარნი შეადონ»; დიდს მამულს ბევრი მოფიცარი უნდა, პატარას ცოტა (მუხ. იბ.) ხევსურული სამართალიც სწორედ ამ გზას ადგია: პატარა მამულს ერთი მოწამეც ეყოფა; სჯულთ-მდებელიც ასე ჰფიქრობდა. შეიძლება საბჭო სამართალმა სრულებითაც არ ჰკითხოს მოწამეს ფიცის ქვეშ, თუ კი მამული მეტად მცირეა. ამ შემთხვევაში ფიცის მაგივრად «ცოდვის მოკიდებაა» საჭირო (ეს «ცოდვის მოკიდება» ვახტ. სამ. მოხსენებულა, მუხ. იდ.)

„ცოდვის მოკიდებას“ მოპირისპირეც დაადებს მოჩივარს, ბჭენიცა; თითონ მოჩივარსაც შეუძლიან „ცოდვა მოიკიდოს“, აქ დავა იაფი ფასისაა და თავისუფლებაც დიდია. ვახტანგის საქართლის „ცოდვის მოკიდების“ ფორმა სხვა აყო: მოპასუხემ «შემწამებელი კაცი ზურგს აიკიდოს და ასრე უნდა თქვას: «შენიმც ცოდვა მეორედ მოსვლას მეცა მაქვს და შენდა ნაცვლადცა მე გახვიკითხები, თუ მეც მექნას» (მუხ. იდ.), საბჭო სამართალმა კი ზურგს აკიდება არ იცის, მის ნაცვლად მიწის კისერზედ დაყრა სწამს. როცა მოდავე დაბეჯითებით ამბობს, რომ მამული ნამდვილად ჩემიაო, მაშინ სადავო მამულიდამ ერთს მუქა მიწას აიღებს; ბჭეების წინ კისერზედ დაიყრის და იტყვის ხმა მალა: „დედა-მიწის ცოდვა მქონდეს, თუ ტყუილი ვსთქვა; ეს მიწა ჩემია“, — ამის შემდეგ მიწაც იმის საკუთარება ხდება.

„ცოდვის მოკიდება“ კვლის და მიჯნის დავაზედაც შეიძლება. ვახტანგის სამართალი კი უძრავის მამულის შესახებ „ცოდვის მოკიდებას“ არ იხსენიებს, — სულზედ შევარდნა ძროხაზედაც დაეჯერებოდეს», როცა საქმე ერთის მარჩილის ღირებულება (სამი აბაზი), «ან ცოტად უფროსი ან უმცროსი საქმე უნდა იყოს» (მუხ. იდ.). მამულზედ არაფერია ნათქვამი; იგივე სამართალი სადავო მიჯნისა და სამზღვრის თაობაზედ მარტო ფიცს თხოულობს, — «ხატი ხელთ ეჭირვის» (მუხ. ია.); საბჭო სამართალი კი მამულის დავასაც „ცოდვის მოკიდებით“ სწყვეტს.

ხალხის შეხედულობით, „ცოდვის მოკიდება“ საძნელო საქმეა და ამისათვის ხევსური, თუ დარწმუნებული არ არის თავის ციმართლებზედ, ძვირად იკისრებს ცოდვა მოიკიდოს. ეს „ცოდვის მოკიდება“ მცირე მამულზედ შეიძლება, — სადავო მამული საფიცრად არა ღირსო. როცა სადავო მამული დიდია, მაშინ უმოწმოდ დავის გადაწყვეტა არ შეიძლება. როგორც ძველი სამართალი (მუხ. იბ.) ავალეზბდა მოსამართლეს სადავო მამულის ცნობას, ისე საბჭო სამართალი ბჭეებს ვალად სდებს სამამულო დავის შეგნებას და თვით მამუ-

ლის მდებარეობის და სხვა გარემოების ცოდნას. ასეც ღნდა იყოს, რადგანაც მამული დიდი რამეა კაცისათვის. ხევსურს ეს კარგად ესმის და ამიტომაც მამულის თაობაზედ დაფიციებას დიდის გამოჩენით და ამბავით იხდის.

როცა ბჭეებისგან მოდავეს ფიცი დაედება, თუ მამული დიდია, ფიცი უეჭველად დროშით უნდა მოხდეს; დროშით დაფიციება სხვა საქმეზედ არ შეიძლება, თუნდა მძიმე დანაშაულობაც იყოს. ამ დროშით დაფიციებას კომზადება უნდა. ჯერ ერთი ესა, რომ მოფიცარი უნდა გაიწმინდოს; სარტყელი და ტალავარი გაიხადოს, დილით უნაყოფო წყალში უნდა სამჯერ გაიბანოს; შეიძლება ხუცს აიხმაც გადაახდევინოს; როცა დაფიციება დაიწყება, მოფიცარმა პერანგისა და შარელის ამარა, საკინძგახსნილმა და ფეხშიშველმა დროშა ხელში უნდა დაიჭიროს და ისე შემოუაროს მამულს გარშემო.

დაფიციებას უეჭველად ბჭენი, შუამავალნი და მოწმები ესწრობიან. მოფიცარს გვერდით „ხელის მამკიდე“ უნდა ედგას. „ხელის მამკიდე“ მოფიცარის ახლო ნათესავია; ისიც უნდა გაიბანოს, როგორც თვით მოდავე, გვერდით მოუდგეს და მოდავის სიტყვა დააჭემმარიტოს, — მართალიაო, თუ არა, მრისხავდეს დროშა და ხატიო.

დიდს საქმეში „ხელის მამკიდე“ ორზედ მეტი არ შეიძლება. დროშით დაფიციების წინა დროშებმა უნდა დაიფიცონ, მაგრამ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ყველა მოწამეს არ დააფიციებენ, ფიცი დაედება იმ მოწამეს, რომლის ჩვენებას საქმის გადაწყვეტაზედ დიდი გავლენა აქვს. შემდეგ ფიცისა, მამული დამფიციებელს მოდავეს დარჩება. ბჭენი თავიანთ ხელით მიჯნებს ჩაჭყრიან, სამნებს დასმენ.

ხატში დაფიციება სულ სხვაა. ეს დაფიციება ყველა დიდ დანაშაულობაზედ შეიძლება და მიუცილებლად ხატობას უნდა მოხდეს. ხუცი ჯერ საკლავს დაუკლავს ხატს („სამაფიცრო საკლავი“) და მერე იხუცებს. განბანა და განწმენდა აქაც საჭიროა. მოფიცარი ხატზედ ხელს დაადებს და იტყვის: ამის მადლი მრისხავდეს, თუ ვსტყუვოდეო. მოფიცარს მხოლოდ ერთი „ხელის მამკიდე“ უდგია გვერდით; ხუცის გარდა ხატში ფიცის დროს არავინ არის, ბჭენიც ვერ დაესწრობიან. ხუცმა ფიცი რომ არ გაიგონოს, ყურებში თითებს დაიცობს.

არც მამულის დავა უჯდება ხევსურს იაფად. ჯერ ერთი ესა, რომ მოჩივარმა და მოპასუხემ ცხრა-ცხრა ცხვარი უნდა მისცეს თითო ბჭეს (ცხვარი ექვსი აბაზია), როცა დიდს მამულზედ არის დავა; თითო მოწამესაც „ფეხის ქალამანი“ ერგება, დღეში აბაზი. როცა სადავო მამული პატარაა, ბჭეს „საშუოდ“ ერთი ცხვარი მიეცემა, მოწმებს-კი არაფერი. მოფიცარს მოწამეს ფიცში სამი ცხვარი

მიაქვს („სამაფიცრო“); „ხელის მამკიდესაცა“ ამოდენი. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მოდავენი ბჭეებს და სამოსამართლო ამაღლას კარგად უნდა გაუმასპინძლდნენ და მაშინ დაინახავთ ხარჯის რაოდენობას... ნუ დაივიწყებთ, რომ, თუ მოდავე ფიცზედ შეაგდეს, იმასაც „სამაფიცროში“ სამი ცხვარი ეკუთვნის. გამტყუნებულმა მხარემ გამართლებულს მთელი ხარჯი და ზარალი უნდა აუყენოს, მისცეს. ზარალის დამტკიცება გამართლებულის მოდავეს საქმეა. ბჭენი და შუამაგლები აფასებენ მხოლოდ ავეჯეულობის ღირებულობას (რვალი, თოფ-იარაღი და სხვ.), რომელიც გამტყუნებულმა უნდა მისცეს გამართლებულსა.

ყველა საბჭო განაჩენს აღსრულებაში მოყვანა უნდა; უამისოდ სამართალს ძალა არ ექნებოდა. აღსრულებითი წარმოება ხევესურულის სამართლისა ისეთისავე ხასიათისა და მიმართულები-საა, როგორც თვით სამართალი.

ბჭობა, ბჭეების დასხმა კერძო პირებზედ არის დამოკიდებული; განაჩენის აღსრულებაც კერძო პირის ვალია, არა რაიმე საზოგადოებრივს ძალას აქ ხელი არა აქვს. ძველს საქართველოში, სადაც სამართალი თვით სახელმწიფოს ეჭირა ხელში, ცალკე მოხელენიც იყვნენ, რომელთაც სასამართლოს განაჩენი აღსრულებაში მოჰყავდათ.

სჯულთ-მდებელი (მუხ. დ.) პირდაპირ იხსენიებს, რომ მოსამართლეს აღმსრულებელი პირნი უნდა ჰყვანდესო; ამ პირთა იასაულები. ერქვათ და კანონიც ამ სახელს უწოდებს მათ. თუმცა კანონში ცხადად არ არის მოხსენებული, რომ იასაულს განაჩენი უნდა აღესრულებინა, მაგრამ რომ სწორედ ეს იყო მათი მოვალეობა ჩანს „დასტურ-ლამალიდგან“ (გვ. 16-17), სადაც სხვათა შორის ნაჩვენებია, თუ რამდენი წილი ერგებოდა იასაულს. იასაული ორ გვარი იყო: სასამართლო საქმეების მცოდნე და პოლიციის მოხელე. ჩვენ ვგონებთ, რომ პირველ გვარის იასაული აღსრულებდა განაჩენს.

როგორც საბა სულხან ორბელიანი ამბობს, ბოქაული იგივე იასაულია, ხოლო იასაულს ქართულად მანდატური ეწოდება. რაც უნდა იყოს, განაჩენის აღსრულება სახელმწიფო მოხელეების საქმეს შეადგენდა და ეს არის აქ ჩვენთვის საჭირო. საბჭო სამართალმა კი, როგორც შევნიშნეთ, ამ გვარი მოხელეობა არ იცის. ამის ნაცვლად მან იცის მზეველობა. ეს მზეველობა შესანიშნავი და საყურადღებო დაწესებულებაა და ამიტომაც ღირს მაზედ ვრცლად ბაასი.

ზოგიერთებს და მათ შორის ბ-ნ ა. ყაბევსაც, „ივერია“ 1881 წ. № 5, გვ. 112, წერილი „გადაკარგული მხარე“, მზეველობა, და თავდებობა ერთი და იგივე ჰგონიათ. ეს შეცდომაა. თავდებობის,

როგორც იურიდიულის დაწესებულების, ხასიათი და ბუნება სხვაა, მხევლობისა კიდევ სხვა; მათ შორის მხოლოდ გარეგანი მგზავსებაა, მეტი არაფერი. ჩვენის სამართლის შეხედულობით, თავდებობისათვის მიუცილებლად საჭიროა თავდების სრული ნება და სურვილი, — თავდებობისათვის ასრე უნდა იქმნას, რომ კაცი კაცთან თავდებად თითონ უნდა მივიდეს, თავისის ნებით... კაცმან კაცი ძალად უნდა მიიყვანოს. იმ თავდებობას ნუ ირწმუნებენა (მუხ. სლე., იხილე ეგრეთვე აღბუღას სამ., მუხ. ათ., ო.); როცა თავისი ნება არაა, მაშინ თავდებობაც არ შეიძლება.

ხევსურული მხევლობა-კი სულ სხვას თხოულობს. მხევლად ვინც გასურს, იმას დააყენებ, მხევალს არა ეკითხვის რა, იმისი ნება და სურვილი არაფერს შუაშია. ჩვენის აზრით, მხევლობა საკუთარი ხევსურული ჩვეულებაა და ძველს სამართალთან საერთო არა აქვს რა. ახ თითონ ეს მხევლობაც.

როცა საქმე გადასწყდება და განაჩენის ძალით ბრალდებულს გარდასახადი დაეკისრება; რასაკვირველია, ბრალდებულმა ეს გარდასახადი მოპირის-პირეს უნდა მისცეს; მაშინვე აძლევს კიდევ, თუ შეიძლება და სურვილი აქვს.

მაგრამ, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ბრალდებული მძლავრი კაცია ან ბეჩაევი და ამიტომ არაფერს არ აძლევს თავის მოპირის-პირეს; ერთის სიტყვით, განაჩენის აღსრულება ან არა ჰსურს, ან არ შეუძლიან. სწორედ ამ ორს შემთხვევაშია საჭირო მხევალი. მთელი სამართლის წარმოება კერძო პირის ენერგიაზედ არის დამოკიდებული; მხევლობაც ამ ენერგიის ნაყოფია, მხოლოდ საჭიროა, რომ მხევლობას ზოგიერთი იურიდიული თვისება ჰქონდეს, სახელდობრ: მხევალი უეჭველად ბჭეების თანა-დასწრებით უნდა დაიჭირონ, დაასახელონ და გარდა ამისა, მხევლის დამჭერელმა თვითიერს ბჭეს უჭრზედ ხელი უნდა მოჰკიდოს და სთქვას — თქვენის გაგონებით ვიჭერო, მოწამენი თქვენა ხართო; ამის შემდეგ მხევლობას სრული ძალა ეძლევა, იგი იურიდიულ დაწესებულებადად ხდება.

დაჭერის და დასახელების დროს მხევლის ადგილობრივ ყოფნა საჭირო არ არის; მხევლად დაყენებული შეიძლება შორს სადმე იყოს, არც-კი იცოდეს, რომ ის მხევლად დაიჭირეს. ხოლო მხევალი შორეული არ უნდა იყოს: მაგალითებრ, პირ-აქეთელს დავა რომ ჰქონდეს პირ-იქითელთან და საქმე მოუგოს, პირ-იქითელმა მხევალი პირ-იქით უნდა დაიჭიროს. თემს აქ მნიშვნელობა არა აქვს, — მხევალი შეიძლება სხვა თემისაც იყოს. მხევალი შეძლებული კაცი უნდა იყოს და ეს ადვილად მისახვედრია, რადგანაც, ჩვეულების ძალით, თითონ მხევალმა უნდა გადაიხადოს განაჩენით გადაწყვეტილი გარდასახადი.

როდის იწყობა მზევლის მოქმედება? განაჩენი შეიძლება დადგენის უმაღლვე აღსრულდეს, შეიძლება შემდეგშიაც. ამ უკანასკნელს შემთხვევაში ვადის დადებაა საჭირო. ვადას ბჭეები დასდებენ, თუმცა სიქმის მომგებსაც ნება აქვს ვადა დანიშნოს; ვადა დიდიც შეიძლება, ცოტაცა (თთვე, წელიწადი),—საქმის გარემოებაზედ ჰკიდია. თუ ვადას ვასცილდა განაჩენის აღსრულება და დავის მომგებმა დროზედ არ მიიღო კუთვნილი გარდასახადი, აი სწორედ მაშინ მზევალმა უნდა გარდაიხადოს დაკისრებული გარდასახადი. მაშასადამე, ვადამდე მზევალთან ზელი არავისა აქვს და ამით მზევალი განირჩევა თავდებისაგან: ვახტანგის სამართლის თავდებობა ვადას არ იხსენიებს; ეს ერთი მეტი საბუთიც, რომ მზევლობა და თავდებობა სულ სხვა-და სხვაა.

მზევლობას ფორმალური, გარეგანი სავალდებულო ძალა არა აქვს, მზევალს ძალას ვერავინ დაატანს, უეჭველად სამზევლო გარდასახადი უნდა გარდაიხადო, თორემ მოვალ და მე თითონ წაგართმევო. ამ საყურადღებო დაწესებულებას საფუძვლად ერთის მხრით ზნეობითი ჩვეულება აქვს აღიარებული, მეორე მხრით, ხალხის ამოღმორწმუნეობა.

პირველად ესა, რომ მზევლობაზედ უარის თქმა დიდი სირცხვილია, დიდად სათაკილო საქციელია. უთაური კაციაო, მზევლობა ვერ შესძლო, სხვა რამე მაგას რა შეეძლებაო,—ასე უკივილებენ მზევლობაზედ უარის მთქმელსა; გარდა ამისა, ვინც მზევლობაზედ უარს იტყვის, იმას მზევლის დამყენებელი თავის თემში არ გაატარებს, —რა კაცი ხარ, რომ ჩემს თემში მოხვიდე და ჭირსა და ლხინს დაესწროვო. სხვა თემიდან განდევნა და გამოკლება ხომ დიდი უბედურებაა ხევსურისათვის. ეს სირცხვილი და თემიდან განდევნა, თავისის ზედმოქმედებით და გავლენით, უფრო დიდი რამეა, ვიდრე იასაულის კარზედ მიდგომა და ოჯახის დაწიოკება; ამიტომაც სირცხვილი და თემიდან განდევნა მზევალს იძულებულს ჰხდის, თუ კი შესაძლოა მზევლობაზედ უარი არა სთქვას და გარდასახადი გაიტანოს.

მეორედ.—ზოგიერთა ამოღმორწმუნეობრივი ჩვეულება ძალას ატანს მზევალს თავისი მოვალეობა შეასრულოს. ეს ჩვეულებაა „საწყევარის აგება“, ძალის და კატის ჩამორჩობა. აი ერთის და მეორის აღწერაც, თუ კი ეს აღწერა არ შებილწავს ჩვენის მკითხველების ესთეტიურს გრძნობას.

როცა მზევალი ვადაზედ არ გადაიხდის განაჩენით გადაწყვეტილს გარდასახადს, მაშინ მზევალს სოფლის ახლო აუგებენ „საწყევარს“.

„საწყევარი“ ქვის პატარა კოშკია და ზედ კაცის გამხმარი სკორე აღეშ. მაგრამ „საწყევრის“ აგება უეჭველად საჭირო რო-
დია, — მის მაგივრად შეიძლება ძაღლისა ან კატის ჩამორჩობა მზევე-
ლის სოფლის პირად. „საწყევრის“ აგებასაც და კატა-ძაღლის ჩამორ-
ჩობასაც თავისი სათქმელი ფორმულა აქვს: „შენის სულისა და
შენის მკვდრის სულისა იყოსო“. ეს ყოველივე დიდად სათავილო
და სასირცხვილოა მზეველისათვის. ასე გასინჯეთ, ჩირქი, მთელს სო-
ფელსაც კი ეცხება. „ციცა“ ჩამოვირჩეს, „საწყევარი“ ავიგესო, — ამ
შეურაცხებას ძნელად აიტანს ამპარტავანი და თავისუფლებით გალა-
ღებული ხევსური.

კიდევ ამ მიზეზის გამო ხშირად კაცის კვლა მოხდება ხოლმე
და დაკეპნა ხომ მეტად ხშირი საქმეა. რაღა? — საწყევარ აგებუ-
ლი და ციცა-ძაღლ ჩამორჩობილი მზევალი უბედური კაცია, შესა-
ბრაღისა: ხატში არ მიესვლება, მკვდარს რიგით ვერ დამარხავს,
„სამარხს ვერ იქმს“, ტაბლას ვერ გაუკეთებს, თითონაც პირს ვერ
აიხსნის. მთელს თემში ის შერცხვენილია, ათვალწუნებული!

რასაკვირველია, ამ შერცხვენიისა და უბედურობის მოშორება
შეიძლება, — საჭიროა მხოლოდ, რომ მზევალი გაუხსნოდეს მოდავეს,
ჩააბაროს მისაცემი; უამისოდ „საწყევრისა“ და „კატა-ძაღლის“ ახს-
ნა ვერ მოხერხდება. შერიგებას, „ახსნას“ ზედ ერთვის საკლავის
დაკვლა. საკლავი იმან უნდა დაჰკლას, რომელმაც „საწყევარი“
ააგო, კატა-ძაღლი ჩამოაჩხო და სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს
სასირცხვილო ამბავი მოხდა. ჭამაზედ ორთავე მოპირის-პირენი უნდა
იყვნენ, დასწრენიე საჭირონი არიან; ჭამის შემდეგ „სული აიხსნების“,
მტრობა და შუღლი მოისპობა.

მზევალს სამზეველოში ერთი ცხვარი ერგება; მაგრამ ეს არა-
ფერი. საქმე აი რაშია: როცა მზევალი იძულებულია გარდასახადი
გაიტანოს, მაშინ თავის დამჭერელს გარდასახადს შვიდეულად ახდევინ-
ებს. ძველს დროში ერთი ოცადაც შეიძლებოდა გარდახდევინება.
თუ გამტყუებებულმა მზევალს საქმე სამზეველოდ არ გაუხდა, მაშინ
მზევალი სამზეველოს ღრთ-ორად გადაახდევინებს, ნაკლებიც შეიძ-
ლება, — ცოდო-მადლზედ არის გადახდევინება დამოკიდებული: როცა
მზევალი სამზეველოს გადაიხდას და მოპასუხე მას არაჰა აძლევს, მზე-
ვალი სხვა მზევალს დაიქერს; მეორე მზევალს მესამის დაჭერა შეუ-
ძლიან და ამით თავდება საქმე; სამის მზეველის მეტი არ შეიძლება,
თვითეულის მზეველის დაჭერაზედ ბჭენი უნდა დაესწრონ, პირველი
მზევალი მეორეს და მეორე მესამეს შვიდეულად ახდევინებს; თუ
ცოდო-მადლზედ შივარდა საქმე, ერთი-ორადაც შეიძლება.

მთელი ეს გარდასახადი ბოლოს დროს საქმის წამგებელს უნდა დააწვეს თავს, ე. ი. იმას, ვის მიზეზითაც მზევლობა დაიწყო. ბ-ნ ა. ყაზბეგს არა სჯერა მზევლობა და ეჭვის თვალით უცქერის მას. მართალია, ეხლა მზევლობა მეტად იშვიათი საქმეა. ხალხს იგი თითქმის დავიწყებული აქვს, მაგრამ ძველად კი მას ძალა ჰქონია.

ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ მზევლობას წინ აღუდგა თვით ხალხი, როგორც დამღუპველს ჩვეულებას; ამბობენ, რომ ქისტები განგებ ყიდულობდნენ მზევლობას და ხალხს ძლიერ აწუხებდნენო. აწინდელს დროში მზევლობის მაგივრად უფრო მისდევენ „საწყევარს“, ძაღლისა და კატის ჩამორჩობას. თვით მზევლობა უფრო ცოდრმაღლის გზას დაადგა, თუმცა კი ჯერ სრულად არ მოსპობილა.

განაჩენის აღსრულებას ზედ მოსდევს შერიგება, „პირად შეყრა“. მაგრამ ვიდრე ამ „პირად შეყრაზედ“ ვიტყოდეთ რასმე, ერთს იურიდიულს დაწესებულებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც (დაწესებულება) „პირად შეყრაც“ არის და დანაშაულობის გასამართლებაც. აი ეს დაწესებულებაც.

როგორც ვიცით, ხევსურეთში კეკეჩანობა მეტად ხშირი მოვლენაა და მძიმედ დაკეჩნა დიდ დანაშაულობად ითვლება. შეიძლება დაკეჩნილი (დაჭრილი) რამდენისამე ხნის შემდეგ მოკვდეს, „გაგრილდეს“, როგორც ხევსურეთში იტყვიან. ჯერ დაკეჩნა დიდი რამეა და მერე დაკეჩნილის „გაგრილება“ ხომ რა იქნება. ეს მძიმე დანაშაულობა უსისხლოდ ვერ გათავდება, თუ კი დამნაშავემ თავი არ იმართლა და არ დაიფიცა, რომ დაკეჩნილი დაკეჩნისაგან „არ გაგრილდა“.

მაშასადამე, საშუალო და საკამათო საქმე აქ ისაა, რომ დამნაშავე ამტკიცებს, დაჭრილი თავისის დღით მოკვდა, სხვა რაიმე მიზეზისაგან და არა დაკეჩნისაგან;—მკვდრის პატრონი კი იმას გაიძახის, რომ ეგ ყველაფერი ტყუილიაო და ჩემი მკვდარი დაჭრილობისაგან მოკვდაო.

ეს საეჭვო საქმე ბჭეებმა უნდა განიხილონ. საქმის თვისება ბევრს ბჭეებს თხოულობს. თითონ საქმე კი უეჭველად დამნაშავეს დაფიცებით უნდა გადაწყდეს. ეს დაფიცება, რომელიც ერთსა და იმავე დროს შერიგებაც არის, დიდის ამბოით მოხდება ხოლმე. მკვდრის პატრონმა მკვდრის საფლავზედ ტაბლა უნდა მოამზადოს დიდრონის ხინკალისა და ხავიწისაგან; ლუდიც უნდა იყოს; არაყი კი არ შეიძლება („ეშმაკების სასმელიაო“), საკლავიც არ დაიკვლის.

ბჭენი დაადგენენ, რომ ბრალდებულმა თავისის ნათესავებით დაიფიცოსო. ისინი ერთ-ერთმა ბჭემ უნდა დააფიცოს და რადგანაც ამ შემთხვევაში დაფიცება მეტად დიდი ვალია და ტვირთი, ამიტომ

ბჭენი წილს ჰყრიან და ვისაც წილი არგუნებს, ის დაათიცებს („ყურის მამჭრელი“). ბრალდებული მივა საფლავზედ; მას მიუცილებლად რვა ახლო ნათესავი უნდა მოუდგეს გვერდით. დანარჩენი ბჭენი მოერიდებიან; მკვდრის პატრონი-კი საფლავზედ სდგას. ბჭე აიღებს ხელში რაიმე ეკალს, ჯერ ბრალდებულს და მერე თითო-თითოდ იმის რვა ნათესავს ყურში ეკალს აძგერებს, სისხლს გამოუშვებს; სისხლი საფლავს ჩაეწვეთება. მკვდრის პატრონი სისხლის გამოშვების დროს ამბობს: „უმცროსიცი ხარ, ჯღანმსაც უბანდავ, ფეხის სამოსაემც უკეთებ, წყალსაც უზიდავ, ხელზედაც ემსახურები, გახდები იმის მოვალე, რომ არაფრით არ დააღონოვო“.

ეს იმას ნიშნავს, რომ თვითთელი მოფიცარი საიქიოს მკვდრის ყმა და მოსამსახურე გახდება, თუ კი ტყუილად დაიფიცებს. შემდეგ ამისა ხუცი იხუცებს, ტაბლას აკურთხებს. დაფიცებულები და მკვდრის პატრონი ლუდით სავსე თასს აიღებენ; ლუდში ჩაფხეკილი ვერცხლი ურევია. ორივე მხარე სამჯერ, რიგ-რიგობით, დალევს თასით ლუდს; მერე ტაბლას მოუსხდებიან და ბჭეებთან ერთად საფლავზედ პურსა სჭამენ. ამით თავდება შერიგება.

„ყურის მოჭრა“ ძნელი საქმეა და თავისუფლებაში აღზდილი, „ბატონობის“ უარყოფელი ხევსური არასოდეს არ იკისრებს საიქიოს ყმად ვისმე გაუხდეს. კიდეც ამიტომ ხევსური თუ კი „ყურის მოჭრას“ გაჰბედავს, მხოლოდ იმიტომ, რომ მართლად ჰრაცხს თავის თავს. ბჭეებს საბჭოში არა ერგებათ-რა; „ყურის მამჭრელი“ ბჭე კი ექვს ცხვარს მეტს იღებს ჩვეულებრივს საფასზედ,—ყურის მოჭრა დიდი ტვირთიაო.

ჩვეულებრივი „პირად შეყრა“ მიუცილებლად სავალდებულოა; უამისოდ მომტრეებს ერთიერთმანერთზედ კაი გული არა აქვთ და შეიძლება შუღლი იაფე ჩამოუფარდეთ. კიდეც ამიტომ „პირად შეყრა“ ან მაშინვე უნდა მოხდეს, როცა ბჭეები განაჩენს გამოაცხადებენ, ან ერთის თვის განმავლობაში მაინც; ამ ვადას „პირად შეყრა არ გასცდების“. როცა საქმე გადასწყდება, გამტყუნებული ბჭეებს ევედრება, ეთაყვანება — მოპირისპირეს შემარიგეთო, დამამობილეთო. სამზადიაი ლუდით ან არაყით შეშკობილი უნდა იხელოს მეთაყვანემ და როცა დიდი საქმეა, საკლავიც დაეჭირდება. ორი ბჭე წინ გაუძღვება, ერთი ერთის მხრით, მეორე მეორის მხრით და მოპირისპირეს სახლში მიიყვანენ „პირად შეყრის“ მსურველს. იქ, სახლში ბჭენი ორივე მხარეს თასით ლუდს ან არაყს დააღვინებენ სამჯერ და პირს აკოცნიებენ. თასში ვერცხლს ჩაფხეკენ, თუ არა და—აბაზს ან უხალთუნს ჩააგდებენ. ვინიცობაა, სასმელი არა აქვთ ხელად, თასით ერბოს ან თაფლს დააღვინებენ; ყოველ შემთხვევაში ჩაფ-

ბიკილი ვერცხლი, ან აბაზიანი, უხალთუნი საჭიროა; მერე ძმური ჭამა დაიწყო. რასაც ივირველია, როცა დიდი საქმეა, ჭამა-სმაც გამოჩენით უნდა მოხდეს, თუ არა და—შვირედაც შეიძლება. ჩვეულების ძალით, მეორე მხარეც უნდა ვამართოს ძმური „პირად შესაყრელი“ ნადიმი.

თუმცა ხევსურნი ძველადგანვე ქრისტიანებად ითვლებიან, მაგრამ ქრისტიანობისა თითქმის არა იციან-რა.

ამის მიზეზი ჩვენ წინადა ვუჩვენეთ. ხევის-ბერებმა, დეკანოზებმა, ხელი მოჰკიდეს მარტო საეკლესიო გარეგანს წესებს და ეს უკანასკნელნიც დაამახინჯეს, პირვანდელი მნიშვნელობა მოუსპეს. ქრისტიანობის აზრი, სწავლა ხალხისათვის გაუგებარი დარჩა. კიდევ ამიტომ საქართველოს ეკლესია სდევნიდა დეკანოზებს სწორედ ისე, როგორც კუდიანებს, მკითხავენ¹.

რადგანაც დეკანოზებმა, უმეცრების გამო, ქრისტიანობის დოგმატიური სწავლა ვერ შეიგნეს, თვით ხალხის სარწმუნოებაც კერპთაყვანისმცემლობას ვერ გასცილდა.—ხევსური ეხლაც არა ჰპალავს, რომ იმისი ყოველისფერი „კერპულია“. მაგრამ ერთი სიკეთე მაინც მოიტანეს დეკანოზებმა: ისინი ქრისტიანობის სახელით ებრძოდნენ სხვა სარწმუნოების გავლენას, „ურჯულოს“, როგორც თითონ ამბობენ, და ფეხი არ მოაკიდებინეს ხევსურეთში მაჰმადიანობას, თუმცა ეს უკანასკნელი მზად იყო ხელთ დაეჭირა ქრისტიანობის სამფლობელო. ეხლაც ხშირად ხევსური სიამაყით შეჰკვებინს ბარელ ქართლელს—ჩვენ შეგინახეთ, დაგიცვით ურჯულოთაგანაო.

საკვირველია, რომ თითონ ხევსურეთის სარწმუნოებრივი გავლენა მოუპოვებია მაჰმადიანებზედ.—ქისტები ეხლაც ლოცულობენ ხევისურების ხატებსა; ზოგს ადგილას, მაგალითად სოფ. შატილში², ხატის მოსამსახურედაც, „ხელოსნად“ ითვლებიან.

ხევსურს ღმერთი ყოვლად შემძლებელ არსებად მიაჩნია. მამა ღმერთი, რომელიც მეშვიდე ცაში სუფევს, ცოცხლების ღმერთია, ქრისტე—მკვდრებისა, სული-წმინდას თუმცა ლოცვებში იხსენიებენ,

¹ Д. Пурцеладзе, Церковные гудж., Тифлис 1881, გვ. 40—43.

² შატილი პირ-იქით ხევსურეთში სძევს, მტრის, ქისტეთის საზღვარზედ. სოფელი კლდეზეა აშენებული და მრავალის ციხეებისაგან შესდგება. ციხეები ერთიერთმანერთზედ არის გადაბმული და ქვემოთ გასავალი ქუჩები აქვს. შატილი ძველ დროს დიდს სიმაგრეს წარმოადგენდა და მტრისათვის ძიუდგოფელი იყო. შატილულები განთქმულნი არიან ვაჟაკობით. ლეჩების გამხმარი ხელები, რომლებიც კედლებზედ არის მიკრული, ამტკიცებს შატილულების ვაჟაკობას. ამათ დაამარცხეს შაილის თარეში. მაღლობის ნიშნად მარძარილოა ქვ.ზედ არის ამოჭრილი ამათი ვაჟაკური სიმხნევე.

მაგრამ არ იციან, ვინ და რა არის; სამ-პიროვანი ღმერთი — მაშა, ძე და სული წმინდა ხევსურს ვერ წარმოუდგენია; თითონ სამება ხატად, ანგელოზად სწამს და ისე ლოცულობს მას, როგორც სხვა „მაღალ ღვთის მოკარეს“. ღვთისმშობელიც ხატად მიაჩნიათ და არ იციან, რომ ის ქრისტეს დედა იყო. მეორედ მოსვლას სიტყვით ახსენებენ, არ იციან-კი როგორც მოხდება და რაში მდგომარეობს. მოციქულებში მარტო პეტრე-პავლე სწამთ და დოვლათის ანგელოზად ლოცულობენ (პირ-იქით, არხოტში).

ღმერთს „მოჩიგს“ უწოდებენ. ხევსურის წარმოდგენით, მორიგი რიგს და წესს აძლევს ქვეყნიერებას, თითონ ქვეყნის მართველობაში არ ერევა და ბრძანების მეტს არას აკეთებს. სააქაო წესი და გამგებლობა ხევსურს მორიგზედ გადაუტანია. — მორიგს ხელქვეითნი, მოსამსახურენი ჰყვანან: ეს უქანასკნელი დიდნიც არიან და პატარანიცა. ამათ ხატი ჰქვიათ. ხატი ფრთოსანი ანგელოზია, მხრებით მფრინავი, მღვთოვანი არსებაა, „ღვთის მოკარე“. თითოეულს მათგანს თავისი საკუთარი საქმე და მოვალეობა აქვს, თავისი მადლი და მრისხანე ძალა; ზოგი ბოროტის მქნელია, ზოგი კიდევ კეთილისა.

თუმცა თითოეული ანგელოზი ბუნებით კეთილი არსებაა და თუ ბოროტს უზამს ვისმე, თითონ-კი არა, არამედ იასაულის ხელით; ეს იასაული ბოროტი სულია, ეშმაკია. ყველა ანგელოზს ჰყავს რამდენიმე იასაული, ხელ-ქვეითი, მოსამსახურე. ამ მოსამსახურეთა გროვას ლაშქარს უწოდებენ. ლაშქარში ბოროტნიც ურევიათ და კეთილნიც. როცა ხატს ეპრიანება და ვინმე რასმეს დააშავებს, ლაშქრიდამ ბოროტს იასაულს გაგზავნის, თუ არა და კეთილს. ლაშქარი ხალხის მცველია, თვალ-ყურის მგდებელი და თითოეული წევრი ამ ლაშქრისა ხატის ანუ ანგელოზის მოთენეა.

საყურადღებოა, რომ ლაშქარში დედაკაცებს, ხატის „დობილებსაც“ ადგილი აქვთ. სოფელ ხახმატში, მაგალითებრ, რომელიც განთქმულია თავისი ხატით, დობილების სახელზედ საკუთარი სალოცავია აგებული; ამ სალოცავს, ნიშს, „ხელს“ უწოდებენ. ხალხის აზრით, ხახმატის ხატს, წმინდა გიორგის ქაჯეთიდამ სამი ქალი მოუყვანია — აშე, სიმენ და სამძიშარა. ეს დობილები ბავშვების სახად აქვთ წარმოდგენილი. როცა ვინმე რასმე დააშავებს, ხატი დობილებს მიუსევს და ბავშვები ავად გახდებიანო. ხალხი დიდ ძალას აკუთნებს „ხელს“. მოგეხსენებათ, რომ ხევსურეთში ხშირად ერთი თემი მეორეს მძლავრობს, სჩაგრავს. ამ რამდენისამე წლის წინად, არაბულები, ეს უძლიერესი თემი, რომელიც თითქმის ხევსურეთის მესამედს ნაწილს შეადგენს, მძლავრობდა სხვა თემთა; სამმა თემმა —

ქეთელაურებმა, გოგოჭურებმა და ალუდაურებმა ძმობა შეჰქრეს და „ხელთან“ გაიფიცნენ არაბულთა წინააღმდეგ. დობილების შიშმა, „ხელის“ რისხვამ ალაგმა არაბულების თავგასულობა, კადნიერება. — ასეთი ძალა აქვთ ხატის დობილებსა.

ჩვენ ვსთქვით, რომ ყველა ხატს თავისი საკუთარი საქმე და მოვალეობა აქვს; ხანდახან ისეც არის; რომ ზრგს ხატს დიდი ასპარეზი უპყრია, ბევრი ეკითხვის. ბუნების ყველა მოვლენა, რაც-კი კაცს არგებს ანუ აზარალებს, ხევსურს ხატის საქმედ მიაჩნია; გარდა ამისა, კაცის ყოველგვარი მოქმედება, სახეიროა იგი თუ საენო, ხატის ძალით წარმოებს. ამის გამო მთლად ხეჭსურეთი ხატების ერთს დიდს სადგურს წარმოადგენს, — თითოეულს თემს თავისი ხატი ჰყავს და ხატს კიდევ ასეთი თუ ისეთი ძალა აქვს. რადგანაც ხატებშიაც უმცროს-უფროსობაა, ბევრჯერ ერთი ხატი მეორეს ემორჩილება. მაშასადამე, ხევსურის წარმოდგენით, ქვეყნის ღვთიური გამგეობა სააქაოს წესზეა მოწყობილი — მორიგი უფროსია, მბრძანებელი: ხატები იმის მოხელენი არიან და ლაშქარი კიდევ ამათი ხელქვეითია. აი თვით უმთავრესნი ხატნიც.

პირველ ხატად გუდანის ხატი ითვლება; ეს ხატი თუმცა წმ. გიორგის სახელისაა, მაგრამ საღმთოს უწოდებენ, ალბად იმიტომ, რომ ყველაზედ უფროსი საღმთო ლაშქრის სარდალია და წინათ, როცა ხევსურეთი გაილაშქრებდა ხოლმე მტერზედ, გუდანის დროშა, „ბორაყი“ წინ მიუძღოდა ჯარსა. თუმცა მოლაშქრედ სხვა ხატებიც არიან (კოპალა კარატის-წვერისა, სოფ. ლიკოკში; გიორგი ჭადვარ-მშვენიერი, ხახმატში; სანება ცროლის-წვერისა, უკანახადოში), მაგრამ გუდანისა უპირველესად ითვლება, მტერზედ გამარჯვება უაქისოდ არ შეიძლება.

ხალხს ეხლაცა სწამს, რომ რუსის ლაშქარი დარიალაში ვერ შემოვიდოდა, გუდანის ბორაყს ვერ გაუშვარდებოდა, თითია გაიდაურს (მედროშე ხევის-ბერი იყო) რომ არ ეღალატნა და ფულით მოსყიდული ვიღაცა ყაზბეგისაგან უკან არ დაბრუნებულყო, — ხატი ლაშქრობას არა ყაბულობსო.

უპირატესობა საღმთოსი, სხვათა შორის მტკიცდება იმითაც, რომ მარტო ამ ხატს აქვს დიდი საძოვარი ადგილი, ანდაკი, რომლისგანაც საბალახო ორმოცზედ მეტი საკლავი შემოდის ხატის სასარგებლოდ. ლაშქრობის გარდა, გუდანის ხატს სხვა ძალაც მოეპოვება: იმას ევედრებიან ავადობის და საქონლის ჭირის მოსაშპობად.

ხახმატის ხატის ძალა, იმის მოქმედების ასპარეზი უფრო ფართოა: ეს ხატი როდი სჯერდება ლაშქრის სარდლობას. — მტერი,

ქურდი, მავნე ნადირი ამას ემორჩილებიან; ხალხს სწამს, რომ თუ ხახმატის ხატს სურს, მტერი ვერას იზამს, დაბრმავდება; კიდევ ამიტომ შორს მოგზაური აქ ლოცულობს; ქურდიც ვერას მოიპარავს და იქნება ქისტები, ქურდობაში განთქმულნი, ამიტომაც დაიარებიან ხახმატის ხატის სალოცავად. ამ ხატს ეშმაკზედაც ხელი მიუწვდება, — დედაკაცს მაჩილს არ მიუტევეს, ბაღს არ მოუკლავს; როცა დიაცი „დაიხელთება“, გაგიჟდება, ხახმატის ხატს ლოცულობს — ის მიშველისო. მაგრამ უფრო სათვალჩინო საქმე ამ ხატისა საქონლის და ჯოგის გამრავლებაა, საქონელი ბერწად არ დარჩებისო. თუშებსა და ფშაველებსაც-კი აქ მოჰყავთ ცხენის ჯოგი — კვიციები გაგვიმრავლეო.

წინად ხევსურეთში მეკობრობა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა; მეკობრობდნენ უფრო ქისტეთში. ნადირობა ხომ ეხლაც მუდმივი ხელობაა; სიმრავლე სხვადასხვა ნადირისა — ჯიხვისა, ფიტისა, ვაცისა, ხელს უწყობს ნადირობას. მოგვხსენებათ, რომ ძველს დროში მშვილდ-ისრიით ნადირობდნენ. ეხლაც კლდეებში ბლომად ჰპოულობენ ისრის რკინის წვერებს, შუბის მხვავსებს. ბავშვების სასროლი იარაღი ხომ მშვილდ-ისარია. მეკობარი, მონადირე ხევსურია აბა, ისე როგორ დადგებოდა, რომ ცალკე ხატი არ შეექმნა ამ ხელობისათვის და შექმნა კიდევ: თეთრი სანება ცროლის გირისა, სოფ. უჯანა-ხადოში, სწორედ მეკობრების და მონადირეების ხატია; ამ ხატს მონადირეები ძღვენს მიუტანენ ხოლმე და მეკობრები წინად დავლიდამ ნაწილს სწირავდნენ. სანებას სხვა რამეც ეკითხვის; ხევსურის აზრით, თვით მორიგე თავისის ხელით მას სისხლიანი ხმალი შემოარტყა; კიდევ ამიტომ ეს ხატი მტერს შეჰკრავს, თოფიარაღს გაულახავსო. მაგრამ არც ამით თავდება სანების ძალა — უძეოს ძეს აძლევსო, ღრუბელთა საქმეც აბარია და ორ დღეს წვიმას მოიყვანსო.

ცა-ღრუბელთა საქმე უფრო ეკითხება პირი-მზე წმ. გიორგის, მაღალ საჩალეზედ¹ მდგომს, სამ-კიბალის² მეთრსეს და მურყებოსელს. ეს ხატი სოფ. ჩირდილში სუფევს; დევი ჰყავს მონად და როცა ხალხი დააშავებს რასმე, ზღვისაკენ გაეშურება. იქ ხორხოშელას და სეტყვას აჰკიდებს გოდრებით ზურგზედ დევსა და მოჰფენს მთელს არე-მარეს. ხევსურს სეტყვა-ხორხოშელასი მეტად ეშინიან, რადგანაც ეს ღვთის და პირი-მზის რისხვა ხშირი მოვლენაა და ხალხს ბევრჯელ ულუკმა-პუროდ სტოვებს. ამისათვისაც პირი-მზე დიდს პატივ-დიდებაშია. ეს კიდევ არაფერი, — სეტყვა-ხორხოშელას ასაცი-

¹ საჩალე გორას სახელია, სადაც სეტყვა-ხორხოშელას სალოცავი ნიში სდგება.

² სამ-კიბალი ადგილის სახელია.

ლებლად მთელს ხევსურეთში ცალკე დღეებს უქმობენ: პარასკევს, შაბათს და ორშაბათს; ზოგან სხვა დღეები იციან და კვირა ხომ არ ჩაიგდება, რადგანაც ის ყოველთვის უქმე დღეა.

იენისის პირველ რიცხვებში, როცა გუთანი აეშვება, სოფელი ან საზოგადოება შეიკრიბება და დაადგენს—ესა-და-ეს დღეები ვიუქმით, რომ სეტყვამ არ გაგვაფუჭოს, ნათესი და სათიბი არ წაგვიბდესო; „მეუქმეებს“ ირჩევენ, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ არავინ დაარღვიოს დარისხება, უქმე დღე არ გასტეხოსო. დარისხების გამტეხელს „სარბიელი“, დასარბევი ერთმევა. საყურადღებოა, რომ სოფ. ხანმატში სეტყვის მოსაშორებლად ქისტების ხატს ლოცულობენ, მაისტის, ხატს. ეს ხატი ქვისა ყოფილა და კაცი იყო გამოხატული ვერცხლ-პირიანი; ღრუბელი და ბურუსი მაისტის მხრით ნოდის და სეტყვა-ხორხოშელას იჭაური ხატი მოგვაგვლენს ხოლმეო; საკლავსაც უკვლენ ამ ხატს.

პირი-მზეს საქონლის ჭირიც ეკითხება: ვისიც ჯავრი სჭირს, ისაულებს მიუსევს და საქონელს მთლად გაუქვლავს.

კარატის-წვერის კოპალას (სოფ. ლიკოკში) ძალა სულ სხვაა.—კარატის ხატის სამეუფოს ექვემდებარებიან ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები და სხვა მავნე სულნი; როგორც ქართლელს, ისე ხევსურს ყოველგვარი ეშმაკი სწამს და მავნე სული მრავალგვარი სახით ეცხადება—ღორისა, ჯოჯოსა, ხელიკისა და ბევრჯელ ბაღლის სახითაც. თუ ხევსური კლდიდამ გადავარდა, წყალში დაიჩჩო, ზვავმა დაიტანა და ან სხვა რაზე უბედურება დაემართა, მიუცილებლად ეს ყოველივე ეშმაკის საქმეა; და როცა ხევსური კარატის ხატს ლოცულობს, კოპალას იმას ევედრება, რომ მავნე სულს მაშორეო. თუ მაინცდამაინც მავნე სული არ მოშორდა და თავს განსაცდელი დაატყდა, „სულთ-მოსხმა“ საჭირო.

ეს „სულთ-მოსხმა“ ისაა, რომ მავნე სულისაგან მოკლულს ერთს თიქანს დაუკლავენ და ხორცს იქვე დაჰყრიან: ეს შენა, ეშმაკო და მკვდრის სული ჩვენაო. როცა ვისმე ზვავი დაიტანს, მკვდრის საპოვნელად კარატის დროშა საჭირო. ხალხის შეხედულობით, სადაც კარატის ხატიონი (ხატის ხელოსანი, მოსამსახურე) დროშას დააბჯენს, მკვდარიც იქა სძევს. კარატს დიდი სახელი და პატივი მოუხვეჭია მარტო ხევსურეთში-კი არა, სხვაგანაც—ეხლაც კარატის ხატიონი თუშეთში დაიარება დროშით, ხალხს ამწყალობლებს, საწირავს ჰკრეფავს; ამბობენ, წინად ხარკიც ეღვა თუშეთსა კარატის სასარგებლოდაო. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ხშირად „სულთ-მოსხმაში“ ხატიონს რამდენიმე ცხვარი ერგება.

სოფ. ატაბეში კვირია ბრძანებლობს, ხმელთ-მოურავად წო-

დებულის. თითონ ღვთის პირად არის და მხოლოდ იასაული უყენია ბტაბეში. ზღვის კიდემდე რაც კი რამე მოხდება ხმელეთზედ, „ხმელთ-მოურავის“ საქმეა, ყველაფერი ამას ეკითხვის, თითოეული ანგელოზი ამას ეკრძაღვის, ემორჩილებს. უბრალო ვინმე ხომ არ არის,—მორიგის ახლო კარავი უდგია, სამწერლო აქვს გამართული. მაგრამ კზარა. მკითხველი თითონაც ჰხედავს: რა არის და ვინ არის ხევესურის ხატი.

შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თუმცა ყველა სოფელს თავისი ხატი ჰყავს, მაგრამ ყველგან თავი ხატი როდია,—ბევრგან ხატის სახელით მისი იასაული ბრძანებლობს: რაც ხატი უფრო განთქმულია და სახელოვანი, იძღენად უფრო ბევრი იასაული ჰყავს და მამასა-დაშე სალოცავიც მრავალი აქვს. ასე რომ მთელი ხევესურეთი ხატე-ბით და იასაულებით სავსეა. ხატის სახელზედ და ძლიერებაზედ არის დამოკიდებული ხატიონის პატივ-დიდება: ძლიერის ხატის „ხე-ლოსანთა“ უფრო თავი მოაქვთ, მედიდურობენ, სალამი პირველად ჩვენ მოგვეცითო. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დიდ-პატარაობა მართლ-მადიდებელ ქართლშიც იციან.

რადგანაც ხევესურს სულის უკვდაობა სწამს, ამიტომ საიქიოც მიაჩნია. საიქიოს სულეთს უწოდებს. ხალხმა სულეთზედ რაც-კი რა-მე იცის, სულ მესულთნეებისაგან იცის და მესულთნეების ხე-ლობა ხომ სულებთან ყოფნაა და მათთან ბაასი. ხანდახან უბრალო კა-ციც სიზმარში თითო-ოროლა რამეს შეიტყობს ხოლმე საიქიოზედ. სა-ზოგადოდ რომ ითქვას, ხევესურის სულეთი მოკლებულია ფანტაზიის გავლენას და უფრო სააქაოს ფერი და მიმართულება ეტყობა. ასეც უნდა იყოს. რადგანაც ხევესური განყენებულს მსჯელობას შეჩვეული არ არის და მისი გონება მარტო ახლო საგნებს თუ მისწვდება.

აი თვით სულეთის სურათიც: სააქაოს და საიქიოს შუა ბეწვის ხილია გაბმული და ეს ხილი კიდევ ძნელად გასაავალია,—

სულეთში ბეწვის ხილი ძე,
გასაავალადა ძნელია...

ამ ხიდის ყურზედ ბქენი სხედან,—

ბქენი სხენ ხიდის პირზედა,
რომლნიც მართლისა მთქმელია.

ბქეებმა უნდა გაასამართლონ საიქიოს მიმავალი. ცოდვილი ხილზედ ვერ გავა და კუპრიან მდინარეში უნდა ჩავარდეს,—

ჯანაბეთს, ჯოჯოხეთშია
კუპრის ამოდის ალები.

ამ კუპრიანს მდინარეს, თუ გნებავთ, ტბას გასაველი ნაპირები
არა აქვს და ცოდვილი საუკუნოდ სტურავს და ირჩობა კუპრში,
ეწვალება, იტანჯება. ეს დაუსრულებელი კუპრში ცურაობა კიდევ
არაფერი, საშინელება უფრო ისაა, რომ ბეწვის ხილთან ქვაბები
დგას ცხელის წყლითა, —

ქვაბებ შამოდგეს ცეცხლზედა,
დულსა, გადმოდის ცხელია,
ცოდვილს მთქმელს პირზედ დაასხეს,
ნახ როგორ გემნიერია,
რად არა სწორადა სძრახდი,
ენა დაგიხვდა მტერია.

ჯოჯოხეთში მოთავსებულნი არიან ყველა ცოდვილნი. ზო-
გიერთს მათგანს განსაკუთრებული სასჯელიც ადევს კისრად. მა-
გალითებრ, —

ძმას, ძმისა მოლაღატესა,
ქანჭახში უდგას ფეხია...
ობოლთ შვილთ დედას დამწირავს
უბეს ჩაუსხნენ გველნია¹ —
შვილებ მოსწირე წვრილები,
ეგ რა რიგ საყვანელია!..
სამან-სამზღერისა ამრევსა
ზურგზე აჰკიდეს კლდენია —
უგ ვინდა, ჯერ ეგა ზიდნი,
მერმ ჯოჯოხეთი ბნელია!..

თვით ჯოჯოხეთი ოთხ-კუთხიანი სადგურია, კარებ დაკეტილი
და სიბნელით მოცული, —

კარები ჯოჯოხეთისა
გასაღებელად ძნელია,
ოთხი-კუთხია ჯოჯოხეთ,
სამყოფინარო ბნელია.

¹ ჩვეულება ნებას არ აძლევს ქვრივს-დიაცს, რომელსაც ობლები დარჩა,
მეტადრე ვაჟიშვილები, მეორედ გათხოვდეს, —

„ობლების ამტირებელსა
საჯდომ ასწავლეს ბნელია,
სამზეოს უსამართლოვო
საფერი მოგხვდა შენია“.

ობლების დამზრდელისათვის კი ცხენია მზად საიქიოს, —

— „ობოლთა შვილთა დამზდელსა
გზას მიაგებეს ცხენია“.

როგორც ვუჩვენეთ, განსჯა ბჭეების საქმეა. მხოლოდ იმათ-
უნდა. მიუსაჯონ ცოდვილს ჯოჯოხეთი და თან სასტიკი და დაუნდო-
ბელი ეშმაკი გააყოლონ,—

ბჭენი დამსხდარან ხიდის ყურ,
შუაშია ეჯდა მღვდელია...
— რაი გაპბჭევით, ბჭეებო,
რაისანი ხართ მთქმელია.
— ჯოჯოხეთისკენ წავალეთ,
რომელნიც ცოდვის მქნელია,
ეშმაკსა გავაყოლიდით,
რომელიც უფრო შტერია!...

სულ სხვაა სამოთხე. ხევსურის წარმოდგენით სამოთხე დიდ-
ციხეა, მრავალსართულიანი: მზის სხივები და ნათელი აბრწყინვებენ
ამ უზარმაზარს სადგურს, რომელსაც ალვის ხე უდგია და ბოლოზედ
ვეშა წყარო ჩამოუდის,—

თეთრი ციხე დგა სულეთში,
წვერი ცას მიმდინარია,
მაგანეთ (მოშორებით) ალვის ხეი დგას,
ცაში მიუდის წვერია;
ბოლოზედ ვეშა წყარო დის,
სასმელად გემნიერია;
მადლიან მივლენ. წყალსა სმენ,
ცოდვიან მწყურვიელნია.

ხევსურს წყარო დიდ საჭიროებად მიაჩნია და ყურადღებასაც
აქცევს იმის გაკეთებას და გამშენიერებას. ხშირად შეხვდებით, რომ
წყაროსთან სპილენძის თასი სძევს მკედრის მოსახსენებლად. ხალხს
წარმოდგენილი აქვს, რომ მიცვალებულს საიქიოს სმა უნდა და ხევ-
სურეთის წყაროზედ „გემნიერი“, მეტადრე ზაფხულში, აბა სხვა რა-
ღა იქნება. ტყუილად-კი არ ათქმევიანებს ხევსურს სახელოვანი პოეტი:

„მე მირჩენია შავი კლდე,
თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც
გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი“...

დიალ, ეს „ბროლი წყლიანი ჩანჩქარი“ ხევსურს ისე გატაცე-
ბით უყვარს, რომ მკედრის სულისათვისაც-კი წყაროს აკურთხები-
ნებს ხოლმე და დიდის ამბით ამ შემთხვევაში ტაბლასაც ამზადებს.

ციხის სართულებში მადლიანები ცხოვრობენ. მადლიანებშიაც განსხვავებაა, — თავ-მადლიანები“ ზემოთ არიან, უხვად სტკებებიან მზის შუქით; ცოტად მადლიანები ქვემოთ იმყოფებიან; სულ თავში, ციხის წვერის აივნებზედ, დახტიან უმანკო ბავშვები, მუხლამდე ბამბაში გახვეულნი, —

ზედ ილტვის წვრილი ყმაწვილი
დედ-მამის მონატურია,
ზოგი იცნობდა დედასა,
ზოგ მამის უცნაურია...

სულეთში მადლიანები მხიარულობენ, თამაშობენ, ზუზმობენ. თუმცა „მადლიან ძივლენ წყალსა სმენ, ცოდვიან მწყურვიელნია“, მაგრამ ჭამა-კი არ შეიძლება; — საჭმელი მიუვათ, კვირაობით თვით ღეთისაგან სუფრაც ეძლევათ (ამის გამო კვირაობით ხევსური მკვდარს რიგს არ გადაუხდის, უამისოდაც ღეთის სუფრა აქვსო) და ეს მარტო იმიტომ, რომ ცქერით დასტკებენ, სურვილი დააკმაყოფილონ. მკვდარს სხვა რამეც ესაჭიროება სულეთში — თამბაქო, კარგი ცეცხლი. ამისათვის თამბაქოს უკურთხებებს ხოლმე მიცვალებულს და ცეცხლსაც სახელს დასდებენ; თითქმის რაც-კი რამე კარგი საჭმელი გაკეთდება ოჯახში, შეიძლება ყველას მიცვალებულის „სახელი დაედოს“, თუმცა საზოგადოდ ხევსურს არა სწამს, სულეთში ჭამა იყოს. მაგრამ ის-კი სჯერა, რომ სულს საჭმელი მიუვა და გაეხარდება.

ზოგიერთა ადგილას დარწმუნებულნი არიან, რომ სასუფეთოდ მაინც იქ მიმავალისათვის საგძალია საჭირო. ამით აიხსნება ერთი საყურადღებო ჩვეულება: დამარხვის დროს მიცვალებულს თავით საფლაგში ჩაუწყობენ ხოლმე სამს პატარა კვერს, გზაში მოუნდებაო, ან სხვას ვისმე მშიერს აქმევსო.

გარდა ამისა, ხევსურის წარმოდგენით, მიცვალებული, მთელი წლის განმავლობაში, კავშირს არა სწყვეტს თავის ოჯახთან. — ყოველ იმ დღეს, როცა იგი სააქაოს განშორდა, თავის სახლში დაიარება, თვალყურს ადევნებს მას, უვლის. ამიტომაც საგძალია საჭირო. ამ რწმენაზეა დამყარებული „ტალავარის აბერტყა“ და აი თვით ეს „აბერტყაც“. მთელის წლის განმავლობაში მიცვალებულის ტალავარი, იარაღი და სხვა რამე, რაც-კი მას მოეპოვებოდა, სახლის ცალკე კუთხეში აწყვია; ყველა ამას დაალოცვინებენ, სახელს დასდებენ, სანთელს დაუთებენ, საჭმელს დაუდგმენ და სიკვდილის დღეს სტირიან. ეს ტირილი „წელთავებამდე“, წლის თავამდე უნდა გაგრძელდეს და მხოლოდ მერე ტალავარი „აბერტყება“, „აიტანე-

ბა“, — ტალავარს და სხვა სამკაულობას ზოგს დედის ძმებს მისცემენ, ზოგს კიდევ ტოლ-ამხანაგებს და სხვებს ვისმე.

პირ-იქით ხევსურეთში, ჩვეულების ძალით, ტალავარის ატანის დროს ტალავარზედ უნდა ეწყოს სამი კვერი და ყველი. კვერები სიკვდილის დღეს უნდა გამოაცხონ. ამ ჩვეულებას რომ დააკვირდეს მკითხველი, ადვილად შეიგნებს, რომ ხევსურის მკვდარს საგძალი ეპირვება, სმა-ჭამა უნდა სულეთის ციხეში თუ არა, მოგზაურობის დროს მაინც, როცა იგი თავის სახლში დაიარება. „წელთავების“ შემდეგ, როცა ტალავარი აიბერტყება, მიცვალებული სააქაოს აღარ მოდის და საგძალიც საჭირო არ არის.

როგორც ქართლში, ისე აქ ეგრეთ წოდებულს მკვდრის რიგს დიდს მნიშვნელობას აძლევენ; თუ მკვდარს რიგი არ შეუსრულეს, დიდი ცოდვაა. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ხევსურს სული განსაკუთრებულ სულიერ არსებად როდი მიიჩნია, — საიქიოსაც სულს ხორციელობა ეტყობა, ცოტათ მაინც ხორციელი მოთხოვნილება აქვს. ყველა აქაური წესი და რიგი სულს საიქიოს მიუვა და ამიტომაც რიგის გადაუხდელად დამარხვა არ შეიძლებაო. ეს ქვეყნიური, სააქაო შეხედულობა სულის ყოფნაზედ, არსებაზედ ხალხს/ისე ღრმად სწამს, რომ სიმბოლური და მარხვაც-კი შეუქმნია და დაუწესებია. ეს ჩვეულება მეტად საყურადღებოა და ცხნად გვიხატავს ხალხის აზრს და მსჯელობას სულის ბუნებაზედ.

როცა ვინმე მარტო-ხელია და დამმარხავი არაფერია ჰყავს ან იმედი არა აქვს, რომ მას რიგით დამარხავენ, მაშინ იგი სიცოცხლითვე და იმარხება ხოლმე, თითონ გადიხდის დამარხვის რიგს: მოემზადება ყველაფრით, რაც-კი დამარხვისათვის საჭიროა, შეჭკრებს სოფელს, ნათესაობას და დამარხვის სმა-ჭამაზედ მოუწოდებს; ეს სმა-ჭამა სწორედ ისე უნდა მოხდეს, როგორც ნამდვილი მიცვალებულის დასაფლავების დროს. თითონ ცოცხალ-მკვდარი, სიმბოლური მიცვალებული, რიგის ასრულების დროს, კარების უკან დამალულია, თვალები აქვს დახუჭვილი, ვითომ მკვდარი ვარო, და ყურს ადევნებს — როგორ შეინდობენ, მოიხსენიებენ. სიმბოლურად დამარხული მერე თუმცა მოკვდეს, არას ინალვლებს, — ჩემს სულს საიქიოს სასმელ-საჭმელი მიუვაო.

ხევსურის სააქაო შეხედულობას სულზედ უფრო აშკარად ამტკიცებს „სულიც ცხენობა“. ხალხის წარმოდგენით, მკვდრისათვის, მეტადრე თუ ეს მკვდარი კარგი და თვალ-საჩინო ვაჟკაცი იყო, სულეთში ცხენი მიუცილებლად საჭიროა; ამ ცხენზედ ზის ვაჟკაცი და საიქიოსკენ გამგზავრებულებს გზაში მიეგებება, სააქაოს ამბავს მოჰკითხავს. ვერ ისევ დამარხვის დროს, ვაჟკაცს, თუ ცხენი ჰყავს,

-შეკმაზული ცხენი გვერდით უნდა მოუყენონ; ხურჯინის ცალ მხარეში ჩაუდებენ ტიკით კარას, მეორე მხარეში ჩაუწყობენ ქადებს. გარდა ამისა, მკვდარს ზედ აწყვია თავისი იარაღი — ხმალი, ხანჯალი, თოფი; გაკეთებული აქვს აშურმა, სასწრაფო, ერთის სიტყვით, შეიარაღებულია, როგორც შორს წამსვლელი მგზავრი.

რაც რამ მეტი ტალავარი აქვს, უნაგირზედ დაუწყობენ. როცა ცხენდარს სასაფლაოსკენ წაიღებენ, შეკმაზული ცხენი უკან უნდა დააბრუნონ. რადგანაც ცხენი ცოლს უჭირავს, ამიტომ იმანვე სამჯერ უნდა დაჰკრას მათრახი ცხენს და ხმა-მალლა სთქვას: „შენამც გეხმარებისა, შენიმც საფერხე იქნებისა, ტალავარიმც შენიმც სახმარი იქნებისა, ძალითამც ნურავინ გამოგეკიდებისაო“.

მაგრამ თუ კარგს ვაუკაცს სიცოცხლეში ცხენი არ დარჩა, იმის სულს ცხენი მაინც უნდა უშოვნონ. ცოლი ან სხვა ვინმე ახლო ნათესავი სიზმარში ნახავს — მკვდარი სჩიოდა სულეთში ამხანაგებს სულების მიგვებებაში უკან ჩამოვრჩი, რადგანაც ცხენი არა მყვანდაო. — მაშინ სულს ცხენს უყიდრან და აჩუქებენ მკვდრის მეგობარს, ახლო ნათესავს.

შეიძლება სიცოცხლეში პატრონმა თავისი ცხენი ვისმე უანდერძოს, ვისთვისაც „ეჩქერების“. ჩვეულების ძალით, ცხენის „ჩქერება“ წინად უფრო დედის ძმას ეკუთვნის, შემდეგ მამიდგან ბიძაშვილს, იმის ქვემოთ ცოლელს, დისწულებს. ძმობილსაც შეიძლება ეანდერძოს, მაგრამ, როცა „სულის ცხენობა“ ანდერძით არა წესდება და სიზმრის ნახვის შედეგია, მაშინ ცხენს ბევრ წილად მეგობარს და ძმობილს მისცემენ, რომელნიც კარგნი მხედარნი არიან და ცხენის ხელიც კარგად იციან. რასაკვირველია, სულის ცხენი ყველაფრით შეკმაზული უნდა იყოს. თოფრიდამ დაწყობილი უკანასკნელ სამკაულსა და იარაღამდე.

რადგანაც სულის ცხენი „სახელ-დადებულია“, სულეთში მიცვალბულს ეხმარების, ამიტომ კარგად მოვლა და სილაღე ეჭირვება; ბარგი ან ტვირთი არ აეკიდება, მარტო საჯდომად უნდა იხმარონ; ცხენი რომ გახდეს ჯაფისაგან, მიცვალბული დაღონდება — გამხდარი ტაიჭი რად მეპრიანება, ტოლ-ამხანაგებს ხომ უკან ჩამოვრჩებო. ვინიცობაა, სულის ცხენს სილაღე მოაკლდა, მკვდრის პატრონი გამოართმევს მას მხედარსა — მკვდარი დააღონეო.

სულის ცხენის გაყიდვა შეიძლება, ისიც მაშინ, როცა ეს ლალი ცხოველი დაბერდება და უეჭველად გაყიდვისათვის მკვდრის პატრონის ნება-რთვაა საჭირო; მყიდველი ანაირს ცხენში ნახევარ ფასს მისცემს — მთელი ფასი რად მოგცე, როცა საიჭიოს ცხენი მე არ დამრჩება და მიცვალბული წამართმევსო. ეს კიდევ არაფერი.

გამყიდველმა მიცვალებულის სულის სახეიროდ ერთი თასი უნდა შესწიროს ხატსა. რადგანაც დაბერებამდე სულის ცხენის გაყიდვა დიდად სათაკილოა, ამიტომ თუ ვინმემ ეს სათაკილო საქმე იკისრა, სულს სხვა ცხენი უნდა უყიდოს, — აბა საიქიოს უცხენოდ ხომ არ იქნება თავ-მომწონე მამროვანი!

მკითხველი თითონაც ჰხედავს, რომ ხევსურის მკვდარს საიქიოს ბუერი ისეთი რამე ესაჭიროება, რომელიც სააქაოსაც დიად რომ საჭიროა ცოცხალის ადამიანისათვის — შშვენიერი ანკარა წყარო, კარგი ცეცხლი, თუთუნი, საგზაოდ საგძალი, შეკმაზული ტაიჭი.

თვით სულეთიც, როგორც ვნახეთ, ხომ ისეთი სამყოფია, რომელსაც სააქაოს ფერი სდევს. სხვა მიზეზებს რომ თავი დავანებოთ, გონების სილატაკეს და ფანტაზიის სიღარიბეს საიქიო სააქაოს ფორმაზედ მოუწყვია. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენაა ყველა ხალხის ცხოვრებაში და ეგრეთ წოდებულს სოციოლოგიურს კანონს ექვემდებარება. ჩვენ ამ კანონის განმარტებას არ შევუდგებით და მხოლოდ დავძენთ, რომ, რაც უნდა იყოს, ხევსურსაც საიქიო უფრო დიდ რამედ მიაჩნია, მას სააქაოზედ მაღლა აყენებს. ამის გამო სიკვდილი უწმინდურობაა; ხალხის აზრით სული წმინდაა და სხეული, მძოვრი, მყრალი და უწმინდური ნივთიერებაა. კიდევ ამიტომ ხევსური სულთ-მობრძავს არასოდეს სახლში სულს არ დააღევიანებს.

რაც უნდა ცივი და ყინვიანი ზამთარი იყოს, მომაკვდავი კარზედ უნდა გაიყვანოს და ცის ქვეშ განუტყევებინოს სული, — სახლი გაიბილწებო; თუ მკვდარს სახლში ამოხდა სული, მაშინ სახლში მიუცილებლად უნდა განათლოს, ისხუროს. რადგანაც სხეული და თვით სიკვდილი უწმინდურებაა, ხატიონი ანუ ხატის მოსამსახურენი მიცვალებულს ვერ მიეკარებიან, სამძიბრის, „ჭირის წყენის“ დროს მიცვალებულის ბანზედ არ ავლენ და ჭირისუფალს შორიდან მიუსამძიბრებენ; მკვდრის ტალავრის შეხება ხომ „ტალავრის აბერტყამდე“ არა ვზით არ შეუძლიანთ.

თუ რა შორს უწევს ხსენებული უწმინდურობა, ჩანს ნარევიობიდან. ნარევიები ისინი არიან, რომელთაც მკვდარი უნდა მოამზადონ დასამარხავად. რადგანაც სხეული უწმინდურია, ამიტომ იგი უნდა გაიბანოს, განიწმინდოს; მამროვანს თავი უნდა მოჰპარსონ და უექველად ის ალაგაცა, საცა სარცხენელი ასო ებია (ამ ალაგის მოპარსვა მდებროვან მიცვალებულისათვისაც საჭიროა, მხოლოდ მოპარსვა ნარევის-ქალის მოვალეობაა); გარდა ამისა, მკვდარს საიქიოს შესაფერი ტანისამოსი უნდა. ამიტომაც ნარევიები ჩააცმევენ ჯერ თეთრს პერანგს, მერე ლურჯს ან ჭრელს და ზემოთ წითელს; ამ სამ პერანგში გახვეულს „სკლატიც“ ეჭირება (სკლატი წითელი მაუღია ან

სხვა რამე წითელი ფარჩა). როგორც ჰხედავთ, საიქიოს წასვლას დიდი სისუფთავე, განწმენდა უნდა და ეს იმიტომ, რომ სულეთში წმინდა სადგურია, ყროლი სხეული უსუფთაოდ ხომ ვერ წარსდგება ბჭეების წინაშე!

ნარევებად უფრო ახალგაზდები და უცოლოები არიან, რადგანაც მათ შორის მადლიანები ხშირად მოიპოვებიან, — მადლიანებს უფრო ცოტად მიეკარება უწმინდურება და თვით ნარევობა ხომ არაა წმინდა ხელობა. ნარევეები ექვს დღეს და ბევრჯელ მეტსაც თავიანთ სახლში ვერ წავლენ; ივინი შერეულნი არიან, უწმინდურობით გასვრილნი და იქ უნდა იმყოფებოდნენ, სადაც მკვდარი გაპბანეს, სასულეთოდ მოამზადეს. იმათ, სახლში დაბრუნებამდე, ყოველ დღე წყალში უნდა იბანონ, განიწმინდონ; საქმელს ჯალაბობა უზიდავს, ან მეზობლები; ხალხი ერიდება როგორც უწმინდურებს და მხოლოდ სახლში დაბრუნების შემდეგ ნარევებსაც ეცლება უწმინდურობა. ასე სწამს ხევსურს სხეულის უწმინდურობა და ასე დიდ ცოდვად მიაჩნია სიკვდილი, ეს აუცილებელი ხვედრი ყველა მომაკვდავის არსებისა.

რაც უნდა კარგი და მიშბიდველი სამყოფინარო იყოს სულეთი, ხევსურისათვის სიკვდილი ძაინც დიდი უბედურებაა. ვიდრე მკვდარი არ დაიბარხება, მთელი სოფელი ჰგლოვობს, საქმეს და მუშაობას თავს ანებებს. გარდა ამისა, სამძიმარი, „ჭირის წყენა“ ყველასათვის სავალდებულოა, — დიდმა და პატარამ, მამროვნმა თუ მდედროვნამა ჭირისუფალს უექველად უნდა მიუსამძიმროს. სათემო დამოკიდებულებას და საგვარეულო ნათესაობას ვინ-ლა იტყვის, აქ უბრალო ნაცნობებიც-კი მჭიდრო კავშირით არიან შეერთებულნი. ძველებური ძმობა და მეგობრობა აქ-ლამა შენახული.

როცა ხევსურნი ერთურთს შეეყრებიან, ათ თუნდა გზაში, სალამის მიცემა დიდის ამბით იციან: ჯერ ერთი მოჰყვება და წყნარად, დინჯად, დაწვრილებით ყველას და ყველაფერს გამოჰკითხავს და მოუკითხავს ნაცნობს; ჯალაბობიდან დაიწყობს, საქონელზედ და ჯორაკაზედ გადავა, შემდეგ სარჩო-საბადებელს მოიხსენიებს, სოფლის ავსა და კარგს შეიტყობს. მერე მეორეს რიგია, იმანაც ჯეროვანად უნდა სალამი მისცეს თავის მეგობარს.

სახოგადოდ, სალამის მიტანას დიდს ყურადღებას აქცევენ და ჩვენებურს მოკლესა და ხშირად უგულო „გამარჯობა — გაგიმარჯოს“ არა სჯერდებიან.

„ჭირის წყენა“ ხომ უფრო დიდის ამბით იციან: მამროვნები შეიკრიბებიან ერთად, ერთი-რომანერთს ზურგს უკან მოუდგებიან და ესრე ჩამწყკრივებულნი ბანიდამ „ჭირს უწყენენ“ ჭირისუფალსა. ჰირ-

ზედ ტალავრის კალთა აქეთ აფარებული და ქვითინებენ. თუ არა ქვითინი, „ხმით ტირილი“ მამროვანს არ შეუძლიან, ჩვეულება უკრძალავს.

აი თვით „ჭირის წყენის“ ფორმულაც, რომელიც ყველამ ზეპირად იცის: „ვერ გექნ ჩემ თავი, მანამდე ეგეთას გნახევდ; ბრალ არასა, დიდ ღმერთის წყენა არასა ჩემ კვალ კაცი მზეს იარებოდას, სიტყვას გეტყოდას... შინით ნუ დამილიოს ღმერთმ, თუ რაგორც თავის ძმისა, ვერ არ მწყინდას თქვენ ავი-დ მარხე, თქვენი ძმის ჩათარება, ჩემ მზეს სიარული; გამოსადეგნი ხართ ძმისა, მამი-ძმისა; კაი ცხენ-აბჯარ დაგცდებისთ, მამანი საბატონონი ხართ, დედანი სადედუფლონი; თქვენის თესლისა და ჯილაგისანი; ლაშქარს, ბქეხვის-ბერს დააკლდებით; ბეჩაობა არ გეთქმისთ, არც გეკადრებისთ; ნარჩოშს ღმერთმა ჯვარ დაგწერასთ, იმის სული გიცხონასთ, ლხინის ლოცაგ მოგიყენასთ; ვისაც თქვენდ გეესვენებოდას (ესიამოვნებოდაო), იმას ნუ დაულიოს“. როცა ჭირისუფალი მოისმენს ყოველსავე ამას, მაშინ მწუხრის ხმით პასუხად უგებს:

„შენის შტრისაი, დუშმანისა, რაის კაისად ვორთ? — შეგბრალდებით ბეჩაობით, მზე დაგვცდების, კაცთ სწორი; შლონენ ვიყვენით ძმისაი, მამის-ძმისაი; თქვენ რო თას დაილოცავთ, მაგის ფასნიც არ ვორთ; დიდ მადლი, დიდ გახარებაი ჩვენ ჩათარება; ღმერთმა საწყენ ნურა მიმიცის შენ თავს, ღმერთმა ცის წვიმანი ნუ დაგცას... დასხედით, ჩამასხედით“.

როგორც შეგნიშნეთ, კაცებმა ტირილი არ იციან და ეს ტირილი დიდად სასირცხვილო საქციელიც არის; გარდა ამისა, ჩვეულება სასტიკად უკრძალავს ცოლ-ქმარს შვილები და ერთი-ერთმანერთი იტირონ-სიკვდილის დროს. ხევსურის აზრით, ცოლ-შვილის დატირება სულის სიმდაბლეა და სისუსტე.

ეს შეხედულობა ხევსურს სიკვდილზედაც-კი გადაუტანია, მას ვაჟკაცის სიკვდილი სათაკილოდ მიაჩნია, თითქოს სიკვდილისათვის სულ ერთი არ იყოს, ვაჟკაცია იმის მსხვერპლი, თუ სხვა ვინმე. საყურადღებოა, რომ ვაჟკაცს კიდევ უკიჟინებენ სიკვდილს — არა ჯცხვნის, რადა მოკვდიო! ზოგიერთს ადგილას, პირ-აქეთ ხევსურეთში, შეაფურთხებენ კიდევ — ფუი შენ ვაჟკაცობასაო¹.

ხმით ანუ ზარით ტირილი დიაცების საქმეა და ამ საქმეში ისინი ძლიერ გავარჯიშებულნიც არიან. ტირილში მოისმის მკვდრის ქება, მისი ჯალაბობის ბეჩაობა. ხმით მატირალი ერთია, სხვები ბანს აძ-

¹ ეს ჩვეულება პირ-იქით გვიამბეს; პირ-აქეთელები-კი არა კისრულობენ, ტყუილიაო. საზოგადოდ, პირ-იქითელები და პირ-აქეთელები ბევრჯერ ერთმანერთს დასცინიან — წუნტნი, ყროლნი არიანო.

ლევენ; როცა გამოჩენილი მცხედარია, ხმით მატირალი ოცხედ მეტიც გამოიცვლება. ეს ადვილად შესაძლისი როდია, თვითუფს მატირალს „სახმითმოტიროლო“ უნდა მიეცეს; თითო დიდი პური, ნახევარი ან ერთი ჩარეკი ერბო და ნაჭერი ყველი; წინათ მარილსა და მატყლსაც აძლევდნენ. მაშ ხმით ტირილი დიდი სარტა ყოფილა და კიდევ ამიტომ ხევსურელი. დიაცი გულ-მოდგინებით სწავლობს ამ ხელობას.

არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ წინათ, ჩვეულების ძალით, ყველა სამძიმრად მოსულს მდედროვანს აძლევდნენ თითო კვერს და გირვანქის წონა ერბოს. თუმცა გარეშე ჭირის მწყენელებს ეხლა ამას აღარ აძლევენ, მაგრამ ახლო ნათესავებს ეხლაც ეძლევათ ეს გარდასახადი („წილბურკვი“). პირ-იქით ხევსურეთში მკვდრის დასაფლავება მალე იციან, იმავე დღეს, როცა მკვდარი სულს დაღვეს, და ამიტომ რიგის გადახდას სხვა დროისათვის გადასდებენ ხოლმე; „სახმითმოტიროლოსაც“ პირველი რიგის დღეს, „კრემლობის“ დღეს აძლევენ, პირ-აქეთ დამარხვა ორ-სამ დღესაც გასტანს, რადგან დასაფლავება რიგის გადაუხდელად არ შეიძლება და რიგს კიდევ სასმელ-საჭმელის მომზადება უნდა.

შენიშნავთ მკიანველისათვის, რომ ტირილის დროს მკვდრის ტალავარი და თოფ იარაღი მამტირლებს წინ უწყევიათ; ხმით მატირალი აიღებს ხმალს, დაშნას ან სხვა რამეს, დაიბჯენს და ისე მოსთქვამს.

რადგანაც ურთიერთობა სოფლის მცხოვრებლებს შორის მკვიდროკაჟშირს შეადგენს და ერთის ოჯახის უბედურება სხვებს საერთო უბედურებად მიაჩნიათ, ამიტომ მთელმა სოფელმა მიუტოვებლად უნდა იტიროს მკვდარი. როცა ნარევები მკვდარს წაიღებენ, იგი სოფლის პირად უნდა დაასვენონ და სწორედ ამ სოფლის პირად მოხდება ხოლმე საერთო ტირილი; ამ ტირილის შემდეგ თუმცა სოფელი მკვდარს საფლავამდე მიაცილებს, მაგრამ დასაფლავებას-კი ვერ დაესწრობა, — დასაფლავება ნარევების საქმეა: სხვა ვინმე მკვდარს არ მიეკარება.

როგორც ვსთქვით, ხევსურს სიკვდილი საზოგადო ხარალი ჰგონია და კიდევ ამ აზრზედ დაუფუძნებია სხვადასხვა საყურადღებო ჩვეულება. პირველად ესა, რომ ტირილის დროს (პირ-იქით ხევსურეთში) თითოეული მდედროვანი მკვდრის ოჯახში შიიტანს ხოლმე სამ კვერსა და ნაჭერ ყველს; ეს ულუფა სხვა თემის დედაკაცებისა და ნარევების საქმელია. მეორედ „კრემლობა დღეს“ (პირველი დაშარხი რიგია), ყველა ოჯახმა ერთი ლიტრა ჭერი უნდა შეაწიოს ჭირისუფალს. ამ შესაწევრის მისაღებად ორი კაცია ამორჩეული:

იმათ უნდა არწყონ ქერო, რომ ლიტრას არა დააკლდეს რა. ვინც შესაწევარს არ მოიტანს, იმას ძალად წაართმევენ. ნათესავეებისათვის ეს შესაწევარი სულ სხვაა: თუ თითომ არა, ორმა კომლმა მაინც ერთი ქვაბი არაყი უნდა გამოუხადოს მკვდრის ოჯახს; რასაკვირველია, არაყის მაგივრად ლუდიც შეიძლება.

თეში ხომ შემაერთებელი ძალაა, მაგრამ ამ ძალაზედ უფრო მეტი მნიშვნელობა სხვა კავშირსა აქვს, სახელდობრ მე შაბათეთობას.

ყველა ნათესავი მეშიედე თაობამდე მეშაბათეთა. თუ რომელიმე მეშაბათე რიგში არ მივიდა ჭირისუფალთან, ლუდი ან არაყი არ უდუღა, მაშინ მეშაბათეთობა ისპობა. ამ ნათესაობის „გადაღახვა არ შეიძლება“ და თუ მოხდა, სასირცხვილო და საუბედურო საქმეა. ეს იმიტომ, რომ მეშაბათეთობა კერძო და ახლო ნათესაობაა; ჭირში თუ ლხინში მეშაბათემ ჩხარი უნდა დაუჭიროს თავის ნათესავს. ჩვეულების ძალით, ეხლაც ყველა მეშაბათეებმა მკვდრის პატრონს სისხლში ხუთი ძროხა უნდა მისცენ იმიტომ, რომ მკვლელის ახლო ნათესავეები არიან და იმათაც ბრალი ედებათ; თუ ეს ჯარიმა არ გადაიხადეს, მკვდრის სოფელში გავლა არ შეუძლიანთ. გზა შეკრული აქვთ—არ გვინდინართ, ჩვენი მკვლელის ნათესავეები ხართო. მეტადრე ძველ დროში მეშაბათეთობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მნიშვნელობა სისხლის სამართლით მტკიცდება: სისხლი (მკვლელობის ჯარიმა) სამ ნაწილად იყოფოდა; ორი წილი გვარეულობისა იყო და ერთი მკვდრის პატრონისა; მაგრამ მეშაბათეები გვარეულობაზედ მაღლა იდგნენ და საერთო ორი წილიდამ თვითეულს მეშაბათეს ერთი ცხვარი მეტი ურგებოდა, საბიძაშვილო არისო. გარდა ამისა, ჯურუმიდგანაც მეტი წილი მიჰქონდეთ¹.

მეშაბათეთობამ ძველი იურიდიული მნიშვნელობა თუმცა დაჰკარგა, მაგრამ ეხლაც ცხოველ ძალას წარმოადგენს, მეტადრე როცა საქმე ნათესაეთა დამოკიდებულობასა და ურთიერთობაზედ მივარდება ხოლმე. საყურადღებოა, რომ სიკვდილს, როგორც დიდს უბედურებას, ზოგიერთი სიმბოლებრივი ჩვეულება მიუცილებლად თან მოსდევს. ასეთია სახელდობრ „საპირიხსნო“ და „პირის ქერა“. როცა მიცვალებულს დაასაფლავებენ და ნარევები სახლში დაბრუნდე-

¹ ჯურუმად ერთი ძროხა იყო დაფებული; ჯურუმას მაშინ ახდევინებდნენ, როცა მკვლელის ნათესავი მოკლულს სულს უხსენებდა ცუხად, აგინებდა. ძველმა სამართალმა საენო არბითიც იცოდა; საენო არბითს იმას ართმევდნენ, ვისის ვნითაც მკვლელობა მოხდებოდა,—ენა არ დააყენა, კაცი ბრახზედ მოიყვანა და მკვლელობა ჩაადენინაო. საენო არბითში რვა ძროხა იყო და არბითი მთლად მოკლულის პატრონს ერგებოდა. ეხლა ჯურუმა და საენო არბითი აღარ იცან.

ბიან, მწუხრად მკედრის ჯალაბობამ საკლავი¹ უნდა დაჰკლას. ამ საკლავის ღვიძლს შესწვენ, თითოეული ნარვეი და ნათესავი შემწვარს ღვიძლს სამჯერ მოჰყენებს და მერე უხმოაფურთხებს. თვით საკლავი ბალებმა უნდა შესჯამონ; შეიძლება იგი მეორე დღისათვის შეინახონ; მაშინ მკედარს მეორედ იტარებენ და მომზადებულს საკლავს სჯამენ დედაკაცები, ნათესავები, ნარვეები. ღვიძლის მოკვნიტას „საპირისნო“ ჰქვია. ხალხი-კი პირს აიხსნის ბანზედ, სადაც უნდა ერთად შეიკრიბოს; პირის ასახსნელად საკმელი ხავეწი და ყველია; ხორცი და სასპელი არ შეიძლება.

ეს პირველი რიგია, „ცრემლობის დღეა“, „სამარხი დღე“. ამ ჩვეულებას უფრო პირ-იქით მისდევენ. სულ სხვაა „პირის ჭერა“. დამარხვის დღეს ჭირისუფალი ორს გვარეულს ამოიჩვენებს და ერთს დიაცს; მათ ქვემო ოთახში დასვამს, „ყვერფთან“ (სადაც ცეცხლი ახთია) და თითოს თითო ქადას მისცემს. პირის მკერნი ამათ იმტომა ჰქვია, რომ ისინი არავის ეჩვენებიან, არ ელაპარაკებიან. სულის ხუცობ ჩავა და ქადებს აკურთხებს (მკედრის რიგის კურთხევა სულის ხუცის საქმეა; ხატიონს, ხატის ხელთანს მკედართან საქმე არა აქვს, იგი რიგში არც-კი მივა). კურთხევის დროს პირის მკერნი ქადებს სამჯერ შემოატრიალებენ და მერე ჩუმად თავიანთ სახლში წაიღებენ; როცა უკან დაბრუნდებიან, ფიცარს აიღებენ და მიცვალებულის ოთახის სარკმელზედ მიაყუდებენ. შემდეგ ამისა მათ ნება აქვთ ილაპარაკონ, ხალხთან ერთად სვან, ჭამონ.

ჩვენის აზრით, „პირის ჭერა“ მწუხარების გამომხატველი ნიშანია და იმას ნიშნავს, რომ ჯალაბობა და ნათესაობა სიკვდილის გამო ისრეა შეხუთვილი და დღისა და ვარმისაგან, რომ აჩქარებაც არ ძალ-უძს, სხვა მნიშვნელობა ამ ჩვეულებას არა აქვს. თვით ფიცარის მიფარება სარკმელში სინათლის მოსპობაა. — ეხლაც ქართველობას ჯალაბობის წევრის სიკვდილი სინათლის მოსპობად მიიჩნია.

¹ იქნება მკითხველმა არც-კი იცოდეს, რომ ხევსურეთში სრულიად არ მისდევენ შინაური ფრინველის ყოლას: ქათამს, ბატს, ინდოურს, იხვს და სხვ. აქ ვერ ნახავთ. მათი ხსენება აქ არ არის. ხალხი არცა სჯამს შინაურს ფრინველს — ხატი გვიწყენსო. იქნება ხატიც იყოს მიზეზი ფრინველების არ-ყოლისა, მაგრამ ჩვენის აზრით, აქ მიზეზი სულ სხვაა. ბევრჯელ უთქვამთ ჩემთვის, რომ შინაური ფრინველი ნათესს წაჭვიხდენსო. მართალიც არის: ხევსურს ნათესი ეხოს ახლო აქვს, სადგურიდამ რამდენსამე ნაბიჯზედ; გარდა ამისა, მიწის უქონლობის გამო მეტად ცოტასა სთვსავს, ორმოც კომლიან სოფელში კარგია, რომ ოთხს კომლს არ დასპირდეს „სულადის“ ყიდვა. დანაშთენნი სხვაგან ყიდულობენ სარჩოს. ფრინველობა რომ გავიჩინოთ, რა ვაქამოთო. მოდი ეს ელაპარაკე ამ პრაქტიკულს ხალხს ვარეულ ფრინველს, შურთხს, როკოს, კაკაბს მშვენივრად შეეჭყვიან და ხატიც აბულობს.

რიგის გადახდას და შესრულებას დიდს ყურადღებას აქცევენ. ხალხის აზრით, რიგი მიუცილებლად მიკვალებულს სულეთში მიუვა, ესამოვნება და თუ ასეა, აბა ზევსური რაღას დაჰზოგავს! ღარიბი ხევსური ამ მრავალ გვარ რიგს ვერ გაუძღვებოდა, რადგანაც თითოეულს რიგს ხარჯი დიდი სჭირდება, მაგრამ შეღავათს ჰპოვებს ნათესაუების დახმარებაში, მეზობლების შესაწევარში. გარდა ამისა, ზოგიერთა რიგის გადახდა სოფელში საერთოდ იცინა და წეს დიდი სარფია. იმას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ჩვეულების ძალით, ზოგს რიგს მაშინ გადინდიან ხოლმე, როცა შეძლება და გარემოება ხელს შეუწყობს, თუმცა-კი თავიდან რიგის აცდენა, როგორც ქართლში, ისრე აქაც დიდი სირცხვილია.

პირველი რიგი ხომ „სამარხია“, „ცრემლობა“, როცა საკლავის დაკვლა არ შეიძლება; „სანთლობა“ მეორე რიგია (პირ-თქით ცრემლობა და სანთლობა ზედი-ზედ ორ დღეს იცინა), და ამ რიგში უუქველად, საკლავი უნდა დაჰკლან, სამარხო საქმელი არ შეიძლება: თვითიფულს დამსწრეს, დიდსა და პატარას, მამროვანს თუ მდედროვანს, სანთელი უნდა მიეცეს, ორსულ დიაცს, „უღონოს“ ორი სანთელი, რადგანაც ორიანადი არის. გოდება და ტირილი ამ „სანთლობას“ სავალდებულოა, როგორც „ცრემლობას“. მწუხარების შემდეგ, რასაკვირველია, ტაბლა უნდა ეკურთხოს და სულის ხუცი „ახელს დასდებს“ მომზადებულს სასმელ-საქმელს.

აი თვით ეს „სახელის დადებაც“, რომელსაც აბრწყინვალებს სხივი სანთლებისა: — „ღმერთო, დიდება შენდა. ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, შენ არ მოგხსენებინს დიდებისა და მადლის მეტი; ღმერთო, კაციც შენ გეძახს, სულიც შენ გეპარების, შენგან არს განაჩენი კაცი, ყოველი სამართალი, ბარება სულისა, ხევწება კაცისა; საც ქრისტე პურობს, ანგილოზ ჟამობენ, ცოდვიან ნანობენ, მართალ გაისვენებენ, სული წმინდა მოიხსენებს (აქ უნდა ჩაერთოს მიცვალებულის სახელი), საცა შენ ხარ შენი სულ მოეხსენების, შენაშც გერგების ეს ტაბლა, შენსამც სულს უმთაურების, ცოდვასაცა ვხდის ენით ნათქვამსა, ხელით ნაქნარსა, თოლით ნანახსა, ყურით განაგონარსა. შემოვიდა ანგელ-ოზი ფეხითა ქრისტესითა, ქრისტეო ღმერთო, დასწერე ჯვარად სულს იმასა და სუფრას ამას. დედაო დიდისა შეუფისაო, ცაო ქერებულო, ღრუბელუ ნათლისაო, ხატო მისაო, სამართალო ღვთისაო აცხონებ სული მისა, შეგიწდოს ქრისტიანობის გამჩენმაო“.

ხალხი დასხდებდა და დაწყებულს სმა-ჭამას. ბევრად სანუკბარო არაა ეს ჭაბა, თუ არ დაევიწყებთ, რომ „სანთლობას“ უფრო მკვარტლიან ლორს ხმარობენ და უსუფთავო, ბინძურის ხევსურის ხელით გაკეთებული ამ ლორის წვენი რაც იქნება — თითონ თქვენ წარმოიდ-

გონეთ. სასმელი ბლომად არის,—მიცვალებულის გეარეულობა გემოხდის ხოლმე შესაწევრად არაყს, ლუდს, მხოლოდ მშვენიერი და მართლაც რომ გემრიელი ხევსურული ლუდი ლაზათს, შნოს აძლევს ამ „სანთლობას“.

როგორც გაკვირთ შევნიშნეთ, ხევსურმა დიდის მწუხარებით იცის მიცვალებულის გლოვა. გარეგანი ნიშანა ამ გლოვისა იმიტო იხატება, რომ მამროვანმა „თავი უნდა გამოუშვას“, წვერი დაიყინოს, თავის ფერად-ფერად აჭრელებული და ზიზილ-პიპილებით ხელოვნურად მორთულ-მოქარგული ტალავარი გადაბრუნებული უნდა ჩაიცვას; ერთის სიტყვით ტალავარს მწუხარების ფერი უნდა ედვას, ძაძას მოაგონებდეს; ესევე სავალდებულოა მდებარევისათვისაც¹.

„თავ-მოსაპარსო“ სწორედ ძაძის ახდის რიგია. მას წინ უძღვის „წელთავება“. თუმცა წესი და ჩვეულება თხოულობს, რომ „წელთავება“ წლინ თავზედ გადაიხადონ, მაგრამ მოშხადება დიდი უნდა და ამიტომ შეიძლება მეტმა დრომაც გაიაროს. ზოგს აღგოლას და უმეტესად პირ-იქით „წელთავებს“ და „თავ-მოსაპარსოს“ ერთ დღეს გადაიხდიან ხოლმე პირველს სადილად, მეორეს ვახშმად, რამდენივე მიცვალებულის პატრონი—ოჯახი ერთად მოემზადება. ხარჯს საზოგადოდ იზმენ. სოფელს გაინაწილებენ,—სასმელ-საჭმელი ცოტა დაგვირდებოჲ; ეს ჩვეულება გონიერულიც არის, რადგანაც ამ ორ რიგში მიუცილებლად მთელი სოფელი უნდა დაესწროს გარემო ნათესავების გარდა.

თავ-მოსაპარსოს დროს ყველამ თავი უნდა მოიპარსოს და ეს ხევსურისათვის ხომ დიდი რამეა, რადგანაც თავის მოპარსვა, თავზედ თმის მრგვლად გაპარსვა, მარტო ქოჩორის დაყენება და სხვა მას ძლიერ უყვარს და საკეკლუცო ვარჯიშობად მიაჩნია. მეტადრე „თავ-მოსაპარსოს“ გადახდა დიდის ამბით იციან.—ქალები და კაცები შუშპრობენ, ფანდურზედ დამოერიან სალხინო ლეჩებს; კოცნას და ერთუროთის ხევენასაც კი არა თაკილობენ, თუმცა უამისოდ ხევსური, კაცია თუ ქალი, მეტად მორცხვია და არშიყობაში განუეითარებელი. ხალხიც შეჭხარის ამ უბიწო ლხინს,—„სამგლოვიარო ღმერთმა აგხადოსო, მარხე ნულარ მოგცესო, ნურც თავის სახლშე, ნურც და-ძმა-მოკეთეშიო“.

¹ ხევსურულ ქალსაც ფერადად მოქარგული შალის ტალავარი ატყვბ; მეტადრე ჯუბა და ფაშაგნო (მძიგებით მორთული და ფერადის ძაფით მოქარგული გულზედ ასაფარებელი საცმელა) მშვენიერადა ატყვ მორთული. თავზედ კეკლუცურად მანდილი ახვევია. თმა კარგი აქეთ, გრძელი, მრავალ ნაწნავებად იწვნენ და ორგვლზე შებღზედ იხვევენ, ზოგან კი იკრებენ. ხევსურული ქალი თავს ყროხის მარდით ებანს—თმას გააკეთებსო იქნება ასეც იყოს, მაგრამ ზინტლის სურნ უდის და ეშხი ეკარგება თავის მორთულობას.

ასე ულოცავს სოცელი თავ-მოპარსულებს: „თავ-მოსაპარსო“ დილა-
მდე გასტანს ხოლმე, თუმცა არც დილაზე თავდება ეს სალხინო ნაღი-
მი: სანაყრო დღოა მიუცილებლად საქიროა.

ამ დილას სანაყრს იმიტომ უწოდებენ, რომ თვითელმა
მიპატიებულმა თავ-მოპარსულ ოჯახს სამი ჭადა ან ხაჭოპური უნდა
მთუტანოს და იქ ერთად დანაყრდნენ.

თუკია სულის სამყოფინარი სულეთია, მაგრამ ხანდახან სულიც
სააქიოს მოვა და უხილაგო ესტუტება თავის ოჯახს, სოფელს, ამ
რწმენაზედ არის დაფუძნებული სულთა-კრეფა, ხევსურს ეს რწმე-
ნა ისე აქვს წარმოდგენილი, ვითომ სულეტი ერთად შეიკრებიან და
სოფელს ეწვევიან. ეს მოხდება ხოლმე დიდ-მარხვის მეორე კვირას,
შაბათ დღეს¹.

წვევას და სტუმრობას, მეტადრე საიქიოდან, შესაფერი დახვედ-
რა უნდა, ჯეროვანი მასპინძლობა ეჭირვება. ხევსურიც არაფერს
ჭზოგავს, ოლონდ-კი პატივისცემით მიიღოს უხილავი სტუმრები. ახ-
ლად შიცვალეხულის პატრონმა უეჭველად უნდა მოამზადოს სამარ-
ხო საქმელი, გვრდთვე არაყი, ლუდი. პირ-იქით ხევსურეთში მთლად
სოფელი გამოხდის ხოლმე სახატო სალუდეში ლუდსა. მაგრამ სანამ-
დე ლუდი დაილევა და სამარხო საქელი შეიჭმევა, რასაკვირველია,
სულეების შესანდობლად—მათი მიღება სხვაფრივ უნდა.

ეს მიღება დიდის ამბავით იციან და აი როგორ: თითოეულს
ოჯახი გამოაცხობს სხვადასხვა სახის პურს-ჯვარედინას, ნალევი
მთვარესავით მოკაკულს, რქიანს, ვისაც როგორი ჰსურს. ამ პურებს
წაიტებენ და ერთსადგილას ნიშნებად დასვენ. თითო სანიშნო პურს
გვერდით დაუწყობენ წყვილ წინდას, ან ჩარექ მარლს, თამბაქის
ფართალს (ფარჩის ნაჭერს). ბავშვებისათვის სანიშნო პური უფრო
ჯვარედინი იციან და გვერდზედ საფუხრებს მოუწყობენ ხოლმე. ში-
რე წინში სროლა დაწყება; დიდები თოფს ესვრიან, ბალები
ისარს, ისრის სროლა ბავშვებმა მარჯვედ იციან, რადგანაც მათი

¹ ხევსურეთში ყველა მარხვას არ ენახვენ, მარტო ქრისტეშობის მარხვა
და დიდმარხვა უჭირავთ: ამ მარხვებსაც ცოტა ხნობით ენახვენ. დღესასწაულებ-
ში უფრო სწამთ ახალ-წელიწადი. ამალეება, აღდგომა; აღებაც იციან. მეტადრე
აღდგომა დიდ დღესასწაულად მიაჩნაათ ზოგიერთ ადგილას, მაგ. არხოტში, აღდ-
გომა სწორედ რომ ბავშვების დღესასწაულია. იმათ საკუთარი ნიში აქვთ გორა-
ზე; აღდგომა დილათ შეიკრიბებიან ერთად ნიშთან; თითო ოჯახმა სამი ერბოი-
ანი ხინკალი უნდა მთუტანოს; ვინც არ მთუტანს, იმას გორადგან ქვას დაუგორუ-
ბენ—ძროხა ასე დაგიგორდესო. ხალხსაცა სწამს, ვითომ ძროხა დაუგორდება და
დაეჩებება იმას, ვინც ხინკალს არ მიართმევს ბავშვებს. აღდგომა დამეს კიდევ ჩა-
ლით სავსე გოდორს ცეცხლსა მოუკიდებენ და დააგორებენ ხოლმე მალლიდამ მთა-
ზედ. ბავშვები კვილით და კივილით უკან მოსდევენ ანთებულს გოდორს.

საფარჯიშო იარაღი მშვილდ-ისარაჲ და დიდებმა კიდევ თოფის ხელი ხომ უფრო კარგად იციან. ვინც სანიშნო პურს მოარტყამს, პურიცა იმასა რჩება და გვერდზე დაჯდომული საჩუქარიცა.

სროლის შემდეგ მამროვნები ხატში წავლენ და იქ ლუდსა სმენ; ქალები სულთა კრეფას არ ესწრობიან და ვერც სახატო სალუდში მიესვლებათ; ისინი თავიანთ ნათესავ-ჭირისუფლებთან შეიკრიბებიან ზოლმე და იქ ჰგლოვობენ მიცვალებულებს; მერე ერთს სახლში მოიყრიან თავსა, იმის ოჯახში, ვისაც ახალი მკედარი ჰყავს, მოატანიებენ სახატო ლუდს და შენდობას უხდიან შთლად სოფლის მოცვალებულებს.

ამ სულთა-კრეფით როდი თავდება სულის პატავისცემა. ორი საყურადღებო ჩვეულება დაუწყესებია ხევსურს, ღაბახი და დოდი, ორივე სულის მოსახსენიებლად: ჩვენც ამ ორის ჩვეულების აღწერით უნდა გავათავოთ სულეთის ამბავი.

ღაბახიც ნიშანში თოფის სროლაა სულის პატივსადებლად და ამ მხრით სულთა-კრეფას მიაგავს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც დიდია. უმეტესად ღაბახს მიცვალებულს დაუფამენ, თუმცა უპატრონო ცოცხალსაც ნება აქვს ღაბახის დადგმისა. ამ ეს ღაბახიც: მარცხენა ხელის სამი თითი სალოკი, შუალა და არა-თითი რომ შეკუმშო და ზემოდან მარჯვენა ხელის ცერი და სალოკი თითი მოკიდო, მაშინ მარჯვენა ხელის ცერი და სალოკი თითი რაოდენ სიმრგვალესაც წარმოადგენს, სწორედ იმ სიმრგვალის ოდენა ფიცარს ამოსჭრიან, სხვა ფიცარს დააკერენ და ნიშად დასმენ. ამ ნიშნის სროლა ღაბახია.

საჩუქრად დასდებენ ერთს ხელს ჯალავარს, ან ძროხას, ვერძს და სხვა. ღაბახს მელაბახეები ჰყავს, სამი ან ორი კაცი: მათ შორის ერთი მკედრის ბიძაშვილი უნდა იყოს და მეორე მიუცრლებლად სხვა სოფელი. მელაბახეების საქმეა საღაბახო მანძილის გაზომვა: ეს მანძილი ისე შორი უნდა იყოს, რომ ადვილად ნიშანს არ მოახედრონ მსროლელებმა. კიდევ ამიტომ ხშირად ორი წელიწადიც გავა ზოლმე და ვერც ერთი მარჯვე მეთოდე საღაბახო ნიშანს ვერ მოარტყამს. ამ შემთხვევაში შეიძლება ნიშანი ცოტად წინ წამოსწიონ. გარდა ამისა ზოგიერთა სოფლებში სამუდამოდ ამ არჩეული აქვთ საღაბახო მანძილი. ჩვეულების ძალით, ეს მანძილი ერთნაირის ზომისა უნდა იყოს ყველ სოფლისათვის, მეტნაკლებობა სირცხვილთა, „ცოდოი ას“, — ჩუენი მანძილი გრძელი იყო და თქვენი მოკლეო, ერთუროს დასტინებენ, უჭიჭინებენ.

მელაბახეების დაუსწრობლად სროლა არ შეიძლება. მათი მოვალეობაა თვალყურით ეჭიროთ, რომ სროლის დროს სიყალბე არა-

ვინ ჩაიდინოს. მაგალითად, ქართული თოფი ესროლოს და არა აწინდელი „ბერდანკა“, „აინალი“ (აინალს პიბოდის თოფს ეძახიან); ამ შრომისათვის მგლბახეებს ერგება ყველა გაცდენილი ტყვია; გაცდენილ ტყვიებს ისინი იყოფენ. სროლა ყოველთვის შეიძლება და ყველასაც ნება აქვს, სხვათა შორის, „ურჯულოსაც“. ვისაც რამდენჯერ ჰსურს, იმდენს ესვრის, დამშლელი არავინ არის.

ხევსურს სწამს, რომ ღაბახს, ადრე იქნება თუ გვიან, უქველად ვინმე მოარტყამს, რადგანაც სულეთში შეულოცვენ, ღაბახს უნდა მოხედოსო. ხშირად თავ-მომწონე მეთოფე სიზმარს ნახავს ხოლმე—მკვდარმა მითხრა ჩემი ღაბახი შენ გერგებაო. თუმცა ღაბახს უფრო სახელოვანს ეაქვაცს დაუდგამენ ხოლმე, მაგრამ ქალის სულის პატივის-საცემლადაც იციან ღაბახი; ამ შემთხვევაში, თუ საჩუქრად ტალავარია დადებული, რასაკვირველია, ტალავარი სადიაცო უნდა იყოს. ხშირად თვით ცოცხალი დიაციც დასდგამს ღაბახს თავის სულის შესანდობლად.

დოღი „სანთლობას“ იციან, თუმცა ხანდახან პირველი რიგის დღეს, „ცრემლობასაც“ გაჰმართავენ ხოლმე. დოღს უფრო ვაჟკაცს უმართავენ, მაგრამ დიაცისათვისაც შეიძლება ეს პატივსადები რიგის დოღი სოფლის გარეთ მინდორზედ უნდა გაიმართოს და უქველად ტაბლა უნდა უკურთხონ მკვდრის სულს. ტაბლად მოამზადებენ ქაღებს, კუბატებს, რძე-ერბოს და ერთ ქვავს ლუდს ან არაყს; მიცვალებულის ტალავარიც იარაღითურთ ტაბლის გვერდზე სძევს. ტაბლას გარშემო მოუსხდებიან ქალები და ხარით ჰსტირიან. რასაკვირველია, „შენდობის მთქმელმა“, სულის ხუცმა ტაბლა უნდა აკურთხოს, სახელი უნდა დასდოს მას.

დოღი, როგორც მოგვხსენებთ, ცხენების ჭენებასა და სირბილში მდგომარეობს. ამისათვის დოღობას უმთავრესი ყურადღება ცხენების ამგვარ ვარჯიშობაზედ არის მიქცეული. ცხენების რიცხვი ხუთიდან ცხრამდე შეიძლება და ეს რიცხვი კენტი უნდა იყოს მათ შორის პირველი ადგილი სულის ცხენს ეკუთვნის, მერე რიგრიგობით მიცვალებულის ახლო ნათესავების ცხენებსა, — ასე რომ სულის ცხენი ხომ პირველია, მას თან მოსდევენ მამიდის ცხენი, მიცვალებულის გვარეულობისა, კოლეულობისა (როცა მიცვალებული მამროვანია), დებისა. დანაშთენი ცხენები სხვებს ეკუთვნის: მკვდრის მეგობრებს, მის სოფლელებს. დოღს მედოლეები ეჭირვება და ამიტომაც ჭირისუფალი ორს სანდო კაცს ამოირჩევს ხოლმე მედოლეებად. ამ უკანასკნელების მოვალეობას, სხვათა შორის, სადოღო საჩუქრის განაწილებაც შეადგენს.

დოლის გამართვა იაფად არა ჯდება, განაწილებას სიფრთხილე უნდა და ჩვეულებას წინაღვე გაღუწყვეტია, რომელ ცხენს რა საჩუქარი ერგება. თუ შემძლებელ ოჯახის მიცვალეზულს გაუმართეს დოლი, მაშინ პირველ საჩუქრად ფეხადი ძროხაა, მეორედ—სამი ცხვარი, მესამე საჩუქარს ორი ცხვარი და ორის დრამის (დრამა ორი უზალთუნია, აბაზი) ღირებული სპილენძეულობა შეადგენს. მეოთხეს—ორი ცხვარი. დანარჩენ ცხენებს თანასწორად ერგებათ საჩუქარი: ორ აბაზი დამ მანათამდე; მისცემენ ტყავს, რაივე ნივთს, სამკლავს, ჩაჩქანს და სხვ.

სადოლო მანძილად, რომელსავე სოფელს ამოირჩევენ, უფრო ისეთს, სადაც მიცვალეზულის ხათესავე სცხოვრობს. ნათესავე მიცვალეზულს ტაბლა უნდა მოუმზადოს და პირველად ცხენოსნები გაეშორებიან სწორედ იმ ადგილას, სადაც ტაბლაა მომზადებული. ეს გამგზავრება ასე მოხდება ხოლმე: ტირილის შემდეგ ცხენოსნები სამჯერ ორგვლივ შემოუვლიან მომტირალ დედაკაცებს; მედოლეები პათრახებს მისცემენ იმ მხედარს, რომელიც სულის ცხენზედ პზის: ეს სულის ცხენი წინ უნდა გაუძღვეს დანარჩენ ცხენებს. მხედარნი წყნარად მიდიან. ჭენება დაიწყობა მიცვალეზულის ნათესავეს სოფლიდან, ტაბლის კურთხევეის შემდეგ და ტაბლის კურთხევეას ხომ თან მოსდევს არაყის სმა მკედრის შესანდობლად. როცა სმა გათავდება, ყველა ცხენოსანი თავის ცხენზედ შეჯდება და სულის ცხენზედ მჯდომი თითოეულს მხედარს პათრახს მისცემს. არ სწორედ ამ დროს იწყება ჭენება. თითოეული მხედარი ყველა ძალ-ღონეს ხპარობს, რომ იმისმა ცხენმა სხვებს გაასწროს, სხვებზედ ადრე მივიდეს კირისუფლის საზლთან, სადაც სადოლო ხაზია გავლებული; ეს ხაზი საზღვარია და რომელიც წინათ იმას გადააბიჯებს, პირველი საჩუქარი იმისაა.

რასაკვირველია, მედოლეები თვალ-ყურს ადევნებენ, თუ რომელი ცხენი რა დროს გადააბიჯებს ხაზს: ეს საჭიროა სადოლო საჩუქრის გასანაწილებლად და საჩუქრის განაწილება ხომ მედოლეების მოვალეობაა. ჩვეულების ძალით, თუ ცხენი ხაზს მიახლოვდა და რბენა ვეღარ შესძლო, მხედარს ნება აქვს ცხენი დამ ჩაძობტეს, აღვირი წაპყაროს და თათონ გაიქცეს, ხაზის იქით გადახტეს და საჩუქარი მიიღოს; მაშასადამე, მიუცილებლად საჭირო არაა, რომ ცხენმა წინა ფეხები ხაზზედ გადაიტანოს.

რასაკვირველია, სადოლო ცხენებმა ერთსა და იმავე გზაზედ უნდა ირბინონ, იქნონ; უამისოდ ერთი ძირითადი პირობა დოლისა ხომ დაირღვევოდა და ამ პირობის დამრღვეველ მხედარს არც საჩუქარი ერგება.

ხევსურს დოლიდიდად პატივსადებ რიგად შიაჩნია და ამისათვის არც ერთს ფათერაკს არ ერიდება, თავგანწირული მიაფრენს ცხენს ვიწრო კლდოვან ბილიკზედ, რომლის ქვემოთ თვალჩაუწვდენელი უფსკრულია. ხშირად მომხდარა, რომ გულოვანი მხედარი თავის მერნითა ჩაღუპულა ამ უფსკრულში, მაგრამ ეს არაფერი... დოლიდი ძალაა ერის ჩვეულება და ეს ჩვეულება ზიზსა და ფათერაკს არ ერიდება.

უსაფუძვლო ზენიზენის გავრცელება

(წერილი ბ-ნთ დ. ფურცელაძის და ვლ. მიქელაძის მიმართ)

როგორც 1887 წ. „ივერიის“ 269. №-იდან ჩანს, პატივცემულ რაფ. ერისთავს საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაზედ წაუკითხავს ჩემის ეთნოგრაფიულ წერილებიდან მოხსენება ხევის-ბერობაზედ და ჭატობაზედ. ორივე საგანი, შეძლებისდაგვარად, მე საკმაოდ ვრცლად განვიხილე ჩემს წერილებში და საკუთარი აზრი წამოგსთქვი მათზედ. ჩემი მსჯელობა დავამყარე როგორც ხევისურთა ცხოვრების შესწავლასა და ცოდნაზედ, ესე ჩვენი ძველის კანონების განხილვაზედ. მეფე გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-დების“ შესწავლამ საბუთი მომცა იმ აზრის დასკვნისა, რომ ძველ დროს ხევის-ბერი „ლაშქართ თაფადი იყო“, სამხედრო თანამდებობის გარდა, სხვა საერო უფლებაც ხელთ ეპყრა, მხოლოდ საერო და არა საეკლესიო, სასულიერო. ვისაც სურს დარწმუნდეს, თუ რამდენად საფუძვლიანია და შესაწყნარებელი ჩემი შეხედულება და დედა-აზრი ხევის-ბერობაზედ, იმას შეუძლიან მიჰმართოს თვით „ძეგლის-დებას“ და ჩემს წერილებს¹. სამწუხაროდ ჩვენში საგნის შესწავლას მაგრე რიგად ყურადღებას ათ აქცევენ და როცა კამათობა ასტყდება ხოლმე, რომელსამე სამეცნიერო თუ სხვა გვარ საგანზედ, საკმაოდ მიაჩნიათ მართო ცალიერი სიტყვების რახა-რუხი და აქა-იქ გაგონილი თუ მოგონილი აზრის წარმოთქმა. მეტადრე თუ საჯაროდ მეტყველი რიხით და გამბედაობით ისერის სიტყვებს, თავ-მოწონებით ჰლაღადებს უსაფუძვლო აზრს—საქმე გაჩაღებულია და გაჩაღებული!

ხევის-ბერობაზედ კამათობასაც ეს ბედი ეწია. ჯერ ისევ მოსკოვის საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზედ ჩვენი ახალგაზრდა ეთნოგრაფი ა. ხახანიშვილი ამტკიცებდა, რომ „ხევის-ბერი იყო და არის სარწმუნოებრივის წესის აღმასრულებელი“².

¹ ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, „დროება“, 1885 წ. №№ 165 და 166.

² აღ. გარსევანიშვილი, „წერილი მოსკოვიდან“, „ივერია“ 1887 წ. № 59.

ბ-ნი დ. ფურცელაძე ტფილისიდან ბანს აძლევს ჩვენს მოსკოველ სტუდენტს და ამბობს: „ურბნელის აზრი ხევის-ბერების შესახებ მართალი არ არისო. ხევის-ბერები თავიდანვე მღვდელ-მსახურნი იყვნენ და, თუ საერო საქმეებშიაც იღებდნენ მონაწილეობას, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რა მიზეზითაც დანარჩენს საქართველოში მღვდელ-მსახურნი. ემსა გაჭირებისასა, მიჰმართავდნენ ერსა, საომრად იწვევდნენ და ზოგჯერ წინ უძღოდნენ კიდევცაო“¹. მაგრამ რაც ახალგაზრდა სტუდენტს ეპატიება, ის ბ-ნი დ. ფურცელაძეს დიდ დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს. ეს იმიტომ, რომ დ. ფურცელაძეს ერთხელ მაინც ჰქონია ხელში „ძეგლის დება“ და იქ ხომ ასე სწერია: «ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებიაა. «სხვა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოსსა და მათ განაჩენთა, მათხედა ეპისკოპოზთა ჰკითხონ» და სხვ. მთელს „ძეგლის-დებაში“ ერთი სიტყვაც არ არის მოხსენებული იმის შესახებ, ვითომ „ხევის-ბერები თავიდანვე მღვდელ-მსახურნი“ ყოფილიყვნენ მართალია, საქართველოში მღვდელ-მსახურნი ლაშქარს წინ მიუძღოდნენ ხოლმე და ბერს ეპისკოპოზსაც გამოუჩენია სარდლობის ნიჭი, მაგრამ ამ საბუთიდან იმ აზრის დასკვნა, რომ ხევის-ბერი მღვდელ-მსახური იყო, ისეთივე უსაფუძვლო იქნება, როგორც იმისი, ვითომც ეპისკოპოზი სამხედრო კაცი და მოხელე ყოფილიყოს... არა თუ მართო „ძეგლის-დებაში“, ვახტანგის მთელ კანონთ-კრებაში ერთს მუხლსაც ვერ იპოვნით, სადაც მოხსენებული იყოს, რომ ხევის-ბერი სასულიერო კაცი იყო...და თუ დ. ფურცელაძეს არა სჯერა ჩვენი აზრი, აბა, ვვიჩვენოს, სად არის მოხსენებული, რომ ხევის-ბერი სასულიერო კაცი ყოფილიყოს.

საოცარი უფრო ისაა, რომ ბ-ნი დ. ფურცელაძის სათქმის სწავლთარ მენსიერებას უღალატნია. იმას-სრულიად დავიწყებია თავისივე გუჯრები. იმისგან გამოცემულ გუჯრებში არა ერთს და ორს აღგიღას არის მოხსენებული, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს არა სწამდა ხევის ბერობა მღვდელ-მსახურებად. მართლ-მადიდებელი ეკლესია ყოველთვის იმას ჩიოდა, რომ დეკანოზებმა (ხალხის აზრით დეკანოზი იგივე ხევის-ბერია) მიითვისეს საეკლესიო უფლება და მღვდელ-მსახურებას ასრულებენ, ამის მიზეზად სხვადასხვა ისტორიული გარემოებანი იყვნენო. 1798 წ. არაგვის ერისთავმა ზაალმა მთიულეთში გაგზავნა წილკნის ეპისკოპოსი რომანოზი² და

¹ „ივერია“, 1887 წ. № 269.

² Д. Пурцеладзе, Церк. гудж., Тифлис 1881, გვ. 25.

ეპისკოპოსმა კიდევ აუკრძალა საერო მოხელეებს, მღვდელ-მსახურებას ნუ შეასრულებთო და ხალხს ნამდვილი მღვდლები დაუყენა.

თუ ხევის-ბერები თავიდანვე მღვდელ-მსახურნი იყვნენ, მღვდლების გამწესება რაღა საჭირო იყო?! კათალიკოზ იოსების ეპისტოლეში, რომელიც 1762 წ. წარგზავნა დოსითეოზ ნეკრესელს, პირდაპირ მოხსენებულია, რომ მღვდლებს უბრძანე, დეკანოზებმა საეკლესიო წესები არ აასრულონო¹. ამ ეპისტოლეს მეცხრე მუხლში ნაჩვენებია, რომ უსწავლელი და მოუმზადებელი, სახარების არაკარგად მკითხველი მღვდლობის ღირსი არ არის და ნურც აკურთხებთო... თუ ასე იყო, სასულიერო სწავლაში უვიც ხევის-ბერს როგორ შეეძლო მღვდელ-მსახურება?

1789 წ. მღვდლებმა ხელწერილი მისცეს ნეკრესელს, რომ ჩვენს სამრევლოში დეკანოზებს არ გავატარებთო². დ. ფურცელაძის გუჯრებიდგან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიას ხევის-ბერები, დეკანოზები მიაჩნდა კერპთაყვანისმცემლებად და სდევნიდა კიდევ. მაშ რა საბუთები აქვს ბ-ნს ფურცელაძეს, რომ საჯაროდ უარჰყოფს ჩვენს აზრს ხევის-ბერობაზედ? საინტერესო იქნება დავისახელოს საბუთები, თუ-კი მართლა დარწმუნებულია თავის აზრზედ. მაშინ ჩვენც სიამოვნებით შევლდებით საგნის ვრცლად განხილვას, სიამოვნებით იმიტომ, რომ მართლაც სასიამოვნოა საბუთიანი ლაპარაკი ისეთ ძველ საპოლიტიკო დაწესებულებაზედ, როგორიც იყო ხევის-ბერობა.

ბ-ნ ვლ. მიქელაძის შენიშვნა, ვითომც ხევსურული „ხატი“ სალოცავს არ უნდა ნიშნავდესო, ისეთივე უსაფუძვლოა როგორც იმის თანამობაასე დ. ფურცელაძის აზრი ხევის-ბერობაზედ. სიტყვა „ხატი“ სურათს ნიშნავსო, ამბობს ბ-ნი მიქელაძე. მართალია, მაგრამ მოწინააღმდეგეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება ავიწყდება: ქართულ ენაზედ ერთსა და იმავე სიტყვას ხშირად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ხევსურის „ხატიც“ ნიშნავს სალოცავს და არა სურათს. თვით სალოცავში ხევსურს სურათი როდი აქვს. ხევსურეთის მთელი სალოცავები რომ დაიაროთ, ერთგანაც ვერ იპოვით სურათს. და თუ ხევსური თავის სალოცავს ხატს ეძახის, იმიტომ რომ სწამს. ამაღლამ ადგილას (სადაც სალოცავია) უხილავად ესადაგეს წმინდანი იყოფებო, თვით სალოცავი სდგურია წმინდანისაო.

¹ Д. Пурцеладзе, op. cit., გვ. 40—41.

² Д. Пурцеладзе, op. cit., გვ. 43.

ამისათვის ხატი, ხევსურის აზრით, სალოცავია, სადაც თუმცა წმინდანის სურათი არა სდგას, მაგრამ თითონ წმინდანი-კი იმყოფება. სხვათა შორის ხევსურს სხვადასხვა კერპები წმინდა არსებად მიაჩნია, სალოცავებს უშენებს კვირია-ხმელეთის მოურავს, პირქუმს, რომელსაც პირიდან ნავთი ამოსდის და სხვა. ჭიტყვა „ხატი“ სურათს რომ ნიშნავდეს, მაშინ სალოცავებშიაც კვირიას, პირქუმის და სხვათა სურათები იქნებოდა, მაგრამ ასე არ არის. თუ მართლა „ხატი“ სურათს ნიშნავს, მაშ ჩვენი ხალხი, როცა სალოცავად მიდის, რისთვის ამბობს „ხატობას“ მივდივარო? არა, სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით „ხატი“ სალოცავსაც ნიშნავს და არა მარტო სურათსა...

ჩემის რვეულიდან

(ნაწევები)

ღ აბა თიანეთის ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს ერთი პატარა, მაგრამ მშვენიერი ხეობა, რომელსაც შუა ჩაპოუდის იორი: ამ ხეობის კალთებზედ კვლავად გაშლილია არტნის საზოგადოება. საზოგადოება კარგად მოზრდილია, თუმცა-კი პაწია სოფლებიდან შესდგება. ბუნებას უხვად აქ დაუბერტყია თავისი მადლი: მიწის ნაყოფიერობით გინდა, თუ მდებარეობის სილამაზით, არტნის საზოგადოება საუკეთესოა მთელს ფშავში. მეტადრე ზატეხულობით არტნის ხეობაზედ უფრო კოპწიასა და მორთულს ვერასა ჰნანავს კაცის თვალი. აქ ბუნების სინაზე და მრისხანება თითქო ძმურად მოთავსებულანო, თითქო მთასა და ბარს ხელი-ხელს ჩაუკიდნით და-ტკბილად საუბრობენ—არა მე გამშვენებ და არა მეო.

ფშავის დანარჩენ ხეობებს სულ სხვა სახე აქვთ. ყველგან თოვლყინულიან კავკასიონს თავისი კვალი დაუჩნევია, მთას დაუჩაგრავს ველის და ვაკის სიტურფე; ქართლელს სული და გული ეხუთება, როცა შეჰყურებს ფშავის დიდს, შავ-კლდოვან მთებს; ვაკე ადგილი მეტად იშვიათად მოიპოვება და სადაც-კი არის, იქაც უზარმაზარის თა ცამდე წვერმიბჯენილის კლდის და მთის ჩრდილი თითქო სუღარის ზეწარს აფენს უიმისოდაც აქა-იქ მიმალულს მინდორსა.

არტნის ხეობა-კი, როგორც ვთქვით, სხვანაირად არის მორთული. დაუმატეთ ამას ნარნარი იორის სიმშვენიერეც. ეს მდინარე ისეთი შფოთიანი და შეუპოვარი როდია. როგორც ფშავის არაგვი. არაგვი ყოველთვის მედიდურობს, მრისხანობს, ამაყობს; ღრე და კლდე იმისათვის სულ ერთია,—გაბრაზებული ვეფხესავით ხტის და იდობრბლება, მოჰქუხს და მიეშურება, თითქო წინ ვერაფერი დამიდგება-რაო...იორი უფრო თავ-დაჭერილია და მშვიდობიანი, წყნარად და აუჩქარებლად, ფეხ-აკრეფით მიდის თავის გზითა. აი სწორედ ამ იორის ნაპირად, სოფ. არტანსა და სოფ. ყვარას შუა, ერთს პატარა გორის კალთაზე მდებარეობს ფშავლების სახალხო მონასტერი, რომელსაც ხატი-ხევი ჰქვია.

ამ ორმოცის წლის წინათ მთელ ფშავში ერთი საყურადღებო მოვლენა მოხდა. ხალხმა აღტაცებით მოიგონა დიდებული თამარ-მეფე, იმის სახელს გულმხურვალედ მიჰმართა ხვეწნითა და ვედრებითა. მართალია, ფშაველს არასოდეს არ გაჰქრობია გულში დაუვიწყარის მეფის ხსოვნა, მაგრამ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვიხსენიებთ, ეს ხსოვნა განცხოველდა, აღფრთოვანდა. რა იყო ამის მიზეზი—ჩვენ არ ვიცით და დაბეჯითებით ვერავინ გვიამბო. ეს კია, რომ მიზეზი რაიმე საერთო უბედურობა უნდა ყოფილიყო: ხალხს ხშირად უფრო უბედურობისა და ჭირის დროს აგონებდა თავისი დიდებული წინაპრები და მაშინ იმათს მოგონებაში ჰპოვებს შეოხებას და შვებასა.

ფშაველის აზრით და წარმოდგენით, თამარი მარტო ძლიერი და სახელოვანი მეფე როდია, არა—ეს ბრწყინვალე და სხივოსანი გარსკვლავი ჩვენის წარსულისა ხალხის ავადობისა და ჭირის მკურნალიც არის, ექიმიც. ეხლაც ფშაველი თავის ავადმყოფობისა და საქონლის ჭირის ასაცილებლად თამარ მეფეს ევედრება, ექიმის სახელით იხსენიებს; მკურნალობა იმის განსაკუთრებულ ხელობად მიიჩნია და ჰკონია, რომ დიდებული მეფე ეხლაც უხილავად ჰპატრონობს თავის ერსა, არჩენს ავადმყოფებსა, სპობს ყველა გვარს ჭირსა. თვით ხევის-ბერიც, როცა თამარის მადლით ამ წყალობებს სახატოდ მისულს ხალხს, სადიდებელ ლოცვაში ასე იხსენიებს თამარს: „დადო თამარ მეფეო, ღელის¹ აქიმ დედოფალო“. რადგანაც ხალხს მკურნალად სწამს თამარ მეფე, ამიტომ სამკურნალო მსხვერპლსაც სწირავს მას; ამ მსხვერპლს თავისი საკუთარი სახელი აქვს—„წამლის სახსარი“ და თუ არა თამარს, სხვას ეს „წამლის სახსარი“ არ შეეწირება; ჩვეულებრივს მსხვერპლს ფშაველი „სამხვეწროს“, „სამწყალობლოს“ უწოდებს, თამარის მსხვერპლისათვის-კი ისეთი სახელი დაურქმევია, რომელიც ცხადად და ჰირდაპირ გვიჩვენებს ხალხის აზრს და შეხედულებას თამარის მკურნალობაზედ.

ხატი-ხევის დაარსება გამოიწვია, იმ საყურადღებო მოვლენამ, რომელიც ხემოთ აღვნიშნეთ. თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის აზრს თამარ-მეფის მკურნალობაზედ,—ცოტაოდენი საბუთი მაინც გვექნება დავასკვნათ, რომ ეს მონასტერი, თუ გნებავთ, სალოცავი უნდა დაარსებულიყო საერთო ავადმყოფობისა და ჭირის ასაცილებლად, მოსასპობლად,—სულ ერთია, მუსრავდა ეს ჭირი ხალხსა, თუ საქონელსა. ორივე შემთხვევაში ხალხს მკურნალად სწამს თამარ-მეფე. ხატი-ხევის მონასტერიც თამარის, სახელზეა დაარსებული, აშენებული.

¹ ღელე—თამარ მეფის უძველესი სალოცავია.

საზოგადოდ მთის ხალხს და კერძოდ ფშავლებს სალოცავები მშვენიერსა და თვალის მიმზიდველ, სასიამოვნო ადგილას აქვთ აშენებული. ჩვენ, ვაკე-ქართელები, სალოცავის შენობის სილამაზეს და ლაზათს ვაპყრობთ უმთავრეს ყურადღებას და ადგილის მდებარეობას ხშირად არაფერს დაგიდევთ,—სულერთია, სადაც უნდა ავაგოთ ტაძარი, ოღონდ-კი შენობა კარგი და ლამაზი იყოს... სულ სხვანაირად ჰფიქრობს და იქცევა ფშაველი. ეს ჯერ-ჯერობით შეუმწიკვლელი ბუნების შვილია და სიმშვენიერესაც ბუნებაში ჰპოვებს და არა კაცის ხელოვნებაში; ამიტომაც ფშაველის სალოცავის მდებარეობა უნებლიედ ჰხიბლავს კაცის თვალს თავისის მშვენიერებით, სილამაზით. რაღა თქმა უნდა, რომ ხატი-ხევი, მშვენიერის თამარის სალოცავი, შესაფერს ადგილას იქნება აგებული. სწორედ ასეც არის და ზემოთ ჩვენის პროზაული კალმით აწერილი ტრტნის ხეობა, სადაც ხატი-ხევი სძევს, მხოლოდ მკრთალი ნათელი იქნებოდა იმ ბუნების სიმშვენიერესი, რომლის დახატვა შეეძლო პოეტურს კალამს და ჩვენზედ მეტად ბუნების აღწერაში დახელოვნებულს ქართველს მწერალსა.

თვით ხატი-ხევის შენობა არაფრით იზიდავს თქვენს თვალს და ფშაველის ჩვეულებრივს სახლ-კარს მოგაგონებთ; კალო-საბძელი, ფიცრული სადგური, ერთი პაწია ქვითკირის მოაჯირიანი ოთახი და ქვემოთ შარა-გზის პირად სიპი-ქვის ნიში—აი გარეგანი სახე ამ საერო მონასტრისა. ოთახის მოაჯირზედ რამდენიმე ხის შანდალია, რომლებზედაც მლოცველნი სანთლებს ანთებენ. სამონასტრო შენობას გარშემო არტყია სახნავ-საძოვარი მამული, სათიბი ადგილი და პატარა ტყე; ეს ყოველივე ხატი-ხევის საკუთრებაა და თუ მონასტრის წევრს არა, გარეშე, უცხო კაცს იმაზედ ხელი არ მიუწვდება. საზოგადოდ, ჩვენი მთის ხალხი დიდის მორიდებით და კრძალვით ეპყრობა ხატის საკუთრებას და რაც უნდა საჭიროება მოითხოვდეს, ვერაგინ ხელს ვერ ახლებს სახატო მამულს. ეს ჩვეულება ნაშთია ჩვენის ძველის კანონმდებლობისა. ძველს დროში, ასე გასინჯეთ, სახელმწიფოსაც-კი ხელი არ მიუწვდებოდა სახატო საკუთრებაზედ.

ეხლაც ხშირად შეხვდებით სოფლად „ხატის მიწას“⁴, გაოხრებულს და გავერანებულს, რომელსაც, თუ არ სასულიერო კაცი, სხვა ვინმე ვერ შეეხება. შიშის გამო,—ხატი იწყენსო, ძირიანად ამოგვაგდებსო. ამ აზრსა და შეხედულობას ბეჯითად და სასტიკად მისდევენ მთაში და, რასაკვირველია, ხატი-ხევის მამულსაც ჰშველის ეს გარემოება. ძველად, როცა ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობა აღორძინებული იყო მაღალ წერტილამდე, ვერც ვაკე საქართველოს

მონასტრების მამულს შეეხებოდა უცხო კაცი; ამ მხრივ, როგორც სხვაფორივადაც, ხატი-ხევის მამულის იურიდიული თვისება ძველს ცხოვრებას მოგვაგონებს.

ამჟამად ხატი-ხევის მონასტერში სამი ქალი ითვლება, რამდენიმე მეცხარე და ერთი ბერი კაცი, გულიაური მექვაბიშვილი, რომელიც მონასტრის უფროსია, თუ გნებავთ, იგუმენი. მეცხვარეები მუდამ სახატო ცხვარში დაიარებიან, იშვიათად ცხოვრობენ მონასტერში, თუმცა-კი მონასტრის წევრნი არიან, იმის წესდებულებას ემორჩილებიან და სხვებთან შედარებით წმინდა კაცებად ირიცხებიან. მონასტერში შესვლა ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული, მაგრამ ვინც ერთხელ შედგება ბერად ან მონაზნად, თავის დანებება აღარ შეიძლება,—ხატის გმობა იქნებაო და ამას ხომ ფშაველი ვერ იკისრებს. დედათავან უფრო ისინი შედიან მონასტერში, რომლებსაც გათხოვება არა სურთ და ან მოტაკებისა ეშინიანთ; ფშავეში როგორც მოგვხსენებათ, ეხლაც ხშირად ცოლის შერთვა მოტაკებით იციან და ვისაც უნდა ეს შემთხვევა თავიდან აიცილოს, მონასტერში მიდის მონაზნად. წინათ, როგორც გვიამბეს, დაშორებით ბევრი ბერ-მონაზონი ყოფილა ამ თამარის მონასტერში, ბოლოს დროს-კი მათი კრიცხვი შემცირებულა. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით უნდა აიხსნას ეს მოვლენა, თუმცა იმის დასახელება-კი შეგვიძლიან, რომ აქა-იქ ხალხში საყვედური ისმის მონასტერში მყოფთა საქციელზედ. იქნება ეს საყვედური მართალი და საფუძვლიანიც იყოს, რადგანაც ერთსა და იმავე მონასტერში დედაკაცთა და მამაკაცთა ერთად ყოფნა საფრთხილო და სამაცდუნო საქმეა, მეტადრე ისეთის მთარშიყე ხალხისათვის, როგორნიც ფშაველები არიან. ვარდა ამისა, თითო-ოროლა სათემო ჩვეულების მოწინააღმდეგე კაცს არ მოსწონს, რომ ხატი-ხევის მონასტერი მარტო თითონ ხმარობს დიდს ცხვრის ფარას, ანგარიშს არ აძლევს საზოგადოებას და ამისათვის ეს მოწინააღმდეგენი ცუდს ხმებს ავრცელებენ თემში. რაც უნდა იყოს, ხატი-ხევის მონასტრის წინააღმდეგ უკმაყოფილება ისმის და ვინ იცის, იქნება ამ უკმაყოფილებამ ბოლოც მალე მოუღლოს მონასტერსა.

მონასტერში მყოფნი, მამაკაცნი თუ დედაკაცნი, წმინდანებად ითვლებიან. ამათი სიწმინდე საზოგადოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხატს ემსახურებიან. კერძოდ სიწმინდე იმაშია ცხატება, რომ მონასტერში მყოფთ სასტიკად აკრძალული აქვთ ღორის ხორცის ჭამა, მეცხვარეებს არ შეუძლიანთ ხატობას და ხატობის წინა დღეებში ცოლს შეეხონ და სხვა ამისთანები; მონაზნებს ნება აქვთ ხატთან მივიდნენ, უბრალო დიაცს-კი ხატთან ახლო მისვლა არ

შეუძლიან. მაგრამ უფრო საყურადღებო მონასტრის შინაური ცხოვრებაა. ეს ცხოვრება ერთობისა და თანასწორობის საფუძველზედ არის დამყარებული და თავის დედა-აზრად ფიციურული წევრის შრომა და მოღვაწეობა აქვს აღიარებული. თუმცა მონასტრის საკმაო შემოსავალი აქვს, მაგრამ ბერ-მონაზნები მაინც დაუღალავად მუშაობენ, საკუთარს ოფლით ირჩენენ თავსა; ყველას თავისი საკუთარი საქმე აქვს მინდობილი და შრომა წვერთა შორის განაწილებულია. მონაზნები უფრო ქალურს ხელ-საქმიანობას მისდევენ, მამაკაცთა უმზადებენ ტალავარს და სხვა საჭირო სამკაულს. წინათ, როგორც შევიტყუეთ, ხელ-საქმიანობა ძლიერ აღორძინებული ყოფილა და ეხლაც იგონებს ხალხი ერთს ფრიად ლამაზს ხელ-მოსაქმე მონაზონსა, სახელგანთქმულს მთელს ფშავში.

როგორც ზემოთ, ვუჩვენეთ, თამარ-მეფის ხატი-ხევი ახალი მოვლენაა, უკანასკნელის დროის ნაყოფია. ამისათვის იქნება მკითხველმა კიდევ იფიქროს, რომ წინათ ფშავში თამარის სალოცავი არა ყოფილა... შეცდომა იქნება. უძველეს დროიდან ფშაველს ანდერძად დარწმენილი აქვს თამარ-მეფის დიდება და ვედრება, მისი სალოცავი. ეს სალოცავი დელის ხატია და თვით დელე გორაა არავის ხეობაზედ, სოფ. ხოშარას ახლო. ხალხის გარდმოცემით, დელე ჯერ ისევ მშვილდისრობის დროს ყოფილა.

ეს სალოცავი და კიდევ ლაშარის ჯვარი¹ ყველა ფშაველისათვის, თითოეულს თემისათვის სავალდებულოა, ასე რომ ვერავინ თავიდან ვერ აიცილებს დელეში და ლაშარის ჯვარში ლოცვასა. მართალია, ყველა თემს საკუთარი კერძო ხატიცა აქვს, მაგრამ კერძო სათემო ხატს ადგილ-აბრივი ძალა და მნიშვნელობა აქვს და არა საერაო, საზოგადო. კერძო ხატების უფროსებად თამარ-მეფე და ლაშარის ჯვარი ითვლებიან. სათემო ხატს მარტო ერთი თემი ლოცულობს (საყურადღებოა, რომ ქალი გათხოვების შემდეგ თავის თემის ხატს ვერ დაივიწყებს; როგორც იმან, ისე იმის ჰოდგამს და ჩამოშავლობამ ის ხატი უნდა ილოცონ, რომელიც ქალის თემს ეკუთვნის, თუმცა ქმრის ხატშიაც ლოცულობს ცოლა); რასაკვირველია, შეიძლება და სწორედ ასეც არის, რომ ერთი თემი მეორე თემის ხატში დაიარება, მაგრამ ეს მიუცილებლად საჭირო არაა. როგორც ვთქვით, სულ სხვა მნიშვნელობა აქვს თამარ-მეფეს და ლაშარის ჯვარს. მამ თითონ მკითხველიც ჰხედავს, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს თამარ-

¹ ლაშარის ჯვარი, ზოგიერთთა აზრით, თამარ-მეფის შვილის ლაშა-გიორგის სალოცავია; სხვანი-კი ჰუიქობენ, რომ ლაშარობის სალოცავიაო. ლაშა-გიორგი არაფრით არ იყო შესანიშნავი და აძიტომ მეორე აზრი ჩვენ უფრო საფუძველიანი ჰგვგონება.

მეფეს ფშავლებს სარწმუნოებაში. ჩვენგან ცნობილი ხატი-ხევი ღელის უმცროსი და არის, იმისი მორჩილია; ხატი-ხევი ძველ ღელიდან გადმოფრინდა და თავისი საკუთარი სადგური აიშენა იმ განსხვავებით, რომ ეს სადგური მონასტრის გეგმაზედ შიდაა, როდესაც ღელე თავის ღღეში ბერ-მონაზნების სადგური არა ყოფილა. ყველაფერში ხატი-ხევი ღელის სალოცავს ექვემდებარება; ადგილმამული, სარჩო-საბადებელიც ღელის „ხატის კაცების“ გამგეობაშია, თუმცა საერთო საკუთრებას შეადგენს. ღელის ხევის-ბერი უფროსია ხატი-ხევისა და პირველი დიდი ღლეობა ღელეში იცის და არა იმის ქვეშევრდომს მონასტერში. ეს ღლეობა მკათათვის დამდგეს მოხდება ხოლმე და დიდ-ძალ ხალხსაც იზიდავს; სადღესასწაულო სამზადისი — ლუდი, საკლავი უხვად არის; ხატი-ხევის ღლეობას (აღდგომის მესამედღეს იცის) ადგილობრივი ხასიათი აქვს და შედარებით ამ ღლეობაში ცოტა ხალხი დაიარება.

როცა ხატი-ხევის დაარსება განუზრახავთ, ყველა თემზედ ცხვარი მოუკრებიან მონასტრის სასარგებლოდ. ეხლა ამ მონასტერს კარგად მოზრდილი ცხვრის ფარა ჰყავს; გარდა ამისა; თაზარ-მეფეს თავის საკუთარი ზვარი და მარანი აქვს ს. ახმეტაში. მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ამ საგანზედ საუბარი.

თამარ-მეფის ცხვრის ფარა ამჟამად მათას ცხვარს აღემატება. თუ ვინიცობაა ცხვარი დაზარალდა, ყველა თემი ვალდებულია შეავსოს ფარა; ცხვარი იკვლის თამარის ღლეობას, ფარა ცხვრისა თამარის საკუთრებას და, რასაკვირველია, ხალხი არასოდეს არ იყაბულებს, რომ „აქიმ-დედოფალს“, რომლის მადლი საქონელსაც იფარავს, თავისი საკუთარი ცხვარი ცოტა ჰყავდეს. პირველად ცხვრის მოკრება თამარის სასარგებლოდ მკითხავის საქმე ყოფილი; მეცხვარეების დაყენება და ამორჩევაც მკითხავისაგან მომხდარა. ეხლაც მკითხავი, ეს ხატის მონა და მისი გულის-პასუხის მალიარებელი, ირჩევს სახატო მეცხვარეებს. მაგრამ რაკი მკითხავი ერთხელ ამორჩევს მეცხვარეს, იმის გამოცვლა და გადაყენება არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ თამარის მეცხვარეც ხატის კაცია და ხატის კაცის თანამდებობიდან გადაყენება არავის შეუძლიან, ჩვეულების წინააღმდეგია. სახატო მეცხვარეობა ერთსა და იმავე გვარეულობაში ტრიალებს. ეხლა ხატის მეცხვარეები ორის გვარიდან არიან — მისრიაშვილების და ბოძაშვილების გვარიდან. თამარის ცხვარს ცალკე, საკუთარი საძოვარი მთა აქვს, რომელსაც ასთაჯურას მთას ეძახიან. ეს მთა მისრიაშვილებს ეკუთვნის. ცხვრის მოვლა და მოშენება მეცხვარეების საკუთარი საქმეა და ანგარიშს ისინი არავის აძლევენ. მეტი არ იქნება ისიც შევნიშნოთ, რომ მისრიანთ და გაბილაურიანთ თემი (ბო-

ქაშვილები გაზიდაურჩიანთ თემისანი არიან) ღელის ხატისა და ხატი-ხევის ე. ი. თამარ მეფის ხელჩვეითია. ეს ორი თემი, თუმცა-კირიციხვით შცირე, ემორჩილება დიდებულს მეფეს, რომელიც თავის მფარველად და პატრონად მიაჩნია. მაგრამ არც სხვა მეცხვარე ივიწყებს თამარის სახელს. როცა ცხვარი დაიძვრის შირაქიდან და შეუდგება არტნის ზეობას, ხატი-ხევის მონასტერს გვერდით უნდა აუაროს. როგორც ვიცით, ამ მონასტრის ნიში — „მისალოცი“, „მადლის მოსათხოვი“ გზის პირადა დგას.

აი სწორედ ამ „მისალოცთან“ ფშაველი წამოაქცევს ხოლმე ბატკანს და მსხვერპლადღსწირავს თამარს — ცხვარი გამიპრაგლეო, დოვლათს ზუ მომაკლებო... მერე ღიღინით მიერეკება თავის ფარას და გული უხარის, რომ ლალი მთის შვილი თავის სამშობლოს ნახვითა სტკბება.

თამარ-მეფის ზვარი სოფ. ახმეტაში დაყოვნნილია ხევის-ბერის სახელზედ. ზვრის მოვლა და შემუშავება ყველა თემისათვის წავალდებულა. ყოველს წელს რივისა და წილის მიხედვით ამოირჩევენ ხოლმე მუშებს ზვარში სამუშაოდ და უარის თქმა არავის შფუძლიან. ზვარს თავისი მარანი აქვს და ხალხს იგი მარანი წმინდა ადგილად მიაჩნია და კიდევ ლოცულობს იქ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მკითხავი სალოცავად თამარის მარანს უჩვენებს მთხოვნელს: წადი, იქ ილოცე და უბედურება აკცდება თავიდანაო; ლოცვა, ხალხის შეხედულობით, ხომ უმსხვერპლოდ არ შეიძლება და კიდევ ამიტომ წმინდა მარანში საკმაოდ იკვლის ზვარაკი. მსხვერპლად შეწირული ხაკლავის სისხლით ხევის-ბერმა მარანი უნდა ასხუროს, „გასწმინდოს“. რადგან მარანი წმინდა ადგილია, ამიტომ ეკრეთ წოდებული მებოსლე დედაკაცი ახლო ვერ გაუვლის. ფშავლის აზრით, დედაკაცი დედათა ბუნების დროს უწმინდურია და ამიტომაც აკრძალული აქვს წმინდა მარანის ახლო გავლა.

ზვრის ღვინოს („კულუხი“) სახატოდ ხმარობენ ღელისა და ხატი-ხევის დღეობაში. სალოცავად მისული ხალხი თავის ნებაზედ სვამს ხატის ღვინოს და დაშლა არ შეიძლება, რადგანაც ღვინო სათემო საკუთრებას შეადგენს. საუცხოვო სანახავია, როცა სოფ. ახმეტიდგან მოაქვთ ხატის ღვინო, თამარ მეფის „კულუხი“. რამდენსამე ფშაველს წინ მოუძღვის ხევის-ბერი; სოფლებში გზის პირად მოგროვილი ხალხი ელოდება ბერის მობძანებას. აგრა გამოჩნდა ხევის-ბერიც, თავის ამაღით. ხალხში ჩოჩქოლია, ყველას სახეზედ მზიარულობა და კმაყოფილება ეტყობა. ხევის ბერი წყნარად და ღმობიერად ლოცავს ხალხსა, ამწყალობლებს, „დიდს დედოფალს“ ავედრებს; მსმენელნი მოწიწებით და კრძალვით ისმენენ ლოცვა-კურთხევას. შემდეგ ღვინოს დააღვეინებენ, ვისაცა სურს. ფშაველისათვის ეს დამწყალობლება სიცოცხლის საუკეთესო წუთია. ვაკელ ქართველებისათვის? — ამის პასუხი თითონ მკითხველმა იცის...

კიდევ ლაშარობაზედ

(იხ. „ივერია“ № 174)

ბერილი შ-ნ ვაჟა-ფშაველასთან

იმ შესანიშნავს ფშაურს სალოცავს, რომელსაც „ლაშარობა“; „ლაშარის-ჯვარი“ ჰქვია, დიდი ადგილი უჭირავს ფშაელების ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ამ ჯვარობაზედ განმეორებით ლაშარაკი მეტი არ უნდა იყოს. თქვენ, როგორც ფშაელების ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა საფუძვლიანს და ზედ-მიწევნით მცოდნეს, კარგად მოგეხსენებათ, რომ „ლაშარის-ჯვარი“ ისეთი ხატია, რომელიც წარსულს დროს და ეხლაც მთელს ფშაეთაჲს მფარველად მიაჩნდა. ეხლაც „ლაშარობა“ პირველი ჯვარობაა და თუ ასეა, მაშ თვით ხატობას ღრმა აზრი უნდა მოეპოვებოდეს, როგორც ხალხის წარმოდგენაში, ისე ისტორიულადაც. რაშია ეს ღრმა აზრი „ლაშარობისა“, რა არის „ლაშარის-ჯვარი“? თქვენ ამბობთ, რომ „ლაშარის ჯვარი“ ლაშა-გიორგისაგან აშენებული ეკლესიაა წმინდა გიორგის სახელზედაო; ლაშა-გიორგის ამ ეკლესიისათვის შეუწირავს წმინდა გიორგის ხატიო; ხალხს ეს გარემოება დავიწყებია, „შეწირული და შემწირველი გაუერთებია და კიდევ გაულმერთებიაო“. გამოდის, რომ ფშაველს ლაშა გიორგი გაულმერთებია, ის ლაშა-გიორგი, რომელმაც არა თუ „გასალმერთებელი“ არა ქმნა რა, არამედ მთელი თავისი სიცოცხლე ბიწიერებასა და გარყენილებას შესწირა, ანაცვალა. როგორ მოხდა, ან რა დასაჯერებელია ლაშა-გიორგის „გალმერთება“, სალოცავად ხატად გარდაქმნა? მინამ ამაზედ პასუხს მოგცემდეთ, ერთი შენიშვნაა საჭირო. აი რა: ჩვენი ძველი გეოგრაფია ვახუშტის სრულიად თანახმაა თქვენის აზრისა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თქვენი აზრი და შეხედულობა დამყარებულია ვახუშტის სიტყვებზედ. ვახუშტი კიდევ იმას ამბობს, რომ «ფშაესა შინა არს ეკლესია, მეფის ლაშასა-განაღმუნებული, რომელსა... უწოდებენ ლაშას-ჯუარს»¹. მაგრამ საქმეც ისაა — „ლაშარის-ჯვარი“ ლაშასაგან აშენებული ეკლესიაა, თუ

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ბროსის გამოცემა, პეტერბურგ, 1842, გვ. 296-98.

საერო, სახალხო ხატია, რომელსაც სულ სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მოგეხსენებათ, რომ ლაშა-გიორგი სხვა ხასიათის მეფე იყო; იგი ეკლესიების აშენებას არ მისდევდა, ყურადღებას არ აქცევდა. ისიც გეცოდინებათ, რომ ეს ქეიფისა და ლხინის მოყვარე მეფე ფშავს მაგრე რიგად არა სწყალობდა და ზაფხულობით სააგარაკოდ აფხაზეთის სტუმარი ბძანდებოდა ხოლმე. იქ, აფხაზეთში, ლაშა-გიორგი ნადირობდა ხოლმე ზაფხულობითაო, ამბობს ჩვენი ისტორია. ეს კიდევ არაფერი: შეიძლება ლაშა არც ღვთის მოსაყი ყოფილიყო და არც მთიანი და ჯღდოვანი ფშავი ჰყვარებოდა, მაგრამ ერთი ეკლესია მაინც აეშენებინა წმ. გიორგის სადიდებლად და თავისის სახელის მოსაგონებლად. ეს ყველაფერი შესაძლოა, ხოლო ის-კი შეუძლებელია, რომ ხალხს, და მეტადრე ისეთს პატიოსანს და ზნეობიანს, როგორნიც ფშავლები არიან, „გაღმერთებინა“ და ისიც ვინ? ლაშა-გიორგი! რომლისაჲმე მეფის „გაღმერთებისათვის“, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, საჭიროა „გასაღმერთებელმა“ ღრმა კვალი გაავლოს ხალხის ცხოვრებას და ისიც კეთილი, ნაყოფიერი კვალი. თუ ფშაველმა „გაღმერთა“ თამარ-მეფე, ამას თავისი საბუთი აქვს, — დიდებულმა თამარმა ბევრი ღვთიური საქმე ჰქმნა. რა ღვთიური საქმე გააკეთა ღირსეულის დედის ყოვლად უღირსმა შვილმა? — არაფერი! მაშ ლაშა-გიორგის ხალხისაგან „გაღმერთებაც“ მართალი არ უნდა იყოს. ასეც არის.

ჩემის აზრით, ვახუშტი სცდება, როცა ამბობს, რომ ლაშასაგან ფშავში აშენებულს ეკლესიას ლაშას ჯვარს უწოდებნო. აქ ვახუშტი ღრმად ვერ დაჰკვირვებია სიტყვას «ლაშას-ჯვარი». ამ სიტყვის ეთნოგრაფიული მნიშვნელობა ვერ შეუგნია და ამიტომაც ჰგონია, რომ „ლაშარის-ჯვარი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ლაშა-გიორგი“. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „ლაშარის ჯვარს“, «ლაშარობას» ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს ლაშქრობის ჯვარს, ლაშქრობას, ლაშქრის ხატს.

ფშავში ლაშქრობა ჩვეულებრივს ხელობას შეადგენდა. როგორც სხვა ჩვენს მთიულებს, ისე ფშავლებსაც მტერი არ აკლდამტერი ლაშქრავდა ფშავს და ეს კიდევ ლაშქრავდა თავის მტერს, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი — „ურჯულლო“, თუ „რჯულიანი“, თავისიანი, თუ უცხოელი. ლაშქრობისათვის საჭირო იყო ცალკე ხატი, ცალკე სალოცავი, ლაშქრის ჯვარი.

სანამდე ფშაველი გაილაშქრებდა თავის მტერზედ, საჭიროდ რაცხდა ლაშქრის ხატთან ლოცვა-ვედრებას მტერზედ გასამარჯვებ-

ლად. ამიტომაც ლაშქრის ჯვარი საკუთარს რელიგიურს კულტს შეადგენდა, აი თუნდა ისეთს, როგორც ძველს რომაელებს ჰქონდათ (მარსი, ღმერთი ლაშქრობისა). ვაჟეაცობა, გმირობა და ლაშქრობა, ფშავლის შეხედულობით, ღვთიური საქმეა, ზეციურს არსებაზედ — ხატზედ არის დამოკიდებული და ამიტომ საჭირო იყო საკუთარის ლაშქრის ჯვარის დაარსება.

ძველს დროს სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ლაშარის ჯვარს. „ლაშარს“ თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, საკუთარი ხევის-ბერი ჰყავდა, რომელიც ლაშქრის წინამძღოლად ითვლებოდა. ჯერ „ლაშარს“ უნდა დაჰკითხოდა ხალხი, შეეტყო — ყაბულობს თუ არა ჯვარი გალაშქრებასა და მერე გაელაშქრნა. უამისოდ გალაშქრება შეუძლებელად მიაჩნდათ და თუ იკისრებდნენ, დამარცხება მოსალოდნელი იყო.

ფშავლების „ლაშარს“ ფართო სამფლობელო ეჭირა, იმას ემორჩილებოდნენ, მარტო ფშავლები კი არა, ხევსურნი და თუშნიცა. ესეცხადად ჩანს ერთის ხევსურულის სიმღერიდგან:

თუშთა, ხევსურთა, ფშაველთა
ლაშარს პირობა შაჰკრიანს;
უბრძანებს ლაშარის-ჯვარი —
ახვაში ჩასვლა მწადიან,
ერთმანეთს ნუ ულალატებთ“ და სხვა.

„ლაშარის“ განსაკუთრებული ჩვენგან ნაჩვენები მნიშვნელობა შედარებითაც მტკიცდება. როგორც ვიცით, ესლაც ხევსურეთში რამდენსამე ადგილს არის „ლაშქრობის“ ხატი, ჯვარი. ამგვარი უმთავრესი ხატი მეუფებს ს. გუდანში. ლაშქრობაც გუდანის-ჯვარის „ბრძანებაზედ“ იყო დამოკიდებული:

ხევსურებ ბედავს ლაშქარსა,
ბრძანებს გუდანის-ჯვარიო“...

ხევსურეთშიაც, როგორც ფშავში, ლაშქრობა რელიგიურს კულტს შეადგენდა. გასალაშქრებლად საჭირო იყო განწმენდა —
ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა,
სიწმინდის ელვენ ცანიო...

ეს განწმენდა, „სიწმინდე“, გვიჩვენებს, რომ ხალხის აზრით, ლაშქრობა ღვთიური საქმე იყო. როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ასე სწამდათ ლაშქრობა ფშავლებსაც. ამ გვარს რწმენას, შეხედულობას იმათი გძირული პოეზიაც ამტკიცებს. თითოეული გმირი მოვალე იყო ელოცნა „ლაშარში“, „სამხვეწრო“ მიერთმია „ლაშქრის ჯვარისათვის“.

ჩვენის მთიულების ზნე-ჩვეულება გვიჩვენებს, რომ ლაშქრობის ხატს, ადგილობრივ მცხოვრებლებს გარდა, სხვებისათვისაც აქვს ძალა და მნიშვნელობა. მაგ. ხევსურეთში, ს. ხახმატს, სადაც ხატს ლაშქრობაც ეკითხვის, მლოცავები მიდიან ფშავ-თუშეთიდგან. რა-

და?—მიზეზი ცხადია: ლაშქრობის ხატი საყოველთაო ხატია ჩვენის მთიულისათვის. ყველა მთიულისათვის ლაშქრობა ღვთიურს საქმეს შეადგენდა და ამიტომაც თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთურთის „ლაშქრის ჯვარში“ დაიარებოდნენ. ლაშქრობა საერთო, საზოგადო მოვლენა იყო, „ლაშქრის ხატსაც“ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამიტომ შეცდომაა ის აზრი, ვითომ თუშები ლაშქარში სალოცავად დაიარებიან მხოლოდ იმ დროიდგან, როცა იმათი ლაშქარი და გამოჩენილი გმირი გიორგი თილის ძე ფშავლებმა დაამარცხეს ს. ხოშარაში. თუშებმა ლაშარის - ჯვრის ძალა მხოლოდ მაშინ შეიგნესო... სრულებითაც არა! თილის ძე, ეს მშვილდ-ისრობის დროის გმირი, „ლაშარში“ სალოცავად მივიდა და „თეთრი ქორა ხარი“ მიაართვა ხატს, ფშავლებთან შესარიგებლად და ჯვარის წინ თავის მოსადრეკად კი არა, — გმირი ვალდებული იყო ყოველთვის ელოცნა და მსხვერპლი შეეწირა ლაშქრის ხატისათვის: ამას თვით ვაჟკაცობისა და ლაშქრობის ვითარება თხოულობდა. ზვარაკის „სამხვეწროდ“ მიყვანა ჩვეულება იყო. გულ-დიდს თილის ძეს თავ-მოსადრეკი და სახვეწარი არა ჰქონდა-რა ფშავლებთან. ეს თილის ძის სიტყვებიდგან სჩანს. ის ფშავლებს ეუბნება: ჯერ დამაცადეთ, გზა გავიდეს, ლაშქრობის ამინდი დადგეს და მაშინ გიჩვენებთ სეირსაო, —

ზოგ გავარიგოთ მაშინა,
როცა გამოვლენ მთანიო,
ვინ ედგეს მტერსა ახლოსა,
ვის უჭრო სჭრიდეს ხმალიო...

თქვენც დამეთანხმებით, რომ მუხლმოსადრეკად და შესარიგებლად მისული თუში ამ გვარად არ აეძრახება, არ აეჩქამება ისეთს „მალღის მთის შავარდნებს“, როგორნიც ფშავლები არიან. არა, როცა მთიულებში დაარსდა ლაშქრობა იმ აზრითა და ხასიათით, რომელიც ვუჩვენეთ, მაშინ გაჩნდა ლაშქრობის ცალკე ხატიც. იმ დროიდგან დაიწყეს კიდევ ერთურთის „ლაშქრის ხატებში“ სიარული სალოცავად.

მცირედი შენიშვნაც და კიდევ გავათავებთ. „ლაშქრის-ჯვრობა“, როგორც სოციოლოგიური დაწესებულება, ძველად-ძველის დროის ნაყოფი უნდა იყოს. ქრისტიანული მას არა ეტყობა რა და ეხლაც მთაში „ლაშქრის-ჯვრობა“ წარმართობისა და „კერპობის“ ნაშთს წარმოადგენს. შემდეგში, ქრისტიანობის გავრცელების დროს, „ლაშქარ-ჯვრობა“ წმიდა გიორგის ჩააბარეს, დაუსაკუთრეს. ხევსურეთში, მაგ., სადაც კი „ლაშქრის-ჯვარია“, იქ უეჭველად წმიდა გიორგის სახელზეა ხატი. თვით ფშავის „ლაშარიც“ ხომ წმ. გიორგის სახითა და სახელით მოქმედობს. ამისი მიზეზი ადვი-

ლად გასაგებია: წმ. გიორგი, ეკლესიის შეხედულობით, ქრისტიანობის გმირია, მოლაშქრე. იგი სთრგუნავდა და ჰმუსრავდა ქრისტიანების მტრებს. მთიულებმაც აიღეს და ლაშქრობის გამგეობა წმ. გიორგის ჩააბარეს. ხახმატის წმ. გიორგი კაცის მკვლელებსაც კი თავიანთ მფარველად შიაჩნიათ.

„სახვეწარი“ რომ მივართვა, მერე მტერს ჩავუსაფრდე და თოფი ვესროლო, მტერი ვერ დამინახავს, წმ. გიორგი შემეწევაო. აი სადამდინ მიაღწია მთის „ლაშქრის-ჯვრობამ“...

დიად, ჩემო ბატონო, ფშაეური „ლაშარის-ჯვარი“ „ლაშქრობის ჯვარია“ და არა ლაშა-გიორგისაგან დაწესებული და დაარსებული ხატი.

როსტომ-გმირი

(ფშაველბის გმირულ პოეზიიდან)

ფშაველები, როგორც მოგეხსენებათ, პოეტური ხალხია. მათ სახალხო პოეზიაში გმირული დროც იხატება. ის დრო, როცა ხალხი ებრძოდა კაცის-მჭამელ დევებს. ამ დევებთან ბრძოლაში სახელი გაითქვეს თითო-ოროლა გმირმა და მათ შორის როსტომ-გმირსაც იხსენიებს ფშაველების პოეზია, თუმცა ეს როსტომი არა გვეგონია, რომ ნამდვილი ადგილობრივი, სახალხო გმირი იყოს. სხვათა შორის იქნება ესეც არის მიზეზი, რომ სრული ცხოვრება როსტომისა, მისი თვითმული ვაჟკაციური მოქმედება ხალხს აღარ ახსოვს; მაგრამ ხალხს ესეც დრმად ჩანერგილი აქვს მახსოვრობაში ერთი ხანა როსტომის ცხოვრებიდან. სახალხო პოეზიის მოყვარულთათვის იქნება მეტი არ იყოს ფშაველურად გარდაქმნილის როსტომის გაცნობა. აი თითონ ეს როსტომიც.

როცა როსტომი დევებთან საომრად წასულა, სახლში დაუტოვებია ერთად-ერთი შვილი ზურაბი და ცოლისათვის სიტყვა დაუგდია, — როცა ზურაბი ჰასაკს მოვა, ჩემთან გამოგზავნე დევებთან საბრძოლველად; ყელზედ ჩემის მუზარადის (თავ-სახურავი საომარი) ნიშანი შეაბი და იმაზედ ვიცნობ ჩემს შვილსაო. ცოლსაც შეურულებია ქმრის—გმირის თხოვნა. ჰასაკოვანი ზურაბი მამასთან გაუგზავნია და გულზედ იმისი მუზარადის ნიშანი შეუბამს.

ზურაბი გამგზავრებულია მამასთან, გზაზედ ეშმაკები შეხვედრიან და დაცინვა დაუწყვიათ: დიაცი ხომ არა ხარ, რომ გულზედ რაღაცა ქალის სამკაული შეგიბამსო. ზურაბს ეს სწყენია, — მუზარადის ნიშანი მოუხსნია, უბეში ჩაუდვია და ისე მისულა მამასთან. როსტომს ვერ უცენია თავისი შვილი; მათ შეტაკება მოსვლიათ, ერთმანერთს სძვერებიან და ბრძოლა დაუწყვიათ. ბრძოლის დროს როსტომს სასიკვდილოდ დაუჭრია თავისი შვილი. როსტომმა და ზურაბმა არ იციან—ვინ არიან ისინი ერთი-ერთმანერთისა.

ზურაბი ემუქრება თავის მეშულღეს:

შე ბერო კაცო, რად მამკალ?

ხმალი რად დამე ვადამდე,

იმ მამაჩემსა როსტომსა
საით წაუხვალ, სადამდე?
ზღვას გახვალ, ზღვასაც გამუა,
ხმულეთს ვერ დაემალები...

როსტომი:

თუ შენ როსტომის შვილი ხარ,
აბა ლიშანი სად არი?

ზურაბ:

გამიხსენ ჩაფურასტები,
ილღია ნახე, იქ არი...

როსტომმა გაუსინჯა ილღია და მართლაც „ლიშანი“-უბოვნა; მაშინ კი დარწმუნდა როსტომი, რომ თავისი საკუთარი შვილი დასჭრა სასიკვდილოდ. ეს ძლიერ ეწყინა გმირსა. ჯერ ასე ასწერს როსტომი თავის ვაჟ-კაცობას:

ა იმ გორსა და ემ გორსა
ერთმანერთსა ვკრავ, მას ვუზამ,
თორმეტ ლიტრასა რკინასა
პირში ჩავიდებ, კნატს ვუზამ,
ალაზანსა და იორსა
დავეწაფები, ყლავს ვუზამ!..

ეს ხომ ასეაო, მაგრამ დიაცმა, ჩემმა ცოლმა-კი „გამტეხაო“, —
აგზედ დამდგარმა დიაცმა
გამტეხა, ველარას ვუზამ!

ამის შემდეგ როსტომი სწყყევლის თავის დიაცსა:
სულიმც კრულია, ზურაბო,
მუცელი დედიშენისა!
რად არ შეგაბა ყელზედა
მუზარადისა ჩემისა?

როსტომს ჰსურს როგორმე უწამლოს დაჭრილს შვილს და ვი-
ლაცა „კიმკაველთა მეფეს“ ემუდარება, წამალი გამომიგზავნო, შენა
ჯარ მიზეზი, რომ დევებთან წამოვედი საომრად და ეს უბედურება
დამემართაო, შვილი შენის მიზეზით მიკვდებაო, —

შენ, კიმკაველთა ნეფეო¹,
შენგნით შავები დევთაო;
გამამიგზავნე წამალი,
ზურაბი მხვევაე ხელთაო...

¹ ჩვენ არ ვიცით—სად იყო და ვინ იყო ეს «კიმკაველთა მეფე». საბა სულ-
ხან ორბელიანი იხსენიებს «კიმკიმელი», რომელიც ნიშნავს დიას ცა მეექვსე;
აქნება ეს კიმკაველი ვარსკვლავის სახელიც იყოს...

მაგრამ საბრალო მამას წამალი არავენ გაუგზავნა და შვილი მოუყვდა. როსტომი ასე მოსთქვამს თავის მწუხარებას:

შემაკვდი, შვილო ზურაბო,
გავხმი უშტოო ხევითა;
ვაი მამაშენს, ზურაბო,
მოკლულს მამის ხელითა!..

ამ კერძო მწუხარებას ზედ ისიც უნდა დაეურთოთ, რომ როსტომს თავის დღეში „ლხინი“ არ უნახავს, სიცოცხლით არ დამტკბარა, რადგანაც მთელი თავისი სიცოცხლე სულ დევებთან ბრძოლაში გაატარა,—

როსტომ თქვა: დღეიმც კრულია
დაბადებისა ჩემისა,
სიყრმე სიბერედ ვაქციე
დღე ვერა ვნახე ლხინისა...
ვერ ავიხარე კისერი,
უღელი მედვა რკინისა.

შესანიშნავია ხალხის გადმოცემით ზურაბის სიკვდილის წამი. როცა ზურაბს სული ამოუვიდა, როსტომმა სიმწარით ისე მალლა დაიყვირა, ისეთის ხმით გაჰვილა, რომ მთელი ხმელეთი შეიძრა და ცა და ქვეყანა შეირყაო. ხალხსა ჰგონია, რომ სწორედ მაშინ გაჩნდა ჭექა-ქუხილიცაო და წინათ-კი არც ჭექა იყო და არც ქუხილიო... ასე რომ, ხალხის აზრით, ჭექა-ქუხილი როსტომის ხმაა და სხვა არაფერი. როცა როსტომს შვილის სიკვდილზედ ასე მაგრა დაუყვირნია, ენა ჩავარდნია და დამუნჯებულა. დამუნჯებულს როსტომს მიწა გაუთხრია, ორმო გაუკეთებია და შიგ დაბინავებულა. მწუხარების და გულის სევდის გადასაყრელად ფანდური გაუკეთებია და თავის ჭალარა წვერის ბალანი სიმებათ დაუგრებია... ამნაირის ფანდურით თურმე იქარვებდა საბრალო ბერი-გმირი გულის დარდებს... მაგრამ არც ორმოში მოასვენეს როსტომი. ერთი ვიღაცა გმირი ყოფილა, დევების მეზრძოლე და როსტომის მოშურნე, რომელსაც სახელად მაქანაძე რქმევია. ამ მაქანაძეს მოუწოდებია როსტომის მოკვლა, მისი ძირიანად ამოგდება, მაგრამ მარცხი მოსვლია,—

ვინ გითხრა, მაქანაძეო,
როსტომ მასთხარე ძირშია?
როსტომი არ მათხრება,
სანამ სულ უდვა პირშია!..

რაც უნდა იყოს, მაინც საცოდავი როსტომი მოსვენებას სიკვდილისაგან მოელის, სიკვდილზე მოუღებს ბოლოსა და დასასრულს ჭირსაო,—

როსტომ თქვა: ვერა სჯობია
ამ ჩემსა მოგონებასა,
კაცი თუ მოკვდა, მორჩება
ჭირსა და დაღონებასა!

სახალხო ლექსებიდან¹ ჩანს, რომ როსტომს დიდი პსტივის-
ცემა ჰქონია ხალხში. ეხლაც როსტომის „ნათქვამს“ ხშირად იმეო-
რებს ხალხი და ეს „ნათქვამი“ ანდაზად არის გადაქცეული, შეურ-
ყვეელ ქეშმარიტებად აღიარებული. მართლაც და; როსტომის „ნა-
თქვამს“ რომ დააკვირდეთ, ადვილად შენიშნავთ როსტომის პრაქ-
ტიკულს ჭკუას, ხალხის ზნე-ჩვეულების ცნობას, მისის მიმართულების
შეგნებას. აი, მაგალითებო, რა მშკენურად ამბობს გმირი მეგობრის
ღალატზედ:

როსტომ სთქვა — ერთი ქართული
ჩინეთს ქვაზედა სწერი: —
ვისაც მე ვიყავ ერთგული,
ის უფრო ჩემი მტერია!..

მოგეხსენებათ, რომ ფშავში აქამდე დარჩენილია წაწლობა
(დაძმობილება), რომელიც დაფუძნებულია ზნეობითს კავშირზედ,
უშანკო სიყვარულზე, „მაჯნურობაზე“, რომელიც «სხვა რამეა, არ
სიძვისა დასადარი»... ფშაველს ეხლაც სწამს წაწლობა, —

შაჰინახე, როგორც ძმამა,
შეგაფიცებ ფშავლის რჯულსა.

თუ დასავით ვერ დაგინდო,
ღმერთიც ამომართმევს სულსა! —
გავხდე თოფას ანაწერი,
ხმაღს შავეჭრა გაღესულსა!

ეს ხომ ასეა, მაკრამ როსტომმა კარგად იცის ქალას ხასიათი;
მისი ცბიერება, ჭკუის სისუსტე და სიმჭატე; მას «ღიაცის ჭკუისა»
არა სჯერა რა, —

როსტომ თქვა: ჭკვა ღიაცისა
არც მამწონს, არც მეკეთება;
ვაჟკაცს, ღიაცის მჯერესა,
სამარემც დაეკეთება;
ჯერ ხომ შენაა ღიაცი,
მერე სხვას გაეკეთება.

¹ აქ მოყვანილი ლექსები და ლექენდა როსტომზედ ჩვენ გამოგვცა ერთმა
ახალგაზდა ფშაველმა. და ვ ი თ ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ძ ა ბ ნ ს დ. ნიხანა მვილს შეკრე-
ბილი აქვს სახალხო ფშავეური ლექსები, რომლებიც მალე დაიბეჭდებიან. ჩვენის ახ-
რით, ეს ლექსთა-კრება საუცხოვო გააძი და საჩუქარი იქნება ჩვენის მწერ ღობილიათვის

თქვენ, რასაკვირველია, იკითხავთ—თუ რა იყო მიზეზი, რომ როსტომის „ნათქვამი“ ეხლაც სახელმძღვანელო ქემშარიტებად მიანიხნია ხალხსა; მიზეზი მარტო როსტომის გმირობა არ გახლავთ. როცა რომელსამე გმირს მთელის საუკუნოების განმავლობაში ხალხზედ ზნეობითი გავლენა ჰქონია და აქვს კიდევ, როცა გმირის ნაწყვეტი ლექსი, მისი „ნათქვამი“ ხალხს ისე ჰსწამს, როგორც სახარების სიტყვა, მაშინ გმირი თავისის ზნეობით და პატიოსნებით ისე მალა უნდა იდგეს სხვებზედ, როგორც მალა სდგას თავისის ჯანით და ღონით. სწორედ ასეთი იყო როსტომიც. თუმცა როსტომი ისეთი ძლიერი იყო, რომ „ალაზნსა და იორსა დაეწაფებოდა, ყლაპს უზამდა“, მაგრამ თემს, „სოფელს“ ამყობას არ უწევდა;

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ,
ჯირითი მეც შევისრიე;
სოფელში ამყობასა
ისივ დათმობა ვირჩიე!..

აი ნამდვილი გმირი, რომელიც „სოფელს“ ემორჩილება, სხვების სამართლიანს სურვილს და ნებას პატევსა სცემს! ეხლა-კი ვისაც ცოტაოდენი ძალღონე აქვს და ხელი შესწევს, სოფელს კისერზედ წამოაჯდება!.. დრო შეიცვალა და ნამდვილი ქართული გმირობაც ძარიანად აღმოიფხვრა...

როსტომს დიდხანს უცოცხლა, ღრმა სიბერემდე მიუღწევია,—

როსტომ თქვა: სიბერეაკითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა;
ჯაჭვი პერანგად გავცვითე,
ახლა აღება გაჭირდა!..

ჩვენ ხელთ საკმაო ცნობები არა გვაქვს და ამიტომ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, გადაჭრით ვერ ვიტყვი—როსტომი ნამდვილი ფშაველი გმირია, თუ ის არის, რომელზედაც „როსტომიანი“ დაუწერიათ. აწინდელს ფშაურს სახალხო პოეზიაში, როსტომის გარდა, სამი გმირია გამოყვანილი—კოპალა, იახსარი, პირქეში. თვითეულს ამ სამ გმირთაგანს ხალხი ეხლაც ლოცულობს, როგორც წმინდანს, როგორც „დედ-კერპებთან“ მებრძოლესა... მათ ხალხი „ღვთის შვილებს“ უწოდებს. როსტომს-კი არა ლოცულობენ. გარდა ამისა, ხალხი ეხლაც უჩვენებს იმ ადგილებს, სადაც უცხოვრიათ კოპალასა, იახსარს და პირქეშს; როსტომის საცხოვრებელი ადგილი-კი ხალხმა არ იცის. ამ მიზეზის გამო, ვიმეორებთ, იქნება როსტომი ფშაველების გმირი არც-კა იყოს, მაგრამ ხალხს-კი თავის გმირად მიანიხნია, თავის გმირად გარდაუქმნია; ეს უკანასკნელია ჩვენთვის საჭი-

რო და ანტიტომაც როსტომი მოვიხსენიეთ, როგორც მომქმედი გმი-
რო ფშავლების ეპოსისა.

დასასრულ ორიოდ სიტყვაც სულ სხვა საგანზედ. დროთა
ბრუნვა და ჟამთა ვითარება თავის ბეჭედს სახალხო პოეზიასაც ას-
ვამს,—ხალხი ნელ-ნელა ივიწყებს თავის ეპოსს, თავის გმირულს
პოეზიას. დიდად საჭიროა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ყურადღება
მიაქციოს ამ მოვლენას და მალე მოჰკიდოს ხელი სახალხო პოეზიის
შეკრებას და შესწავლას. დროა ფრაზების რახა-რუხს თავი დავანე-
ბოთ და ხალხის ცხოვრება შევისწავლოთ ყოველ მხრით.

ხევისურულ პოეზიაზე

(წერილი მ-ნ პ. უმიკაშვილის მიმართ)

პულ-დადებით წავიკითხე თქვენი შენიშვნა „ვეფხვის-ტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაზე, დაბეჭდილი 1887 წ. „ივერის“ № 171-ში. იმ შენიშვნიდან ცხადად ჩანს, რომ ჩვეულებრივად თვალ-ყური გიდევნებით ხევსურულ პოეზიისათვისაც. მაშ სრული საბუთი მაქვს, თქვენ, როგორც მცოდნეს, ჩემი შეხედულობა გაგიზიაროთ ამ თავისებურს პოეზიაზე. თუმცა ისიც კი უნდა ვსთქვა, რომ ამჟამად მარტო სავაჟაკო, თუ ვნებავთ, გმირული პოეზია მექნება სახეში. გეცოდინებათ, რომ ხევსურს თითქმის მარტო სავაჟაკო პოეზია აქვს და ეგრეთ წოდებული ლექსი, სააწიკო და სალადობო შაირობა, მეტადრე ძველებური, ცოტა მოეპოვება:

ძველის ხევსურული პოეზიის უმთავრესი ხასიათი და მიმართულება ვაჟაკობისა და გმირობის შესხმა და ქება-დიდებაა. მაგრამ ვაჟაკობაც და გმირობაც ხევსურს თავისებურად ესმის. იმისათვის ყველა თანასწორი გმირია, ოლონდ-კი კაცმა სიმამაცე გამოიჩინოს, ხირიმი და ფრანგული მარჯვედ მოიხმაროს. კიდევ ამიტომ, ხევსურის აზრით განსხვავება არაა მეკობარსა და ახ თუნდა ასპინძის ველზედ მეომარ გმირს შორის,—ხევსური ორთავეს ერთგვარად დაჰმღერის, თანასწორად აქებს, აღიღებს. მოგეხსენებათ, რომ მეკობრობა, რომელსაც ხევსური თავის სიმღერაში ველობასა და მზირობას უწოდებს, ცუდი ჩვეულება იყო და არის კიდევ. კანონი არათანაუგრძნობდა ამ ჩვეულებას, მაგრამ ხევსური თავისას არ იშლის. მეკობარს იმავე ღირსებას და პატივს აკუთვნებს, რომელიც უნდა ეჭიროს ნამღვილს გმირს, სხვადასხვა მაღალ ზნეობრივის თვისებით აღსავსე ვაჟაკსა. ამას ჩვენ ბრალად არა ვდებთ ხევსურს: თვით წარსულმა ცხოვრებამ მეკობრობა ხელობად გარდაქმნა, ხალხის „იდეალად“ გარდააქცია. ხევსურს მოსვენება არა ჰქონდა გარეშე მეკობრებისაგან, ხშირად ეს უკანასკნელნი მას მიწასთან ასწორებდნენ, ანადგურებდნენ; რაც ქართველისათვის დაუსრულებელი და ბოლო მოუღებელი ომი და ლაშქრობა იყო, ის ხევსურისათვის—

შეკობრობა; შეკობრობდნენ „ურჯულო“ მეზობლები, და უნდა ვე-
ლობა და მზირობა ეწია ხევსურსაც, — რას იზამთ, როცა, ხევსუ-
რულ სიმღერისა არ იყოს:

დილას ადგომა ადრიან,
გრილსა რკინასა სხმა უნდა,
აყუფდებოდას ქობაქი,
სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა,
სოფელს მავიდას მოძალე,
სხვათ ნამეტნავად ცლა უნდა!.

დილად, შეკობრობა დედაძარღვია ხევსურულის პოეზიისა. თით-
ქმის ყველა სოფელში შეგიძლიანთ მოისმინოთ აუარებელი სიმღერები
ამ შეკობრობაზედ. რასაკვირველია, უფრო დიდს პატივდებაში არიან
ძველებური სიმღერანი, თუმცა აქა-იქ ახალს შეკობრობასაც დამლე-
რიან. სავაჟკაცო, თუ გნებავთ, სამეკობრო სიმღერას თითქმის სრუ-
ლიად დაუჩაგრავს სხვა გვარი სიმღერა, აი თუნდა საარშიყო მე-
ლექსეობა, თუმცა ჩვენის პოეზიის მამა-მთავარმა ანდერძად დაგვი-
ტოვა:

...ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად.

მაგრამ ხევსურს ეს ანდერძი უარუყვია, იმის ფანდურის სიმები
ძლიერ იშვიათად ჟღერენ „სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სა-
თრეველად“... მეტადრე ძველის დასის მომღერალნი სასტიკად ძრახ-
ვენ და ჰკიცხვენ სალალობო ლექსს. ამ ბოლო დროს ახალგაზღვობა
თავისას არ იშლის, სავაჟკაცო პოეზიას ნელ-ნელა თავს ანებებს
და სიყვარულს დამღერის, დიაცს ეაშიკება:

ცხადად ჩანს, რომ სახალხო პოეზიაში ახალი ხანა იწყობა,
ახალი მიმართულება იზადება. როგორც შევნიშნეთ, ძველებს ეს მი-
მართულება არ მოსწონთ და გულ-ნაღვლიანად უკიყინებენ ახალს
შეფანდურეებს, —

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს:

ნეტა გამიჭრის რუ არა!?

ცუდაი ქალის ფარავსა¹,

ნეტა მამიხვეს, თუ არა...

მაგრამ მოგეხსენებათ, რომ გულ-ნაღვლიანობითა და კიყინით
საქმეს არ ეშველება. ახალმა ცხოვრებამ ძველი ველობა და მზირო-
ბა თითქმის სრულიად მოსპოვდა სამღერლადაც სხვა მოვლენა და

¹ ფარავი გულ-მკერდზედ ასაფარებელი ფერადად მოქსოვილ-მოქარგული
საცმელია.

შავანი წამოაყენა ასპარეზზედ... არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ ძველის დასის მომღერალთა სხვა საბუთიცა აქვთ სდევნონ სალა-
ლობო შელექსეობა. საქმე იმაშია, რომ ხევსურის ზნეობრივი შეხე-
დულობა ეწინააღმდეგება საარშიყო პოეზიას. ხევსურს თავისებურად
ესმის სიყვარული, — დიაცის პატივი, მისი ქალური ნამუსი და მან-
დილის თაყვანის-ცემა ისე მაღლა სდგასო, რომ ლექსით მოხსე-
ნიება სირცხვილია, შულს დაბადავსო, ასე გვიამბეს ძველმა მეფან-
დურებმა... იქნება ეს ცოტად მაინც მართალი იყოს, მაგრამ უმ-
თავრესი მიზეზი ახალის მიმართულების გაჩენისა მაინც სხვა რამეა,
შახელდობრ ისა, რომ ძველებურს მეკობრობას საფუძველი მოეშალა
და პოეტურმა ქავეილმა ნება-უნებურად სხვა გზა-კვალი ამოიჩრია...

თუ არა ვცდებით, ისევე უნდა ითქვას ფშავეურ სახალხო პოე-
ზიაზედაც, რომელიც თავის ფართო შინაარსით და ღირსებით და-
შრებებით მაღლა სდგას ხევსურულზედ...

მეორე განსაკუთრებული თვისება ძველის ხევსურულ სიმღე-
რისა¹ ვაჟკაცის მოქმედების გაზვიადებაა. სულ უბრალო მამაცო-
ბა საკმაოა, რომ მელექსემ „კაი ყმა“ ცამდე აიყვანოს, მის გმირო-
ბას სამხლევარი არ დაუდოს... მაგალითებრ, ს. კისტანს ლექის თა-
რეში დასცემია და სხვათა შორის ერთი გამოჩენილი ვაჟკაცი, სა-
ხელად ჩალხია, მოუკლავთ. აი ლექსი როგორ იხსენიებს ამ ჩალ-
ხიას:

ნუ იტყვიო ჩალხის სიკვდილსა,
საწყენ არს მაღალ ღთისაო,
— მზემა გაიგა — იწყინა,
ცა წმინდა ნამსა ყრისაო,
მთვარემა თხუთმეტისამა
შავი შაიცვა პირსაო!..

ან სხვა ლექსი ავიღოთ, სადაც საურუმოზედ გალაშქრებაა
აწერილი:

ჯანშათა ივანეური
კილდის ვეფხვია მწკლიანი,
თათარა ატაბიონი
რკინა საპირიანი,
ქმოსტელი ყარდანაული
ზასრი ხმალია ფხიანი!.. და სხვა.

ეს კიდევ არათფერი, რომ ხევსურული, სავაჟკაცო პოეზია გმირის

¹ სიმღერისა იმიტომ, რომ ხევსური საარშიყო შირობას ლექსს უწოდებს
და არა სიმღერას; სიმღერას უეკველად. სავაჟკაცო მოქმედება უნდა ჰქონდეს
შავანად.

მოქმედებას მეტად აზვიადებს, საყურადღებო უფრო ისაა, რომ
გაზვიადება ხშირად ტრაბახობად და ბაქიაობად გარდაიქცევა ხოლ-
მე. ტრაბახი, უსამზღვრო თავმოყვარეობა მარტო სამეკობრო სიმ-
ღერას-კი არ ეტყობა, ეს ნაკლი დასტულობია ისტორიულ ლექსებსაც
მაგ., ლექსს ასპინძის ომზედ:

ჭეხოთ მიაართევს სალამი
დუშეთს ბატონიშვილსაო.

მერე, როცა ურუმნი იძლივნენ:

სანამ მივსდიოთ, ხევსურთ თქვეს,

სანამ ლიშანში ჩნისაო,

უკან ჩასდიეს ხევსურთა,

წყება ამადის ხმლისაო!..

მოგეხსენებათ, რომ ერეკლე გმირთა გმირია; ისიც მოგეხსე-
ნებათ, რომ ჩვენი ძველი თავად-აზნაურობა სამშობლოს გარედაც-კო
განთქმული იყო ვაჟკაცობით. ხევსურს-კი ჰგონია, ვითომ იმის გმი-
რობა აკვირებს მარტო თავად-აზნაურობას-კი არა, თვით ერეკ-
ლესაც!.. აი ეს ლექსიც:

თრუსოს ჩავიღეს ხევსურნი,

ჭეხა ჩაიღეს ცისაო,

ნეტავი არ ჩასულიყვნენ,

საერისთოვლებს სწყინსაო!..

ხვეირობენ აზნაურები

ხევსური როგორ ცდისაო!

— „ომიშვილი იქნება“,

ერეკლე იცინისაო...

გვერდს უღვას ატაბიონი,

ხთისია კარგად ცდისაო,

თოთიას ქება რად უნდა

თესლი აქვ არწივისაო!.. და სხვა.

თითოეული თავისი ვაჟკაცი ხევსურს ვეფხვად, შავარდნად
არწივად მიაჩნია: როცა მეომარი თუ მეკობარი ხმაღს მოიქნევს —
შავარდენმა მხრები გაშალაო; თუ გახელებულს ომში შევარდება-
ვინმე, აი თუნდა აპარეკა, ან მინდია — ვეფხვმა ნახტომი ჰქნაო...
სულ ამისთანა გარეგანის ნიშანით და სურათით იხატება ხევსურ-
ლი გმირობა!.. ამ გმირობას მეტად მდარე პოეტური ფერი სდევს,
გამომხატველობა, სურათიანობა აშკარად აკლია და ეს ნაკლი, ჩვე-
ნის აზრით, იმის შედეგია, რომ ხევსური პოეტურის ბუნებისა არ-
არის, პოეზიის მეუფისაგან ნაკლებადა აქვს მადლი მინიჭებული...
ეს შემოქმედობითი სულიერი ძალა, რომელსაც ფანტაზიას უწოდებ-

შენ, აგრეთვე ნაკლებად რგებია ამ მრისხანე ბუნების შვილსა...
დააკვირდით თვით შედარებითს გამოძახატველობას — მარტო ასეთს
თუ ისეთს იარაღს, რომელსამე ფრინველს და ნადირს ედარება ვაჟ-
კაცი, არც სულიერის ძალის დახატვა, არც თვით გმირის შინაგანი
ბუნების აღწერა!.. ფანტაზიის უქონლობის გარდა აქ სხვა მიზეზიც
ცხადია, — ხევსური შეჩვეული არ არის განყენებულს აზროვნობას,
მისი სული და გული დასტრიალებს მხოლოდ იმას, რაც თვალწინ
უძევს.

ჩვენ ვსთქვით გაზვიადებანედ. თქვენ, ჩემო ბატონო, იქნება
გვიპასუხოთ, რომ ეს ფერი მთლად ჩვენს პოეზიასაც ეტყობა, მე-
ტადრე ძველსა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხევსურულს პოეზიაში ამ
გაზვიადებას მთლად დაუჩრდილავს სიმღერის შინაარსი. აიღეთ
თუნდა რომელიმე ლექსი ზურაბ ერისთვის შვილზედ. მოგვხსენებათ,
რომ ამ ზურაბმა დიდი სახსოვარი დასტოვა მთაში. იგი ლამობდა
მთის დამორჩილებას, დამონაგებას და ლალი მთიელი ხომ ამას არ
იკისრებდა. რამდენჯერმე მოხდა მკაცრი ბრძოლა, სისხლის ღვრა.
ამ ბრძოლის აღწერას რომ დააკვირდეთ და აიღოთ ხევსურული
სიმღერა, თუნდა საუკეთესოც, თითქმის მარტო იმას შეიტყობთ,
რომ ამან ბასრი ხმალი მოიქნია და იმან კიდევ შავარდენსავით მხა-
რი გაშალაო.

ნუ დაივიწყებთ აგრეთვე იმასაც, რომ თუმცა ხევსურულს
პოეზიაში მზირის და გმირის გაზვიადებული ქება-დიდება იხა-
ტება, მაგრამ თავისის სოფლის ან თემის ვაჟკაცს ძვირად დამღერის
ხევსური — ეს სირცხვილიაო, სხვებმა უნდა უქონ ჩვენებურს ვაჟკა-
ცობა და გმირობაო... ვაჟკაცობის გაზვიადება ახალს პოეზიასაც
ცხადად ეტყობა; როგორც ძველ დროს, ისე ეხლაც ხშირად საკ-
მაოა ერთი უბრალო ქისტი მოჰკლა, რომ გმირთა-გმირის სახელი
გაითქვა; მაგალითებრ, სოფ. კიმაში ეხლაც ცოცხალია ახოვანი
ალუდაური, რომელმაც ამ რამდენისამე წლის წინათ თავის ძმის
შველელი ქისტრ მოჰკლა. ეს ხომ უბრალო საქმეა, მაგრამ ალუ-
დაურს-კი სიმღერა სხვანაირად იხსენიებს:

ბარაქა, ალუდაურო,
არვის შაარჩენ კირსაო!
მანამდენ სახსოვარია,
მანამდენ წყალი დისაო...
ნაქნარი ალუდაურის
ანდერძად არა თქმისაო!

რა არის აქ ისეთი, რაც ანდერძად არა თქმულიყვეს, არ გა-
წინილიყვეს!?!..

რადგანაც ძველი ხევსურული პოეზია ერთსა და იმავე საგანს დასტორიალებს და მისი შინაარსი მეტად ვიწრო წრეშია მოთავსებული, ამიტომ საისტორიო თუ სხვაგვარ მასალას ამ პოეზიაში ვერ იპოვნით; აქა-იქ და ისიც ძრიელ იშვიათად თუ შეხვდებით სიმღერებში ხალხის ზნე-ჩვეულებას. როცა მე ხევსურული ლექსების შეკრებას შევუდექი, სწორედ აზრად ისა მქონდა, რომ შემეტყო — რამდენად იხატება ხალხის ზნე-ჩვეულება ამ ლექსებში, მაგრამ მწარედ მოვსტყუედი: სულ მეკობრობაზედ მესმოდა სიმღერა, თითქოს სამღერალი სხვა არ იყოს რა!..

არც ისტორიულ ლექსებშია რაიმე გამოსადეგი მასალა. პირველად ესა, რომ ამ ლექსებში ისტორიული ამბავი მოკლედ არის მოხსენებული და თითქმის მთელი ადგილი გმირების სახელებს უჭირავს; მეორედ — ერთი და იგივე ლექსის შინაარსი გადასხვაფერებულია, გარყვნილია. რაც უნდა იყოს, ხევსურული სავაჟკაცო პოეზია საინტერესო იქნება ჩვენის მწიგნობრებისთვის და ამის გამო მე განვიძრახე ნიმუშად დავბეჭდო რამდენიმე ნაწარმოები ამ პოეზიისა. მასალა მზადა მაქვს, მხოლოდ მოცლა და დროა საჭირო.

ორიოდე სიტყვაც თქვენგან აღძრულს საგანზედ. ვეჭვობ, რომ ხევსურეთში ხალხის კილოზედ მთლად გაღუქსილი „ვეფხვის-ტყაოსანი“ მოიპოვებოდეს. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ ამ პოემაში უხვად დაბნეულია მრავალ მალალი აზრი, ფილოსოფიური შეხედულობა სხვადასხვა საგანზედ. განუვითარებელი ხევსურის გონება აზრის მალალ ფრენას ვერ მისწვდება. მე თითონ მეფანდურეებისაგან „ვეფხვის-ტყაოსნის“ სავაჟკაცო ლექსები გამიგონია. სხვა არაფერი.

ზეზვა და ბახტრიონის ციხე

(ნაწევები ჩვენის ისტორიისა)

„ბახტრიონის ალების“ გამო¹

თ

უმ-ფშავ-ხევსურთა ლექსებში ხშირად იხსენიება როგორც სახალხო გმირი ზეზვა, ისე სოფელი ბახტრიონი. იქნება ბევრმა არც-კი იცოდეს, რომ ზეზვა თუშების გმირი იყო და ბახტრიონი კიდევ ციხე, რომელიც ოდესმე სპარსელების ბატონობას იფარავდა კახეთში და იმათის ბრძანებლობის ბურჯად ითვლებოდა. ეხლაც ბახტრიონი პატარა სოფელია ზემო კახეთში, „შეუპოვარის“ ალაზნის პირად სდევს, ერთს მალლობ გორაზედ. ეს გორა მთელს კახეთს დასცქერის. აქედამ ალაზნის მარჯვენა მხარე ისე მოსჩანს, თითქო ხელს გულზედ გიძევსო. მდებარეობა და საომარი საზრისი ხელს უწყობდა სპარსელ მტარვალებს ეს კოპწია და ტურთა სოფელი ციხედ გარდაქციათ და გარდაქციეს კიდევ. ოდესმე იგი ციხე საშინელებას შეადგენდა კახელებისათვის. ეხლა-კი ციხის ნატამალები და ნანგრევები ჰმოწმობენ იმ არასანატრელს დიდებასა და სახელს, რომლითაც განთქმული ყოფილა ბახტრიონი.

როცა შაჰ-აბაზ დიდმა ააოხრა კახეთი, ამ სამეფოში ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად და ხალხის სამუდამოდ დასამონავეებლად თხუთმეტ ათასამდე კომლი სპარსელი გადმოასახლა. მაგრამ, მოგეხსენებათ, „კახთა ვაჟკაცთა“ დაპყრობა ადვილი არასოდეს არ ყოფილა და არც იმ დროს იყო. თუმცა კახეთი მიწასთან იყო გასწორებული, მაგრამ ხალხს გული გატეხილი არა ჰქონდა, ნუგეში და იმედი არ მოსპობოდა. ყიზილბაშური პოლიტიკა კიდევ ხომ სულ იმას მისდევდა, რომ დამარცხებული ხალხი მუდამ შიშსა და ელდას ქვეშ ჰყოლოდა, უკანასკნელი ნაპერწკალი სასოებისა და ნუგეშისა აღმოეფხვრა ხალხის გულისაგან, იგი ხალხი გაეთახსირებინა, გაედიაცებინა, «გაედელლებინა», ჩვენის პოეტის გურამი შეილის თქმისა არ იყოს... ამიტომაც მიუვალი ციხე ააშენეს ბახტრიონში. როგორც

¹ იხ. „ივერია“, 1888 წ., № 220, წერილი ბ-ნის ა. ხახანაშვილისა.

ჩანს, ეს ციხე სულთან არდალანელმა ააგო, სწორედ იმ სულთანმა, რომელსაც შემდეგში თავზედ დაანგრიეს იგი და რომელიც ძლივს გადარჩა კახეთის აშლასა და გაიქცა სპარსეთში... კახეთის გამგებელი სელიმ-ხანი იყო, ბახტრიონში ციხის-თავად კიდევ სულთანი იჯდა და იქილამ შიშის ზარსა სცემდა მთელს არე-მარეს. გვარ-ტომრბით სპარსელი სელიმ-ხანი სდევნიდა ქრისტიანობას, აუბატურებდა ეკლესიის მსახურთა, აშენებდა მეჩითებს და თვით ალავერდის დიდებული ტაძარი ყორანის სადიდებელ სალოცავად გახადა. იმ სალოცავის ნაშთსა და ნანგრევებს ეხლაც შეხვდებით ალავერდის გალავანში. რისა და ვის იმედით მძვინვარებდა ასე გაბედულად სელიმ-ხანი?—ბახტრიონში სულთანი იდგა თავისის ჯარით!..

აღელვებულის ხალხის მუქარაც ამ სულთანისაკენ იყო მიქცეული. ხალხი ჰხედავდა, რომ მტარვალობისა და ბატონობის ძალ-ლონე ბახტრიონის ციხე იყო. ამ ციხის-თავი—სულთანი ხომ კიდევ გულს უწყალავდა ყველა პატიოსანს, მამულიშვილს, რადგანაც ეს თავგასული სარდალი არავის ეპუებოდა და თვით ისეოს გმირსაც-კი, როგორც ზეზვანა, არაფრად აგდებდა,—

ბახტრიონს გავეჭრი ვენახსა,
ზედ დავასახლებ ერსაო;
არც თუშებს შევეპუები
და არც ზეზვანის ცხენსაო...

რასაკვირველია, თავმომწონე ზეზვანს მეტად სწყინდა სულთანის ასეთი ქცევა, იმისი სიამაყე; ზეზვანს სულ ის აგონდება, რომ მალე გაემკლავოს სულთანს, განაძევოს რგი თავისის სამშობლოდგან; თავის „ლურჯას“ ქერს ბლომად აკმევს, აიალალებს,—

ეს რომ გაიგო ზეზვანა,
ცხენს მაუმაჯებს ქერსაო;
„ჩქარა გასუქდი ლურჯაო“,
გავაზედ უსომს ხელსაო...

რად, რისთვის?—თქვენც კარგად გესმით თავგანწირულის გმირის გულისთქმა, იმისი იღუმალი სურვილი—

დავემწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო;
თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხელსაო;
თავსაც იქ დავსდებ ჭალარსა,
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო¹.

¹ როგორც ეს ლექსი, ისე ზოგიერთი სხვაც დ. ზიზანაშვილის „ფშაურის ლექსებისაგან“ მოგვყავს.

მაგრამ ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ქრისტიანობის დევნამა და შევიწროებამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. მართალია, კახეთი ღონემიხდილი იყო, მტერთან მარტო თითონ ვერას გააწყობდა, მაგრამ მთის იმედი ჰქონდა. აქ, ამ მთაში „არწინი მალის მთისანი“ მზად იყვნენ შეემუსრათ საერთო მტერი, ძირს დაეცათ მტარვალობის ბუდე-ბახტრიონის ციხე. რასაც ზეზვა ნატრობდა, ის საერთო ნატვრა იყო; მარტო გოგოლაური-კი არა, ყველა „გოგოლაურიობდა“, —

ბიჭი ვარ გოგოლაური...¹
ნუ მშინჯავ ტალავარზედა;
წინ-წინ მე გადაფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა!

ეს ყველა ხომ ასე, მაგრამ მტრის დასამხობლად და სამშობლოს დასახსნელად საჭირო იყო მეთაურობა, თუ ვნებავთ, შეთქმულობა. მარტო გოგოლაურების ბიჭობა ვერას გახდებოდა, ვერას გააწყობდა. ვინ იღვა ტვირთად ეს მეთაურობა? იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ეს ამბავი მოხდა (შპ-აბაზის II ღროს, მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარს), არაგვის ხეობის გამგებელად ზაალ ერისთავი იყო. ამ ზაალს მიჰმართა ერთმა მღვდელმა და გულ-მღუღარებით მოახსენა სარწმუნოებისა და ხალხის გაჭირებული ყოფა და ამასთანავე სთხოვა ქვეყნისა და ეკლესიის ხსნა, განთავისუფლება. არაგვის ერისთავი აერთო იმ უზენაესის ცეცხლით, რომელსაც მარტივი, მაგრამ სამღვთო სახელი „სამშობლჲს სიყვარული“ ეწოდება. მალე გამოჩნდა მეორე კაციც, როძელიც მოიხზრო ენა-მეტყველმა მღვდელმა: ეს კაცი იყო ბიძინა ჩოლოყაშვილი, კახეთის აავადიშვილი და განთქმული ვაჟკაცი, ზაალ არაგვის ერისთავის სიძე. მაგრამ ეს კიდევ არა კმაროდა. ბიძინა წავიდა, ქსნის ერისთავი ელიზბარჩი და იმისი ძმისწული შალვა დაიყოლია, დაითანხმა თავის გამოდებაზედ. ელიზბარჩი და შალვა მზად იყვნენ თავი დაედოთ სამშობლოსათვის.

მთიულებს ხომ თქმაც არ უნდოდათ, თავისუფლება მათთვის ყოველ დროს ძვირფასი ყოფილა და მაშინაც ძვირფასი იყო. ერთს დაძახებაზედ მთელმა თუშ-ფშავ-ხევსურეთმა თავი მოიყარა სამშობლოს დროშას ქვეშ და ეს თავს ზარდამცემი რაზმი გაემართა ბახტრიონისაკენ... ქართველების ლაშქარს წინამძღოლობდნენ გამოჩენილნი გმირნი, როგორც იყო, ძაგალითებრ, ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელთაც, ვაჟკაცობის გარდა, სამღვთო მოვალეობაც უღვიოდათ გულში; თათრებს-კი „ბელადი“ არა ჰყოლიათ:

¹ გოგოლაური თემის სახელია ფშავში.

იყრება თათრის ლაშქარი,
ალაზანს გროვდებიანო;
არაინა ჰყავ ბელადი,
ბელადსა ღონდებიანო.

რასაკვირველია, „უბელადოდ“ თათრის ლაშქარი არ იქნებოდა, მაგრამ ალბათ ღირსეული ბელადი არ მოეპოვებოდათ. რაც უნდა იყოს, ქართველებმა ურჯულოთა მთელი ძალა შემუსრეს, მილეწ-მოლეწეს. სელიმ-ხანმა და სულთანმა ძლივს-ღა უშველეს თავსა და შერცხვენილნი გაიქცენენ კახეთიდან. ბახტრიონი გადასწვეს, ამაყის სულთანის სახლ-კარი ცეცხლით გადაბუგეს, —

ღრშაბათს, თენების ხანსა,
ბახტრიონს ციხე შავდება;
კარზედ გამოდი, სულთანო,
შენს სახლ-კარს ცეცხლი ედება!

შაჰ-აბაზ მეორეს სხვა საქმეები ჰქონდა და ამბოხების მოსასპობლად ჯარი ველარ გამოგზავნა კახეთში. მხოლოდ საქართველოს მეფეს ვახტანგ შაჰნავაზს შემოუთვალა: შეიპყარ ბიძინა, ელიზბარ, შალვა და აქ გამამიგზავნეო. ვახტანგმა დაუყოვნებლივ შეასრულა შაჰის ბრძანება: შეპყრობილნი გმირნი გაუგზავნა თავის ბატონს¹.

შაჰიმ კიდევ აიღო და გადასცა ისინი სულთან არდალანელს — შენ იცი და მაგათაო; თუ მაჰმადიანობა არ მიიღონ, ისე მოექცე, როგორც საჭიროდ დაინახავო. სულთანსაც ეს უნდოდა: მოსისხლე მტრები, რომელთაც სირცხვილი აქამეს, ციხე თავზედ დაანგრიეს და კახეთიდან განაძევეს, ხელში ჩაუვარდა!.. ჯერ ხომ შეუჩნდა და ურჩევდა ქრისტიანობა დაუტევეთ და მაჰმადი იწამეთო, მაგრამ როცა გმირებმა არ უღალატეს მამა-პაპურს სარწმუნოებას, მაშინ უღმობელმა მტარვალმა სხვა ღონის-ძიებას მიჰმართა, საშინელსა და სამარცხვინო წვალებას. მისცა სამთავენი — ბიძინა, ელიზბარი და შალვა: გაატიტვლა იგინი, ხელ-ფეხი შეუკრა და მწყურვალ-უჭმელნი მზიან ალაგას დაჰყარა — ბუზებმა და კოლოებმა გამოსწოვოხ სისხლიო... მეტი-ღა შერცხვენა და დამცირება იქნებოდა: კოლო-ბუზების ხროვას მიუგდო სისხლის საწოფნელად ის გმირები, რომელთაც მუსრი გაავლეს სპარსელების

¹ ზოგნი კიდევ იმ აზრისანი არიან, რომ ვახტანგმა-კი არა, ვანჯის ხანმა, სახელად მურთუხალი-ხანმა, გაგზავნა ბიძინა და იმისი ამხანაგები სპარსეთშია, ეს მურთუხალი-ხანი სელიმ-ხანის მაგივრად დანიშნეს კახეთის გამგებელად; იგო კოლოებში სცხოვრებდა. ერთს ძველს ფშაურს ლექსში იხსენიება მურთაზი, რომლის წინააღმდეგ გაულაშქრნიათ ჩვენს მთიულებს:

თუშო, გაგვიძელ, წოვაო,
მურთაზს სად უდგა ჯარიო
იქნება ეს მურთაზი მურთუხალი-ხანიც იყოს.

მთელს რაზმს!.. მაგრამ ყველაზედ მეტად უფრო ბიძინა აწვალეს. ის მარტო კოლო-ბუზებს არ დააჯერეს: ჩააცვეს ქალის ტანისამოსი, ვირზედ შესვეს და დაჰყავდათ სასაცილოდ ქუჩებში... დიად, მკითხველო, ბიძინა ვირზედ შესვეს, სწორედ ის ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელიც თავისის ტაიჭით ბახტრიონის ციხეში გადაფრინდა!.. სახელოვანი ვაჟკაცი ქალის ლეჩაქით ვირზედ... ამაზედ მეტი სათაკილო და შესარცხვენი დამცირება აღარა თქმულა ქართველ ვაჟკაცისათვის. ეს კიდევ არაფერი. შეურაცხყოფილმა გპირმა საშინელს დამცირებასა და გაუპატიურებასაც გაუძლო. ბოლოს დროს, როცა დანახეს ბიძინა მხნედ არის თავის სარწმუნოებაზედაო, აიღეს და ასო-ასოდ აკუწეს, «წვლილ კერძობადა», როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილ-სიტყვაობაში“. სულ უკანასკნელად ჯერ ისევ ცოცხალი და ფთხრიალა გული გაუგმირეს ლახვრით!.. თქვენც ჰხედავთ, რომ კახეთის აშლა და ბახტრიონის ციხის აღება მეტად შესანიშნავი ამბავია და ეს ამბავი ღრმად აღობეჭდა კიდევ ხალხის მეხსიერებაში.

თუმცა ქართლ-კახეთსაც მონაწილეობა ჰქონდა ამ საქმეში, მაგრამ ბურთი და მოედანი მაინც მთიულებს დარჩათ: თუშ-ფშავ-ხევსურთა გაიტანეს ბურთი ამ მოედანზედ, პირველად ისინი მივიდნენ იერიშით ციხეზედ და დალეწეს იმისი სიმბაგრენი. ამიტომაც ეს გმირული ამბავი იმათს სახალხო ლექსებშია მოხსენებული. ლექსებიდგან ჩანს, რომ ხალხს მარტო ბახტრიონის აღება და თუშის ზეზვა გაფრინდაულის გმირობა დახსომებია, სხვა არაფერი. ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო: ხალხს ხშირად მარტო თავისის მიწა-წყლის გმირი ახსოვს, იმას ამკობს ქება-დიდებათა და სხვებს-კი ივიწყებს. ჩვენს მთიულებსაც ჰკონიათ, რომ ბახტრიონის აღება, სულთანის დამარცხება მარტო იმათი წინაპრების საქმე ყოფილა, — არც ბიძინა, არც მალვა, სულ ზეზვა და თუშ-ფშავ-ხევსურნი!.. ეს კიდევ არაფერი. ქართლ-კახეთის გმირების დავიწყება ადვილად ასახსნელია, საქმე ისაა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთი-ერთმანეთს ეცილებიან, ეკამათებიან — ჩვენ ავიღეთ ბახტრიონი და არა თქვენაო....

ჯერ მოხსენებულთა:

წინ თუშნი, უკან ხევსურნი,
 ფშაველნ ნელ-ნელა დიანო;
 ჯავრობენ თუშიშვილები,
 ხევსურნი არ გვინდიანო.

¹ შემდეგ წამებულითა გვამნი მოიტანეს სპარსეთიდან და დაასაფლავეს ს. იკორთაში. ჩვენი ეკლესია იმათს ხსენებას დღესასწაულობს 18 სექტემბერს.

მერე-კი ისე გამოდის, რომ თუშები ყველაზედ ბოლოს მისულან,
წორედ მაშინ, როცა ფშავ-ხევსურებს იერიში მიუტანიათ. ციხეზედ:

ფშაველნი, უკან ხევსურნი
ბახტრიონს გადადიანო;
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა,
თუშებიც ჩამოდიანო...
სად ეყარენით, თუშებო,
სადიაცენო-თმიანნო!?

სხვა ლექსიდგანაცა ჩანს, რომ თუშები არ დასწრებიან იერიშის
მიტანას და, ასე გასინჯეთ, თვით ზეზვაც-კი არა ყოფილა იქ ამ
დროს:

სად არი გაფრინდაული?
ხევსურნ კარავსა ჭრიანო!..
ლეგ-ლუგა ფშაველიშვილები
გალავანს გადადიანო..

ზეზვა მას უკან მოვიდა, მაგრამ მაშინ ხევსურებს მოუბრუნდა და
უთხრა,—

გადმიშვით ბახტრიონზედა,
ხმალდახმალ შვიდ თუ ვერ მოვკლა,
გამცვალეთ თათრის ქალზედა!..

ერთის თუშურის ლექსისაგან¹ ჩანს. რომ თვით ბახტრიონის ცი-
ხე მაშინ აიღეს, როცა თუშები მოეშველნენ თანამოძმე ფშავ-ხევ-
სურებს. მართალია, იერიში პირველად ფშავ-ხევსურებმა მიიტანეს,
მაგრამ თუშებმა-კი გადასწყვიტეს საქმე,—

ბახტრიონს სულთნის ციხეო,
ცამდინ აგიშვეს ალია;
კარზედ გამოდი, სულთანო,
ჩვენ დიდი გმარებებს ვალია;
ამ თექიანმა თუშებმა
არ შეგარჩინეთ ჯავრია!..

რაც უნდა იყოს. თუშმა ზეზვამ მაინც დიდი ვაჟკაცობა და სიმ-
ხნვეე გამოიჩინა იმ დიდებულს დროს, როცა აჯანყებულმა ხალხმა
მტარვალთა უღელი დაამსხვრია. ზეზვას დამღერის და დაჰხარის

¹ თიანეთის მასწავლებელს დ. თაბუნიძეს შეუკრებია თუშური ლექსები,
რომელიც აბუამად ჩვენ ხელთა გვაქვს. ამ ლექსთა კრებულისგან მოგვყავს ზოგიერთი
ადგილები ჩვენის საგნის შესახებ.

ხალხი. ზეზვაც თავ-მოწონებული შექყურებს თავის ფრანგულსა და სიამოვნებით აღვსებულია, რომ ალვანის დიდი მინდორი აავსო თათრის მკვდრებით. აი ეს მშვენიერი ლექსიც ზეზვას გმირობისა:

ხმალს ზვერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოვკალ ამითა;
დიდი ალვანის მინდორი
ავავსე თათრის ძვალითა;
მგელსა დავცვითე კბილები,
ტურას, ლოყები ჭამითა...

თვით ზეზვას თანამებრძოლნი ჰმოწმობენ, რომ იგი დიდი ვაჟკაცი ყოფილა; ასეთი მოწამეა; მაგალითებრ, ვიდაც ხოშარაული, — ალბად ფშაველი სოფ. ხოშარადგან, — რომელსაც ბახტრიონის აღებაში მეტის ხმარებისაგან ხმალი გასტეხია:

იტყოდა ხოშარაული:
ორი თუ ჯობდეს ზეზვასა,
მამაგდებინეთ მკლავია;
ზეზვაი გაფრინდაული
კაი ვაჟკაცი არია...

ზეზვას გმირობაც ტრაგიკულად გათავდა, იმანაც ტანჯვასა და წვალებაში დალია სული. ჩვენ ვსთქვით, რომ ბიძინა, შალვა და ელიზბარი შეიპყრა ვახტანგ მეფემ და შაჰს გაუგზავნაო. ზეზვაც მოტყუებით დაიჭირეს, —

ზეზვაი მოატყუესა,
დაიბალითეს ენითა.

მერე ძუა-შეღებულ ცხენზედ შესვეს, დიდის ამბით მიიყვანეს ქ. ტფილისს და იქ სატუსალოში ამოუყვეს თავი. აი როგორ ასწერს ამამბავს ერთი ხევსურული ლექსი:

ზეზვაის ცხენო, ამ ზამთარ
ბაგა გამახარ კბილითა;
ქალაქ დაგიბეს პატრონი,
ლამეს გითენებს გმინითა;
გომბორ გადაავლიეს
ძუა-ნალები ცხენითა,
ბაზარ შამაავლიეს
დაფ-ნაღარაი-სტვირითა...

შეპყრობილის გმირის სანახავად თათრები მიდიოდნენ და ალბად ხელ-ფეხ შეკრულ ვაჟკაცს მეტად გულს უკლავდა ეს ამბავი —

ზედი-ზე შადგა თათრები,
 ზეზვა უნდ ენახათ თვალითჲ.
 ზეზვა რა სანახავია,
 მაკლული თქვენი ხელითა...
 მაშ რად არ ნახე ზეზვაი,
 ბახტრიონ იდგა ცხენითა,
 მაგდევდათ, მაგაწუხებდათ,
 მაგხევდათ შუბის წვერითა!..

ჩვენ არ ვიცით სახელდობრ ვინ და როგორ შეიპყრა ზეზვა, რა წვალება მიაყენეს ხალხის გამოჩენილს გმირს. ვინ იცის, იქნება ისიც თან გააყოლეს სპარსე რში ბიძინას და იმის ღირსეულს თანამემამულეებს! ყოველ შემთხვევაში, ზეზვა გაფრინდაული მთიულების საყვარელი გმირია და დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე: კახეთის აშლის დროს მან (1659 წ.) შემუსრა სპარსელთა ჯარი, ალვანის არე-მარე გაანთავისუფლა უსჯულოთაგან, მხარი დაუჭირა საუკეთესო მამულიშვილებს... ჩვენი მატთანე არ იხსენიებს ზეზვას, მაგრამ ხალხის მახსოვრობა უფრო დიდი მატთანეა და ეს არ უნდა დაევიწყოთ.

ორიოდ შენიშნავ ბ-ნ ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს — „ბახტრიონის აღებაზედ“. თუმცა ჩვენს მწერლობაში არც ერთი შენიშვნა, რაც უნდა საბუთიან იყოს, უდავიდარაბოდ არ გათავდება ხოლმე, მაგრამ მაინც გავბედავთ და ვიტყვი, რომ პატივცემულს მოღვაწეს სრულიად ვერ გაუგია ხალხის გარდმოცემა ბახტრიონის აღებაზედ. ვიღაცა პირ-იქითელს თუმს, კელა ზურაბაშვილს, უამბნია, რომ ორი მონადირე თუშში გააუპატიურეს თათრებმა და ამის გამო მთელი თუშ-ფშავ-ხევსურნი აღემხდრნენ და ბახტრიონის ციხე აიღესო; ბ-ნი ა: ხახანაშვილიც ამდგარა და სწორედ ასე ჩაუწერია ნაამბობი!.. სჯერა კიდევ...

მაგრამ ავტორი რომ დაჰკვირვებოდა თავისაგანვე მოყვანილს ზეზვას ლექსს, ზეზვაზედ სხვებისაჟვისაც ეკითხა, გადაესინჯა აი თუნდა დ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს „ფშაური ლექსები“, მაშინ ხომ თავი დამ აიცილებდა შეცდომას. ეხლა-კი არა თუ მარტო მთელი მისგან ჩაწერილი „ხალხის ზეპირ-გარდმოცემა“ თავი დამ ბოლომდე ტყუილია, სამწუხაროდ, ზოგიერთი იმისი საკუთარი მოსაზრებაც უსაბუთოა; მაგალითებრ, ბ-ნი ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ერთის კალმის მოსმით ამტკიცებს, რომ ხალხის გარდმოცემა ბახტრიონის ციხის აღებაზედ უნდა ეკუთვნოდეს. უფრო ძველს დროს, ვიდრე მეთხუთმეტე საუკუნესაო!.. რადა, როცა მაშინ ბახტრიონის ციხის ერთი ქვაც არ მოიპოვებოდა?! ბ-ნს ავტორს ბახტრიონი და მალრანი ერთი-ერთმანეთისაგან ვერ განურჩევია; ვ ა ხ უ შ ტ ი ც ამ ო რ ს სახელს ერთად იხსენიებსო... ვსთქვათ, ვახუშტი ერ-

თად იხსენიებს¹, მაგრამ რაო?—მალრანის ციხე სულ სხვა იყო და ისე შორს იყო ბახტრიონის სიმაგრეზედ, როგორც აწინდელი ბახტრიონი შორს სდევს ს. მალრანზედ (ჩვენ ეს ორივე სოფელი კარგად ვიცით). საკვირველიც არაა, რომ ბახტრიონის ციხე არ იხსენიება მეფე დავით VIII დროს (1511—1513), რადგანაც იგი ციხე ააგეს შემდეგში, როცა შაჰ-აბაზმა ააოხრა კახეთი.

ბ-ნი ავტორი, როგორც საჭიროა, არც თუშის კელა ზურაბაშვილის ნაამბობს დაჰკვირვებია. ამ კელას უამბნია, ალვანს ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იმ ადგილს, სადაც თუშებმა თათრები ამოსწყვიტეს, „ავარდა სისხლის ალიო“ (ეს სისხლის ალი რაღაა?!) და ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა ც ჩაუწერია ეს ზღაპარი. მაგრამ განა თითონ ავტორმა არ იცის, რომ ალვანი, ალბანია ძველი გეოგრაფიული სახელია იმ ადგილისა, რომელიც ალაზნის იქითა მხარეს მდებარეობდა!? თუშს უთქვამს, ფშაე-ხევსურებმა, თათრების დაპარკების შემდეგ, დავლა აიღეს, ჩვენმა წინაპრებმა-კი ალვანიო და „ამიტომ ალვანი საერთო მამულიაო“... ვითომ ავტორმა არ იცოდეს, საიდგან და როგორ წარმოსდგა საერთო მამული, საერთო მფლობელობა!.. მაგრამ კმარა.

სასიხარულო და სასიამოვნოა, რომ ჩვენი ახალგაზდობა მისდევს თავისის სამშობლოსა და ერის ვინაობის შესწავლას. ამ შესწავლაში ბ-ნს ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს არ უჭირავს მცირედი ადგილი და შემდეგისათვის, იმედია, უფრო დიდსა და თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ საჭიროა ყველას ახსოვდეს, რომ ეთნოგრაფიისა, თუ სახალხო პოეზიისა და სიტყვიერების შესწავლას სერიოზულადა და გულ-დადებით უნდა მოვეკიდნეთ. მხოლოდ მაშინ მოიტანს ნაყოფს ჩვენი შრომა და მოღვაწეობა.

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. გეოგრაფია, ბროსსეს გამოცემა, გვ. 320.

ისტორიული კვალი სახალხო კოეზიისა

(ზურაბ არაგვის ერისთავი)

როგორც თქვენ გეცოდინებათ, ძველს დროს მთა სახასო იყო და მარტო მეფეს ემორჩილებოდა. კერძო ბატონს მთის ხალხთან ხელი არა ჰქონდა. ბრწყინვალე გიორგის „ძველის-დებიდგან“ ჩანს, რომ ქსნისა და არაგვის ერისთავებს ებარათ მთის გამგეობა, ერისთავებს კიდევ ექვემდებარებოდა მთელი დასი ხელისუფალთა: გამგებელი, ანუ მოურავი, ხევის-თავი, ხევის-ბერი, ციხის-თავი. დარბაზი, აწინდებულად სახელმწიფო საბჭო, უმთავრეს დაწესებულებას შეადგენდა, რომელიც საბოლოოდ განაბჭობდა ხოლმე საქმეს. ვეზირი მოახსენებდა დარბაზს მხოლოდ „მძიმე“ საქმეს და დარბაზიც თავის განაჩენს სდებდა.

როგორც ჰხედავთ, მთის გამგეობა და პატრონობა, ცოტა არ იყოს, სახელის-უფლო წესსა და რიგზედ იყო მოწყობილი, მაგრამ მაინც მთის ხალხი „შინ“, „თავისს სახლში“ თავისუფალი იყო, კანონად აღიარებდა მხოლოდ საკუთარს ჩვეულებასა და დამოუკიდებელს ცხოვრებას. ამიტომაც ერისთაობას, მოურაობას და, ასე გასინჯეთ, თვით დარბაზსაც უფრო ვარეგანი მნიშვნელობა ჰქონდათ: თუ-კი ხელს შეახებდენ მთის თავისუფლებას, მაშინ არა თუ დარბაზი, მეფეც ვერას გახდებოდა!...

მთის ხალხს მეტად ღრმად ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და რბილში თავისუფლების სიყვარული და ადვილად არაგვის აპატიებდა ამ თავისუფლების შეგინებას. თითქო ყველაფერი მხარს აძლევდა და ეწეოდაო თავისუფლების აღორძინებასა და აყვავებას, თითქო თვით ბუნება აღფრთოვანებდა თავის ლალს შვილსაო. წარმოიდგინეთ, ეს დიადი და მრისხანე კავკასიონი, რომელიც უძლეველ დარაჯსავით გარს შემორტყმია მთიულებს, და მაშინ დაინახავთ, რომ მხოლოდ ამ დარაჯის მფარველობის ქვეშ უნდა აღზრდილიყო თავისუფლება. რომელი ვარეშე მტერი იქნებოდა ისე თავხედი, რომ გაებედნა ბრძოლა ამ დარაჯთან?! თითონ მთიული? — იგი ხომ გულ-დიდი და შეუპოვარია, როგორც თვით კავკასიონი, მთიული ხომ ყველას ისე ამაყად და მალლა დასცქერის, როგორც

ცამდე ამაღლებული მყინვარი მწარე ღიმილით უცქერის პატარა მთა-გორაკებს!.. მრისხანე ბუნებამ ბეჭედი დაასვა თავისს შვილს, — მთიული საოცარი ვაჟკაცია, გულ-გაუტეხელი, შეუპოვარი. მცნება-დაც მხოლოდ ის სწამს, რაც ვაჟკაცობასა და სილაღეს ხელს უწყობს:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო;
თვალნი ქორებულ მხედავნი,
გულ-მკერდი შავარდნისაო!

მოდრი და ხელი ახელი ამ „ქორ-შავარდნებს“! ამიტომაც ჩვენი მეფეებმე რიდიტა და კრძალვით ეპყრობოდნენ მთიულებს; ასე გასინჯეთ, თვით ერეკლეც-კი, ეს «გმირთა შორის საკვირველება», სულ თვალ-წარბში შესცქეროდა მთასაო... რას იზამ, მკითხველო, დიდი ძალაა ვაჟკაცობა და ისიც თავისუფლების ძუძუთი აღზრდილი! ყოველთვის თავს ზარ-დამცემი ყოფილა ეს ვაჟკაცობა...

მაგრამ რა არ მოხდება ხოლმე ქვეყანაზედ? — ერთხელ მთასაც, ლალსა და უბატონო ფშავ-ხევსურეთსაც, ხელი შეახეს და იმისი თავისუფლება შეურაცხვეს. ვინ? როდის? მკითხავთ განკვიფრებით. ეს მართლაც-და განსაცვიფრებელი საქმე ზურაბ არაგვის ერისთავმა მოახდინა მეჩვიდმეტე საუკუნეში!.. მთამაც ცოტა ხნობით სწია მონობის უღელი, ცოტად მაინც იგემა ყმობის გემო. მძიმე იყო იგი უღელი, მეტად მწარე იყო ყმობა, ამიტომაც მთა წყევითა და კრულვით იგონებს იმ შავსა და ბნელს დროს, როცა

ზურაბმე აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი,
უჭკიმა ძუძუზედაო!..

მაგრამ ფშავ-ხევსურებში დიდხანს ვერ გასტანა ბატონობამ და ერისთავობამ. ვერც გასტანდა, რადგანაც ფშავ-ხევსურის ბუნება ეწინააღმდეგება ერთსაცა და მეორესაც.

მთა სასოწარკვეთილებას არ მიეცა, რომ ზურაბმა დროებით გაიმარჯვა, ჯავრი გულში არ შეუშვა, ხმლის იმედი არ დაჰკარგა —

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგვბუები,
ხმალო, შენ გაგაფხავებო!..

საყურადღებოა და საინტერესო ზურაბისა და ფშავ-ხევსურთა ბრძოლა. სამწუხაროდ, ჩვენი მატთანე „ქართლის ცხოვრება“ სრუ-

ლიად არაფერს ამბობს ამ ბრძოლაზედ. მატინე იხსენიებს მხოლოდ მთიულეთისა და ხევის დამორჩილებასა და ისიც გაკვრით, ორიოდ სიტყვით. სახალხო ლექსებიდგან-კი ჩანს, რომ ზურაბს ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებაც სდომებია, მაგრამ დაუმარცხებიათ, ბრძოლაში თავისუფლებას გაუმარჯვნია, შეუმუსრავს მტარვალობა. ტრაგიკულს ამბავს შეადგენს ეს ბრძოლა, ბევრს სანუგეშოსა და საიმედოს ეუბნება ჩვენს სულსა და გულს.

ფშავ-ხევსურთა თავისუფლების შელახვა თან მოჰყვა მთიულთა და მოხვევთა დაპყრობას. მთიულ-მოხვევნი ჯერ ისევ ნუგზარ ერისთავმა დაიმორჩილა, ფშავ-ხევსურთა თავისუფლება-კი ზურაბმა შელახა.

მოგეხსენებათ, რომ ზურაბ ერისთავი ნუგზარის შვილი იყო. მაგრამ ვინ იყო თვით ეს ნუგზარი? — „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ნუგზარის პაპა უბრალო ვანათელი აზნაური ყოფილა¹. ვანათი ახლაც უბრალო სოფელია და პატარა ღიახვზედ მდებარეობს.

მაღალ კლდოვან გორიდამ დასცქერის ვანათს დიდი და მშვენიერი ციხე. ერთ დროს ამ ციხის-თავი განუდგა მეფე სვიმონ პირველს. ნუგზარის პაპამ ლალატითა და მოტყუებით აიღო ვანათის ციხე და ამის გამო მეფემ უბოძა ერთგულს აზნაურს „მამულნი“ ვანათში. შემდეგში ვანათელმა აზნაურმა ქსნის ერისთავი მოიბირა, თავს დაესხა ვილაც თექ-თურმანიძესა და ჭარმელს, ძირიანად ამოაგდო მათი საშენებელი და დაიპყრო ბაზალეთი. ამ ნაირად თავგასულმა აზნაურმა ვანათიდამ ბაზალეთში ამოჰყო თავი.

მოწყალე სვიმონ მეფემ მას არაგვის ერისთავობაც მისცა. როცა მოკვდა ეს ბაზალეთის ახალი ბატონი, ერთმა იმის უკანონო შვილმა მთლად ამოჟლიტა თავისი კანონიერი ძმები, მხოლოდ პატარა ძმის-წული-ღა-გადარჩა. ეს ყრმა ბრძანდებოდა ნუგზარი. ვინ იცის, იქნება ის სჯობნებოდა, რომ ნუგზარიც თან გაჰყოლოდა თავის უდროოდ დახოცილს მამასა და ბიძებს! მცირედი რამეც არ ითქმის კარგი ამ პირშავ მოლაღატესა და ქვეყნის მტერზედ!.. მართლაც-და, ხალხის მუსვრა და სისხლის დენა თითქო ნაანდერძევი ჰქონდაო ნუგზარსა და იმის უკეთურს ოჯახობას! ჩაიხედეთ მატინეში და თქვენ გაოცდებით, თუ სადამდე მიალწია ნუგზარისა და იმის ჩამომავლობის უკეთურობამ. მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ თვით გარემოება და ჟამთა ვითარება ხელს უწყობდა, როგორც არაგველს მტარვალს, ისე სხვებს. გეცოდინებათ, რომ იმ დროს ქართლ-კახეთი ყიზილბაშების სათამაშო ბურთი შეიქმნა; შაჰ-აბაზმა ქვეყა-

¹ ამ აზნაურის სახელი და გვარი მატინეში არ არის მოხსენებული.

წასთან ერთად საქართველოს სამეფო ტახტიც გაანადგურა, მიწასთან გაასწორა; მეფობა ცარიელ სახელად დარჩა და აჩრდილი-დაიყო; ერისთაობა განდიდდა, თავს გავიდა, არავის არაფრად აგდებდა. დიდი მოურავი სააკაძე ხომ ისე დაფარფაშებდა საქართველოში, თითქო ჩემი მამული ნოსტევიაო. სვიმონ მეფე შიშით ქალაქიღამვერ გამოდიოდა და გალაღებულ ფეოდალებს კიდევ ფეხ-ქვეშ გაჰქონდათ და გამოჰქონდათ მრავალტანჯული საქართველო... ხან ერთს მოჰკვეთდნენ თავს, ხან მეორეს და ერთგულობის ნიშნად ყენს უგზავნიდნენ სპარსეთში..

«ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხეენი და ხეობანი თავისად», ამბობს მატეანე. სწორედ «ამ ჟამებთა შინა» შეიღახა მთიულეთის თავისუფლებაც და პირველად მას ბიწიერი ხელი შეახო ნუგზარ არაგვის ერისთავმა, — «შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი... დაიპყრნა ბაზალეთი, მერე დაიმორჩილა მთიულეთი», მაგრამ, როგორც ჩანს, მთიულეთი ცოტად ემორჩილებოდა ნუგზარს, — «მთიულნი ერჩინენ მცირედს... ხოლო, რაც ვერ შესძლო მამამ, ის შემდეგში შეასრულა შვილმა. ზურაბიც მამასავით მოუსვენარი მტარვალი იყო. არაგვის ერისთაობა იმის უფროს ძმას ბაადურს ეკუთვნოდა, მაგრამ ზურაბმა არ იყაბულა, წავიდა შაჰთან, მიიღო ერისთაობა და, როცა უკან დაბრუნდა, ძმა განაძევა და თითონ დაიჭირა ბაზალეთი. ამასაც არ დასჯერდა. მთიულეთი და ხევი თავის ბატონს ზურაბს ისე დაბლა არ უხრიდა კისერს, როგორც იმას სურდა და ამისათვის მოინდომა სრული დამორჩილება. შეასრულა კიდევ თავისი წაღილი, მაგრამ მთიულეთსა და ხევს გვერდით ედგა ფშავ-ხევსურეთი. ესეც კარგი ლუკმა იყო გაუმადლარის ერისთავისათვის... ამ ლუკმამ წაიტაცა, მიიზიდა ზურაბი. დაიწყო ფშავ-ხევსურეთის ლაშქრობა.

მართალია, ზურაბი შესანიშნავი ვაჟკაცი და სარდალი იყო, მამაცობაში იქნება დიდს მოურავსაც არ ჩამორჩენოდა და ლექსისა არ იყოს —

ისპაჰანამდე გაითქვა;

ყენთან გაიზარდაო.

მაგრამ გულადმა და უშიშმა ერისთავმა ფშავ-ხევსურეთს მაინც ბევრი ვერა დააკლო-რა. საშინელებაა ბრძოლა, რომელიც „მთის ლომთა“ და ზურაბს შორის ასტყდა; მთელი მთა სისხლით მოირწყო. როგორც ჩანს, ზურაბი ჯერ ხევსურეთს დასცემია. პირველი დიდი ბრძოლა „ორწყალთან“ ყოფილა, იმ ადგილას, სადაც ფშავისა და ხევსურეთის არაგვი ერთმანეთს ერთვის; ამ „ორწყლის“

აქეთ-იქით საკმაოდ ფართო ქალაა მკლავის გასაშლელად, ხმლის მოსაქნევად და სწორედ ამ ქალაში შეიბნენ მებრძოლნი —

ფშავის, ორწყალში ჩავიდათ,
მანდ ომი მაგვიხდებისა;
მანდ მავლენ ფშაველ-ხევსურნი,
ზურაბიც მაშავდებისა!

ასე ესაუბრებიან ერთმანეთს ორი ხევსური, მინდოდა და სომეხა, რომელთაც მტრის დაცემის გამო „მუხლებს ქარ შეუჯდებისა“. უთუოდ საომარის საზრისის გამო ზურაბს პირდაპირ ვერ გაუბედნია ხევსურეთში შესვლა, ფშავ-ხევსურეთის არაგვზედ არ აუვლია და მთიულეთის მხრიდამ დასცემია ხევსურეთს —

ერისთავ შაჰყრის ლაშქარსა,
კანჭის¹ ქედს დაგროვდებისა,
სახევსურეთოდ ჰგულავის,
არაგვზედ შამადგებისა;
აკუმოს² წინ-წინ მავიდა,
ხმა ლიკოკს³ გაეარდებისა.

ეხლაც ლიკოკელთა თემს დიდი ვაჟკაცობის სახელი აქვს მოხვეჭილი. ძველად ხომ იმათი მამაცობა განთქმული და ქებული ყოფილა. სწორედ ამ ლიკოკელთა „ქორ-შავარდნის ჯარი“ შეება პირველად ზურაბის ლაშქარს და ბევრადაც აზარალა, დიდ-ძალი აზნაური გაუქლიტა —

უხოცავთ აზნაურები
დაბლა აკუმოს წყალზედა,
უხიდოდ არ გაივალის
მაგ სისხლის ალაზანზედა!..

საზოგადოდ რომ ითქვას, ლალსა და თავისუფალს ხევსურს აზნაური სძულს და აკუმოს ომშიაც აზნაურის ჯავრი ამოუყრია —

იანვარ წოწკოლაური
მშვილდ ძალზედ გეზიდებისა,
ელიზბარ ფოცხვერაშვილი,
ხმალ გაჭერ, გეუბნებისა —
ერისთვის აზნაურებსა
ყორნებ პწკლით ეზიდებისა!..

არ ვიცით, რით გათავდა პირველი ლაშქრობა; ეს-კია, რომ

¹ ადგილია მთიულეთის არაგვის ხეობაზედ.

² სოფელია მთის წვეროზედ, ორწყალის ახლო.

³ ხეობა, რომელიც ლიკოკელთა თემს უჭირავს.

ზურაბს კვლავაც დასჭირდა გალაშქრება; მაშასადამე, პირველი
ლაშქრობით ხევსურეთი ვერ დაუმორჩილებია. პირველ ხნობით ზურაბმა
ვერც არაფერი ფშაველებს დააკლო. ჯერ ერთი ისა, რომ
ორწყალში ფშაველები დახედეს,
წკეპან ამოდის ხმლისანი.

მეორედ — ს. მათურას თავში ამავე ფშაველებმა მუსრი გააფ-
ლეს ზურაბის ლაშქარს —

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი,
ნაკრეფნი შვიდის თთვისანი!?
ჩაუშვენ მათურაშია,
თვალნი გაგიწყურეს ხთისანი;
დაგიხვდეს ფშაველიშვილები,
არწივნი მალლის მთისანი;
შემოგეწივნეს მთაზედა,
გაწითლებინეს ქვიშანი...

ჩვენ ესთქვით, პირველის ლაშქრობით ზურაბი ვერას გახდაო;
ეს სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ თითონ მთაც არ უსვენ-
ნებდა არაგვის ერისთავს; ფშავე-ხევსურნიც ლაშქარავდნენ ზურაბის
საყმოს, არბევდნენ, აწიოკებდნენ იმის საბძანებელს —

დილაზედ ჩამოგვეტივნეს
პირშავნი ლომნი მთისანი,
თავი სჭრეს ვაცსა და ვერძსა,
აწითლებინეს ქვიშანი...
ერისთავს ემართლებოდეს,
ვაჰ, ბრალნი მაგის ყმისანი!..

თქვენ ჰხედავთ, რომ ფშავე-ხევსურეთმა კისერი არ მოიხარა,
და ეს გულს უკლავდა ზურაბს. ერისთავმა კიდევ გაილაშქრა ხევ-
სურეთზედ, მაგრამ სხვა გზით. მაშინ ხევის მხრით შემოსულა და
პირველად სოფ. როშკის არე-მარეს დასხმია თავს —

როშკას ატირდეს ციხენი,
ბლოს¹ სახლნი ქვიტკირისანი;
როშკის ხორხს ზურაბ ჩამაჯდა,
შუქნ ჩამაუშვნა მზისანი...

ხევსურები ერთად შეყრილან, მოულაპარაკნიათ და გადაუწყ-
ვეტიათ — დავმორჩილდეთო; ზურაბს კიდევ ემუდარებრან — თავი
დაგვანებე, მორჩილნი ვართ შენის ხმლისა, თორემ ჩვენც შევეცდ-
ებითო —

¹ სოფელია.

სანეს¹ დაგროვდეს ხევსურნი,
 პატრონ ვართ ადგილისანი...
 ზურაბო, დაჯე, დაგვეხსენ,
 ნარჩომნ ვართ შენის ხმლისანი,
 თორ ჩვენაც შამოგეცდებით,
 ხოჯეგნ² კარ გვიდგან ღვთისანი;
 მაგვივლენ მთას-იქითელნი,
 ნაპირის ადგილისანი...

მაგრამ ზურაბმა ამ თხოვნას არა სცა პატივი და ჰსურდა ხევსურეთი სრულიად დამორჩილებოდა; მარტო „ბეგარა“, კი არ ეძლია, ყმობაც გაეწია. ასტყდა ისევ საშინელი სისხლის ღვრა. ბრძოლა მოხდა ბეგენ-გორს, სოფ. გუდანის ახლო, დიდ ხევში. ეს ბეგენგორი ხალხს ეხლაც წმინდა ადგილად მიაჩნია. აქ, ამ წმინდა ადგილას, დიდს ლოდს ქვეშ მარხია გამოჩენილი ვაჟკაცი და გმირი მამუკა ქალუნდაური. როცა ხევსური, და ხშირად ფშაველიც, ბეგენგორზედ აივლის, უთუოდ ცხენიდამ ჩამოხტება, მოწიწებით მივა და თაყვანსა სცემს ხოლმე ქალუნდაურის საფლავს, იმ დიდს ლოდს, რომელსაც თავისუფლების წმინდა ძეგლად ჰხადიან. ბევრჯერ კიდევ ლოცულობდნენ ქალუნდაურის საფლავს, სანთელს უნთებენ იმისის საფლავის ქვას. რათა? — ქალუნდაური ღვთის კაცია, თავისის ვაჟკაცობითა და მხნეობით ხევსურეთი დაიხსნა მტარვლობისაგან, ზურაბის ჯარი დაამარცხა და ჩვენც თავისუფლება შეგვინახა³. ბეგენ-გორის გმირმა დაამარცხა ზურაბის ჯარი და იქვე ხევში სამანი ჩასდვა — ამას არ გამოსცილდეთო... მაგრამ აი თვით ლექსიც:

თან მოჰყვეს ქალუნდაურსა,
 მამუკას შუქნი მზისანი;
 ბეგენ-გორ ჩამაეწია,
 ჯარნი ჭრა ზურაბისანი;
 ამანდით ამობრუნდების,
 სამან ჩაჰყუდნა ქვისანი, —
 „ამას ვინც გადამიცილას,
 ცოდვან ახკიდნა ხმლისანი;
 ვაჟ ვინაც იყოს, ესრე ქნას,
 გუდანს ვინც ლახნა ქვიშანი“...

¹ ადგილის სახელია.

² შეუპოვარი, გაუტეხელი მეომარი.

³ ჩვენ დავით აღმაშენებლის საფლავიც-კი სუფთად ვერ შეგვინახავს და ბაგრატის ტაძარს ვარდევთ და მოიჯარადრეს ვაძლევთ!..

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბეგენ-გორის გმირმა გარდასწყვიტა ხევ-სურეთის ბედ-იღბალი. მართლაც-და საშინელი იყო ბეგენ-გორის ბრძოლა, დიდ-ძალი ვაჟკაცი გასწყდა, სოფ. ლულის წყალი წითლად შეიღება სისხლითა, —

ლულის ძირს წისქვილნ დაბრუნდეს
ზურაბის სისხლის წყლისანი!..

ამ ბრძოლას კიდევ ის მოჰყვა, რომ ზურაბმა ხელი აიღო ხევ-სურეთის ერისთაობაზედ. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც „ხევ-სური კაცი უტია“ (ჯიუტია) და „ქალუნდაურის ფრანგულმაც ხმალ შუქი გამოუტიაო“...

ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა,
გაგიწვრილდება კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა;
ხევსური კაცი უტია,
ქალუნდაურის ფრანგულმა
ხმალ შუქი გამოუტია!

ამას შემდეგ, რაღა საკვირველია, რომ ხევსური ქალუნდაურს აღმერთებდეს, იმის საფლავს თაყვანს სცემდეს!..

ზურაბმა ფშავლებსაც დიდი ვაი-ვაგლახი და მწუხარება დააყენა, იმათი უპირველესი ხატი „ლაშარის-ჯვარი“ შეურაცხყო, ხატს „ბერ-მუხა“ მოუჭრა. ხალხს ჰგონია, რომ ეს მუხა ზეცას ყოფილა მიბჯენილი და ცაზედ გადაბმული ოქროს „შიბითა“, ჯაჭვით; გარდა ამისა, მუხას თავისი საკუთარი მფარველ-ანგელოზი ჰყოლია და რადგანაც „ლაშარის-ჯვარი“ ლაშქრობის ხატია, ამიტომ იგი ანგელოზი ფშაველთა ლაშქარსაც მფარველობდა. როცა მუხა მოაჭრევინა ზურაბმა, ანგელოზი განშორდა „ლაშარის-ჯვარსაო“ და ეს ხომ დიდი უბედურება იყო. ამიტომაც ხალხი უკადრისის სიტყვით იხსენიებს ზურაბ ერისთავს, ძირიან-ფესვიანად ამოგდებასა და გადაშენებას უქადის ლაშარის შეურაცხყოფისათვის —

ბებერსა ლაშარის ჯვარსა
ხმელ გორზედ ედგა ბერ-მუხა,
წვერს ება შიბი ოქროსი,
ზეცას წავიდეს კიბითა;
სულ — მა ერისთვისშვილმა
ამოაბრუნა ძირითა...
მინამდე იმის ძე არის,
ის ამოაგებს კირითა!..

ზურაბი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ მოახერხა „ბერ-მუხის“ მოჭრა—ცული და სხვა საჭრელი იარაღი არ ეკარებოდა წმინდა ხესაო. ბოლოს ერთმა უკანა-ფშაველმა უღალატა თავის მამა-პაპის სალოცავს; ზურაბს ურჩია კატის სისხლი მოუსვი „ბერ-მუხას“, ანგელოზი მოშორდება და მაშინ ადვილად მოსჭრიო. ამ ლალატმა ძირს დასცა წმინდა მუხა და გააფრთხო მფარველი ანგელოზი.

ვგონებთ, ხალხის გადმოცემა „ლაშარის-ჯვრის“ „ბერ-მუხა-ზედ“ მარტო ფანტაზიის ნაყოფი არაა და ღრმა აზრს შეიცავს. პირველად წმინდა „ბერ-მუხა“ თავისის ანგელოზითა და ოქროს შიბით ბევრად მოგვაგონებს ძველი ხალხების ლაშქრობის სალოცავს. თქვენც მოგეხსენებათ, რომ ძველ დროს ომი, ლაშქრობა გაღმერთებული იყო და ღვთიურს დაწესებულებას შეადგენდა. „ლაშარსაც“ ეს აზრი და ხასიათი აქვს. მეორედ „ბერ-მუხის“ მოჭრა ჰღალადებს ფშაველების ლაშქრის დამარცხებას. ჩანს, ზურაბ ერისთავს ძლიერ უჯობნია „ლაშარის-ჯვრის“ ყმებისათვის, ისე ძლიერ, რომ ლაშქრობის ტადარიც-კი შეუღახავს, ფშაველთა ლაშქრის მფარველ-ანგელოზი გაუფრთხვია. თითონ ხალხს-კი ღრმად სწამს თავისი „ლაშარის“ უძლეველობა და ჰგონია, ვითომ ლალატით აჯობეს „ბებერსა ლაშარის ჯვარსაო“... ვინ იცის, იქნება რომელმამე თემმა კიდევ უღალატა თავის „ლაშარსა“, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ზურაბმა მაინც სძლია „ბებერ ლაშარს“. ამ „ლაშარის“ დამარცხება ხომ მთელის ფშავის დამარცხება იყო: ფშავი საერთოდ ყმა „ლაშარისა“ და გარდა ამისა ლაშარ-ბატონის დროშა ერთად-ერთი დროშა იყო, რომლის ქვეშ მთელი ლაშქარი იკრიბებოდა.

ზურაბს „ლაშარის“ ჯავრი ჰკლავდა: ამ „ლაშარმა“ ს. მათურას თავში „ქვიშანი აწითლებინა“; ზედ დაუმატეთ ხევსურების გამარჯვებაცა და მაშინ გაიგებთ, თუ რა მტრობა და შური გულს უსივებდა ერისთავსა—

ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა:

ზენ მთისა, ქვემოთ—ბარისა;

ხევსურეთს კორმეშისა,

ფშავში ლაშარის-ჯვარისა!..

ზურაბი კიდევ ისეთი თავ-მომწონე და გულ-დიდი იყო, რომ ჯავრს არავის შეარჩენდა; არც ფშაველებს შეარჩინა. ზურაბის ცხენი მთის ქერს არა სჭამდა, მაგრამ იმას მაინც „ბარით“ მოჰქონდა ქერი, ოღონდ-კი, „ლაშარის“ ჯავრი ამოეყარა.—

ზურაბის ცხენი ტიალი

ქერსა არა სჭამს მთისასა.

წავა და ბარით მოუტანს,

ჯავრსა არა სჭამს მტრისასა;
ეგებ ჯავრს ამოვიყრიდი
ფშავში ლაშარის-ჯვრისასა!..

ამოიყარა კიდევ: „ბერ-პუხის“ მოჭრა, მთარველ-ანგელღვის გაფრთხობა, გვიჩვენებს, რომ უღმობელმა მტერმა დაარბია ფშავი, „ლაშარის“ ძალა შემუსრა...

ვინ იცის როგორ და რით გათავდებოდა ეს საშინელი სისხლის ღვრა, ბედს რომ არ ემუშავნა ფშავ-ხევსურეთის სასარგებლოდ. მეფე თეიმურაზ პირველმა მოჰკლა თავისი სიძე ზურაბი. რათა? — «ბატონს თეიმურაზს აქენდა შური ზურაბ ერისთავისა; ოდეს მოჰკლა სვიმონ და ვინადგან განდიდნა ცა ფრიად; ამისათვის უდგა ლაღატად მარადის; შემდგომად ზამთარს მდგომიან საფურცლეს იცა ჟამი და მოჰკლა ზურაბ», სწეამბობს მათიანე და ამის მეტსაც არას ამბობს ზურაბის სიკვდილზედ.

შიშმა და შურმა აიძულა მეფე თეიმურაზ ზურაბის მოსაკვლელად. ჯერ ისევ თავისის სიძის გიორგი სააკაძის დროს ზურაბი მეტად ძლიერი და გავლენიანი ერისთავი იყო და დიდის მოურავის სიკვდილის შემდეგ ხომ არაგვის ერისთავის გავლენას საზღვარი აღარა ჰქონდა. თეიმურაზი კარგად ჰხედავდა ყველაფერს ამას. ამიტომაც თავისი ასული დარეჯანი მიათხოვა ზურაბს — იქნება სიძის შემწეობით ქართლ-კახეთის ტახტზედ ავიდეთ. ცოტა ხნით შეისრულა კიდევ გულის წადილი, მაგრამ სიძესა და სიმამრს მალე მოუხდათ შუღლი და დაუდგრომელი ზურაბი ისევ სვიმონ მეფეს მიემხრო. უძლურს, ღონე-მიხდილს სვიმონ მეფეს ისე ესიამოვნა ეს მოწყალება და სარჩლი, რომ ზურაბ ერისთავს თავის „მამად“ უწოდებდა! რა მწარედ სცდებოდა საბრალო მეფე! „ძალად მამამ“ მალე მოჰკვეთა მას თავი და ფეშქაშად სიმამრს გაუგზავნა! ამის შემდეგ, აბა ერთი მიბძანეთ, რალა ნღობა და გული ექნებოდა თეიმურაზს თავის სიძეზედ?!

სახალხო ლექსებში ვრცლად არის ნაამბობი, როგორც მოჰკლეს ზურაბი. სიმამრმა თავისი სიძე საფურცლეს მიიწვია, ნადიმობა გაუმართა, კარგად აქეიფა, მუსიკით მოხიზლა და როცა დააძინა, სხვებს მოაკვლევინა მტერი —

ახლა გიბარებს სიმამრი —

მოდის, საფურცლეს მნახეთ.

ადგა, წავიდა ზურაბი

მორთული თავის ყმითაო,

წამაეგებნეს ზურაბსა —

„მოგვიხვედ მშვიდობითაო“...

ხილი მიართევს ზურაბსა—
„ზურაბ, შეექე ხილსაო“...
ჯერ სვა და ჭამა ზურაბმა,
მემრ პირი წაჰყო ლხინსაო;
დაადგეს მოჩანგენი¹,
დააძინებენ ძილსაო;
მოუსხდენ მოღალატენი
ახლოსა, ყურის პირსაო...

რადგანაც ზურაბი მძლავრი ვაჟკაცი იყო, ღონიერის მკლავის პატრონი, მძინარესაც ვერ ენდნენ: ხმლის ვადა მაგარის ძაფით ქარქაშზედ მიუბეს, გაცოფებულმა ხელი არ ავლოს მახვილსა და არ დაგეხოცოსო; დაჭრილს ლომკაცს გამოედვიდა; ხელი იკრა ხმალს, ვადა კიდევ დაჰგლიჯა, მაგრამ გვიანლა იყო:

ზურაბმ კირთ-გაცოფებულმა
ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი;
ვაი თქვენს ზურაბს, ფშავლებო,
ძაფ დაუხვევაე მაგარი!..

ზურაბი მოჰკლეს... თუმცა ვაჟკაცთა წესი და რიგი-კი არაა ქება-დიდებით იხსენიებოდეს მტრის დალატით მკვლელი, მაგრამ სახალხო ლექსი მაინც დიდად ამკობს ელუმ თულუმშივილს; ვინ იცის, იქნება ზურაბის ძილში მოკვლაც-კი ძნელად გასაბედი საქმე იყო, რომ ელუმს ასე ამკობს ლექსი:

ელუმო თულუმშივილო,
ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი!
შენ მაჰკალ ერისთვის შეილი,
ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.

მარტო თულუმშივილს არა ჰრგებია ხვედრად ეს „ვეფხვ-კანჯარობა“, სხვებსაც წილი ჰქონიათ: თუშთა მოურავს, ბატონს ბარამს², ბეჟან ყორჩიბაშიძეს, საგინაშვილს...

მტრის მოკვლის შემდეგ ზურაბის ტანსაცმელი და იარაღი ამით გაუყვიათ —

¹ მოჩანგე, მემუსიკე.

² ვგონებთ, ჩოლაყაშვილს —

„შეარტყით ჩოლაყაშვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯალი“..

თუშთა და ფშავ-ხევსურთა მოურაობა უმეტეს ნაწილად ჩოლაყაშვილთა გვარს ჰქონდა ჩაბარებული. თვით ეს გვარი უწარჩინებულესი იყო, მაღლა იღვა სხვა გვარებზედ.

ხმლითა სცა თუშთ მოურავმა,
დაჰკარით კახპის შვილსაო;
ხანჯარ ჰკრა ყორჩიბაშიძემ
ბეჟანმა გულის პირსაო.
თუშთ მოურავსა უბოძეთ
ზურაბის ცხენი სალარი¹,
ტყავ-კაბა საგინაშვილსა,
ქუდი ვათაღრის მაღალი;
ბარამ ბატონსა შაჰხდება²
ზურაბის ქამარ-ხანჯარი...

რასაკვირველია, მთას სასიამოვნოდ დარჩა თავისის მტარვა-
ლის მოკვლა. ფშავ-ხევსურეთმა მოისვენა. ხალხის სიხარული პირდა-
პირ იხატება ლექსში:

გაგზავნეთ მახარობელი,
ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
საფურცლეს მაკლეს ზურაბი,
ძილ დააძინეს მაგარი...
ფშაველ-ხევსურთა უთხარით:
წელთით დაიხსნან აბჯარი,
ფშაველ-ხევსურთა ქალ-რძალმა
ძილ დაიძინონ მაგარი!

მართალია, „ფშაველ-ხევსურთა ქალ-რძალი“ მოსვენებით ძილს.
მიეცა, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში იყო ზურაბის დედა. საბ-
რალოს გული უკვდებოდა შვილის სიკვდილის გამო. დედა ქვითი-
ნებდა და მწარედ ასე მოსთქვამდა —

ვინ მოგვლა, შვილო ზურაბო,
ვინ შეგსხნა ხელნი გმირსაო?
ვინ ჩამოგყარა თაობა
ქართლისა, არაგვისაო?³
ალარვინ მეგულებოდა
მაჰრევი ზურაბისაო!..

¹ ისეთი ცხენია, რომელსაც თეთრი ნიშანი აქვს შუბლზედ.

² მოუხდება.

³ მართლაც და როცა ქაიხოსრო, ვახტანგ მუხრან-ბატონის შვილი, დიდმა მოურავმა და ზურაბმა ქართლის გაჰკებლად დასვეს, მთელი ქართლი მოურავს „ყმურად ჰმორჩილებდა“. მოურავის სიკვდილის შეზღვევ ზურაბს მოცილვე ალა-
რავინ ჰყვანდა და სწორედ მაშინ ხელთ დაიპყრა „ქართლის თაობა“. გამგებელი ქაიხოსრო და თვით ქართლიც „ყმურად ჰმორჩილებდნენ“ განდიდებულს არაგვის-
ერისთავსა.

მაგრამ ზურაბის მომრევიც გამოჩნდა და ეს მომრევი ბრძან-
დებოდა თეიმურაზ მეფე.

არც უდროოდ დაქვრივებული დარეჯანი, ზურაბის ცოლი,
იყო უკეთეს მდგომარეობაში. ისიც ცხარე ცრემლით სტიროდა და
დედას სწყევლიდა:

ჩემიმც დღე დაგადგებოა,
ამ ჩემის ლალატისად
თემურაზ მოგიკვდებოა...

რასაკვირველია, წყევლა წყევლად დარჩა და თეიმურაზი არა
თუ არ მოკვდა, არამედ «შევიდა დუშეთს, წარმოიყვანა ასული
თვისი და მისცა ცოლად იმერთა მეფის ძეს ალექსანდრეს მზითვი-
თა დიდითა». დარეჯანს არ მოსწონს იმერეთში გათხოვება; დაცინ-
ვა და უკმაყოფილობა ისმის შემდეგს ლექსში:

იმერეთს რად გამათხოვე,
თემურაზ, ჩემო მამაო;
ჭამა მამწყინდა ლომისა,
ვაჰმე კახურო ყანაო!

იმერეთთ ღომი და გემრიელი კახური პური აქ არაფერს შუა-
შია; კახურს პურს იმერეთშიაც საკმაოდ უშოვნინდნენ მეფის რძალს,
მაგრამ პირველის ქმრის «ქართლის თაობა»-კი ძნელად საშოვნელი
იყო... ისიც არ უნდა დაეფიქსოთ, რომ ზურაბი სახელოვანი ვაჟ-
კაცი იყო და ქალის გულს ხომ ასე ძლიერ იზიდავს ვაჟკაცობა...
ღიაღ, სახელოვანი ვაჟკაცი იყო ზურაბი, მაგრამ სულ სისხლის
ღვრასა და მახვილის ხმარებას მოანდომა მთელი თავისი სიცოცხლე.
ამ მახვილმა თან გადაიტანა იგი და სისხლმაც სისხლი იმსხვერპლა.
მარტო ცოლსა და დედას დაენანათ ზურაბი, სხვას არავის!.. და ან-
რად!..

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო დ

მხნესა და „ჭირსა შინა“ მაგარს ქართველს არასოდეს არ გაჰქრობია გულში იმედი და სასოება. უბედობა თუ შავბედობა ქართველს გულს როდი უტეხდა. არა,—უფრო ამხნევებდა, ძალასა და გამბედაობას ჰმატებდა. ამას მთელი ჩვენი ცხოვრება გვიმტკიცებს და ასეც რომ არ იყოს, ქართველობის ხსენებაც ხომ არსად იქნებოდა. აბა კარგად დააკვირდით ჩვენს ახალ წელიწადს, თუ იგივე არ დაინახოთ, რასაც ჩვენ ვამბობთ: ქართული ახალწელიწადი მართო სანადიმო და დროის გასართობი დღე როდია, იგი უფრო იმედისა და სასოების მომნიჭებელი დღეა, სულის აღმაფრთოვანებელი დღესასწაულია, გულის აღმძვრელი და ამტოკებელი საერო ნადიმია. მთელს ქართველობას სწორედ ასე სწამს ეს დღესასწაული. ამიტომაც არც ერთს სახალხო ბრწყინვალე დღესასწაულს ისეთი გულწრფელი და წმინდა სიხარული არ ეტყობა ხოლმე, როგორც ახალწელიწადს. მიზეზი ცხადია: იმედმა და სასოებამ დაიცვა ქართველობა და საკვირველი არაა, რომ ხალხს გატაცებით უყვარდეს ის დიდებული დღე, რომელიც საერთო იმედისა და ნუგეშის დღეა და, მასასადამე, «წმინდათა წმინდაა» ხალხის გულის ძგერისა.

ჩვენ გვიკვირს და უცხოელნიც არა ნაკლებ ჰკვირობენ, რომ ერთმა მუჭა ქართველობამ ასეთის მხნეობით დაიცვა თავისი ტურფა სამშობლო; განცვიფრებულნი და გაოცებულნი ვმღერით—«შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა», მაგრამ რა იყო ამისი მიზეზი?—ის უხილავი მადლი, რომელიც ხალხს მუდამ აცხოველებს, ამხნევებს, წარსულსა და აწმყოს უნახავს, ზედნიერს მერმი-სისკენ მიასწრაფებს.

ამ მადლს, რომლითაც ასე უხვად ცხებულა ჩვენი ერი, საერთოდ იმედი და სასოება ეწოდება. ახალი წელიწადიც ამ მადლის მომნიჭებელი დღესასწაულია, სხვა არაფერი. ამიტომაც ქართველობა ასეთის დიდის ამბითა და ყოფით ეგებება სანუგეშო და საიმედო ბრწყინვალე დღეს. საბუთიცა აქვს: თუ ქართველი აქამდე დარჩა

იგივე მხნე, იგივე მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა

ამისი მიზეზი ის იმედი და სასოება იყო, რომელიც ქართველობას განუქრობლად გულში უღვივოდა. მაგრამ ეს ყველა, რაც ჩვენ ესტეკით, ახალწლის შინაგანი ბუნება და თვისებაა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ადვილად ვერ დაინახავს და ვერ შეიგნებს.

ამ შინაგანის ბუნებისა და თვისების გარდა, ახალწელიწადს გარეგანი ხასიათიც მოეპოება,—ეს ბრწყინვალე და მაღლის მომნიჭებელი დღე სანადიმო დღესასწაულიც არის. ახალწელიწადს მეტად ცხადადა და აშკარად გამოითქმის და გამოიხატება ხოლმე ხალხის გულის-თქმა და მისი ზნე-ჩვეულება, მისი საეროვნო ვითარება და ვინაობა. ამ მხრითაც ჩვენი ახალი წელიწადი მეტად საგულისხმიერო დღესასწაულია. ძველათაც ყოფილა და ჩვენც ძველის ამბავით უნდა დავიწყოთ საუბარი.

* * *

ძველს დროში ახალწელიწადს ვაჟკაცობის ფერი ედო და მაღალი წოდებაც ამ დღესასწაულს ისე მიეგებებოდა ხოლმე, თითქო საომარი დღეაო, საომარი ვარჯიშობააო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მაშინ მთელი ქართველობა უფრო საომარ ვარჯიშობას მისდევდა და მთელი ხალხიც ერთს დიდს შეიარაღებულს რაზმს წარმოადგენდა. მეფე თავისის ამალითა, ხელის-უფალნი და ურიცხვნი დიდებულნი თავს დასტრიალებდნენ შეიარაღებულს რაზმს და სწორედ მათი საახალწლო ნადიმობა წარმოადგენდა საომარს დღეობას.

მაგრამ რიგზე უნდა დავიწყოთ. დიან, მეფეს გარს ერტყა მთელი დასი ხელის-უფალთა. თითოეულს ხელის-უფალს საკუთარი თანამდებობა და მოვალეობა ჰქონდა, საკუთარი საქმე ებარა. ერთი იყო, მაგალითებრ, ამილახორი, რომელსაც, სხვათა შორის, სახელმწიფოც ხენთა ჯოგი ებარა; მეორე—ბაზიერთ-უხუცესი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სანადირო ადგილები, ბაზნი ანუ მეძალენი, ძალენი, ქორ-შავარდენნი. ერთი სიტყვით ნადირობის საქმე, მესამე იყო სპასალარი—სამხედრო საქმეების უფროსი, გამგებელი და სხვა. დაუმატეთ ამას დარბაზის ერნი (კარის-კაცნი), ერისთავნი, რომელნიც მთელს საერისთაობებს განაგებდნენ, ოფიკალნი (აფიცრები). არ დავიწყოთ, რომ მთელი ეს ბრწყინვალე საზოგადოება მეფესთან უნდა მისულიყო ახალწლის მისალოცავად და თქვენ თვალ წინ ცხადად წარმოგიდგებათ ის დიდებული სურათი, რომელიც ახალწელს მეფის სასახლეში იხატებოდა.

ჩვეულების ძალით თითოეულს ხელის-უფალსა და დიდებულს თავისის ხელობის შესაფერი საჩუქარი უნდა მიელოცნა მეფისათვის,

მაგალითებზე, ამილახორს—ძვირფასი ცხენი ოქროს იარაღითა («ცხენი აღკაზმული ოქრო მოოჭვილითა»), ბაზიერთ-უხუცესს—ქორ-შავარდენი, გარეულის ტახის მოოქროვილი თავი... «და სხვანი ოფიკალნი თვის-თვისთა შესატყისთა». რასაკვირველია, ერისთავთაც მისალოცი უნდა მიერთმიათ მეფისათვის: მისალოცად მათთვის უბრალო რამე იყო დადებული, გამხდარი ჯაგლაგი ცხენი, — «ხოლო ერისთავნი ცხენთა არა-კეთილთა», მაგრამ, როგორც ქვემოთ შევიტყობთ, ეს ჯაგლაგი ცხენი მეტად სასიამოვნო და სასიხარულო პეშქაში გახლდათ.

ყველა ამის გარდა ხელის-უფალნი და ერისთავნი მიულოცავდნენ ხოლმე ისარსაც. ისრის მილოცვას სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდა, — მეფის ორგული და მოღალატე ამ ისარმა გალახვროსო. საჭირო იყო მიმლოცველს ხელში ისარი სჭეროდა; მოწიწებით წარსდგებოდა მეფის წინ, კრძალვითა და რიდით თავს დაუკრავდა, შეაჩვენებდა მის ორგულსა და ასე იტყოდა: «მრავალ ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელს და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა». მიულოცავდა ჯარიც. რასაკვირველია, ის ჯარი, რომელიც სამეფო ქალაქში იდგა.

მაგრამ თქვენც მოგეხსენებათ, რომ მილოცვის წინ მეკვლეობაა საჭირო. მეფესაც საკუთარი მეკვლე ახლდა და ეს მეკვლე იყო, ჰყონდიდელი¹, მთავარ-ეპისკოპოზი, მწიგნობართ უხუცესი, რომელიც ომიანობის დროს ჯარს წინ მიუძღოდა ჯვრითა და რომელსაც ქვრივ-ობოლთა საქმეც ჩაბარებული ჰქონდა. დილით ადრე, რიყრაყზე, ცისკრის ლოცვის წინა, ჰყონდიდელი მიბძანდებოდა დარბაზში და მეფეს უკვლევდა ჯვარსა და ხატსა. ეგრეთვე მოულოცავდა მეფე-დედოფალსა სხვადასხვა ძვირფას სამკაულსა და შაქრის სანუკვარს. მიკვლევა და მოლოცვაც გათავდა... მაშინ-კი დარბაზში დაიწყებოდა ნადიმობა, «პურობა დიდი განცხრომითა და სახიობითა». მაგრამ ეს «პურობა დიდი» ხომ ქართველთა წესია და ყველასათვის ცნობილი ამბავია. ტყუილად-კი არ არის ქართველთაგან ნათქვამი:

ვაჟკაც გულადზედ პურადი
სამის გაფრენით მეტია.

აქ უფრო საჭიროა ვიცოდეთ, რას უმვრებოდნენ იმ «ცხენთა არა-კეთილთა», რომლებსაც ერისთავნი მიართმევდნენ ხოლმე მეფეს.

¹ მეგრულად ნუხადიდი, ძველად ეს სახელი ერქვა აწინდელს მარტვილს. ჰყონდიდელის კათედრაც მარტვილში იყო.

სახალწლო დღეობის სულსა და გულს ნადირობა შეადგენდა. მოგეხსენებათ, რომ ძველ დროს ქართველსა ნადირობა მარტო სახეირო და სასარგებლო საქმედ არ მიაჩნდა, ნადირობა უფრო სავაჟკაციო დროს გატარება და ვარჯიშობა იყო. ამიტომაც ნადირობა სწორედ იმნაირად იყო მოწყობილი, ისეთის წესითა და რიგით სწარმოებდა, რომ ხელს უწყობდა ვაჟკაცობის განვითარებას. მეტადრე ეს ითქმის «ისრითა» და «თოფით» ნადირობაზედ. წაიკითხეთ, მაგალითებრ, მეფე თეიმურაზის „დღისა და ღამის გაბაასება“, სადაც ასე ვრცლად ნაამბობია სხვადასხვა გვარი ნადირობა და დაინახეთ, რომ განთქმული მონადირე სახელოვანი ვაჟკაციც იყო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანც: რაც ღირსება და თვისება მოეთხოვებოდა მონადირეს, იგივე საჭირო იყო კარგის ვაჟკაცისათვის; მაგალითებრ, ცხენზედ მარჯვედ ჯდომა დიდად საჭიროა მონადირესათვის და საზოგადოდ ყველა ვაჟკაცისათვისაც ცხენოსნობა დიდად ჰღირდა, —

ცხენზედ ზნეობა კაცისთვის
მისთვის ჰსჯობს სხვასა შებბასა...

ცხენოსნობის გარდა მართალი და მარჯვე ისრის სროლაც სავაჟკაციო საქმეს შეადგენდა. სახელოვანი მშვილდოსანი განთქმული იყო თავისის სიმარდით. სათაკილოდ და სამარცხვინოდ მიაჩნდათ, თუ ვაჟკაცი ცხენსა და მშვილდს წესიერად ვერ ჰზმარობდნ. ამიტომაც ნათქვამია —

ის ესვრის ისარს, ვინც რომელ
ცხენს კარგად გაუჭენებსო.
თუ ავს დროს ცხენი დაუძრა,
ნადირსა დააშავებსო;
კიდევ გალახვენ ამგვარს კაცს,
ზედ დაჰკვრენ ბევრსა ჯოხებსო.

ერთი სიტყვით, კარგი ნადირობა კარგს ვაჟკაცობას უდრიდა. მეფეებიც, რომელნიც თითონ განთქმული მონადირენი იყვნენ, ხელს უწყობდნენ ამ სავაჟკაციო საქმეს. ბაზიერთ-უხუცესობაც ხომ მას ეხმარებოდა და სხვას არაფერს. მეფეებსა და დიდებულებს დიდი სანადირო ადგილები ჰქონდათ დაყორულებული ნადირობისათვის და

ოდეს მოუნდეს მეფეთა
გულზედა ნადირობანი,
კაცი გაგზავნონ ჯელგისთვის,
დაუწყონ მოგრობანი,
სოფლურთ შეჰყარის სწრაფათა
გზირისა მალლა ხმობანი,
შესხდნენ, წავიდნენ მინდორად...

როცა ნადირობა ვათავებოდა, მაშინ—

ხელმწიფის წინ მოიტანონ
ხარი, ტახი გინა მშველი,
წინ დაუწყონ მათ ნადირი,
ფიცხლავ მიჰყონ ლხინსა ხელი,
შინ გაგზავნის ნანადირევს,
ვინცა არის ნადირთ მკვლელი...

სულ სხვა ხასიათი ჰქონდა საახალწლო ნადირობას. ეს ნადირობა სავაჟაკო შექცევასა და გართობას წარმოადგენდა და სხვას არაფერს. ხელმწიფის წინ არ მოიტანდნენ არც დათოფილს ხარსა და ტახსა და არც მოკლულს მშველს. სანადირო ველი მარტო დახოცილის მგლითა, ტურითა და მელით გაივსებოდა ხოლმე.

ბაზიერთ-უხუცესი ერისთავთა მორთმეულ „არაკეთილს“ ცხენებს გაიყვანდა მეფის სანადირო მინდორზედ. ეს სანადირო მინდორი შემოღობილი იყო და ახლო იდგა მეფის სამყოფზედ. საღამოთი ცხენებს დაჰხოცდნენ და იმათ ლეშს სანადიროზედ დაჰყრიდნენ. ღამე ღობის კარს ღიას დასტოვებდნენ და მთელი სანადირო ნადირით გაივსებოდა ხოლმე. დილით ადრე სანადიროს მცველი კარს გამოუხურავდა ნადირს და შეღობილში დაამწყვდევდა. დღისით მეფე და იმისი ამალა, „წარჩინებულნი“ შებძანდებოდნენ ცხენებზედ და წავიდოდნენ სანადიროდ. დამწყვდეულს ნადირს გამოუშვებდნენ, შეიქმნებოდა ისრით სროლა და ნადირის ხოცვა... «ესრედ იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიროდ».

* * *

ნადიმობაც სასიამოვნო და მიმზიდველი იცოდნენ. ძველებური ნადიმობა გულსა და სულს უტკობდა ქართველს, მეფეებიც ჩმასა ცდილობდნენ; რომ ქართველს აქაც ნიჭი და შნო გამოეჩინა, კეთილშობილური გრძნობა გაჰღვიძებოდა. ამიტომაც ასაჩუქრებდნენ ყველას, ვინც-გი რითიმე დაიმსახურებდა ყურადღებას—

ღღისით იქნების განცხრომა,
ლხინი და ნადირობანი,
გალმა-გამოღმა თქარ-თქარი,
ლიზლობა, კბი ზმობანი,
გალობის-სიმღერის თქმაზედ
მეფეთვან გამცემობანი,
გულ-უხვად დარბახელზედ
იყოს მრავალი ძღნობანი.

რასაკვირველია, სიმღერა და გალობა არა. ჰკმარობდა. კარგს,
სმა-ჰამასაც ფასი ედო, კარგს მსმელს საჩუქარს უბოძებდნენ—

ამოუშვებენ შადრევანს
ბევრ რიგ ასხემდენ აუზით...
ვინც სვამს დიდს თასებს, ეტყვიან:
მალ დალევს ხელი აუზით...
ნეტავი მას დღეს, ვინცა ვინ
ხელმწიფეთ ახლოსა უზით,
თქვენ აიესებით საბოძვრით,
ფრულით, აბაზით, აუზით...

საარშიყო და სამიჯნურო ლექსებიც უყვარდათ—
ზედ თქვან ლექსები მიჯნურთა,
მით ცრემლით ლაწვი აბანოს...

ცეკვასა და თამაშობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ჭიდაობა,
საბელზედ თამაშობა და სხვა გვარი შექცევაც ძლიერ შიანდათ—

რამდენი რიგი ჭიდება
იქნება ფალანგებითა,
ძალით ვერ დასცენ ერთ-ერთი,
მცდელია ბევრ ფანდებითა,
სხვის მოთამაშის მრავალთა
მომსხმელი ჯამბაზებითა,
საბელზედ გავლენ კისკასად,
სიფიცხით, ფერხმალებითა...

აქ საბელზედ მავალს მუშაითი ერქვა, დიდს პატივში იყო და
საჩუქრად ხალათი ებოძებოდა ხოლმე—

მუშაითს მისცენ ხალათი,
ზედ წამოასხმენ აბანოს...

მაგრამ კმარა ამ სამეფო ნადიმობის ამბავი.

* * *

გლეხის ძველებურ დარბაზში შევიდეთ. აქაც სანუგეშო და
სასიხარულო სურათსა ვნახავთ. მე მოგახსენებთ ქართლელის დარ-
ბაზზედ და სხვისა სხვებმა იციან. დიად, სასიამოვნო და სანუგეშო
სურათს წარმოადგენს ამ ბრწყინვალე დღეს ქართლელის დარბაზი:
ჩუქურთმა დაყრილი დედა-ბოძები, სუფთა კერა და ორი დიდი
ბქეთ-იქით დასმული ქვა გაჩაღებულის შუაცეცხლით, ფარდაგ-ხა-
ლიჩითა და საბეტაკის ჭილობით დაფენილი მიწის იატაკი, დასუფ-
თავებული ქვიტკირის კედლები თავისის თახჩებით, სადაც ფერად-
ფერად აჭრელბული სკივრები სდგას, ბოძებზე ჩამოკიდებული თოფ-

თარალი, ერთის სიხარულითა და გრძნობით გამსჭვალული ჯალაბობა, რომელიც იმედის თვალით უმზერს. მომავალს, აწმყო დაეიდარაბა გულიდამ ამოუღია, მისჯდომია თბილს კერასა და ნადიმობს. ეს და ბევრი სხვა ამგვარი სურათი ნათელს ჰტენს გლახის დარბაზს!.. არც ერთი სადგური და სამყოფი არ შეედრება ამ შრომისა და ჯათის წმინდა ტაძარს! კერას წინ ხონჩით აბრამიანი სდგას. ხონჩაზედ აწყვია ღორის თავი, მრგვლად მოხარული დედალი, ხელადა ღვინო... ოჯახის უფროსი ყველას ჰპატიჟობს, თითოეულს ოჯახიშვილს უზიარებს აბრამიანს. მაგრამ იქნება არც-კი იცით რა არის ეს აბრამიანი?!

აბრამიანი გახლავთ სხვადასხვა სანოვაგით შემკული ტაბლა. გლახს სწამს, რომ საახალწლო ნატერა შესრულდება, ამიტომ ყველას ულოცავს დღესასწაულს, კაციდამ დაწყებული საქონლამდე. მისალოცად საჭიროა კიდევ ტკბილეულობა, ხილეულობა, ბედის კვერები... წინა დღეს ყველას თითო ბედის კვერი უნდა გამოუცხონ, საქონელსაც-კი. ბედის კვერი სხვადასხვა სახისაა, მაგალითებრ, მუშა საქონლისათვის გამოაცხობენ უღლის მზგავს კვერს, ძროხისათვის პურის ძუძუს, მენამგლისათვის ნამგალა-პურს, გუთნის-დღისათვის პურს-გუთანს. უეჭველად უნდა გამოაცხონ ბასილა, კაცის სახის კვერი და გულზედ ჯვარი გამოუსახონ. გასუქებული ტახი ხომ მიუცილებლად უნდა დაჰკლან. „დასაბერებლად“ ჯამში თაფლს ჩაასხმენ და თაფლში კიდევ ყველასათვის თითო ლუქმა პურია ამოვლებული. ამ ლუქით უნდა „დააბერონ“ ყველა ოჯახიშვილი. წარმოიდგინე, რომ ყველა ეს სანოვაგე და ბევრი სხვაც ხონჩაზედ აწყვია, ხონჩის შუა ღორის თავი სძევს და თითონ დატვირთულს ხონჩას გარშემო წმინდა სანთლები უნთია,—აი ეს არის აბრამიანი... დილით ადრე ოჯახის უფროსი გაიტანს ამ გაჩაღებულს აბრამიანს, სახლს სამჯერ გარშემო შემოუფლის, მერე ბოსელში შეეპ და საქონელს მიულოცავს. საქონლის მილოცვა დიდის ამბით იციან, სხვათა შორის, კვერცხს გადაავლებენ ზურგზედ და ეტყვიან—ასე მრგვლად გასუქდიო... ბოსლიდამ უფროსი ისევე დარბაზში დაბრუნდება, მივა კერასთან, აილებს მუგუზხალს, შეუჩინჩხალებს ცეცხლს და რამდენჯერაც ნაპერწკლები ავა მალლა, იტყვის: „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი“ და სხვა,—რასაც ინატრებს... მერე ყველას „დააბერებს“ თაფლით.

აბრამიანი სამი დღე შენახული აქვთ და უეჭველად სადღლად და ვახშმად ოჯახის უფროსს უნდა წინ ედგას. სამ დღეს შემდეგ ბასილას გულზედ ჯვარს ამოსჭრიან და ფქვილის გოდორში ჩააგ-

დებენ—ბარაქა ამ გოდორსაო... მაგრამ საკმაოა, ბევრს მკითხველს თითონაც ეცოდინება საახალწლო ზნე-ჩვეულება.

საყურადღებოა, რომ ამ დღეს ყველა ერიდება ცუდი და ავირაძამე არ შემემთხვას,— დამებედებაო... და ვისაც ცუდი რამე არ შეემთხვევა, დარწმუნებულია, რომ მთელს წელიწადს ბედნიერად გაატარებს. დიად, ყველა იმედითა და ნუგეშით შეჰყურებს ახალს წელს, ყველა სიკეთესა და ბედნიერებას ჰნატრობს დღევანდელს დღეს. გლეხის გულკეთილობა იქამდე მიდის, რომ ამ დღეს მტრობასაც კი ივიწყებს და ერთის გრძნობით გამსჭვალულია—დიდი და პატარა, მტერი და მოყვარე, შინაური და უცხო ბედნიერი იყოს... დიადი და მაღალია ეს გრძნობა, ცხოველ-მყოფელი ძალაა იმედი და ნატვრა, რომელიც თითოეულს გულში უღვივის დღევანდელს დღეს. ჩვენც პატივს ვსცემთ ამ გრძნობას და ცხოვრების მომნიჭებელს ძალას. ღმერთმა ბედნიერად დაგასწროთ მრავალს ამ დღეს, ბედნიერის მერმისის იმედი და ნუგეში ნუ მოგაკლოთ!...

X

ერ ისევ გამოჩენილი სტრაბონი ამბობდა, რომ ქართველებს მშვენიერი შენობები აქვთო. მართალიც არის. აქა-იქ დარჩენილს და შენახულს ძველ ტაძრებს რომ დავაკვირდეთ, ადვილად შევნიშნავთ, რომ ჩვენთა წინაპართა ჰქონიათ შნო, გემო, ლახათი. ერთი მოგზაური ამბობს: საქართველოს ზოგიერთი ტაძარი ისე მშვენიერი და ტურფაა, რომ არც რომი და არც ათინა არ დაიწუნებდაო... ჩვენი დედაქალაქიც ყოველთვის მშვენიერი ყოფილა. მეათე საუკუნის მეისტორიე, სომეხი უხტანესი, აღტაცებაშია, როცა ტფილისს იხსენიებს,—ეს სატახტო ქალაქი მეტად საუცხოვოა, მშვენიერებააო.

სპარსელებს ხომ პირველადვე ისე ძლიერ მოსწონდათ ტფილისი, ისე უყვარდათ ეს კეკელუცად მორთული ქალაქი, რომ სამეფო ქალაქს უწოდებდნენ,—ეს ქალაქი ისე ტურფააო, რომ სწორედ მეფეების საკადრისიაო. მაგრამ ოქვენ, იქნება, აზიელებს არ დაუჯეროთ და ევროპიელ მოგზაურების მოწმობა მოიწადინოთ. მაშ მიჰმართეთ შარდენს, დელაპორტს. გადაათვალიერეთ მათი მოგზაურობა: ერთიც და მეორეც განცვიფრებაში არის ჩვენი ქალაქის სიტურფისა და სიმშვენიერისაგან.

დელაპორტს რომ დავუჯეროთ, მაშინდელი ტფილისი საფრანგეთის ბევრს დიდს ქალაქს დაშორებითა სჯობდა. მაგრამ ყველაზედ მშვენიერი მაშინდელს ტფილისში მეფის სასახლე იყო. სწორე იმ ალაგას, სადაც ეხლა სახელოსნო სკოლის პირდაპირ ორსართულიანი საეკლესიო სახლია, ძველ დროს მეჩითი იდგა. იმ მეჩითში ლოცულობდნენ განგებ გათათრებული ქართველი მეფეები, რომელთაც მხოლოდ გარეგნობით სწამდათ მაჰმადიანობა და სულით და გულით-კი მამა-პაპის სარწმუნოება უყვარდათ. მეჩითის გასწვრივ, ქუჩის მეორე მხარეზედ, დიდი შენობა იყო, ნალარახანა, სადაც მეფის სამხედრო მემუსიკეთა ხორო იმყოფებოდა. მეჩითსა და ნალარახანას აერთებდა მშვენიერი კამარა, ალაყათის კარების მსგავსად. კამარას ღამე ჰკეტავდნენ ხოლმე. გასცდებოდიოთ თუ არა კამარას, სამეფო მოედანი იწყებოდა. მოედანი საკმაოდ მოზრდილი იყო, ხელის გულსავეით სწორე, სუფთად ქვით მოკირწყლული და დაგებული. აქ, ამ მოედანზედ წვრთნიდნენ ცხენოსანს ჯარსა, აქ მეფის დასწრე-

ბით, მოხდებოდა ხოლმე სავარჯიშო აღლუმი. ათასი ცხენოსანი მხედარი თავისუფლად დაეტეოდა და მოთავსდებოდა მოედანზედ. მოედნის ცოტა იქით, აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის პირად, გამოქიმული იყო მეფის სასახლე, რომელიც 1636 წ. როსტომ მეფემ ააშენა, ამ სასახლის უკანასკნელი მდგმური ბრძანდებოდა.

ივერიის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა მამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი...

შემდეგ, როცა ალა-მაჰმად-ხანმა ტფილისი გააოხრა, მეფის მშვენიერი სასახლეც მიწასთან გაასწორა, მტვრად აქცია. ეხლა წარსულის მოყვარული ძლივსღა იპოვნის სასახლის საძირკვლის თითო-ოროლა ნატამალსა. სასახლის წინ, მოედანზედ, მარმარილოს შადრევანი ამოდიოდა. შადრევანის სვეტზედ ორი მარმარილოს ლომი იყო ამართული და ეს ლომები პირიდგან წყალს ისროდნენ. შადრევანისათვის წყაროს წყალი იყო მიღებით გამოყვანილი წავკისიდან. ამ წყლით ირწყვებოდა სასახლის წალკოტი. სასახლე იქ იდგა, სადაც ეხლა ეგზარხოსის სახლია. სასახლე სამსართულიანი იყო. ძირის სართულს საყინულედ და სარდაფებათ ჰხმარობდნენ, მეორე სართული სალაროს შეადგენდა. სალაროში ინახებოდა რაც კი რამ ძვირფასი ნივთები და ავეჯეულობა ჰქონდა მეფესა და მის სახლეულობას. მეფე ირაკლის მეტად უყვარდა მდიდრული ცხოვრება და, როგორც რუსეთის ელჩი იაზიკოვი ამბობს, ყველაფერში ნადირ-შაჰსა ჰბაძავდა.

რასაკვირველია, სალაროც სავსე იყო ძვირფასის ნივთებითა. მშვენიერად და საამოდ იყო მორთული თვით სალაროც: მაღალი ჩუქურთმიანი თაღები, დიდრონი და ფართო ფანჯრები, თითქო პატარა ოთახია გამოკვეთილი კლდეშიო, და კედლები ფერადის ქვითა და მინით მორთული. ეს ფანჯრები, რომელთაც წინ გამწკრივებული ჰქონდათ სხვადასხვა ხეხილი, გადასცქეროდნენ მტკვრის არემარეს. მესამე სართული, რომელშიაც ოც-და-თორმეტი ოთახი ითვლებოდა, მეფისა და მეფის სახლობის სადგურს შეადგენდა. ის დარბაზი, სადაც სტუმრებს მიიღებდნენ ხოლმე, დიდის ხელოვნებით იყო მორთული. ჭერი მოქარგული იყო საროთი (მოზაიკითა), დიდრონი სვეტები, დედა-ბოძნი მხატვრობითა და ხქროს ვარაყიანის სურათებით აკვირვებდნენ მნახველსა. აქეთ-იქით, ორსავე გვერდით, სასახლეს მიდგმული ჰქონდა ფრთედი (ფლიგელი) და თითო ფრთედში ოც-ოცი ოთახი ითვლებოდა მეფისა და დედოფლის ამალისათვის. დაუმატეთ ამას მშვენიერი ბაღი, საფრთოსანე, სადაც ყველა გვარი

ფრინველი მოიპოვებოდა და ბევრი სხვა რამე, აი თუნდა კოპწია
ოთახი ქორ-მიმინოს სანახავად, მწევარ-მეძებრების სახლი, და
თქვენ ცოტად მაინც წარმოიდგენთ სურათს, რომლის სიმშვენიერეს
ჩემი კალამი ვერ მისწვდება.

გამოვიდა წირვა, კამარა ღიაა; სამეფო. მოედანზე ჯარია გამწ-
კრივებული; ნალარის ხმა მოისმის; მეფე და დედოფალი სასახლისა-
კენ მიეშურებიან, მათ მოწიწებით, მაგრამ სიმხიარულთ მისდევენ
დიდებულნი. სად? რად?—სასახლეში „პირის ასახსნელად!“... აღ-
დგომა დღეს წირვა ადრე გამოვიდოდა ხოლმე: ადრე ნათლებისად
წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა
აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი... პირიც აიხსნეს. მერე? —
ყველანი მიესწრაფებოდნენ ასპარეზისაკენ... საჯრითოდ, საბურთაოდ.
თქვენც გამომყევით, მკითხველო და გაჩვენებთ ასპარეზსა, შემდეგ-
ში ყაბახად წოდებულს.

თასე მეფის სასახლის ზემოთ, იქ, სადაც ეხლა ალექსანდრეს
სასაფლაოა, წინად ასპარეზი იყო. მერე ასპარეზს სახელი გა-
მოუცვალეს, ყაბახი დაარქვეს. ძველ დროს ყაბახს დიდი ადგილი
ეჭირა, სემასი ადლი სიგრძე ჰქონდა და ორას ორმოცი სიგანე.
ამოდენდ ალაგი ყაბახისთვის იმიტომ იყო საჭირო, რომ აქ იმართე-
ბოდა ხოლმე აგრეთვე დიდი სამხედრო ვარჯიშობა და დოლი. ყა-
ბახის თავსა და ბოლოს, ერთი-ერთმანეთის გასწვრივ, ორი მაღალი
ფალარი იდგა (თალარი პირამიდისაებრ მოყვანილი სვეტია, ქვიტყი-
რის ბოძი).

თალარის თავზე იდო ოქროს, ან ვერცხლის თასი, ანუ რო-
გოჯოც თეიმურაზ მეფე ბრძანებს:

ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ,

ძვირფასის იყოს, ვარგო...

რასაკვირველია, მეფეც ყაბახზედ ბრძანდებოდა, — „გამოვიდის
მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა“.
ხალხიც იქ იყო მოგროვებული. საუცხოვოდ მოკაზმული ვაჟკაცობა,
თითქო ოერიშის მისატანად დამზადებული, საამოდ გაეფინებოდა
ასპარეზზედ. მოგესხენებათ, რომ ცხენოსნობა ქართველის ვაჟკაცის
საქმეა. მეყაბახესაც გაწვრთნილი ტაიჭი უნდა ჰყოლოდა, კარგად
დაკაზმული და თითონაც ხომ მორთული უნდა ყოფილიყო.

ცხენს იხზდენ კარგსა, დაკაზმულს...

ბუშტით და ყუთაზითაო;

ვაჟკაცთა ეცვასთ კურტაკი¹

ბრტყელისა ზორტებითაო.

¹ კურტაკი—მეომრის საჩინო სამოსელია.

აგერ დაკაზმულნი ტაიჭნი აღარ ითმენენ, გული ერჩით, თავ-
ში იწევენ. „ჭაბუკმხედარნიც, ვით აღვა რგულნი, ცხენზედ უძრავად“
ნაღარის ხმას ელოდებიან. ჰკრეს ნაღარას... აი სწორედ ეხლა მოს-
ხლტა შავარდენებურ ვაჟკაცთა გუნდი:

დაუწყონ სროლა ყაბახსა

მათ ცხენის ჭენებითაო.

ძველს დროს ყაბახსა ყოდალს ¹ ესროდნენ ხოლმე. ამიტომაც
თვითეულს მეყაბახეს რამდენიმე ყოდალა ერჭო წელში:

მკლავზე მშვილდი შემოიცვას,

წელს ყოდალი გაირჭოსა,

ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა

ხელით ფეშრი მან უყოსა,

მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს,

კილოს მაგრა დაზიდოსა...

რასაკვირველია, გამარჯვება იმისი იყო, ვინც ყოდალს და ან
ჯირითს მოარტყამდა ოქროს ვაშლს ანუ თასსა. მაგრამ ყაბახობა
ერტსა და იმავე დროს სროლის ვარჯიშობაც იყო და ტაიჭთა დო-
ლიც, ცხენების ჭენებაც. ამიტომ ვინც ყველაზე ადრე მივიდოდა ყა-
ბახთან, ისიც გამარჯვებულეებში ითვლებოდა; თუ ეს გამარჯვებუ-
ლი ოქროს ვაშლსაც მოარტყამდა, მაშინ ხომ უფრო საქებელი იქ-
ნებოდა. როგორც თეიმურაზ მეორის სიტყვებიდგანა ჩანს, „მისვლა“
სჯობდა „მორტყმას“—

ასე უთქვამს:

მისვლა სჯობსო

უფრო ჩამოგდებისაგან.

თუ ორივ სჭირს,

ხომ ისი სჯობს —

უფრო იქოს ბევრისაგან...

სანამდე ყაბახზე თასს არ მოარტყამდნენ, ჭენებისა და სრო-
ლის გათავება არ შეიძლებოდა.

სანამდის არ ჩამოაგდონ,

არ მოეშენენ სროლისაგან...

როგორც მოვიხსენიეთ, თითონ მეფეც ყაბახზე ბრძანდებოდა
ხოლმე. ჩვენს დიდებულს მეფეებს, განთქმულ ვაჟკაცებს, ვაჟკაცური

¹ ყოდალი ერთგვარი ისარია—სამფრთოსანი, უპირო და წვეწო მრგვალი.
იხ. საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი. ბოლოს დროს ისრის მაგვრად ჯირი-
თი შემოიღეს. ამიტომაც ახლის დროის პოეტი ამბობს:

ჯირითი ხოვის

ხუზუნით მოჭკრის...

შექცევაც მეტად უყვარდათ. ყაბახი, ერთის მხრით, სამხედრო სკო-
ლასაც შეადგენდა, აქ იწვრთნებოდა ახალგაზრდობა. მეფენი ხელს
უწყობდნენ, ახალისებდნენ ამ „ქორ-შავარდენთა“ გუნდსა... მეფე
აჯილდოებდა გამარჯვებულს—

ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს,
მიართმევს მეფეს წინადა;
ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა
თავიდამ ფერხამდინადა...

როცა სროლა გათავდებოდა, დაიწყებდნენ ბურთაობას. მო-
ბურთალნიც ორად გაიყოფოდნენ ხოლმე: ერთი მხარე პირველთა-
თალარისაკენ დასდებოდა, მეორე იმის პირდაპირ. თითო მხარეზე
თორმეტი კაცი იდგა. ერთი-ერთმანეთზედ მეტ-ნაკლებობა რომ არ
მომხდარიყო, წილით და შედარებით ამოარჩევდნენ მობურთალთა;

ცხენს კაცსა შეადარებენ
წილისა მოლებითადა;
ორად გაჰყოფენ, თვითოს მხარს
თორმეტს იქმონენ კაცებსა...

იმ ადგილს, სადაც ბურთი უნდა მიეტანათ ჩოგანის ცემითა,
მაყე ერქვა. მაყეებს ზედ გარდაშლილი ჰქონდა ფერადი ფარჩა და
იქვე იდგა შარბათი—

ზედ გარდაშლიან ფერადსა
იქით და აქეთ მაყებსა;
მათთვის სასმელათ შარბათსა
თულუხით დასდგენ საესებსა...

გამარჯვებას შეადგენდა ბურთის გატანა მაყესთან. გამარჯვე-
ბულს მხარეს კაცის თავზე ფარჩა ეძლეოდა. გამარჯვებას დიდი სი-
ხარული მოსდევდა:

ცხენს აქენებენ, იძახდნენ—
მჯობი ვარ ამხანაგისო,
ჩვენ შევიქმნებით წითლისა
ფარჩით შემხვევი ჩოგნისო...

იყო ერთგვარი ბურთაობაც, რომელსაც რაღრაბაგანს ეძახ-
დნენ—

ბევრს-კი არა,
სამს-ოთხს კარგსა
მებურთალსა შეადრიან,
ოთხისათვის სათამაშოდ
ბურთი მიწას გაავდიან...

ამ რადრებაგანს დიდი სიმარდე და სიმარჯვე უნდოდა! გაგორებული ბურთი ცხენოსანს სწრაფად უნდა აეღო ჩოგნითა და ცხენის თამაშობით მალლა შეესროლა; როცა ბურთი ძირს დაეცემოდა და თავისთავად მალლა შეხტებოდა, ხელ-ფიცხად უნდა შემოეკრა და მალლა გაეტყორცნა...

ბურთაობაც გათავდა. მეფე და დიდებულნი დაბრუნდნენ სახლში. დაიწყო ნადიმობა, „პურობანი დიდნი“. მეფეებს უყვარდათ ნადიმობა, რატომაც არა! — რაც-კი რამ კარგი სანოვაგეა, საქართველოში მოიპოვება. ტყუილად კი არ ამბობს დელაპორტი, ეს მსოფლიო მოგზაური, რომ არსად არ შეიძლება კაცმა ისეთი სიამოვნებით იცხოვროს, სვას და სჭამოს, როგორც საქართველოში, აქაურის სანოვაგისთანა გემრიელი სხვაგან არსად მოიპოვებაო...

მაგრამ აი მისი საკუთარი სიტყვებიცა: „საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ცოტა ოდენის ხარჯით ძალიან სასიამოვნოდ ბტარებენ ცხოვრებას. ამ ქვეყანაში დიდძალი პური მოდის, მწვანეილეული და ხილი. პური და ხორცი ძალიან გემრიელი იცის, მეტადრე ნადირის ხორცი. კასპიის ზღვასა და მდინარე მტკვარში, რომელიც მთელ საქართველოს ჩაუდის თავიდან ბოლომდე, ბლომად იჭერენ ზღვისა და მდინარის თევზეულობას. ღორის ხორციც აქ ძლიერ გემრიელია. გარეული ღორი ბევრი იცის და ამის ხორცი უფრო გემრიელია შინაურ ღორის ხორცზედ. ღვინო ხომ მეტად კარგია და ქვეყანაზე ისეთი ხალხი არ არის, რომელიც ქართველებზე მეტს ღვინოსა სვამდეს“. მოდი და ნუ იქეიფებ, ნადიმობას ნუ გასწევ ამ ღვთისაგან კურთხეულ და დალოცვილ ქვეყანაში!... მაშ ეხლა ჩვენც, ჩემო მკითხველო, საუბარს თავი დაფანებოთ და ნადიმობას შეეუდგეთ.

ძველი ქართული ოჯახი

რიდი ხანი არ არის, რაც ევრეთწოდებულმა სოციოლოგიურმა მეცნიერებამ ახალი ნათელი მოჰფინა საზოგადოდ საოჯახო უფლებას, ოჯახის ძველს წყობილებას, მის გარეგანს და შინაგანს აგებულებას. იურიდიულს მეცნიერებაში დიდხანს იყო მიღებული საყოველთაოდ ის აზრი, ვითომ პირვანდელ ფორმას ყველა ისტორიული ხალხის საოჯახო წყობილებისას შეადგენდა პატრიარქული ოჯახი, რომელშიაც ოჯახის მამას განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა მინიჭებული. ამ ფორმის ოჯახს სწავლულები უჩვენებდნენ თითქმის ყველა ისტორიულის ხალხის ცხოვრებაში და ამაზე აფუძნებდნენ მის მუდმივს ძალას, საყოველთაო მნიშვნელობას.

პატრიარქული ოჯახი—ოჯახის მამას აძლევდა სრულს, განუსაზღვრელს უფლებას სხვა წევრთა შესახებ; ოჯახის მამა იყო ერთად-ერთი პირი, რომელიც განაგებდა საოჯახო საქმეებს, დანარჩენნი წევრნი მის მორჩილებაში იყვნენ; მათ იცოდნენ მხოლოდ თავიანთი მოვალეობა და სხვა უფლება სრულიად არა ჰქონდათ რა. ამასთან ძველი თეორია ჰქადაგებდა იმასაც, რომ პატრიარქულ ოჯახში ცოლი ქმრის საკუთრება არისო, მისი ქონება, სწორედ ისე, როგორც მთლად ოჯახი თავისის წევრებით. ძველი თეორია იფიქვებდა საზოგადო წარმოების კანონს და პატრიარქულ ოჯახს სთვლიდა პირვანდელ ფორმად.

სოციოლოგიური მეცნიერება სხვა გზას დაადგა;—მან პატრიარქული ოჯახი აღვიარა შედეგად საზოგადო განვითარებისა, საზოგადო წარმატების კანონისა და დაასკვნა, რომ ამ ოჯახს წინ მიუძღვიან სხვა ფორმები სქესობრივი ურთიერთობისა. ახალი თეორია¹ ამტკიცებს იმასაც, რომ პიროვნული ოჯახი აღორძინდა ისე, როგორც ყოველგვარი იურიდიული საკუთრება; ცოლი დაისაკუთრა კაცმა მხოლოდ მაშინ, როცა მან შეიგნო, თუ რა არის კერძო საკუთრება მიწისა, ნივთისა და სხვა. ამ მხრივ ახალი თეორია სრულს

¹ Джон Лѣббок, Начало цивилизации, С. Птб. 1876, თავი III. ლე-ბოკის წინააღმდეგია, ამ შემთხვევაში, სპენსერი, რომელიც ამბობს, რომ საზოგადო ცოლქმრობასთან შეიძლებოდა კაცს საკუთარი ცოლიც ჰყოლოდა, Основания социологии, ტ. II, გვ. 700—701.

ანალოგიას ჰპოვებს საოჯახო წარმატების`და საზოგადო იურიდიუ-
ლი განვითარების შორის. როგორც შევნიშნეთ, სოციოლოგიურის
თეორიის შეხედულობით, პატრიარქულს ოჯახს წინ მიუძღვიან სხვა
ფორმები, რომელნიც ერთი-ერთმანერთს თან მოსდევენ, ერთი-ერთ-
მანერთს სცვლიან, სპობენ ¹, აქ საოჯახო ცხოვრების განვითარება
ემორჩილება საზოგადო წარმატების კანონს (закон развития).

ისტორიული ფაქტების შესწავლამ, აწინდელ ველურ ხალხთა
ცხოვრების გამოკვლევამ მიიყვანა მეცნიერება იმ დასკვნამდე, რომ
თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ სქესობრივი არევე-დარევა, სა-
ერთო ცოლ-ქმრობა (общинный брак), სადაც დედა-კაცი, როგორც
ცოლი, ეკუთვნოდა მთელს გვარეულობას, მთელს ტომს (племя,
род). ამგვარ მდგომარეობაში ქალი შეადგენდა ერთად-ერთს პირს,
რომლისაგანაც მომდინარეობდა ყოველგვარი იურიდიული დამოკი-
დებულება იმ პირთა შორის, რომელნიც გვარეულობას, ტომს ეკუთ-
ვნიდნენ. წვერთა შორის ნათესაობა დედობრივი იყო (матриар-
хат)²; მხოლოდ ქალის იურიდიული ძალა იყო ცნობილი. ამ მოვ-
ლენას ყველა ისტორიული ხალხის ცხოვრებაში უჩვენებენ, თუმცა
კი, იქნება, საკმაოდ ფაქტები არ იყვნენ შენახულნი მის თვალსაჩი-
ნოდ დასამტკიცებლად. საერთო ცოლქმრობას, როგორც ვუჩვენეთ,
შემდეგ ხანგძლივის ცხოვრებისა, თან მოჰყვნენ სხვა ფორმები და
მათ შორის, როგორც უკანასკნელი, პატრიარქული ფორმა ოჯახი-
სა, სადაც მამამ დაიჭირა ძველი დედის ალაგი.

თუ საერთო ცოლ-ქმრობა თავისი განსაკუთრებითი დედობრი-
ვის უფლებით (матриархат) საზოგადო მოვლენას შეადგენს და
ემორჩილება მიუცილებელს, მუდმივს კანონს, მაშ ამ მოვლენას ად-
გილი უნდა ჰქონოდა ქართველების ცხოვრებაშიაც ისტორიის წინა-
სწარ დროს. სამწუხაროდ, მეტად ცოტა ფაქტებია დარჩენილი ამ
მოვლენის და საზოგადო კანონის დასამტკიცებლად. ამისათვის დი-
დი სიფრთხილეა საჭირო, როცა ამ საგანზედ ვსჯით. თითო-ორო-
ლა მაგალითი ბევრს არას ამტკიცებს, ერთი და ორი ფაქტი ჯე-
როვანის სინამდვილით ვერ უჩვენებს საზოგადო კანონს, ვერ აკმა-

¹ სენსერი თავის თხზულებაში -- Основания социологии, ტ. II, გვ. 697—742, ამტკიცებს, რომ ცოლ-ქმრობამ განვლო რამდენიმე ხანა, რამდენჯერმე იცვალა ფერი. წინათ არსებობდა სრული არევე-დარევა (беспорядочное поло-
вое сожителство), მერე დაარსდა პოლიანდრია, მრავალ-ქმრობა, მას თან მოჰ-
ყვა პოლიგინია — მრავალ-ცოლობა; სულ უკანასკნელი ფორმა იყო მონოგამია.
თვითუფილი ფორმა გამოწვეული იყო საჭიროებით და თავისი საბუთები ჰქონდა.

² Жиро Телон, Происхождение семьи, გვ. 7—13, 75—79. იხილეთ
ფრეთვე Лебნოჟ, Начало цивилизации, გვ. 56, 71, 75 და სხვანი.

ყოფილებს მეცნიერულს მოთხოვნილებას, თუმცა კი შეიძლება გვიჩვენოს ის გზა, რომელსაც ამიერიდგან უნდა დაადგეს ჩვენი საოჯახო უფლების ისტორია. მცირედი რიცხვი ფაქტებისა მხოლოდ ეჭვს ჰბადავს მკითხველში, ცოტათი მაინც ძირს უთხრის იმ შეხედულობას, რომელსაც პატრიარქული ოჯახი მიაჩნია საოჯახო წყობილების პირვანდელ ფორმად.

ჩვეულებრივს მკითხველს სწორედ ეს ოჯახი ჰგონია ჩვენს ძველ ცხოვრებაში საოჯახო წყობილობის დასაწყისად, მაგრამ, თუ კი დააკვირდა ზოგიერთა ფაქტებს, აშკარად დაინახავს თავის შეცდომას. გარდა იმ კანონისა, რომელიც ჩვენ ვუჩვენეთ და რომელიც, როგორც ჰფიქრობს ყირო ტელონი¹, მოქმედობდა მცირე აზიის ხალხების ცხოვრებაშიც, მოიპოვებიან ფაქტები, საიდგანაც პირუთენელი მკითხველი სულ სხვა დასკვნას შეადგენს. ჯერ ისევ ჰეროდოტემ აღნიშნა ერთი ამ ფაქტთაგანი.

ჰეროდოტეს¹ სიტყვებიდან აშკარად ჩანს (ის გაგონილს ამბობს და არა ნახულს), რომ იყო ისეთი დრო, როცა კავკასიაშიც არსებობდა საერთო ცოლქმრობა. ამავე აზრს იმეორებს ქსენოფონტე², რომელიც, სამწუხაროდ, თავის მოგზაურობის დროს, მეტად ცოტა ყურადღებას აქცევდა მცირე აზიის ხალხთა შინაურს ცხოვრებას. ეს მწერალი მოსუნოხების (მოსინიკები)³ შესახებ ამბობს იმასვე, რასაც ჰეროდოტე საზოგადოდ კავკასიის ხალხებზედ. მაგრამ ყველაზე გარკვევით მოსუნოხების საერთო ცოლ-ქმრობაზე მოგვითხრობს აპალონ როდოსელი⁴.

ქართველი ხალხის სხვა ტომებზედ ბერძნების მეისტორიენი გარკვევით არას ამბობენ შესახებ საერთო ცოლ-ქმრობისა. მხოლოდ ზემოხსენებული აპალონ როდოსელი ტიბარენების⁵ ცხოვრებიდან ასახელებს ერთს ღირს-შესანიშნავს ფაქტს, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, ნათელს ჰფენს ამ სიბნელით მოცულს საგანს. ტიბარენებზედ იგი მოგვითხრობს, რომ, როცა მათი ცოლები შეილებს შობავენ

¹ Ж. Телон, op. cit., გვ. 9.

² Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, 6. 1, გვ. 40; იხ. ვგრებთვ დ. ბაქრაძე, საქართველო, რეუულის გვ. 80.

³ მოსუნოხები, მოსხები. ანუ მესხები ქართველი ტომის ხალხს ეკუთვნოდნენ; დიმ. ბაქრაძის, საქართველო, გვ. 33, 43.

⁴ Ган, op. cit., გვ. 47.

⁵ ტიბარენები ქართველი ხალხის ტომს ეკუთვნოდნენ, დ. ბაქრაძე, საქართველო, გვ. 33. საქართველოს ძველი სახელი „იბერია“ შემდეგში შემოვიდა. ჰეროდოტემ (480 - 426 კრ. წინად) ეს სახელი არ იცოდა, ჰეროდოტეზე ადრე იბმარებოდა იბერიის მაგიერ ტიბარი, ტიბარენი, ibid, 98-99.

ბოლმე, თავ-შეხვეული ქმრები ლოგინში დაწვებიან, კენესიან, თითქო მშობიარე დედა-კაცები იყენენ; ცოლები ამ დროს ცარგად აკმევენ მათ და მერე აბანავებენ კიდევ, როგორც ჩვეულებაა მშობიარობის შემდეგ¹; ესე იგი კაცები სიმვოლურად ასრულებდნენ მშობიარობის როლს, რადა?

ამ კითხვის ასახსნელად მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ, როცა ქალი არ შეადგენდა კაცის პიროვნულს საკუთრებას და ეკუთვნოდა მთელს ჩამამავლობას, ტომს, მაშინ (საერთო ცოლ-ქმრობის დროს) შეილებმა იცოდენ მხოლოდ დედა (матриархат), მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ფიზიკური კავშირი მხოლოდ დედასთან; რომელმაც იგინი ჰშობა; ვინ იყო მათი მამა, ამის გაგება შეუძლებელი იყო, რადგანაც ერთსა და იმავე ქალთან კავშირი ჰქონდათ მრავალ კაცს. შემდეგში დედობრივს ნათესაობას თან მოჰყვა მამობრივი ნათესაობა² მაგრამ ეს ცვლილება პირდაპირ როდი მომხდარა; ერთს და მეორეს შუა, როგორც შემაერთებელი ხიდი, დაარსდა სიმვოლიური ჩვეულება, სწორედ ისეთი ჩვეულება, როგორსაც ვპოვებთ ტიბარენების ცხოვრებაში. ეს ჩვეულება ცხადად გვიჩვენებს, რომ ტიბარენებმაც იცოდენ საერთო ცოლ-ქმრობა თავისი დედობრივის ნათესაობით (матриархат).

ჩვენის საგნის განმარტებას ერთი ზღაპარი, მითი, კიდევ ეხმარება. ეს ზღაპარია ამორძლებზედ (ამაზონებზედ). ამ უძველესის მითის შესახებ³ ჩვენს მწერლობაში გამოითქვა აზრი, რომელსაც, ვგონებთ, ვერ მიიღებს ისტორიული კრიტიკა. სხვათა შორის, სწორედ ამ მითზედ დააფუძნა თავისი გუნდრუკის კმევა ძველი ქართველი ქალისადმი, ერთმა დიად პატივცემულმა მწერალმა⁴. მაგრამ, თუ

¹ Г а н, op. cit., გვ. 46. ამავე ჩვეულებას, აპოლონის სიტყვებით; იმეორებს ნიფოდორე სირაკუზელი, ibid, გვ. 207-208, სადაც ამბობს, რომ ტიბარენების ცოლები ქმრებს ისე უვლიან, თითქო ამ უკანასკნელებს ეშობნოთ შეილებიო. იხილე ვგრეთვე Ж. Т е л о н, op. cit. გვ. 80-83, სადაც ავტორს მოჰყავს ტიბარენების ჩვეულება და უჩვენებს, რომ ეს ჩვეულება ზოგიერთა აწინდელ ველურ ხალხებსაც აქვთ, მაგ. აფრიკის დასავლეთის ნაპირზედ.

² Л ё н о в, op. cit., გვ. 56 და სხვ., სადაც ავტორი ამბობს და ამტკიცებს, რომ პირველად კაცმა იცოდა კავშირი მხოლოდ თავის ტომთან (племя), მერე დედასთან; ამას მოჰყვა ნათესაობა მამის მხრივ და ბოლოს მამის და დედის მხრივ.

³ ჯერ ისევ ჰომეროსი (900 წ. ქრ. წინათ) თავის „ილიადაში“ იხსენიებს აპაზონებს, Г а н, op. cit., გვ. 6.

⁴ დ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ისტორიული სურათები, ი ვ ე რ ი ა, 1882 წ.; № IV და V, გვ. 35-54. ამ ბევრად შესაზიზნავს წეროლს, რომელსაც დიდი შრომა და ჯაფა ეტყობა, ფხიზლად უნდა წაკითხვა. მას პირველსავე კაბადონიდამ აშკარად ემჩნევა ავტორის ტენდენტური შეხედულობა.

პირუთვნელად შეეხედავთ ამ მითს, მაშინ სულ სხვა დასკვნა გამოვა, და აი ეს რისთვის: ყველა ძველი მწერალი—ჰეროდოტე, სტრაბონი, პლუტარქი და სხვ.—რომელნიც-კი მოგვითხრობენ ამ შესანიშნავს ზღაპარს, მასში უჩვენებენ ერთს საყურადღებო მხარეს, სახელდობრ იმას, რომ ამაზონებს ყველანი ერთნაირად მიაჩნდათ ქმრებად.

დაბადების შემდეგ ბავშვებს ასე იყოფდნენ—ქალები მიჰყავდათ დედებს, ვაჟები კაცებს, ვისაც შეხვდებოდა: ყველა კაცს თავის თავი ბავშვის მამად მიაჩნდა¹. ამ ფაქტიდამ დასკვნა ერთად-ერთია—ამაზონები საერთო ცოლებს შეადგენდნენ. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ დროს, როცა გავრცელებული იყო ზღაპარი ამორძლებზედ, ძველი მწერლები (რომელნიც მოვიყვანეთ) პირდაპირ უჩვენებენ სხვა ქართველი ხალხის ტომთაც მათის საერთო ცოლ-ქმრობით, მაშინ გარდმოცემა ამაზონებზე ნათელს ჰყენს ჩვენს საგანს.

ეს საერთო ცოლ-ქმრობა, სქესთა შორის არეუ-დარევა ხომ ველურს მდგომარეობას გვიჩვენებს, იმ მდგომარეობას, როცა ქალს ერთი საგანი ჰქონდა—კაცის ცხოველური ვნების დაკმაყოფილება და არა ის, რასაც ჰფიქრობს „ისტორიული სურათების“ ავტორი, ვითომ—ამაზონებზე თქმულებაში „გამოხატულია ნამდვილი აზრი ბერძენებისა ქართველ ქალის ცოდნაზე, ჭკუის გამჭირიანობაზე“ (გვ. 43). ქართველი ქალის „ამ ცოდნას, ჭკუის გამჭირიანობას“ მის ველურს მდგომარეობაში ისე გაუტაცნია ქართველი ქალის ისტორიკოსი, დიმ. ჯანაშვილი, რომ იგი ჰეტერების განვითარებას, კავკასიაში მცხოვრებ ქალების გავლენას აწერს და ამბობს: „მათ (ჰეტერებს) მოეწონათ კავკასიის ქალების თავისუფლება, ხალხში თამამად გამოსვლა, კაცებთან მოურიდელობა, მათთან მუსაიფი, მათი გამჭირიანობა, ცოდნა და მონაწილეობის მიღება საზოგადო ცხოვრების საქმეებში“ (იქვე, გვ. 47). პირველი ესა, რომ ჰეტერები სრულებით არ სანჭიროებდნენ კავკასიის ქალების გავლენას, რადგანაც იგინი თავისთავად შემკული იყვნენ ყველა იმ თვისებებით რომელთაც ავტორი კავკასიის ქალებს მიაწერს. ჰეტერიზმი ნაშთი იყო იმ წესისა, როცა არსებობდა საერთო ცოლ-ქმრობა, სქესთა შორის არეუ-დარევა.

როგორც აღმოსავლეთის ხალხებისათვის, ეგრეთვე ბერძენებისათვის ჰეტერიზმი მოასწავებდა სიმვოლურს სამღვთო დაწესებულებას და აი ეს რისათვის: პიროვნული ქორწინება (ქალის დასაკუთრება), ძველის ხალხის შეხედულებით, წინააღმდეგი იყო ბუნებრივის სიმართლისა. ამისათვის ქორწინებასთან ერთად მათ მიღებული ჰქონდათ როსკიობა, რომელიც მოავონებდა უწინდელს ჩვეულებას—

¹ Г а н, op. cit., გვ. 19, 73, 125 და სხვა.

საერთო ცოლ-ქმრობას, რომელშიაც ვითომ იხატებოდა ბუნებრივი კანონი და რომელიც ვითომ დაირღვა ქორწინების შემოღებით¹. პეტერზმსაც პირველად ეს მნიშვნელობა ჰქონდა და სხვა არაფერი. და თუ ეს ასეა, მაშინ ხომ პეტერები, როგორც საჯარო, საერთო-ცოლები, არა საჭიროვდნენ კავკასიის ქალებისაგან მიეღოთ ის ზნე-ჩვეულება, რომელსაც უჩვენებს ხსენებული ავტორი.

თუ ჩვენ გაკვრით მოვიხსენიებთ ძველი ქართველი ქალის მდგომარეობა. ვუჩვენებთ მისი ზნე-ჩვეულება, ეს იმიტომ, რომ დაგვერღვია ჩვეულებრივი შეხედულება, რომელმაც ასე ღრმად ფესვები გაიდგა ჩვენს მწერლობაში. ზემოხსენებულიდამ მეორე დასკვნაც ცხადია, — უძველეს დროს არც ჩვენში არსებობდა წესიერად განწყობილი ოჯახი. აქაც, თუ მთელი ხალხი არა, ზოგიერთა ტომი მაინც, მისდევდა უწყისო სქესობრივს კავშირს. ამას ამტკიცებენ ისტორიული ფაქტები.

თუ როგორ და რა გზით დაარსდა პიროვნული ქორწინება, თუ რანაირად წარმოსდგა იგი საზოგადო ცოლ-ქმრობიდან, რა ფორმები წინუძღოდნენ პატრიარქულს ოჯახს, — ფაქტების უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია. ანალოგიის მიხედვით, აქ მართო საზოგადო სოციოლოგიური კანონის დასახელება შეიძლება და სხვა არაფერი, სახელდობრ იმ კანონისა, რომელიც უჩვენებს მიუცილებელს კავშირს საერთო განვითარების და ოჯახური წარმატების შორის². თუ ამ კანონს ვიქონიებთ სახეში და ზემოთ მოყვანილ ფაქტებსაც არ დაევიწყებთ, მაშინ საეჭვოდ უნდა დარჩეს ჩვენის ეთნოლოგიის ვახუშტის შეხედულება ოჯახურს წყობილებაზე. სწორედ ამ კანონს და ფაქტებს იევიწყებს ვახუშტი, როცა უბნობს ძველი ქართველების ცოლქმრობაზე.

მას მზა და ზამთავრებული ოჯახი გამოჰყავს სცენაზე; მაგრამ ამასაც არ სჯერდება. მისი ოჯახი ისე განვითარებულია, რომ ფეოდალური წესიც კი იცის: «რამეთუ მოიყვანიან (ცოლთა) თვისთვისთა თანასწორთა, მთაუარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა, უმცირესნი უმცირესთა და ამის მიერ არა იყო მრავალ-ცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხვათაცა», «ცოლნი თვისთა თანასწორთა ერთი და არა სხვათაებრ მრავალნი»³. მრავალ-ცოლობა, ვახუშტის სიტყვით, მხოლოდ შემდეგში შემოვიდა ჩვეულებად და ამის მიზეზი სხვა ხალხთა გავლენა იყო, — «არამედ წესნი

¹ Ж. Телон, Происхождение семьи, გვ. 28—31.

² Спенсер, Основания социологии, ტ. 2, გვ. 676.

³ ვახუშტი, გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა, 1842 წ., გვ. 6, 22.

ესენი რომელიმე ფლობასა თათართა ყენობისასა შეიშლებოდენ... სხვანიცა უჯერონი მრავალნი, ვითარცა იტყვის ორ-ცოლიანობასა და სამ-ცოლიანობასა...¹ თუმცა ძველს ოჯახში, როგორც ამბობს ვახუშტი, ნათესაობის პრინციპი დაცული იყო, მაგრამ შემდეგ ნათესაობითი კავშირი შეირყა და, რასაკვირველია, ესეც სხვა ხალხთა გავლენით უნდა მომხდარიყო, რადგანაც «იყვნენ ყოველთა წარმართთა უუწარმართესნი და უუსჯულოესნი: რამეთუ აღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყვნენ შეყოფითა»².

ვახუშტის სიტყვებიდან ჩანს, რომ ჩვენი ძველი საოჯახო ჩვეულება უკრძალავდა ნათესაებს ქორწინებითს შეუღლებას, მაგრამ ეს ჩვეულება მოსპო სხვათა ხალხთა გავლენამ. და თუ მივიღებთ სახეში, რომ ჯერ ისევ საქართველოს სამეფოს დაარსებამდე, ეგრეთ წოდებულს მამასახლისობითი მმართველობის დროს, ქართველების ზნე-ჩვეულებაზე დიდი გავლენა იქონია მეტადრე ზოროასტრის სწავლამ, მაშინ ის აზრიც უნდა მივიღოთ, რომ «თუ (ქართველებმა) აღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულიყვნენ შეყოფითა» — ეს იყო სწორედ შედეგი ამ სწავლის გავრცელებისა საქართველოში³.

მაგრამ პიროვნული ნათესაობის გამო აღკრძალვა ქორწინებისა, რომლის უარყოფელ გარემოებად ვახუშტი პიროვნულ ნათესაობას ჰრაცხს, აშკარად გვიჩვენებს, რომ მისგან აწერილი ცოლ-ქმრობა სრულებითაც არ არის პირვანდელი ფორმა ჩვენის ძველის ოჯახისა და ამტკიცებს, რომ ეს პირვანდელი ფორმა სხვა უნდა ყოფილიყო. ვგონებთ, ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ვახუშტის «ნათესაობა» პიროვნული ქორწინებით წარმომდგარი ნათესაობაა. სწორედ ამნაირს ნათესაობას უარჰყოფდა ზოროასტრის სწავლა, რომელიც არა თუ ნათესაებს, არამედ და-ძმას ცოლ-ქმრობის ნებას აძლევდა. მაგრამ პიროვნული ნათესაობა, როგორც ეს სიტყვა ჩვენ ეხლა გვესმის, კუთვნილებაა პატრიარქული ოჯახისა და წინათ ნათესაობა ნიშნავდა მხოლოდ ტომის, გვარის კავშირს; პიროვნული ნათესაობა თან მოსდევს მხოლოდ პიროვნულ ცოლ-ქმრობას, მაშასადამე, ვახუშტი აგვიწერს განვითარებულს, შემუშავებულს პატრიარქულს ოჯახს და ეს ოჯახი ხომ, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ბოლო დროს ჩნდება ყველა ისტორიული ხალხის ცხოვრებაში⁴ და

¹ ვახუშტი, *op. cit.*, გვ. 36.

² ვახუშტი, *op. cit.*, გვ. 6.

³ С. Баратов, *История Грузии*, *რეული* 1, გვ. 13, 16, 27.

⁴ Ж. Телон, *op. cit.*, გვ. 2-3. 115.

ჩვენ არა გვაქვს წინააღმდეგი საბუთები, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა გადაჭრით დასკვნა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრება არ ემორჩილებოდა საზოგადო სოციალურს კანონს. აქ შევნიშნავთ მკითხველისათვის, რომ, ძველს ჩვეულებას,—ნათესავეების შორის ქორწილის აღკრძალვას მხოლოდ შემდეგში სასტიკად ხელი მოჰკიდა ეკლესიამ¹ და მრუშობისათვის ნათესავეებს ქვით ჩაქოლვას უქადოდა².

რაკი ერთხელ ჩვენი პატრიარქული ოჯახი ფეოდალურად მოეწყო, მთლად ჩვენი საოჯახო უფლება და კანონიც ფეოდალურ წესზე აშენდა.

ფეოდალიზმმა ღრმა ბეჭედი დაასვა ოჯახს, მისცა მას განსაკუთრებული ხასიათი, ფერი. როგორც გვიჩვენებს ჩვენი სჯულმდებლობა, არასოდეს ჩვენს ოჯახს ეს მიმართულება არ დაუტოვებია,—ერთხელ დაარსებული ფეოდალიზმი ბოლომდის დარჩა ოჯახში და მოისპო მხოლოდ მაშინ, როცა მოისპო საკუთარი სახელმწიფო ცხოვრება. მართალია, სხვადასხვა დროს, ასეთს თუ ისეთს ხალხს, რომელსაც ემორჩილებოდა საქართველო, გავლენა ჰქონდა შინაურს ცხოვრებაზე, ქართველის ზნე-ჩვეულებაზე და მაშასადამე საოჯახო წყობილებაზედაც, მაგრამ ეს გავლენა კი იქამდინ არ მისულა, რომ მოესპო, ან შეერყია ფეოდალური ხასიათი ჩვენის ოჯახისა. და თუ ვახუშტი ერთს უძველეს ჩვეულებად სთვლის—«დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათვის ჩინებისა მიერვე დაუურვის სისხლი» (გვ. 16), ეს ჩვეულება, სისხლის დაურვება საოჯახო უფლების დარღვევისათვის «ჩინების» მიხედვით, შეიქნა საფუძვლად ჩვენის საოჯახო განწყობილებისა. საოჯახო სისხლის სამართალი სწორედ ამ საფუძველზედ იყო ამოყვანილი.

საკვირველი და ღირს-შესანიშნავია, რომ ამ საფუძველს ვპოვებთ მთიელი ხალხის კანონებშიაც («ძეგლის დება მეფეთ მეფის გიორგისა მიერ», 1321 წ.), თუმცა მთაში ფეოდალიზმი ისრე არაოდეს არა ყოფილა აღორძინებული, როგორც ვაკე ქართლში. თავის „ძეგლის დების“ შესავალში მეფე გიორგი მეექვსე, სხვათა შორის, ამბობს: «და გავიგონეთ, რომელ... სისხლის სუბუქობისათვის ადვილ ჩნდა ჩვენდა... ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება». «სის-

¹ ვინცა: ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან, რძალი შეიროოს შეჩვენებულნიც არის... კაციცა და დედაკაციცა გაღმა-გამოღმა დაკირონ; დამკირაფნი ჩვენგან დალოცვილ და კურთხეულ იყონ», სამართალი კათალიკოზისა, მუხ. კგ. ვახტანგის კანონთა კრებაში.

² Д. Пурцеладзе, Церков. гудж., გვ. 50.

ხლის სუბუქობა» ძეგლის დებამ მოსპო და მის მაგიერ დაადგინა სისხლის სიმძიმე, მაგრამ რა წესზე და რიგზე?

—«გვარსა ზედა», «ძალისა მსგავსად» («კაცმან თუ ცოლი დაადოს უბრალოდ და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს, ესეთს ნახევარი სისხლი დაუურვოს მის ღიაცის გვარსა ზედა», მუხ. 21, იხილე ეგრეთვე მუხლი 25; თუ კაცს ვინმე მოჰკლავდა და მოკლულის ქვრივი არ გათხოვდებოდა, მაშინ «მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაყრო მიეცეს ძალისა მსგავსად» მუხ. 18). სადაც კი ძეგლის დება ლაპარაკობს ცოლქმრობაზე, იქ არ ივიწყებს სისხლის დაურვებას «გვარსა ზედა». ცოლის წაგვრა, სულ ერთია გვირგვინ ნაკურთხი ცოლი იყო, თუ ჯვარ გაცვლილი, თხოულობდა სისხლის მიცემას გვარის ღირსების წესზედ (მუხ. 23 და 24).

საყურადღებოა აქ ცოლის ორ-გვარი სახელი—გვირგვინ ნაკურთხი და ჯვარ-გაცვლილი; პირველისათვის იყო ნახევარი სისხლი, მეორისათვის მეექვსედი. ჩვენის აზრით, ჯვარ-გაცვლილი ცოლი ის ცოლი იყო, რომელსაც ირთავდენ უმღვდლოდ, ქრისტიანული ქორწინების აუსრულებლად; კიდევ ამისათვის იმისი სისხლი მცირედი იყო. ეხლაც ხშირად მთაში ეკლესიური წესის აუსრულებლად ქორწინდებიან.

„ძეგლის დებას“ რომ თავი დავანებოთ და აღბუღას სამართალს მივმართოთ (1441—1451 წ.), აქაც ფეოდალურ მიმართულებას ვპოვებთ. აღბუღას სამართალიც ნამდვილს ჩვენს ძველ ფეოდალურ ცხოვრებაზეა აღმოცენილი. იგი, როგორც ძეგლის დება, უტყუვარი სურათია ფეოდალურის ზოგანისა. სისხლის სამართალი საოჯახო კანონის დარღვევისათვის «გვარს» მისდევს,—«თუ კაცმან კაცს ცოლი წაგვაროს ასე რომ ღიაცი მისი ნებით და წადილითა გაყოლოდეს თანა, რასაც გვარისა იყოს მისითა წესითა სისხლი ორ ნაწილი დაუურვოს ქმარსა» (აღბუღას სამართალი, მუხ. მზ.); არა თუ მარტო ცოლის წაგვრისათვის, სხვის ცოლის არშიყობისა და მოყივნებისათვისაც («თუ...დედაწულისა ცოლსა უაშიყოს და კიდევ მოუყიენოს...») სისხლი «გვარის» წესზე უნდა მისცემოდა შეურაცხებულს ქმარს. ამ შემთხვევაში დამნაშავეს «ნიფხვით ოდენ შიშველს და ყელ საბლიანს უბანთა ზედა» გამოატარებდნენ და თუ „კუროს“ ჰსურდა, ამ სირცხვილს თავიდან აიცილებდა მხოლოდ ერთის პირობით—«სისხლი ორად შეკეცოს რასაც გვარისა იყოს» (იქვე, მუხ. კდ.)¹.

¹ საყურადღებოა, რომ ვახტანგი თავის სამართალში იმეორებს ამ ჩვეულებას მაქაქლის შესახებ—«რასაც გვარისა იყოს ის მაქაკალი, თავისის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს, თუ იმისი მიცემა არ შეეძლოს, მაქაკალს, ყელზე საბელი მოაბან და ტიტველი, ყელ-საბლიანი მარტო ნიფხვით ოდენ სოფელი გამოატარონ», მუხ. 69.

როგორც წაგვრა დიაცისა «მისის ნებით და წადილითა» (მუხ. მზ.) და «აშიყობა, მოყიენება დედაწულისა ცოლისა» (მუხ. კდ.), ვგრეთვე «ვინგინდას გვირგვინ ნაკურთხი ცოლის მოტაცება» სისხლს თხოულობდა—«რისაც გვარისა იყოს» (მუხ. რე). საოჯახო უფლებების ფეოდალური საფუძველი ვახტანგის სამართალშიც აღვიარებულა, საოჯახო სისხლი აქაც გვარს და ჩინს მისდევს.

ასეც უნდა იყვეს, რადგანაც თითონ ვახტანგი პირდაპირ ამბობს: «ეს სისხლის განაჩენები, რაც დაგვიწერია, ძველად დადებული დაგვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რა» (მუხ. 24). და რომ ჩვენი დიდებული სჯულ-მდებელი აქ სრულს ჭეშმარიტებას ამბობს, ჩანს, სხვათაშორის, იქილამ, რომ იმავე დანაშაულებათა იმეორებს, რასაც ძველის დება და აღბუღას სამართალი სდევნიდნენ და ზოგიერთა მუხლები თითქმის სიტყვა-სიტყვით მოჰყავს აღბუღას სამართლიდამ (შეადარე მაგ. აღბუღას სამართლის ზემო მოყვანილი მუხ. მზ. ვახტანგის სამართლის მუხ. პდ, სადაც სწერია «თუ, კაცმა ცოლი წაგვაროს კაცს, ასე რომე დედა-კაცი მისის ნებით გაჰყვეს, იმ დედაკაცის ქმარი რასაც გვარისაა, მისი სისხლი ორი წილი გადაიხადოს»).

მაგრამ ფეოდალური ხასიათი ძველის ოჯახისა საკმაო არ არის, რომ მკითხველმა შეადგინოს სრული აზრი ოჯახის შინაარსზე. ამისთვის ჩვენ უნჯა ვუჩვენოთ მკითხველს ეს შინაარსი, განვმარტოთ ყოველგვარი ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ოჯახის წევრთა შორის. სწორედ ეს ურთიერთობა შეადგენდა ოჯახის ბუნებას, მის სულს, შინაგანს ძალას. ფეოდალური აგებულება იყო, თუ შეიძლება აგრე ითქვას, გარეგანი ფორმა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მხარე ოჯახისა. მაგრამ ოჯახს თავისი საკუთარი სამფლობელო ჰქონდა შემოფარგლული და აი სწორედ ამ საკუთარს სამფლობელოში ვამოიხატა მისი შინაგანი არსება, სულიერი ბუნება.

როგორც უკვე შევნიშნეთ, ვახუშტი გვიხატავს—ისიც მოკლედ ორიოდ სიტყვით—პატრიარქულ ოჯახს და სრულებით არაფერს ამბობს მის პირვანდელს ფორმაზე. იგი ვგრეთვე მოკლედ იხსენიებს—თუ რა ბარბაროსობა სუფევდა ამ ოჯახში ამ სიტყვებით: «შესწირვიდენ კერპთა ძეთა და ასულთა თვისთა და იყო ესე ბოროტება მრავალსა წელსა»¹. ამ სიტყვებიდამ ცხადად ჩანს, რომ ჩვენი ძველი ოჯახის მამას სრული განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა შვილების შესახებ, რომელთა მოკვლაც კი შეეძლო დაუსჯელად, სწორედ ისე, როგორც ძველი რომაელის ბარბაროსული ოჯახის მამას

¹ ვახუშტი, გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა, გვ. 24.

(*necis et jus vitae*). როგორ და რა მიზეზების გამო ძველ საქართველოში შესუსტდა ეს განუსაზღვრელი უფლება ოჯახის მამისა (ეახუშტი უჩვენებს მხოლოდ, რომ შვილების შეწირვა მოსპო მეფე რეგმა), ამაზედ ჯერჯერობით გადაჭრით არა ითქმის რა. ეს კია, რომ უძველეს კანონებს, ძველის დებას და აღბუღას სამართალს, თუმცა მათში საოჯახო უფლების ნორმები მეტად ცოტაა, ცხადად ეტყობა კვალი ამ განუსაზღვრელის უფლებისა; მათში ოჯახის მამა თითქმის სრული პატრონია, სრული ბატონი. ცოლი არ წარმოადგენს თავისუფალს, ზნეობრივს არსებას; მას მეტად მცირე და მკრთალი უფლება აქვს. მაგ., ძველის დება შედარებით უფრო ბევრს ლაპარაკობს ცოლის წაგვრახზე, მოტაცებაზე, (მუხ. 22—24), ამ დანაშაულებას უცქერის ეკონომიურის მხრივ (სისხლის დაუტრეება); ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ქალის პიროვნული თავისუფლება არ იყო სრულიად აღიარებული, მისი ზნეობრივი ღირსება მეტად დაბალ წერტილზე იდგა.

მაგრამ „ძველის დებაც“ კი მოშორებულია რომაელების ძველი *manus mariti*-ს ხასიათს, რომაელების *manus* ოჯახის მამას (*pater familias*) ცოლის სრულს პატრონად ჰრაცხდა, თვით ოჯახი (*familia*) ნიშნავდა ოჯახის მამის ქონებას, საკუთრებას და არა წვერთა კავშირს.¹ შეილიც რომაელების ძველი უფლების შეხედულობით, მამის სრული საკუთრება იყო, მოკლებული ყოველ-გვარ თავისუფლებას, ზნეობრივს ღირსებას. არც ერთი და არც მეორე უკიდურესობა „ძველის დებაში“ არ იცის: „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალო და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს ესეთს ნახევარი, სისხლი დაუტრეოს“ (მუხ. კა). მაშასადამე, ოჯახში ცოლი როდი იყო ქმრის სრული საკუთრება, მისი ქონება. მაგრამ ამას არა სჯერდება „ძველის დება“ და სხვანაირს მფარველობას უწევს ცოლს, — „...თუ ამ მოკლულის კაცის ცოლი დარჩეს და არ გათხოვდებოდეს, მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაყრო მიეცეს ძალისა მსგავსად და თუ დარბაზის ცნობის ღირსი იყვნენ, დარბაზს იკითხონ და დარბაზით გაეჩინოს და თუ არ ღირს იყვნენ ერისთავმან და გამგებელმან გაუჩინოს და სისხლისაგანაც მიეცეს და ათისაგანაც ერთი“ (მუხ. ია.); ასე რომ, როგორც ქმარს ეძლეოდა ცოლის სისხლი, ისე ცოლს ქმრისა და გარდა ამისა «ათისაგანაც ერთი». ამგვარად ქმარი და ცოლი ერთნაირად აღჭურვილნი იყვნენ სისხლის უფლებით.

თუმცა „ძველის დება“ შვილის პიროვნულს და ქონებრივს უფლებაზე მეტად ცოტას ამბობს, მაგრამ, მაინც შესაძლოა ამ უფლე-

¹ К. Победоносцев, Курс гражданского права, б. 2, 1871, гл. 67-

ბის განმარტება. ერთის მხრით, დედ-მამა ისე მალა სდგანან, რომ მათის მოკვლისათვის „ძეგლის დებამ“ არ იცის რა ნაირი სასჯელი მიანიჭოს შეილს (არაც უარესია ყველას დამართება და ყოფა პირიანია... მუხ. იე.). მაგრამ, მეორეს მხრივ, შეილი როდი არის მამის საკუთრება, ყოველს უფლებას მოკლებული არსება, უხმო პირი, როგორც რომში (patria potestas); შეილს ნება აქვს («თუ მამა დაუბერდეს და სამსახური ბატონისა არ შეეძლოს...» მუხ. იე.) მამას მამული ჩამოართვას, მხოლოდ ნასყიდი კი არა და თავისი საკუთარი მეურნეობა გაიჩინოს. თუმცა ამ შემთხვევაშიც მამის «ნების მყოფლობა» იყო საჭირო. ზემოთხსენებულიდამ ჩანს, რომ ძეგლის დება ოჯახის მამას დიდს ძალას აძლევდა, მაგრამ ეს ძალა ისეთი არ იყო, რომ სრულებით დაეთრგუნა ოჯახის წევრების პიროვნება. ოჯახის მამას გვერდით უდგნენ ეს წევრნი და თუმცა ემორჩილებოდნენ მას, მაგრამ იმავე დროს არც სრულს თავისუფლებას იყენენ მოკლებულნი. ეს მორჩილება უფრო პიროვნულს ურთიერთობაში იხატებოდა, ვიდრე ქონებრივში: ქონებრივის მხრით ოჯახის წევრი შედარებით მალა იდგა. მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს ისიც, რომ ძეგლის დებაში ოჯახს გვერდით უდგია გვარი, ჩამომავლობა (род), რომელსაც დიდი გავლენა აქვს მასზედ. კერძო ოჯახის წევრნი არა სწყვეტდნენ კავშირს გვართან, ეს უკანასკნელი ხშირად მათი მფარველი იყო.

ეს კავშირი ოჯახისა და გვარის შორის ეხლაც კი მტკიცედ არსებობს მთაში და სწორედ, სხვათაშორის, ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ, როგორც სხვაგან, მაგ. რუსეთში¹, ისე იმ თემთა შორის, რომელთაც ძეგლის დება შეეხებოდა, ქალი არ იყო სრულიად დაზარული. თვით ძეგლის დება არა თუ აღვიარებდა ამ კავშირს ოჯახისა და გვარის შორის, არამედ ვალდებულად რაცხდა მას, რადგანაც სარგებლობას ჰპოვებდა მასში, — «ბეითალმნად რაც პარტახი მამული (პარტახი — выморочное имение) დარჩეს რომე მემამულე აღარ მიიჩნდეს თუ მისის გვარისა კაცნი გამოჩნდნენ ერთგვარნი... მათ ებოძოს ასრე რომე საჯარო, სალაშქრო და საბეგარო არ დააკლდეს ქვეყანასა» (მუხ. კა.). თუმცა აქ ლაპარაკია მამულზე, მაგრამ მარტო მამული როდი იყო შემეერთებელი ძალა ოჯახისა და გვარის შორის; არა, ეს ძალა უფრო ფართო და ვრცელია, — ქონებრივს კავშირს თან მოსდევდა ზნეობრივი და საზოგადო იურიდიული კავშირი, ასე, რომ თვითეული პირი ერთსა და იმავე ოჯახის წევრიც იყო და გვარისაცა.

¹ А. Савельев, Юридические отношения между супругами, 1881 г. стр. 19, 25.

ეს კავშირი, რომელიც აქამომდე დარჩა მთიელებში, აღრე მოხს-
პო ვაკე ქართლში და ვახტანგი თავის სამართალში უარჰყოფს მას:
«...თუ ცალკე გავიდა (უშვილო კაცი) და არავისთან დადგა და ისრე
უშვილოდ ამოვარდა, მისი მამული ხელმწიფის არის, ვისაც უნდა
უბოძებს...» (მუხ. 113). რაკი კერძო პირი ერთხელ ოჯახიდან გავი-
დოდა და საკუთარს კერას გაიჩენდა, იურიდიულ კავშირსაც ჰკარ-
გავდა უწინდელ ოჯახის წევრებთან (ჩვენ აქ სახეში არა გვაქვს სუ-
ლიერი დამოკიდებულება, „ნათესაობა“, რომელიც ეკლესიურს უფ-
ლებას შეეხება). ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართლში
როგორც ვახტანგის დროს, ისე აღრეც კერძო ოჯახს თავისი გან-
ცალკევებული საკუთრებით კავშირი აღარა ჰქონდა გვართან, გვარ-
მა აღგილი დაუთმო პირს, საზოგადომ კერძობას, ასე ვსთქვათ,
იურიდიულმა „მე-“მ სძლია იურიდიული „ჩვენ“.

როგორც ჩანს ძველი სიგელებიდან, პოლიტიკურმა მოსაზრე-
ბამაც ხელი შეუწყო ამ მოვლენას და, სხვათა შორის, ეს მოსაზრე-
ბაც იყო ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთაც შეარყიეს გვარი, სა-
გვარეულო შინაური წეს-წყობილება და წინ წამოაყენეს კერძო ოჯა-
ხი თავისი კერძო საკუთრებით. როგორც ჩანს საქართველოს ძვე-
ლის ისტორიიდან¹, ფარნავაზ მეფემ სახელმწიფოს დაარსებასთან
ერთად, პოლიტიკური მოსაზრების გამო, დაარსა ეგრეთვე მიწის
საგვარეულო მფლობელობა. ამგვარ მიწის მფლობელობას უჩვენებს
თვით ს ტ რ ა ბ ო ნ ი² და ჩვენ, ვგონებთ, არ უნდა ვეჭვნეულბდეთ,
რომ წინათ კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო საგვარეულო
საკუთრება იყო. როგორ და რა მიზეზების გამო დაირღვა გვარი და
მისი აღგილი დაიჭირა კერძო ოჯახმა თავისი კერძო საკუთრებით
ეს ჩვენს საგანს არ ეკუთვნის. აქ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ თუ
წინათ საგვარეულო საკუთრება იყო ქვა-კუთხედი მიწის მფლობელო-
ბისა, შემდეგში კერძო მიწის საკუთრებამ დაიჭირა მისი აღგილი და,
სხვათა-შორის, ამას ამტკიცებს ძველი ქართული პარტახი თავისის
განსაკუთრებითის ხასიათით.

ძველმა საქართველოს მეფეებმა პარტახი რეგალიად (სახელ-
მწიფო საკუთრებად) აღვიარეს (როგორც ეს იყო ევროპაშიც საშუა-
ლო საუკუნოების დროს), გაჰხადეს იგი პოლიტიკური ძალის სა-
შუალებად, სახსრად. მეფე, ვისაც ჰსურდა, იმას უბოძებდა პარტახს
«სამსახურისათვის»; და რადგანაც პარტახს ერთხელ ამ გვარი დანიშნუ-
ლება მიეცა, იგი შეიქმნა საკმაო ძალად მეფის ხელში და სასარგებ-

¹ С. Баратов, История Грузии, т. 1, гл. 24—26.

² Ган, op cit., გვ. 68; იხ. ეგრეთვე ბაქრაძე, საქართველო, გვ. 85.

ლოც იყო მისი ძლიერების განსაზღვრებად; ამისათვის საგვარეულო მიწის მფლობელობის დარღვევას, ასე თუ ისე, ეხმარებოდა ხელმწიფებრივი უფლების გაძლიერება. რასაკვირველია, აქ სხვა მიზეზებიც მოქმედობდნენ. სხვათა შორის საზოგადო კანონი საკუთრების განთვითოფულებსა, მაგრამ პოლიტიკურს მიზეზსაც ადგილი ჰქონდა. —ამ კერძო კითხვიდამ ისევ საზოგადო საგანზე უნდა გადავიდეთ.

არც აღბუღას სამართლის ოჯახი არის სრულიად დესპოტიურ-რი. ეს არის შუათანა ტიპი დესპოტიურისა და თავისუფალი ოჯახის შორის. აქაც, როგორც „ძეგლის დების“ ოჯახში, თვითუფლებს წევრს თავისი უფლება აქვს, თუმცა მაინც მცირედი. რასში იხატება ეს უფლება? —თუ ცოლი დასწულდეს... გაეყაროს (ქმარი), შეფიცოს ნაშენითა რამე სიძულულთა არ გაყროდეს და ნახევარი სისხლი დააუტროს» (მუხ. რმა.). მართალია ცოლის წაგვრა («მისის ნებით და წადილითა...», მუხ. მზ. «ძალად წაგვაროს დიაცისა უმეცრად და უნდომლად» — მუხ. მს.) ქმარს უფლებას აძლევდა სისხლი მოეთხოვა დამნაშავესაგან თავის სასარგებლოდ, მაგრამ აქედამ ის დასკვნა არ გამოდის, ვითომ ცოლი ქმრის სრული საკუთრება იყო, როგორც რამე ქონება; არა, ეს სისხლის დაუტრება სასჯელი იყო და ამის მეტი მნიშვნელობა მას არა ჰქონია-რა. სისხლის რარდენობა, დანაშაულობის თვისების გარდა, პიროვნების ღირსებაზე იყო დამყარებული. (მაგ. «თუ აზნაურმან აგინოს (ეპისკოპოსსა) დიდითა შეხვეწითა ოცი ათასი თეთრი დაუტროს», მუხ. რს.) და თუ ყოველივე დანაშაულობა ცოლის შესახებ თხოულობდა სისხლის დაუტრებას ორ წილ და ზოგიერთა შემთხვევაში მეტსაც, ეს იმიტომ, რომ თვით ცოლი ოჯახში არ იყო მოკლებული მნიშვნელობას, ღირსებას. ეს ღირსება იქამდის მიდიოდა, რომ ქმარს არ შეეძლო დაუსჯელად ცოლის დატოვება და თვით დატოვებისათვის, როგორც მოვიხსენიეთ, საჭირო იყო შესაწყნარებელი საბუთი. სხვაგან, მაგ., რუსეთში ამას ვერა ვხედავთ. იქ, იაროსლავის სამოსამართლო წესდების ძალით, თუ ბოიარინი ცოლს მისცემდა ხუთს ოქროს გრივენს და ამდენსავე ეპისკოპოსს და დაბალი წოდების კაცი თორმეტს გრივენს, შეეძლოთ მისთვის თავი დაენებებინათ¹. აღბუღას სამართალში ცოლის მცირედიც არის მნიშვნელობა ოჯახში მტკიცდებოდა მითაც, რომ მისი შეუტრაცხება სიტყვითაც კი დამნაშავეს საკმაო ჯარიმას აკისრებდა, რადგანაც «თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლენი დაუტროს» (მუხ. რლა).

თუმცა პიროვნულად ცოლი დაბლა იდგა და ქმარს ემორჩი-

¹ А. Савельев, *op. cit.*, გვ. 9.

ლებოდა, მაგრამ ქონებით, თავისი საკუთრებით იგი არ იყო დამოკიდებული ქმრისაგან. აღბუღას სამართალმა, როგორც საზოგადოდ ძველად უფლებამ, იცოდა ქონებრივი დამოუკიდებლობა ცოლ-ქმართა შორის და ეს იყო მიზეზი, რომ ქმარს არ შეეძლო სრული დამონავეება ცოლისა. აღბუღას სამართალი ქონების შესახებ დიაცს თავისუფალ წევრად აღიარებს, — «დიაცსა თუ ღმერთი შერისხდეს, დაქვრივდეს და შვილი არ ედგას, მისი ზითვითა გაყვეს დაუკლებლად და თუ დიაცი მოკვდეს, მისსა სამშობლოსა მართებს აგრევე დაუკლებლად» (მუხ. პბ.). «თუ შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილებისაა, დიაცისა სასაქონლო და სამამულე» (იქვე); მაგრამ ზითვის გარდა, სხვა საოჯახო ქონებაზედაც ხელი მიუწვდებოდა დიაცს: «თუ დედაკაცს ქმარი მოუკვდეს და საქონელი მან ქვრივმან მონასტერს შესწიროს, ნუ ეცილებიან» (მუხ. როვ).

რაც შეეხება შვილებს, აღბუღას სამართალი იმათ პიროვნულს თავისუფლებას შესამჩნევად ავიწროებს. რადგანაც მამა იყო სრული და დამოუკიდებელი პატრონი ოჯახისა, ამისათვის შვილის გაძევება სახლიდამ, მისი გამორიცხვა ოჯახის წევრთა რიცხვიდამ მამის ნებაზედ იყო დამოკიდებული: «თუ თავისი შვილი მამამან მისისა შეცოდებისათვის კიდე გააძოს ხელეწიფების დაცილებასა არავინ არის მართლა», თუმცა, მეორეს მხრით, შვილს კანონი ცოტათი იფარავდა, რადგანაც «არა გააძოს მამამან ღვარძლძვევითა უბრალო შვილი, ამას არცა მამა ემართლებს, ნურცა ვინ სხვა უზამს» (მუხ. ნთ). თუ რა შორს მიდიოდა შვილის ოჯახური არარაობა, ჩანს იქიდან, რომ გაყრის დროს შვილს მამის ქონებიდგან არა ეძლეოდა-რა. («თუ მამა-შვილნი გაიყარნენ შვილი მამულის გაყოფასა არა ემართლებს, ამისათვის რომე, რა მამა მოკვდების, მამულსა შვილსა არას ემართლებს, მან სხვა შოიგოს მამის სიკვდილამდის», მუხ. რნზ.). მართალია, შვილი მემკვიდრე იყო მამისა, მაგრამ რადგანაც აღბუღას სამართალში ანდერძს მეტად ფართო ალაგი ეჭირა და ანდერძით შეიძლებოდა ყველა გვარი ქონების გადაცემა სხვა პირზედ, ამისათვის ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ შვილი საოჯახო ქონებიდამ ცალიერი დარჩენილიყო, — «ანდერძი რომელმან კაცმან თქვას მისსა სიკვდილსა შემდგომად-ლა იქნების მტკიცე და დასტურებული» (მუხ. ნტ.).

ძველის ქართულის ოჯახის ერთს საყურადღებო მხარეს შეადგენდა ის, რომ, როგორც საზოგადო ცხოვრებაში ისრე ოჯახში განხორციელებული იყო უფროს-უმცროსობა, წევრთა შორის დიდპატარაობა. ვახტანგმა თავის სამართალში იერარქიულად ასწერა ეს მოვლენა და თვითეულ წევრს, გაყრის დროს, თავისი საკუთარი

ხვედრი დაუნიშნა. მართალია, აღბუღას სამართალმა არ იცის ისე დაწვლილებით იერარქიული დამოკიდებულება ოჯახის წევრთა შორის, როგორც ვახტანგის სამართალმა, მაგრამ იქაც უხუცესს შედარებით მეტი უფლება აქვს, ვიდრე სხვებს. «თუ დიდებულნი გაიყარნენ ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ, სხვა შუა გაიყონ» (მუხ. რნე.), «თუ გლეხნი გაიყარნენ უხუცესსა ძმასა ან თავნი სახლი ან ერთი ვენახი ანუ უფროსნი ჭურნი საუხუცესოდ, სხვა შუა გაიყონ» (მუხ. რნე.). უფროს-უმცროსობა შეადგენდა საოჯახო წესს და ამ წესს მით უფრო საჭიროდ რაცხდენ, რომ ძველი ოჯახი მრავალწევროვანი იყო და მაშასადამე თხოულობდა იერარქიულ დამოკიდებულებას, მორჩილებას ერთისა მეორისადმი.

ნ. ხიზანაშვილის ნაწარგების სია

ა. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი

კორესპონდენცია ცხინვალიდან, „დროება“ 1879 წ., № 22.

ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი, „იმედი“ 1882 წ., № 3.

საფუძვლები სახალხო განათლებისა, „იმედი“ 1882 წ., V, VI, VII, VIII, IX და X.

უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“ 1882 წ., XI—XII; 1883 წ., II.

ძველი და ახალი თაობა, „დროება“ 1883 წ., № 94.

ჩვენი ლიტერატურულ კეთილ-წესიერებაზედ, „დროება“ 1883 წ., № 99.

ეკონომია თუ აგრანომია (ახალი გუთნის გასინჯვის გამო), „დროება“ 1883 წ., № 248.

მგზავრის შენიშვნებიდან, „დროება“ 1883 წ., № 129.

ხმა პროვინციიდან, „დროება“ 1883 წ., № 166.

ლიტერატურული შენიშვნა („წამება ქეთევან დედოფლისა“, ისტორიული დრამა ა. მოჩხუბარიძისა), „დროება“ 1883 წ., № 230, 231.

ჩვენი გლეხ-კაცობა და აქციზის საქმე, „დროება“ 1883 წ., № 197.

სოფლის თვით-მმართველობაზე, „დროება“ 1883 წ., № 162, 163.

ქართული ენის შემოღების გამო, „დროება“ 1883 წ., № 187.

ლიტერატურული მიმოხილვა, „ივერია“ 1883 წ., № V და VI; „დროება“ 1883 წ., № 172.

„შრომა“ და მისი იურიდიული სიბრძნე, „დროება“ 1883 წ., № 105.

ძველი ქართული ოჯახი, „დროება“ 1885 წ., № 2, 3, 5, 89, 92, 96, 192, 193.

ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი), „დროება“ 1884 წ., № 231, 241; 1885 წ., № 165, 166; „ივერია“ 1886 წ., № 267, 268, 269; 1887 წ., № 8, 14, 15, 71, 72, 74, 158, 170, 171, 209.

როსტომ გმირი (ფშავლების გმირულ პოეზიიდან), „ივერია“ 1887 წ., № 78.

ჩემის რვეულიდან (ნაწყვეტი), „ივერია“ 1887 წ., № 263.

ხევსურულ პოეზიაზედ, „ივერია“ 1887 წ., № 178.

უსაფუძვლო შენიშენის გამო (წერილი ბ-ნთ დ. ფურცელაძის და ვლ. მიქელაძის მიმართ), „ივერია“ 1887 წ., № 272,

წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“ 1887., № 159.

ხევსურული სიმღერები, „ივერია“ 1887 წ., № 264; 1888 წ., № 27, 32, 41, 43, 44, 57, 78, 79, 80, 84, 120, 121, 135, 136; 1891 წ., № 90.

ეხლანდელი ქართული სამწერლო ენა, „ივერია“ 1888 წ., № 168, 169, 170, 171, 177.

ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა (ძეგლის წერა), „ივერია“ 1888 წ., № 38, 46, 47, 75, 270, 271.

ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა (ზურაბ არაგვის ერისთავი), „ივერია“ 1888 წ., № 238, 341.

ზეზვა და ბახტრიონის ციხე (ნაწყვეტი ჩვენის ისტორიის), „ბახტრიონის აღების“ გამო, „ივერია“ 1888 წ., № 238.

კიდევ ლაშარობაზე, წერილი ბ-ნ ვაჟა-ფშაველას, „ივერია“ 1888 წ., № 176.

აღდგომა ძველ დროს (სააღდგომო საუბარი), „ივერია“ 1888 წ., № 87.

მესხური კილო და მისი მოსარჩლე (პასუხი ბ. პ. მირიანაშვილს), „ივერია“ 1888 წ., № 205.

საახალწლოდ (შესახებ იმისა, თუ როგორ ატარებდნენ ძველად საქართველოში ახალწელს), „ივერია“ 1889 წ., № 1.

გიორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი, „ივერია“ 1889 წ., № 62, 63, 64, 66, 67, 72.

ძეგლისდება მეფე გიორგის ბრწყინვალესი, „ივერია“ 1889., № 261, 264, 266, 270; 1890 წ., № 17, 44.

ათაბაგნი ბეჟა და აღბულა და მათი სამართალი, „ივერია“ 1890 წ., № 201, 202, 204, 205, 206, 207, 212; 1891 წ., № 18, 23, 33, 43, 48, 167, 169, 174; 1892 წ., № 42, 47, 50, 56, 58, 62, 69.

ბიბლიოგრაფია. „გუჯრები“ ა. ხახანაშვილისა, 1891 წ. „ივერია“ 1892 წ., № 68.

მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, „მოამბე“ 1894 წ., 1, 2, 3, 4.

კრწანისის ბრძოლა, „ივერია“ 1895 წ., № 194.

საბიბლიოგრაფიო შენიშენები, „შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა, „ივერია“ 1896 წ., № 76.

ფიქრი დღევანდელის დღესასწაულის გამო (საისტორიო ნაწყვეტი), „ივერია“ 1897, № 10.

ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან — სამართალი კათალიკოზისა, 1898 წ., № 3.

„მესამე დასი და ბურჯუაზია“, „მოამბე“ 1898 წ., 2.

ჩვენი ცხოვრების ევოლუცია, „ივერია“ 1902 წ., № 5, 6, 149.

ქართლელი და იმერელი (ვაგონით), „ივერია“ 1903 წ., № 2.

Извлечение из Этнографических очерков Урбнели, Записки КОРГО XIV., 1.

В. ცალკე წიგნად გამოცემული

გიორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი. ტფილისი 1889 წ.

ათაბაგი ბეჟა და აღბულა და მათი სამართალი. ტფილისი 1890 წ.

ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, ტფილისი 1890 წ.

მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო (ისტორიული მონოგრაფია), ტფილისი 1894 წ.

С. დაუბეჭდავი

წოდებათა ისტორია საქართველოში, საქ. ლიტერატურული მუზეუმის კოლ. № 159—4.

